

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართულური ენათმეცნიერება

X

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

KARTVELIAN LINGUISTICS

ეძღვნება პროფესორ კორნელი დანელიას
დაბადებიდან 90-ე წლისთავს

Dedicated to the 90th Birthday of
Prof. Korneli Danelia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities
ქართული ენის ინსტიტუტი
Institute of the Georgian Language

სამეცნიერო შრომების კრებული

ქართველური ენათმეცნიერება

X

COLLECTION OF SCIENTIFIC PAPERS

KARTVELIAN LINGUISTICS

ექვნიება პროფესორ კორნელი დანელიას
დაბადებიდან 90-ე წლისთავს

Dedicated to the 90th Birthday of Prof. Korneli Danelia

კრებული ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ კორნელი დანელიას (1934-1997) ხსოვნას, მისი დაბადებიდან 90-ე წლისთავს. კორნელი დანელია ათწლეულების განმავლობაში მოღვაწეობდა უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრაზე, იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, გამოქვეყნებული აქვს მრავალი საყურადღებო ნაშრომი ქართველური ლინგვისტიკის აქტუალურ საკითხებზე, არის ძველი ქართული ტექსტების გამომცემელი.

კრებულში იბეჭდება პროფ. კ. დანელიას ბიბლიოგრაფია, ასევე, მისი ორი წერილი ქართული ანბანისა და ბიბლიის მცხეთური ხელნაწერის შესახებ.

კრებულში თავმოყრილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა სამეცნიერო სტატიები. მათი ნაწილი ავტორებმა წაიკითხეს 2024 წელს აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნისა და ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციებზე და მოიცავს ქართველურ ენათა, ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკის, ლექსიკის, ორთოგრაფიის, ტექსტოლოგიისა და ონომასტიკის საკითხებს.

კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“ საინტერესო იქნება ჰუმანიტარული და მომიჯნავე დარგების მკვლევრებისათვის, სტუდენტებისათვის, ქართველოლოგიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

რედაქტორები: პროფესორი **დარეჯან თვალთვაძე**, პროფესორი **რამაზ ქურდაძე**

პასუხისმგებელი მდივანი – ასოცირებული პროფესორი **რუსუდან ზეკალაშვილი**

გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2024

ISSN 2346-8106



კორნელი დანელია
(1934 - 1997)

შინაარსი/Contents

პროფესორი კორნელი დანელია (მოკლე ბიოგრაფიული ცნობები)	11
Prof. Korneli Danelia (brief biographical information)	11

ზურაბ ჭუმბურიძე

კორნელი დანელია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.....	13
პროფესორ კორნელი დანელიას ბიბლიოგრაფია	21
Bibliography of Professor Korneli Danelia works	21

პროფესორ კორნელი დანელიას სტატიები Scientific Papers of Professor Korneli Danelia

ჩვენი სახელმწიფო ენა. ქართული ენისა და ანბანის ამბავი.....	42
„მცხეთური ხელნაწერი“ და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის	48

სამეცნიერო სტატიები Scientific Papers

ძველი და ახალი ქართული ენა. ქართველური ენები Old and New Georgian Language. Kartvelian Languages

გიორგი გოგოლაშვილი

ვაჟა-ფშაველას თხრობის სტილის ერთი თავისებურება პოემების მიხედვით.....	57
Giorgi Gogolashvili	
On One Peculiarity of the Narrative Style in Vazha-Pshavela's Epic Poems	57

ქეთევან დათუკიშვილი

ნაცვალსახელთა კლასიფიკაციისათვის თანამედროვე ქართულში (პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები).....	63
Ketevan Datukishvili	
On the Classification of Pronouns in Modern Georgian (Personal and Demonstrative Pronouns).....	63

რუსუდან ზეკალაშვილი

მეორე კავშირებითის უმართებულო ფორმები თანამედროვე ქართულში.....	72
Rusudan Zekalashvili	
The Wrong Forms of the Optative in Modern Georgian.....	72

დარეჯან თვალთვაძე

ოთხთავის ხელნაწერები სვანეთიდან	86
---------------------------------------	----

Darejan Tvaltvadze	
Gospel Manuscripts from Svaneti.....	86
ნანა ლოლაძე	
„პოზიციის“ აღმნიშვნელი ზმნები ქართულში (ძირითადი მნიშვნელობა და გაფართოების არეალი).....	107
Nana Loladze	
Posture Verbs in Georgian (Basic meanings and extended uses).....	107
ქეთევან მარგიანი-სუბარი	
ერთი არქაული ენობრივი მოვლენის მორფოსინტაქსური ანალიზი სვანურ ენაში.....	113
Ketevan Margiani-Subari	
The Morphosyntactic Analysis of One Archaic Language Phenomenon in the Svan Language.....	113
დამანა მელიქიშვილი	
მეთოდოლოგიური და ტერმინოლოგიური პრობლემები თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი დაძლევის გზები (ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებისათვის).....	118
Damana Melikishvili	
Methodological and Terminological Problems in Modern Georgian Grammatical Literature and the Ways to Overcoming them (On the Relation between Form and Content).....	118
რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი	
დამატებათა შესახებ ინგლისურენოვან სტუდენტთათვის ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლებისას.....	138
Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani	
On the Teaching of Supplements (Objects) to English-Speaking Students of Georgian.....	138
ლელა ციხელაშვილი	
უფალ- ლექსემის სტრუქტურისა და წარმომავლობისათვის.....	146
Lela Tsikhelashvili	
On the Structure and Origin of the Concept <i>upal-</i> ('lord')	146
ანა ხარანაული	
სიდიდისა და სიმრავლის მნიშვნელობის სეგმენტებით შედგენილი კომპოზიტების გადმოტანა ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში.....	170
Ana Kharanauli	
Rendering the Compound Words Formed by Segments Denoting Size and Quantity in the Georgian Translations of the Old Testament.....	170

ონომასტიკა
Onomastics

ქეთევან მარგიანი-დადვანი

დალის (კოდორის) ხეობის ონომასტიკის შესწავლისთვის187

Ketevan Margiani-Dadvani

For the Research of the Onomastics of Dali (Kodori) George187

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი

საქართველოს ტოპონიმის სწავლების პერსპექტივები.....196

Nana Khotcholava-Matchavariani

Perspectives of teaching toponymy of Georgia196

**პროფესორი კორნელი დანელია
მოკლე ბიოგრაფიული ცნობები**

**Prof. Korneli Danelia
brief biographical information**

კორნელი დანელია

(1934-1997)

კორნელი დავითის ძე დანელია დაიბადა 1934 წლის 15 ივნისს მარტვილის რ-ნის სოფ. ნაჯახავოში; გარდაიცვალა 1997 წლის 27 სექტემბერს თბილისში. ის იყო ქართველი ენათმეცნიერი, ტექსტოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი (1979), პროფესორი (1980).

კ. დანელიამ 1957 დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება). 1958-1960 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. 1960-1963 წლებში სწავლობდა თსუ-ს ასპირანტურაში აკაკი შანიძის ხელმძღვანელობით. 1967-1980 წლებში იყო თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი, 1980 წლიდან – პროფესორი, ხოლო 1987 წლიდან – ამავე კათედრის გამგე. 1986 წლიდან შეთავსებით მუშაობდა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, 1988 წლიდან გარდაცვალებამდე იყო თსუ-ს ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი.

კ. დანელია ავტორია 170-მდე შრომისა, მათ შორის 10 ფუნდამენტური მონოგრაფიისა. მისი კვლევის სფეროა: ძველი ქართული ენა, უძველესი წერილობითი ძეგლების კრიტიკული პუბლიკაცია, ქართული სამწერლობო ენის, ქართველურ ენათა (მეგრულ-ჭანურის) ისტორიის, შედარებითი გრამატიკისა და პოეტური ენის საკითხები, ბიბლიურ წიგნთა ქართული თარგმანების საკითხები, ქართველოლოგიის ისტორია და სხვ. მის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია ქართული ქრისტიანული კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლების ენობრივი, ლიტერატურული და წყაროთმცოდნეობითი ასპექტების, ძველი ქართული ენის სტრუქტურის პრობლემათა კვლევას. მისი სამეცნიერო გამოცემებიდან აღსანიშნავია „**პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები**“ (თანაგამომცემელი პროფ. ქეთევან ძონენიძე, 1974), „**ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები**“ (1977), „**ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი**“ (ტ. I, 1987; ტ. II, 1997), „**იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები**“ (1992). იგი იკვლევდა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებულ პრობლემურ საკითხებს. განსაკუთრებით ფასეულია მონოგრაფია „**ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები**“ (1983), რომელშიც კომპლექსურად არის განხილული ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხები, გამოვლენილია უცხო ენებიდან მომდინარე ლექსიკური და გრამატიკული ელემენტები ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ თარგმანში. სწორედ ამ ნაშრომებისათვის („**ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა ქართული სამწერლობო ენის ისტორიისათვის**“, „**ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები**“) 1988 წელს კორნელი დანელიას მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია.

კ. დანელიას აქვს საყურადღებო შრომები ძველი ქართულისა და „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკის შესახებ, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ წყარო-

ებსა და მასში ასახულ კოლხურ ლექსიკურ შრეებზე, ჩახრუხადისა და შავთელის ხოტბათა პოეტურ ენაზე. წერილების მთელი სერია უძღვნა ქართული სალიტერატურო ენის უცხო ენებთან კონტაქტის პრობლემას. გამოსცა „**ქართული ხალხური სიტყვიერების**“ II ტომი (თანაავტორი პროფ. ა. ცანავა, 1992); თსუ-ში საფუძველი ჩაუყარა ახალ სასწავლო კურსს – „ქართველოლოგიის შესავალი“, დაგვიტოვა ქართული ენათმეცნიერული აზრის ისტორიისათვის მნიშვნელოვანი მონოგრაფიული ნაშრომები: „**იოსებ ყიფშიძე – ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა**“ (1985), „**აკაკი შანიძე – ცხოვრება და მოღვაწეობა**“ (პროფ. ზ. სარჯველაძის თანაავტორობით, 1987). ასევე აღსანიშნავია **ი. ყიფშიძის თხზულებათა** პუბლიკაცია (1994) კ. დანელიას რედაქტორობით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. 1997 წელს მისი და ზ. სარჯველაძის ავტორობით გამოიცა სტუდენტებისათვის შედგენილი სახელმძღვანელო **„ქართული პალეოგრაფია“**. კ. დანელიას გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა ნარკვევების მე-2 ტომი და მეგრულ-ლაზურის გრამატიკა.¹

წყარო: ზ. სარჯველაძე, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ენციკლოპედია „საქართველო“), ტ. 2, თბილისი, 2012, გვ. 310.

1 ტექსტი იბეჭდება მცირეოდენი ცვლილებით.

ზურაბ ჭუმბურიძე

კორნელი დანელია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე²

15 ივნისი კორნელი დანელიას დაბადების დღეა. 2009 წლის 15 ივნისს მას 75 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ საიუბილეო თარიღამდე ვერ მი-
აღწია, – გარდაიცვალა 63 წლისა, სწორედ მეცნიერული მოღვაწეობის აღმავლობი-
სა და შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში. ეს იყო უმძიმესი დანაკარგი მთელი ქარ-
თული საენათმეცნიერო სკოლისთვის, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა აკადემი-
კოსმა აკაკი შანიძემ.

დღეს, როცა ჩვენ ვიგონებთ ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას, ბუნებ-
რივია, თვალი გადავავლოთ მისი ნაადრევად შეწყვეტილი სიცოცხლის ძირითად
თარიღებს.

კორნელი დავითის ძე დანელია დაიბადა 1934 წლის 15 ივნისს მარტვილის
რაიონის სოფელ ნაჯახავოში. მამა – დავით ივანეს ძე დანელია – ჭკვიანი მეურ-
ნე გლეხი იყო, დედა – ქსენია ვასილის ასული ჭოჭუა კი – დიასახლისი. 1953 წელს
კ. დანელიამ ოქროს მედალზე დაამთავრა ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა და ჩა-
ირიცხა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის
ფაკულტეტზე.

იქ იმ დროს ლექციებს კითხულობდა არაერთი ცნობილი მეცნიერი: გიორგი
როგავა, ანგია ბოჭორიშვილი, ქეთევან ძონენიძე, დავით გენაძე, დავით ბრეგაძე
და სხვ. მათგან კორნელის განსაკუთრებული ამაგი დასდო პროფესორმა ქეთე-
ვან ძონენიძემ, აკაკი შანიძის რჩეულმა და ნიჭიერმა მოწაფემ. 1957 წელს, როცა
კ. დანელიამ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი, სწო-
რედ ქ. ძონენიძემ გაუწია მას რეკომენდაცია თავისი მასწავლებლის წინაშე. ა. შანი-
ძის შუამდგომლობით 1958 წელს კ. დანელია მიღებულ იქნა უფროს ლაბორანტად
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. 1960 წელს ის
გადაიყვანეს უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად. იმავე წლის სექტემბერში ჩააბარა
მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში და
ჩაირიცხა ასპირანტად ძველი ქართული ენის კათედრაზე, სადაც მისი ხელმძღვანე-
ლი აკადემიკოსი აკაკი შანიძე იყო.

1963 წლის სექტემბრიდან, ასპირანტურის კურსის დამთავრებისთანავე,
კ. დანელიამ მუშაობა დაიწყო ძველი ქართული ენის კათედრის ასისტენტად. 1966
წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „**იერემიას წინა-
სწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა**“, 1978 წელს კი და-
იცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „**ქართული სამწერლო ენის ისტორიის
საკითხები პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიების მიხედვით (V-XI
საუკუნეები)**“.

1967-1980 წლებში კ. დანელია იყო ძველი ქართული ენის კათედრის დოცენ-
ტი, ხოლო 1980 წლიდან – პროფესორი. 1987 წელს, აკაკი შანიძის გარდაცვალების

² წერილი გამოქვეყნდა 2010 წელს კრებულში, რომელიც ეძღვნებოდა პროფ. კ. დანელიას და-
ბადებიდან 75-ე წელს: „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომები,
I“, გვ. 5-15.

შემდეგ, არჩეულ იქნა ამავე კათედრის გამგედ. 1986 წლიდან შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. 1988 წელს აირჩიეს ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად. როგორც დეკანის, ისე კათედრის გამგის მოვალეობას კ. დანელია ასრულებდა გარდაცვალების დღემდე – 1997 წლის 27 სექტემბრამდე. 1995 წლის მაისში კორნელი დანელია შევიდა ახლად აღდგენილი გელათის მეცნიერებათა აკადემიის დამფუძნებელ ნევრთა შემადგენლობაში.

კ. დანელიას ეკუთვნის 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მეცნიერულ-პოპულარული წერილი, მათ შორის 10 მონოგრაფიული გამოკვლევა, გამოცემული სქელტანიან ნიგნებად. ამ ნაშრომების თემატიკა მოიცავს ძველ ქართულ ენას და უძველესი წერილობითი ძეგლების კრიტიკულ გამოცემას, ქართული სამწერლო ენის ისტორიას, მეგრულ-ლაზური ენის გრამატიკას და ტექსტების პუბლიკაციას, პოეტური ენის საკითხებს, ქართველოლოგიის ისტორიას და სხვ. ამ ნაშრომების სრული მიმოხილვა ერთ მოხსენებაში შეუძლებელია და ამჟამად არც არის აუცილებელი. შეგვირდებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანზე.

კ. დანელიას გამოკვლევებიდან უპირველესად აღსანიშნავია ისინი, რომლებიც ეხება ძველი ქართული ენის სტრუქტურისა და ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხებს. ამ სახის ნაშრომებში ის, ძველი ქართული ენის მასალასთან ერთად, წარმატებით იყენებს უცხოენოვან წყაროებს, მეცნიერულად ფლობს რა ძველ ბერძნულ, ძველ სომხურ და სირიულ ენებს. ამ წყაროებზე დაყრდნობით კ. დანელია არკვევს უძველესი ქართული ტექსტების წარმომავლობასა და ურთიერთმიმართებას, ადგენს კრიტიკულ ტექსტს. ძეგლების პუბლიკაციისას ის წარმოგიდგება როგორც მახვილი კრიტიკული ალღოს მქონე ტექსტოლოგი, რომლის მიერ დადგენილი ტექსტიც მაქსიმალურად ზუსტი და სანდოა.

კ. დანელიას მიერ მეცნიერულად გამოცემული ძველი წერილობითი ძეგლებიდან პირველ რიგში აღსანიშნავია **„პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები“** (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1974 წ.). ეს არის მძიმე და მომქანცველი შრომის ნაყოფი, როგორც ამას აღნიშნავს აკად. ა. შანიძე ამ გამოცემაზე დართულ წერილში. აქ ხაზგასასმელია კიდევ ერთი გარემოება: პავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიების კვლევა თავის დროზე ნამოწყბული ჰქონდა კ. დანელიას მასწავლებელს და ჩვენთვის დაუვინყარ მეცნიერ ქეთევან ძონენიძეს, რომელსაც ნაადრევმა სიკვდილმა არ დააცალა ამ საქმის ბოლომდე მიყვანა. სწორედ ამ საქმის გაგრძელება და დაგვირგვინება ითავა კ. დანელიამ. ამას დაერთო ისიც, რომ 50-იანი წლების ბოლოს და 60-იან წლებში ქართველი მკვლევრებისათვის ხელმისაწვდომი გახდა საზღვარგარეთის ქართული კულტურის ცენტრებში დაცული ბევრი ხელნაწერი, მათ შორის – პავლეს ეპისტოლეთა შემცველი ხელნაწერები, რომლებიც მანამდე უცნობი ან ხელმიუწვდომელი იყო. კ. დანელიამ თავი მოუყარა სულ 12 ხელნაწერს, რომელთა სკრუპულოზური ანალიზის შედეგად გამოვლინდა 4 რედაქცია (ძველი, გარდამავალი, გიორგისეული, ეფრემისეული). მკვლევარმა თითოეული ამ რედაქციისათვის საყრდენი ხელნაწერების განსხვავებული ვარიანტები სრულად აღწუსა კრიტიკულ აპარატში, უჩვენა ციტატების პირველწყაროები, მეცნიერულად გამართა ტექსტი უცხოენოვანი წყაროების მოხმობით. კ. დანელიასა და ქ. ძონენიძის ამ გამოცემამ სამართლიანად დაიმსახურა მაღალი შეფასება როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ.

ბიბლიური ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორიისათვის დიდად ფასეულია კ. დანელიას მონოგრაფიული ნაშრომი: **„ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები“** (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, 1977), რომელიც შეიცავს პავლეს ეპისტოლეთა ევთალესეული დანართის ძველი და გვიანდელი ქართული რედაქციების ტექსტს, ლექსიკონსა და გამოკვლევას. ამ შრომაში ორი მნიშვნელოვანი სიახლეა: პირველად არის გამოვლენილი ფაქტი, რომლითაც ახალი აღთქმის წიგნთა თარგმნა IV-V საუკუნეთა მიჯნაზე თავსდება; მეორეც, ტექსტზე დართულ ლექსიკონში ყველა განსამარტავ ერთეულს ახლავს ბერძნული ფარდები (საჭირო შემთხვევაში სომხურიც), რამაც ცხადყო, რომ ერთი ქართული სიტყვა მოხმობილია ზოგჯერ ორი, სამი და ოთხი ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად. მთარგმნელობითი პრინციპებისა და თარგმნის ისტორიისათვის ასეთი ფაქტების გამოვლენას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს.

განსაკუთრებული ღირებულებისაა კ. დანელიას მონოგრაფიული ნაშრომი **„ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები)“**, ტ. I ორ წიგნად: ნაწილი I – 1987, ნაწილი II – 1997 (გამოცემის თანამონაწილენი – სტ. ჩხენკელი და ბ. შავიშვილი). პირველი ნაწილი შეიცავს ძველი აღთქმის საკითხავებს, მეორე – ახალი აღთქმისას. ორივე წიგნს ახლავს კ. დანელიას ვრცელი გამოკვლევები და ლექსიკონი.

გამოცემული ტექსტი ზუსტი და სანდოა. მისი დადგენისას ქართული თარგმანი თავიდან ბოლომდე შედარებულია უპირველესად ბერძნულ პირველწყაროსთან და შემდგომ აგრეთვე სომხურ (ზოგჯერ სირიულ) თარგმანთანაც. შრომაში რამდენიმე ასეული გასწორების აუცილებლობაზეა მსჯელობა, რაც კარგად მეტყველებს მეცნიერის მაღალ პასუხისმგებლობაზე. ამ შრომის უპირველესი ღირებულება ის არის, რომ მასში არსებითად გადაჭრილია ერთი კარდინალური პრობლემა ქართული ფილოლოგიისა – ლექციონარში შესული ბიბლიური საკითხავების ტექსტობრივი მიმართება ბიბლიურ წიგნთა დამოუკიდებელ თარგმანებთან. აქ დასაბუთებულია, რომ ლექციონარის საკითხავების გარკვეული (არქაული) ფენა ადრე არსებულ ბიბლიურ წიგნთა თარგმანებიდან კი არ არის აღებული, არამედ დამოუკიდებელ თარგმანს წარმოადგენს და ქართული ენის ისტორიისათვის თავისთავადი ღირებულების წერილობითი ძეგლია; მაგრამ მოგვიანებით, ლექციონარის გავრცობისას, საკითხავების ნაწილი შეტანილია უშუალოდ ბიბლიის თარგმანიდანაც და ისინი ლექციონარში მეორეული პლასტისა არიან.

რადგან ძველი ქართული სამწერლობო ენის სტაბილურობა და ნორმატულობა არსებითად ბიბლიურ წიგნთა ქართულ თარგმანებშია მიღწეული (მათზე უადრესი ძეგლები არ შემონახულა), კ. დანელია განსაკუთრებული ინტენსივობით იკვლევს ბიბლიურ წიგნთა ქართულ ენაზე თარგმნასთან დაკავშირებულ ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორიცაა: ქართული თარგმანის გენეზისი, მხატვრული სპეციფიკა, ქართული ქრისტოლოგიური ტერმინოლოგია და მისი მიმართება წინაქრისტიანულ წარმართულ სამყაროსთან. ამათგან ქართული თარგმანის გენეზისს ეხება კ. დანელიას სპეციალური ნაშრომები: **„იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული რედაქციები და მათი მომდინარეობის საკითხი“** (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, 1964), **„პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციების წარმომავლობის საკითხი“** (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, 1980) და სხვ. ქართული თარ-

გმანის მხატვრულ სპეციფიკას და ქრისტოლოგიური ტერმინოლოგიის საკითხებს ეძღვნება „**რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან**“ (თსუ შრომები, ტ. 183, 1978), „**მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით**“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, 1984). აღნიშნული საკითხები კ. დანელიას ზემოხსენებულ ნაშრომებში პირველად არის დასმული და მდიდარი საანალიზო მასალის მოშველიებით განხილული, დასახულია ამ უბანში კვლევის პერსპექტივები.

განსაკუთრებით ფასეულია კ. დანელიას მონოგრაფია „**ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები**“ (თსუ გამომცემლობა, 1983). ამ 26-თაბახიან ნაშრომში კომპლექსურად არის შესწავლილი ბევრი საკვანძო საკითხი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. მონოგრაფიაში, ძველი ქართული თარგმანების პირველწყაროებთან შედარების გზით, გამოვლენილია უცხო ენათა გავლენის ელემენტები: გრეციზმები, არმენიზმები, სირიაციზმები. ეგზეგეტიკურ შრომათა ანალიზის საფუძველზე დადგენილია მანამდე უცნობი ფაქტები და ახლებურად არის წარმოჩენილი **ეფრემ მცირის (XI ს.)** როლი ქართული სამწერლო ენის განვითარებაში, ასევე წარმოჩენილი და შეფასებულია XI საუკუნის დიდი მოღვაწის, **გიორგი მთაწმინდელის**, ენობრივი პოზიცია. ამ მონოგრაფიას, ფილოლოგიურ-ლინგვისტურთან ერთად, ისტორიული მნიშვნელობაც აქვს ადრექრისტიანულ ხანაში საქართველოს აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული კავშირების წარმოსაჩენად. ეს წიგნი როგორც ქართველი, ისე უცხოელი სპეციალისტების მიერ ერთხმად არის მიჩნეული ქართული ფილოლოგიის მნიშვნელოვან მიღწევად. ნაშრომებისათვის „**ქართული ლექსიონარის პარიზული ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა ქართული სამწერლო ენის ისტორიისათვის**“ და „**ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები**“ 1988 წელს კორნელი დანელიას მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია.

კ. დანელიას აქვს საყურადღებო შრომები ძველი ქართულისა და „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის წყაროებზე, ამ ლექსიკონში შესულ ცალკეულ სიტყვათა ისტორიაზე.

მკვლევარი დაინტერესებული იყო პოეტური ენის საკითხებითაც. ამ მხრივ აღსანიშნავია მონოგრაფიული ნაშრომი მეხოტბეთა ენის შესახებ – „**ჩახრუხადისა და შავთელის ხოტბათა პოეტიკური და ლინგვისტური ანალიზის ცდა**“ (თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 27, 1988).

კ. დანელიამ ერთ-ერთმა პირველმა გაიხადა სპეციალური შესწავლის საგნად ქართული ენის უცხო ენებთან კონტაქტების პრობლემა. ამ პრობლემას მიეძღვნა წერილების მთელი სერია (8 ნაშრომი), გამოქვეყნებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის „მაცნეში“ საერთო სათაურით: „**უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში**“. ამ წერილებში დასმულია და ისტორიულ ასპექტში შესწავლილია სრულიად ახალი საკითხები; გარკვეულია, როგორ შეაღწიეს ორიგინალურ ძეგლთა ენაში უცხოენოვანმა მოვლენებმა, მათგან რა შერჩა ან რამდენ ხანს შერჩა სამწერლო ქართულს.

ბუნებრივია, კ. დანელიას კვლევითი ინტერესების მიღმა არ დარჩენილა სხვა ქართველური ენები, კერძოდ, მისი მშობლიური მეგრული ენის სტრუქტურ-

რისა და ისტორიის საკითხები. მეგრულ-ლაზური გრამატიკისა და ლექსიკის საკითხებს მიეძღვნა მეტად საყურადღებო ნაშრომები: „**ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში**“, „**სახელობითი ბრუნვის ი ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში**“, „**რ-ს ბგერათგანლაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ მეგრულში**“, „**მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში**“ და სხვ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **მეგრული ტექსტების** გამოცემა **ა. ცანავას** თანაავტორობით (1988). მასში შესულია ზღაპრები, ანდაზები, შელოცვები, გამოცანები, გადმოცემები და სხვა მასალა, რომელსაც განუზომელი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა ისტორიისათვის. ტექსტს ახლავს სინქრონული თარგმანი, კომენტარები და ვრცელი გამოკვლევა. იოსებ ყიფშიძის „**მეგრული ენის გრამატიკაზე**“ დართული ტექსტების შემდეგ სხვა ასეთ ვრცელსა და სანდო წყაროს ვერ დავასახელებთ.

სავსებით ბუნებრივია, რომ **კ. დანელიამ** სათანადო პატივი მიაგო თავისი სახელოვანი წინამორბედის – პროფესორ იოსებ ყიფშიძის – ხსოვნას და მისი დაბადების ასი წლის თავზე, 1985 წელს, გამოსცა ვრცელი მონოგრაფია ამ შესანიშნავი მეცნიერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, ხოლო შემდეგ ხელახლა გამოსცა მისი **მეგრული ენის გრამატიკა**.

როცა იოსებ ყიფშიძისადმი მიძღვნილ მონოგრაფიას გასცნობია, ბატონ აკაკი შანიძეს იმდენად მოსწონებია ის, რომ ავტორისათვის უთქვამს: ბედნიერი ვიქნებოდით, თუ ასეთ ნაშრომს ვინმე ჩემზეც დანერდაო. თავისთავად ცხადია, თუ რას ნიშნავდა ეს სიტყვები აკაკი შანიძის უერთგულესი მოწაფისათვის; და აი, სულ მალე, 1987 წელს, ა. შანიძის დაბადების ასი წლის თავზე, კორნელი დანელიამ და ზურაბ სარჯველაძემ თავიანთი ძვირფასი მასწავლებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უძღვნეს მონოგრაფიული ნაშრომი, რომელშიაც სრულად არის წარმორჩენილი აკაკი შანიძის დამსახურება ქართული ენის, ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეში. **კ. დანელია** იყო აკაკი შანიძის თხზულებათა 12-ტომეულის სარედაქციო კოლეგიის წევრი და II ტომის რედაქტორი.

იოსებ ყიფშიძისა და აკაკი შანიძისადმი მიძღვნილი მონოგრაფიების სახით **კ. დანელიას** კვლევის სფეროში შემოვიდა ქართული ფილოლოგიური და ენათმეცნიერული აზრის ისტორიის შესწავლა.

ვფიქრობთ, სწორედ ამ გარემოებამაც მისცა მკვლევარს ბიძგი, რომ ეთავა ახალი სასწავლო კურსის – „**ქართველოლოგიის შესავლის**“ – შემოღება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

ჩვენ საგანგებოდ ვერ შევჩერდებით **კ. დანელიას** ცალკეულ გამოკვლევებზე, მაგრამ, თუ განხილვა არა, უბრალოდ მაინც უნდა მოვიხსენიოთ ზოგიერთი, მოცულობით შედარებით მცირე, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებო ნაშრომი, როგორცაა, მაგალითად: „**ქართველ რომანტიკოსთა ლექსიკა**“ (ნიგნში: „ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, 1980), „**იოანე პეტრიწის ბიბლიოლოგიური ორმუხლედი იამბიკოს ტექსტის განმარტებისა და დადგენისათვის**“ („მაცნე“, №1, 1982), „**საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში**“ („მაცნე“, №2, 1983), „**მსხოვარ**“ სიტყვის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“ („საენათმეცნიერ-

რო ძიებანი“, 1983), „პოეტური ენის სპეციფიკისათვის“ („კრიტიკა“, №3, 1985), „რა კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ისტორიისათვის“ („ნელინდეული“ XII, 1985), „ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში“ („მაცნე“ №1, 1989), „აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე“ („ცისკარი“, №4, 1991), „მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ქართული ბრუნების სისტემაში“ („მაცნე“ №4, 1992), „ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ძველ ქართულ თარგმანებში“ („მაცნე“, №2, 1993), „წრფელობითი ბრუნვის საკითხისათვის ძველი ქართული ენის ბრუნების სისტემაში“ (იკე, XXXIII, 1995), „ახალი აღთქმის“ გამოცემის გამო“ („ლიტ. საქართველო“, 9-17 მაისი, 1996) და სხვანი. სამეცნიერო მუშაობასთან ერთად, კ. დანელია ეწეოდა დიდ პედაგოგიურ-აღმზრდელობითსა და საზოგადოებრივ საქმიანობას: კითხულობდა ლექციებს, ხელმძღვანელობდა ასპირანტებსა და მაძიებლებს, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო კონფერენციებსა და სესიებს, იყო არაერთი წიგნის რედაქტორი და რეცენზენტი.

კ. დანელია ათ წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრას; დაახლოებით ცხრა წლის განმავლობაში კი იმავდროულად იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (1988-1997 წწ.). ყველას კარგად მოეხსენება, თუ რა მძიმე იყო ეს წლები ჩვენი ქვეყნის და, კერძოდ, უნივერსიტეტის ცხოვრებაში. მიუხედავად სიძნელებისა, კ. დანელიამ შეძლო დაემსახურებინა სტუდენტი ახალგაზრდობის ნდობა და სიყვარული და, ამავე დროს, შეენარჩუნებინა ავტორიტეტი მთავრობისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციის ოფიციალურ და არაოფიციალურ წარმომადგენელთა თვალში.

კ. დანელია იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი (ე. წ. სადისერტაციო) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე უნივერსიტეტში და საბჭოს წევრი ენათმეცნიერების ინსტიტუტში. მისი ხელმძღვანელობით, ასევე მისი რეცენზენტობითა და ოპონენტობით დაცულია არაერთი სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია.

ერთ-ერთი ბოლო წიგნი, რომელიც მან თავისი ხელით ჩააბარა გამომცემლობას, იყო წერილების კრებული – „ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან“ (ტ. I). სამწუხაროდ, ავტორი ვეღარ მოესწრო ამ წიგნის გამოცემას. ის გამოიცა ავტორის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ – 1998 წელს. ავტორის დაბადების 75-ე წლისთავზე კი გამოვიდა ხსენებული ნარკვევების II ტომი.

აღსანიშნავია აგრეთვე დიდი ხნის რუდუნებით მომზადებული კოლექტიური ნაშრომი „ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი“ (შეადგინეს ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა, რედაქტორი – ლ. ბარამიძე). წიგნს წინ უძღვის კორნელი დანელიას მრავალმხრივ საყურადღებო წინასიტყვაობა, რომელსაც თარიღად უზის „15 მაისი, 1995 წელი“. ერთი სიტყვით, კორნელი დანელია ცოცხალია თავისი საქმით, თავისი მეცნიერული ნაშრომებით, თავისი მშვენიერი ოჯახით, თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფისა და კოლეგისათვის დაუფინყარი სახელით.



1977 – სამტრედია,
 ა. შანიძის 90-ე წლისთავის
 საიუბილეო დღეები
 (მარცხნიდან):
 პროფ. გიორგი გვაზავა,
 პროფ. რაფიელ შამელაშვილი,
 აკად. აკაკი შანიძე,
 ქეთევან ამირეჯიბი,
 პროფ. კორნელი დანელია,
 დოც. მიხეილ ალავიძე

1980 – თსუ-ს ბაღში:
 სხედან: პროფ. ნოდარ
 ამალობელი,
 აკად. აკაკი შანიძე,
 პროფ. მზექალა შანიძე
 დგანან:
 დოც. რ. ენუქაშვილი, პროფ.
 ზურაბ ქუმბურიძე, პროფ.
 ივანე იმნაიშვილი, პროფ.
 კორნელი დანელია



1987 წლის 7 მარტი – თსუ-ს
 ძველი ქართული ენის
 კათედრაზე (მარცხნიდან):
 დოც. თეიმურაზ (ჯონდო)
 მეტრეველი, პროფ. ლელი
 ბარამიძე, აკად. აკაკი
 შანიძე, პროფ. კორნელი
 დანელია, პროფ. ზურაბ
 სარჯველაძე, პროფ. ზურაბ
 ქუმბურიძე

პროფესორ კორნელი დანელიას ბიბლიოგრაფია¹

Bibliography of Professor Korneli Danelia works

¹ გამოყენებულია ნანა დანელიას მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფია (ქრონოლოგიური საძიებელი):
იხ.: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. II (კრებული შეადგინეს ნანა დანელიამ და მაია ლომიამ); ეძღვნება პროფ. კ. დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს. თბილისი: უნივერსალი, 2009, გვ. 119-130 (ბიბლიოგრაფია გადაამუშავა და შეავსო რ. ზექალაშვილმა).

საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები

Древнегрузинские версии пророчества Иеремии и их язык, Автореф... канд. филол. наук /К.Д. Данелия; Науч. рук. А.Г. Шанидзе; ТГУ, 1965 (იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი ენა, ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, სამეცნ. ხელმძღ. ა. შანიძე, თსუ, 1965).

Вопросы истории грузинского литературного языка по древнегрузинским версиям Посланий Павла (V-XI вв.): Автореф... докт. филол. наук 10.02.02 /Корнелий Давидович Данелия; Тбил. гос. ун-т. Тбилиси, 1978 (ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიების მიხედვით (V-XI საუკუნეები), ავტორეფერატი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თსუ, 1978).

მონოგრაფიები, კრებულები, ტექსტები

პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული ვერსიები (პავლენი) (გამოსაცემად მოამზადეს ქეთევან ძონენიძემ და კორნელი დანელიამ), რედ. ა. შანიძე; თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 16, თბილისი, 1974 (526 გვ.).

რეცენზიები ნიგნზე:

გაზ. „ნიგნის სამყარო“, 1974, №18, გვ. 4.

ზ. ჭუმბურიძე, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1975, 14 მარტი.

ი. იმნაიშვილი, ჟურნ. „მნათობი“, თბილისი, 1975, №3, გვ. 160-167.

ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები (რედ. აკაკი შანიძე), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1983 (416 გვ.).

რეცენზიები ნიგნზე:

რ. შამელაშვილი, გაზ. „ნიგნის სამყარო“, 1984, №13, გვ. 7.

რ. შამელაშვილი, ახალგაზრდა მკვლევრის ფუნდამენტური მონოგრაფია:

გაზ. „შრომის დროშა“, გეგეჭკორი, 1984, 28 ივლისი.

ზ. სარჯველაძე, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 262: ენათმეცნიერება, 9, 1985, გვ. 361-373.

იოსებ ყიფშიძე – ცხოვრება და მეცნიერული მემკვიდრეობა, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1985 (91 გვ.).

რ. შამელაშვილი, ეძღვნება იოსებ ყიფშიძეს (რეცენზია კორნელი დანელიას ნიგნზე): გაზ. „ნიგნის სამყარო“, თბილისი, 1985, 13 ნოემბერი, №21, გვ. 3.

აკაკი შანიძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) (რედ. მ. შანიძე), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987 (358 გვ.) (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

ქართული ხალხური სიტყვიერება: მეგრული ტექსტები ქართული თარგმანით, ტ. II, ზღაპრები და მცირე ჟანრები, შემდგენელი კ. დანელია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთეს კ. დანელიამ და ა. ცანავამ), რედ. შოთა ძიძიგური, თბილისი, 1991 (652 გვ.).

ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი (ძველი და ახალი აღთქმის საკითხავები) (ტექსტი, ლექსიკონი, გამოკვლევა), ტ. I, ნაწ. I, ნაწ. II (ტექსტი გამოსაც. მოამზადეს კ. დანელიამ, სტ. ჩხენკელმა და ბ. შავიშვილმა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო კორნელი დანელიამ) (რედ. აკაკი შანიძე), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, I-1987 (563 გვ.), II-1997 (543 გვ.).

იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები (ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი), რედ. ბ. ჯორბენაძე, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1992 (384 გვ.).

უდაბნოს მრავალთავი [ექვსეტი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75-ე წლისთავს] (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: ლ. ბარამიძემ, კ. დანელიამ, რ. ენუქაშვილმა, ი. იმნაიშვილმა, ლ. კინაძემ, მ. შანიძემ და ზ. ჭუმბურიძემ; რედაქტორები: აკაკი შანიძე, ზურაბ ჭუმბურიძე): ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტომი 28, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1994 (342 გვ.).

ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. კ. დანელიამ), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1994.

ქართული პალეოგრაფია (რედ. ბ. ჯორბენაძე), თბილისის დამოუკ. უნ-ტი, თბილისი: გამომც. „ნეკერი“, 1997 (439 გვ.) (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. I (რედ. ზ. ჭუმბურიძე) თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1998 (540 გვ.).

კრებულში შესულია შემდეგი შრომები:

ნაწილი I

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველ სამწერლობო ქართულში

1. სინტაქსური კონტამინაცია ძველ ქართულში, გვ. 7-18.
2. ვიდრე უდებრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში, გვ. 19-32.
3. *Vav consecutivum*-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კავშირით, გვ. 33-41.
4. ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, გვ. 42-57.
5. ლექსიკურ-სემანტიკური კალკები ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში, გვ. 58-75.
6. კალკური კომპოზიციები ძველ ქართულში, გვ. 76-93.
7. გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში, გვ. 94-108.
8. ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში, გვ. 109-114.
9. საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში, გვ. 115-125.
10. ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში, გვ. 126-161.

ნაწილი II

ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის ისტორიიდან

11. რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან, გვ. 162-192.

12. ახალი მასალები ევრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის, გვ. 193-213.
13. ევთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები, გვ. 214-308.
14. იოვანე პეტრინის ბიბლიოგრაფიული ორმუხლედი იამბიკოს ტექსტის დადგენისა და განმარტებისათვის, გვ. 309-315.
15. იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი, გვ. 316-341.
16. პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციების წარმომავლობის საკითხი, გვ. 342-382.

ნაწილი III

მხატვრული ენის საკითხები

17. პოეტური ენის სპეციფიკისათვის, გვ. 383-399.
18. ჩახრუხადისა და შავთელის ხოტბათა ენის პოეტიკური და ლინგვისტური ანალიზის ცდა, გვ. 400-442.
19. მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით, გვ. 443-471.
20. სინონიმურ წყვილთა ხმარება „ვეფხისტყაოსანში“, გვ. 472-480.
21. „შუშანიკის წამების“ მხატვრული სპეციფიკის ინტერპრეტაციისათვის, გვ. 481-500.

ნაწილი IV

ქართული ისტორიული გრამატიკის საკითხები

22. მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში, გვ. 501-514.
23. რა კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ისტორიისათვის, გვ. 515.
24. წრფელობითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში, გვ. 525-533.

ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან (შემდგენლები: ნანა დანელია და მაია ლომია; რედაქტორები: დარეჯან თვალთვაძე, რამაზ ქურდაძე), ტ. II, თბილისი: უნივერსალი, 2009 (132 გვ).

კრებულში შესულია შემდეგი შრომები:

1. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, გვ. 5-21.
2. პავლეს ეპისტოლენი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო, გვ. 22-35.
3. ძველი ქართულის ლექსიკიდან [1. ჩუჩლუბა, ჩუჩულუბა; 2. აღდაჭი], გვ. 36-44.
4. „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან: მოცალეობა, გვ. 45-58.
5. ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან (პირველი გრამატიკული ტრაქტატი), გვ. 59-64.
6. აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე, გვ. 65-73.

7. იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიების ზოგიერთი სინტაქსური თავისებურებისათვის, გვ. 74-80.
8. „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის გაგებისათვის, გვ. 81-83.
9. მაინც „ერთგული“ („შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის განმარტებისათვის): გვ. 84-87.
10. ზოგიერთი ცნობა ძველი ქართული ენის სპეციფიკის შესაცნობად, გვ. 88-98.
11. ვნებიანი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, გვ. 99-109.
12. რ-ს ბგერათგანლაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ მეგრულში, გვ. 110-118.
13. კ. დანელიას სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია (ქრონოლოგიური საძიებელი), გვ. 119-130.

სტატიები, რეცენზიები

1957

ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა: გაზ. „სტალინელი“, ქუთაისი, 1957, 30 აგვისტო.
 ი. ჭავჭავაძე და ხალხური ზეპირსიტყვიერება: გაზ. „სოციალისტური სოფელი“,
 გეგეჭკორი, 1957, 27 ოქტომბერი.

1961

„და“-ს ხმარების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსან“-ში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, თბილისი, №2, 1961, გვ. 108-118.
 სასარგებლო ნაშრომი [რეცენზია ნიგნზე: შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1960]: ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1961, გვ. 92-94.

1962

„ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაეპის გაგებისათვის: ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №2, 1962, გვ. 79-81.

1964

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო, თბილისი, №2, 1964, გვ. 205-221.
 ზოგი რამ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკაზე: ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, №10, 1964, გვ. 77-82.
 იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიები და მათი მომდინარეობის საკითხი: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, ტ. 9, 1964, გვ. 159-184.

1965

იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიების ზოგიერთი სინტაქსური თავისებურება: თსუ შრომები, ტ. 105, 1965, გვ. 75-81.

1966

სინონიმურ წყვილთა ხმარება „ვეფხისტყაოსანში“: საიუბილეო კრებული „შოთა რუსთაველს“ [შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისთვის], თბილისი, 1966, გვ. 406-414.

1967

„ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან: მოცალეობა: „ორიონი“ – საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, 1967, გვ. 138-151.
ჩვენი სულიერი მოძღვარი [აკად. აკაკი შანიძისადმი]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი, 1967, 12 მაისი.

საშვილიშვილო საქმე [გამოხმაურება გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 30 ივნისის ნომერში მოთავსებულ ა. შანიძის წერილზე „მთავრული ასოების ხმარების გამო ქართულში“]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1967, 21 ივლისი.

1968

ძველი ქართულის ლექსიკიდან [1. ჩუჩლება, ჩუჩულება 2. აღდაჭი]: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 11, 1968, გვ. 123-131.

რეცენზია ნიგნზე: რომან მიმინოშვილი, იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1966: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები: საიუბილეო კრებული, თბილისი, ტ. 11, 1968, გვ. 159-165.

1971

მეტად საჭირო ნიგნი [რეცენზია ნიგნზე: ი. იმნაიშვილი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1971]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი, 1971, №30, 15 ოქტომბერი.

1972

მეცნიერის ახალი გამარჯვება [ედღვნება ა. შანიძის დაჯილდოებას ი. ჯავახიშვილის პრემიით ნაშრომისთვის: ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1971]: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1972, 15 იანვარი.

დამსახურებული აღიარება [ედღვნება ა. შანიძის დაჯილდოებას ი. ჯავახიშვილის პრემიით]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1972, 11 თებერვალი (თანაავტორი: აკაკი ურუშაძე).

1973

ნიგნი და მისი ავტორი [რეცენზია ნიგნზე: ქ. ძონენიძე, ზემოიმერული კილოკავი, რედ. ა. ჩიქობავა, მ. ალავიძე, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1973]: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 1973, 6 მარტი.

1974

ახალი მასალები ევრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა და მისი რედაქციის სამოციქულოს ისტორიის შესწავლისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერე-

ბათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1974, №4, გვ. 27-47.

პავლეს ეპისტოლენი, როგორც სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, სერია B – ჰუმანიტარული მეცნიერებანი, №8-9 (№155-156), თბილისი, 1974, გვ. 141-154.

1975

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. 1. სინტაქსური კონტამინაცია: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1975, №4, გვ. 79-90.

1976

ქართული სიტყვის ერთგული მსახური [პროფ. ი. იმნაიშვილის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი]: გაზ. „თბილისი“, 1976, 26 მარტი.

ქართული ენის ერთგული მსახური [ი. იმნაიშვილის დაბადების 70 წლისთავის გამო]: გაზ. „თბილისი“, 1976, 20 აპრილი.

ქართველოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენი [რეცენზია ნიგნზე: ტ. გუდავა, ქართული ხალხური სიტყვიერება. მეგრული ტექსტები, თბილისი: თბილ. უნტის გამ-ბა, 1975]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1976, 3 სექტემბერი, №36 (თანაავტორი: გ. ნებიერიძე).

პავლეს ეპისტოლეთა ქართული რედაქციები. 1. გიორგი მთაწმინდელის რედაქციის ვითარება ხელნაწერებში; 2. გიორგისეული რედაქციის ვითარება ბეჭდურ გამოცემებში; 3. ეფრემისეული რედაქციის ვითარება ხელნაწერებში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, 1976, გვ. 97-163.

პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1976, №3, გვ. 68-83.

ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, 1976, გვ. 165-175.

1977

აკაკი შანიძე [დაბადებიდან 90-ე წლისთავის გამო]: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, №2, გვ. 5-13.

ვეთალეს სტიქომეტრიის ძველი ქართული რედაქციები [განხილვა და ტექსტი]: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 20, თბილისი, 1977, გვ. 53-149.

სულიერი მოძღვარი [აკაკი შანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავის გამო]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1976, 20 მაისი.

მოძღვარი ჩვენი, მაგალითი ყრმათა [აკაკი შანიძის დაბადებიდან 90-ე წლისთავის გამო]: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1977, 21 მაისი.

1978

რამდენიმე საკითხი ბიბლიის უძველესი ქართული თარგმანის ისტორიიდან: თსუ შრომები. არქეოლოგია, კლასიკური ფილოლოგია, ბიზანტინისტიკა, ტ. 183, თბილისი, 1978, გვ. 111-141.

„ერი გულადი, პურადი“ [რეცენზია ნიგნზე: ვ. გოგუაძე, „ერი გულადი, პურადი“, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1977]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1978, 24 მარტი.

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. წერილი 2. ვ ი დ რ ე უდეტრიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1978, №1, გვ. 91-104.

არქაიზმების სწავლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი [საშ. სკოლაში]: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1978, №1, გვ. 46-59.

1979

„ქართული წარწერანი სომხეთისანი“ [პ. მურადიანის მონოგრაფიის „ქართული წარწერანი სომხეთისანი“ სომხურ ენაზე ერევანში გამოცემის გამო]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, თბილისი, 1979, 12 აპრილი.

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში [3. Vav consecutivum-ის გადმოცემა თანმიმდევრობის „და“ კავშირით]: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1979, №3, გვ. 90-98.

ქართული წარწერები სომხეთში [პ. მურადიანის მონოგრაფიის „ქართული წარწერანი სომხეთისანი“ სომხურ ენაზე ერევანში გამოცემის გამო]: გაზ. „კომუნისტი“, თბილისი, 1979, 5 აგვისტო.

მაინც „ერთგული“ [“შუშანიკის წამების“ ერთი ადგილის ახლებურად წაკითხვის კრიტიკისათვის (ტექსტში ნახმარი სიტყვის „ერთგულის“ გამო)] ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1979, №4, გვ. 114-121.

1980

რ-ს ბგერათგანლაგების მომწესრიგებელი ფუნქციის შესახებ მეგრულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1980, №1, გვ. 170-178.

პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციის წარმომავლობის საკითხი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, 1980, გვ. 83-123.

ქართველ რომანტიკოსთა ლექსიკა, კრებულში: „ქართველი რომანტიკოსები ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“ (კრებული შეადგინეს, წინასიტყვაობა, შესავალი წერილი, კომენტარი და საძიებელი დაურთეს: ი. ევგენიძემ, ვლ. მინაშვილმა; ლექსიკონი შეადგინა კ. დანელიამ; რედ. პ. კეკელიძე), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1980 (271 გვ.)

1981

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში [4. ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში]:

- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1981, №2, გვ. 139-154.
- „მცხეთური ხელნაწერი“ და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1981, 6 ნოემბერი, გვ. 16-17.
- წინასიტყვაობა და რედაქცია: აკაკი შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 2: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები (ტომის რედ. კ. დანელია), თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1981.
- რეცენზია წიგნზე: ქართული სამწერლო ენის სათავეებთან [ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია]: ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა (რედ. ა. შანიძე): თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 22, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1979: ჟურნ. „ცისკარი“, 1981, №2, გვ. 125-138.
- ჩვენი სულიერი მოძღვარი [აკად. აკაკი შანიძის დაბადების მე-80 წლისთავის გამო]: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, თბილისი, 1981, ტ. 217, გვ. 72-86.
- ძველი ქართული ლექსიკიდან [3. მეხარბე]: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 217, 1981, გვ. 72-86.

1982

- იოვანე პეტრინის ბიბლიოგრაფიული ორმუხლედი იამბიკოს ტექსტის დადგენისა და განმარტებისათვის: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1982, №1, გვ. 55-61.
- საშური საქმე [ქართული ლიტერატურის სასკოლო ქრესტომათიებში ძნელად გასაგები სიტყვების და ფრაზების დართვისათვის]: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1982, №2, გვ. 92-116 (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).
- სამშობლოს სადიდებლად: თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1982, 26 თებერვალი.
- ქართველოლოგიის მამამთავარი [ედღვნება აკაკი შანიძეს]: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 1982, 27 თებერვალი (თანაავტორი ს. ჯიქია).
- „ჰინდო“ სიტყვის მნიშვნელობა „ვეფხისტყაოსანში“: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1982, 12 მარტი.

1983

- საკუთარ სახელთა გადმოცემისათვის ძველი აღთქმის ქართულ რედაქციებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1983, №2, გვ. 97-107.
- ძველი ქართულის ლექსიკიდან [4. მსხოვარ (მსხორ) სიტყვის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში]: საენათმეცნიერო ძიებანი = Linguistic papers, თბილისი, 1983, №3, გვ. 148-161.
- გრიგოლ ხანძთელი და საქმენი მისნი [რამდენიმე მოსაზრება გიორგი მერჩულეს შესახებ]: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1983, №1, გვ. 75-85.

რედაქტორისაგან (ნიგნში: გეორგიევსკის ტრაქტატი, გამოკვლევა, დოკუმენტები, ფოტოპირები, ვ. მაჭარაძის გამოცემა), თბილისი: გამომც. „ხელოვნება“, 1983.

1984

მეგრულ-ჭანური ლექსიკა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება 8, ტ. 245, 1984, გვ. 67-89.

ეფთვიმე ათონელის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1984, 15 ივნისი, გვ. 13.

მხატვრული ენისა და სტილის ზოგიერთი საკითხი ბიბლიურ ნიგნთა ძველი ქართული თარგმანის მიხედვით: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, 1984, გვ. 31-60.

ზოგიერთი ცნობა ძველი ქართულის თავისებურებათა შესაცნობად: ჟურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1984, №4, გვ. 77-97.

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში [5. ლექსიკურ-სემანტიკური კალკები ბიბლიურ ნიგნთა ქართულ რედაქციებში]: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1984, №4, გვ. 138-155.

ნიგნი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე [რეცენზია ნიგნზე: ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი: გამომც. „განათლება“, 1984]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1984, 20 სექტემბერი, გვ. 13.

რეცენზია თ. კუკავას ნიგნზე [თ. კუკავა, იოანე პეტრიწის ნიგნი „ათ-ორ თვისა“ („პროლოლია“), თბილისი: გამომც. „საბჭოთა საქართველო“, 1978]: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 25, 1984.

1985

პოეტური ენის სპეციფიკისათვის [ჯ. აჯიაშვილის მთარგმნელობითი კრედო]: ჟურნ. „კრიტიკა“, 1985, №3, გვ. 106-130.

ნაღვანი – ძეგლად დატოვებული [ი. ყიფშიძის დაბადების 100 წლისთავისათვის]: გაზ. „კომუნისტი“, თბილისი, 1985, 29 ოქტომბერი.

იოსებ ყიფშიძე [პროფესორ იოსებ ყიფშიძის დაბადების 100 წლისთავის გამო]: გაზ. „სამშობლო“, 1985, ოქტომბერი, №22, გვ. 6.

„რა“ კითხვითი ნაცვალსახელის ბრუნების ისტორიისათვის: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, ტ. 12, თბილისი, 1985, გვ. 67-78.

1986

„შუშანიკის წამების“ მხატვრული სპეციფიკის ინტერპრეტაციისათვის [1. მხატვრულისა და რელიგიურის მიჯნები. 2. „შუშანიკის წამების“ ლიტერატურული წყაროს საკითხისათვის]: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ლიტერატურათმცოდნეობა, 1986, ტ. 261, გვ. 77-96 (თანაავტორი ვ. გოგუაძე).

გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1986, №4, გვ. 87-101.

გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ნიგნში: იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“, გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, ზ. სარჯველაძის, კ. დანელიას და ე. გიუნაშვილის გამოცემა, 1986.

სახელობითი ბრუნვის „ი“ ნიშნის ფუძესთან შეზრდის საკითხისათვის მეგრულ-ჭანურში: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება 10, ტ. 267, თბილისი, 1986, გვ. 84-111.

1987

Патриарх Грузинской науки: в газете «Молодежь Грузии», 1987, 26 февраля (соавтор З. Сарджвеладзе).

ქართველოლოგიის მამამთავარი [აკაკი შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო]: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, №1, თბილისი, გვ. 5-15 (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

ჭეშმარიტად სახალხო: გაზ. „თბილისი“, 1987, 25 თებერვალი (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

ქართველოლოგიის ბურჯი [აკაკი შანიძის დაბადების მე-100 წლისთავის გამო]: ჟურნ. „მნათობი“, №2, 1987, გვ. 139-147 (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

დიდი მეცნიერი: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1987, 25 თებერვალი (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

ერის მოსაწონებელი შვილი [ედღვნება აკად. აკაკი შანიძეს]: გაზ. „ნინსვლა“, 1987, 26 თებერვალი.

Данелия К. Д., Сарджвеладзе З. А., О лингвистической концепции А. Г. Шанидзе: «Вопросы языкознания», №1, 1987, Москва: из-во «Наука», с. 24-33.

დიდი მოძღვარი [ედღვნება აკად. აკაკი შანიძეს]: გაზ. „თბილისი“, 1987, 1 აპრილი (თანაავტორები ზ. სარჯველაძე, ი. იმნაიშვილი).

ახალი შრომა ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხებზე [რეცენზია ნიგნზე: ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1985]: ჟურნ. „კრიტიკა“, 1987, №2, გვ. 239-246.

1988

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში. VI. კალკური კომპოზიტები: ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, თბილისი, 1988, ტ. 27, გვ. 28-45.

ძველი ქართული ლექსიკიდან [5. მსტოვარი და მასთან დაკავშირებული ფუძეები]: ეტიმოლოგიური ძიებანი, II, თბილისი, 1988, გვ. 18-29.

ჩვენი სახელმწიფო ენა (ქართული ენისა და ანბანის ამბავი): გაზ. „თბილისი“, თბილისი, 1988, 13 აპრილი, გვ. 4.

Забота о языке, забота о будущем: в газете «Молодежь Грузии», 1988, 14 апреля.

ჩახრუხადისა და შავთელის ხოტბათა ენის პოეტიკური და ლინგვისტური ანალიზის ცდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, 1988, ტ. 27, გვ. 46-88.

გიხაროდეს, საქართველოვ! გაზ. „ქართული ფილმი“, 1988, 27 აპრილი.

თამამი აზრები სამართლიანობას ამკვიდრებს [სტუდენტური თვითმმართველობის შესახებ საუბარი თბილისის უნ-ტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანთან]: გაზ. „სახალხო განათლება“, თბილისი, 1988, №4, გვ. 77-97.

სადღეისოდ და სახვალოდ: გაზ. „თბილისი“, 1988, 25 ნოემბერი (თანაავტორი რ. ენუქაშვილი).

Fremdsprachliche grammatische Elemente in den altgeorgischen Schriften [უცხოენოვანი გრამატიკული ელემენტები ძველ ქართულ წერილობით წყაროებში]: Georgica, Heft 11, Redakteure: Heinz Fähnrich, Ehrhard Lange, Mariam Lortkipanidze, Elgudsha Chintibidse u.a., Friedrich-Schiller-Universität Jena; Staatliche Universität Tbilissi, Jena-Tbilissi [იენა-თბილისი], Jahrgang 1988, Heft 11, S. 7-10.

გმადლობთ!.. [ედღვნება მ. თუმანიშვილს]: გაზ. „ქართული ფილმი“, 1988, 7 სექტემბერი.

1989

ძველი ქართული ლექსიკიდან: 6. **ნიჟორგარი** (ნიჟოგარი, ნიჟორგარი, ნიჟორგალი); 7. **მენიჯოგე** (მენიჟოგე, მენიჟუბე, მენიჟიბე); **მენიჯოგრე, მენიჯორე**: ეტიმოლოგიური ძიებანი (ენათმეცნიერების ინსტიტუტის კრებული), ტ. III, თბილისი, 1989, გვ. 35-48.

უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაზე. **ნუნანილაკიანი კონსტრუქციები** ძველ ქართულში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, №1, გვ. 108-113.

„აბღულმესიანის“ ერთი ადგილის გაგებისათვის [თამარის ეპოქის ქართული სახოტბო პოეზიის ნაწარმოების ადგილის განმარტება]: ჟურნ. „კრიტიკა“, 1989, №3, გვ. 106-109.

ახალი ტიპის ნაშრომი ქართულ ლექსიკოგრაფიაში [რეცენზია წიგნზე: „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი“, შემდგენლები: ბ. ჯორბენაძე, მ. კობახიძე, მ. ბერიძე, რედ. ქ. ლომთათიძე, თბილისი: „მეცნიერება“, 1988]: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1989, №2, გვ. 158-161.

ზოგი გრაფემის ფონემური მნიშვნელობის საკითხისათვის ქართულ მრგვლოვან ანბანში ზოგადი და ტიპოლოგიური ენათმეცნიერების თვალსაზრისით: იბერიულ-კავკასიური ენები, თბილისი, 1989, გვ. 14-15.

ყრილობის გაკვეთილები: გაზ. „თბილისი“, 1989, 8 ივნისი.

ფიქრები საერთოქართველურ ფენომენზე [ქართველურ ენათა ერთობის შესახებ]: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, თბილისი, 1989, 15 ივნისი, გვ. 4.

ღვანლი სწავლულისა [ფილოლ. მეცნ. დოქტ., პროფ. ო. ბაქანიძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდების მიწიჭების გამო]: გაზ. „სახალხო განათლება“, თბილისი, 1989, 21 ივნისი, გვ. 6 (თანაავტორი: ლ. მენაბდე).

უძველესი და უსაჩინოესი ძეგლი ქართული წერილობითი კულტურისა [რეცენზია წიგნზე: წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. 1, შესაქმისაჲ, გამოსვლათაჲ, წიგნი გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ც. კიკვიძემ; გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1989]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1989, 13 ოქტომბერი (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

დროა, რომ მტკიცედ შევიგნოთ [დედაენაზე სწავლების გამო]: გაზ. „კოლხეთი“ (სენაკის რაიონული გაზეთი), 1989, 11 ივლისი.

ტაძრისკენ სავალი გზები ნათდება: გაზ. „შრომის დროშა“ (მარტვილის რაიონული გაზეთი), 1989, 18 ნოემბერი.

მისაღები გამოცდები – კვლავ „აქილევსის ქუსლი“: გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 6 დეკემბერი, გვ. 5.

„ორთა უფალთა მონება“ [ინტერვიუ პროფ. კორნელი დანელიასთან], ჩაინერა ი. ჭუმბურიძემ: გაზ. „თბილისი“, 1989, 18 დეკემბერი, გვ. 4.

ძველი ქართული ლექსიკა ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“: ნიკო ჩუბინაშვილი 200, სამეცნიერო სესიის პროგრამა და მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1989.

იყო მესტვირე!.. [ბერძნულ-რომაული ლიტერატურის მკვლევრის, მთარგმნელ აკაკი ურუშაძის გახსენება]: გაზ. „სახალხო განათლება“, თბილისი, 1989, 25 იანვარი, გვ. 14 (თანაავტორები: გ. კოპლატაძე, ლ. კანკავა).

1990

აკაკი შანიძის ღვანლი საშუალო და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოთა შექმნაში: ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება“, 1990, №9, გვ. 48-56.

ახალი ნაშრომი ტექსტის ლინგვისტიკის პრობლემებზე [რეცენზია წიგნზე: ვ. სერგია, ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი: გამომც. „განათლება“, 1989]: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1990, №1, გვ. 143-146.

ძველი ქართული ლექსიკიდან: „მინყვი“ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი, ტ. IV, 1990, გვ. 32-38.

ახალი მასალები XII საუკუნის სამწერლობო ქართულის ისტორიისათვის [რეცენზია წიგნზე: იოსებ ფლავიუსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყუაობისანი, ნაკვ. 1, ნაკვ. 2 (ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნინო მელიქიშვილმა), რედ. მ. შანიძე, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, ნაკვ.1, 1987 (383გვ.); ნაკვ. 2, 1988 (550გვ.): საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1990, გვ. 149-154.

საერო და საღმრთო მისია [„ქართული ენის დღე“, ქართული ენის სწავლების, მისი სახელმწიფოებრივი ფუნქციის გაზრდისათვის]: გაზ. „კომუნისტი“, თბილისი, 1990, 13 აპრილი, გვ. 4.

მისაღები გამოცდები [უმაღლეს სასწავლებლებში], გაზ. „თბილისი“, 1990, 13 სექტემბერი.

ქართული გრამატიკული აზრის სათავეებთან (პირველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი) [რეცენზია წიგნზე: მზექალა შანიძე, სიტყუაჲ ართრონთათჳს.

ძველი ქართული გრამატიკული ტრაქტატი, რედ. აკაკი შანიძე, თბილისი: თბ. უნ-ტის გამ-ბა, 1989]: ჟურნ. „ცისკარი“, 1990, №8, გვ. 100-105.

მისაღები გამოცდები, მისი შუქ-ჩრდილები: გაზ. „თბილისი“, 1990, 13 სექტემბერი.

რედაქტორისაგან (შესავალი წიგნისა: გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, ტ. I, შემდგენლები: თ. სანიკიძე, ც. სანიკიძე, ნ. ტაბიძე, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა), 1990.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერიტი გამოცდების ორგანიზაციის პრობლემა: გაზ. „თბილისი“, 1990, 25 ოქტომბერი.

კაცი ნათელი [პროფ. გ. როგავას ხსოვნას]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1990, 15 ნოემბერი.

1991

ქართული ფულის სახელწოდებისათვის: ქართი, მარჩილი თუ?.. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 8 მარტი.

უმართებულო შენიშვნათა გამო [პასუხად ბ-ნ რ. თვარაძეს]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1991, 12 აპრილი.

„სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენს ნურვინ შეგვეცილება“: გაზ. „მოდღვარი“, საქართველოს პედაგოგთა ასოციაციის გაზეთი, 1991, აპრილი.

ბიბლიური კვერთხის მოქნევას ველოდოთ? [ინტერვიუ ჩაინერა გაზ. „ერის“ კორესპონდენტმა ზეინაბ სვანიძემ]: გაზ. „ერი“, 1991, 17 აპრილი.

თავისუფლება უზენაესი ბედნიერებაა: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1991, 13 აპრილი.

აკაკი წერეთლის ნააზრევი ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხებზე: ჟურნ. „ცისკარი“, 1991, №4, გვ. 109-117.

ვარლამ თოფურია: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 21 ივნისი (თანაავტორები: ქ. ლომთათიძე, ბ. ჯორბენაძე).

ისტორიული არჩევანი გაკეთებულია: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1991, 17 მაისი.

1992

მოდღვარი [პროფ. ალ. ლლონტი 80 წლისაა]: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, 10 ივნისი (თანაავტორები: ლ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, გ. ნებიერიძე, გ. გოგატიშვილი).

უსაჩინოესი ძველი ქართული ისტორიოგრაფიისა [„დავით აღმაშენებლის ცხოვრების“ კრიტიკული გამოცემის გამო: „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო მზექალა შანიძემ, თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1992]: ჟურნ. „ცისკარი“, 1992, №8, გვ. 128-132.

მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1992, №4, გვ. 119-132.

რედაქტორისაგან: დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: იოსებ ქურჩიშვილმა და ბენიამინ ქურჩიშვილმა; რედ. კ. დანელია), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1992.

„ცრუდიპლომიანები“ ქვეყანას ვერ ააშენებენ: ინტერვიუ პროფ. კორნელი დანელიასთან (ესაუბრა კორესპონდენტი კახა გაბუნია): გაზ. „ივერია ექსპრესი“, თბილისი, 1992, 22 დეკემბერი, №45, გვ. 4.

Проблемы художественного языка и стиля по данным древнегрузинских переводов Библии, в сборнике: «Средневековый перевод и его особенности» (К. Д. Дanelia, Дж. Апциаური, Д. Гоциридзе, Г. Хухуни), Ред. Р. Ш. Енукашвили, Тбилиси, 1992.

Surab Sardschweladse, Korneli Danelia, Zur Geschichte und zum Stand der Erforschung und Edition georgischer Bibelübersetzungen [ბიბლიის ქართული თარგმანების შესწავლის და გამოცემების ისტორიისა და მდგომარეობის შესახებ]: „Georgica“, Band 15, 1992, S.136-140.

1993

ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში [1. ებრაული ლექსიკის ქართულში შემოსვლის გზები; 2. ებრაულიდან ბერძნულში ადრე შესული სიტყვების გადმოცემისათვის ქართულში; 3. ცნობები ძნელოვან ბიბლიურ სიტყვებზე ძველ ქართულ წყაროებში; 4. ებრაული ლექსიკა ბიბლიის ქართულ ვერსიებში]: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1993, №2, გვ. 124-140.

მიეცით კეისარს კეისრისა [ოთარ დოლიძისა და გურამ ქაშაყაშვილის ხანგრძლივი დავის შესახებ]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1993, 28 მაისი, №22, გვ. 5 (თანაავტორი ოთარ ჯაფარიძე).

უდროოდ ჩამქრალი ტალანტი [ედღვნება პროფ. ბ. ჯორბენაძეს]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1993, 21 მაისი.

ქართული ენა გერის როლშია: გაზ. „ივერია ექსპრესი“, 1993, 4 მაისი.

მოვუაროთ ქართულ ენას: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, №98 (642), 13 მაისი (თანაავტორები: ე. ბაბუნაშვილი, ზ. ჭუმბურიძე).

დაუვინყარი იქნება (თანაავტორები: ელენე ბაბუნაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე): გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1993, 21 მაისი, №21, გვ. 14.

1994

რომანტიკული მოდელი...: ინტერვიუ [მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ]: ესაუბრა ჟურნალისტი ირმა არჩუაშვილი: გაზ. „კავკასიონი“, თბილისი, 1994, 12 იანვარი, № 2, გვ. 4.

აკაკი შანიძე: გაზ. „კავკასიონი“, თბილისი, 1994, 13 აპრილი, №15, გვ. 8-9.

ვინარჩუნებთ ჯანსაღ ტრადიციებს: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1994, 25 მაისი, №93-94 (896), გვ. 3.

„გასრულდა ესე ამბავი“ ანუ საუკუნოვანი პოლემიკის დასასრული „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის წარმომავლობაზე: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1994, 22 ივლისი, №29, გვ. 11-12.

განათლების ახალი კერა სენაკში: გაზ. „გულანი“, 1994, 18 სექტემბერი.

უკვდავება მეცნიერის ღვანლისა: წინასიტყვაობა წიგნისა: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი (კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შე-

ნიშვნები დაურთო პროფ. კ. დანელიამ), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1994 (824 გვ.).

რა მიზანი აქვს ჟურნალ „ოგნის“: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1994, 21 ივნისი, №112 (914), გვ. 3 (თანაავტორები: გურამ თოფურია, ვაჟა შენგელია).

დაუეინყარი იქნება: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1993, 21 მაისი, №21, გვ. 14 (თანაავტორები: ელენე ბაბუნაშვილი, ზურაბ ჭუმბურიძე).

„მნიგნობარ“ სიტყვის ისტორიისათვის: ჟურნ. „მნიგნობარი“, თბილისი, 1993-1994, გვ. 68-73.

დედაფაკულტეტის პრობლემები და პერსპექტივები: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1994, 8 თებერვალი, №25 (828), გვ. 3.

1995

წრფელობითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXXIII, თბილისი, 1995, გვ. 34-42.

კაცი საკვირველი [პროფ. ლევან სანიკიძეს]: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, თბილისი, 1995, 7 თებერვალი, №14 (1030), გვ. 3.

ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი – ა. ცაგარელი: გაზ. „მშვიდობა ყოველთა“ (საერთაშორისო ორგანიზაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისათვის“), 1995, მარტი-აპრილი.

გერმანელი ქართველოლოგის ახალი ნაშრომი [რეცენზია ჰაინც ფენრიხის ნაშრომზე: Heinz Fähnrich, Grammatik der Altgeorgischen Sprache: Hamburg, Helmut Buske-Verlag, 1994]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1995, 24-31 მარტი, №12, გვ. 13; იხ. ასევე: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1995, მარტი-აპრილი.

საფუძვლიანად შევისწავლოთ საზღვარგარეთ არსებული ხელოვნების ძეგლები: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1995, 7 აპრილი (თანაავტორები: ვ. ბერიძე, პ. ზაქარაია, გ. ლორთქიფანიძე, ლ. მენაბდე, რ. მეტრეველი, ლ. მემველიანი, ო. ჯაფარიძე).

რეცენზია წიგნზე: ა. ლომთაძე, ბრუნების თავისებურებათა ისტორიისათვის მეგრულში (რედ. თ. სანიკიძე), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, თბილისი, 1995, ტ. 302, გვ. 149-155.

1996

კელ(კელობა) ძირის ეტიმოლოგიისათვის: კრებ-ში „ფილოლოგიური ძიებანი“ (რედ. გამომცემელი ალ. გვახარია), თბილისი, 1996, გვ. 79-84.

ზმნის დეფექტური უღვლილების პარადიგმული გასწორების ერთი შემთხვევისათვის ქართულში „კეთება“ ზმნის მაგალითზე: გელათის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, №2, 1996.

როგორ იცინან ჩვენმა ახალგაზრდებმა მშობლიური ენა და ლიტერატურა: გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 1 ნოემბერი.

ახალი აღთქმის ახალი გამოცემის გამო [მცირე ექსკურსი ახალი აღთქმის გამოცემათა ისტორიიდან]: გაზ. „მადლი“, 1996, 6 მარტი, №2, გვ. 4-5.

ახალი ფურცელი პეტრინული სკოლის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან [განხი-

ლულია 1987წ. გამოცემული იოსებ ფლავიუსის თხზულების „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყვაობისანი“ ქართული თარგმანის ნ. მელიქიშვილისეული მეცნიერული პუბლიკაცია]: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, №14, ენათმეცნიერება, თბილისი, 1996, ტ. 302, გვ. 17-41.

ნახევარსაუკუნოვანი ღვანლი [ედღვნება პროფ. ზურაბ ჭუმბურიძეს]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1996.

სახარება ოთხთავი: გაზ. „მამული“, 1996, ნოემბერი, გვ. 4.
ბიბლია – ახალი აღთქმა – გამოცემათა ისტორია [ახალი აღთქმის ახალი გამოცემის გამო]: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1996, 9-17 მაისი, №19, გვ. 12.

აკაკი შანიძე: „ბურჯი ეროვნებისა“, №2 (7), 1996.

1997

ამაგდარი: ზურაბ ჭუმბურიძეს [დაბადების 70-ე წლისთავისადმი]: გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, №1, 1997 (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

2001

Mingrelische Märchen (Deutsch von Heinz Fähnrich), Textbelege bei K. Danelia, A. Zanawa. Kaukasien-Reihe, Jena: Friedrich-Schiller-Universität, 2001.

აბსოლუტურ და რელატიურ გარდაუვალ ზმნათაგან მორფოლოგიური სუბიექტის ბრუნვაში მართვის საკითხი: ძველი ქართული ენის კათედრის შრომების კრებული, თბილისი, 2001, ტ. 30, გვ. 5-12.

2002

ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში [ებრაული ლექსიკის ქართულში შემოსვლის გზები]: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის შრომები, 2002, №29, გვ. 34-72.

2009

კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა [კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი კორნელი დანელიას ჩანაწერებისა და ლექციების მიხედვით], შემდგენლები: რუსუდან ამირეჯიბი-მალენი (რედაქტორი), ნანა დანელია, ინგა დუნდუა, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, 2006, გვ. 12-175.

წინასიტყვაობა: ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი (შეადგინეს: ლელი ბარამიძემ, რუბენ ენუქაშვილმა და თეიმურაზ მეტრეველმა; რედ. ლ. ბარამიძე; წინასიტყვ. კორნელი დანელიასი), დაიბეჭდა სრ. საქ. კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა (594გვ.).

ქართული ენა და ლიტერატურა: 5 ტომად: ტ.1, ქართული ენა /გამოცდების ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2009.

შეტანილია ათიოდე ქვეთავი წიგნიდან „ქართული პალეოგრაფია“, თბილისი, 1997 (თანაავტორი ზ. სარჯველაძე).

საკულტო ხუმევა (ხმევა) ფუძის ისტორიისათვის: ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, I [ედღვნება პროფ. კორნელი დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს], თბილისი: გამომც. „უნივერსალი“, 2010, გვ. 12-18.

რედაქტორობა

- აკაკი შანიძე, თხზულებანი 12 ტომად, ტ. 2: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები (ტომის რედ. კ. დანელია), თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1981.
- თ. სანიკიძე, ილიას და აკაკის პოეზიის სიხშირის ლექსიკონი (რედ. კ. დანელია), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1988.
- ა. ცანავა, ქართული ფოლკლორის საკითხები (მეგრული მასალების მიხედვით), 1990.
- ჰ. ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი (რედ. კ. დანელია), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1990.
- ელენე ბაბუნაშვილი, ანტონ პირველის „ქართული ღრამმატიკა“ და მისი ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა (რედ. კ. დანელია), თბილისი: გამომც. „მეცნიერება“, 1991.
- დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს: იოსებ ქურჩიშვილმა და ბენიამინ ქურჩიშვილმა) (რედ. კ. დანელია), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1992.
- ალექსანდრე ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, წ. I (რედ. კ. დანელია), თბილისი, 1995 (ბ. ს. კომბ-ტი).
- ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენა (ტექსტებითა და ლექსიკონითურთ): ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №1 (რედ. კ. დანელია), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1997.
- გივი ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები) (რედ. კ. დანელია), თბილისი: გამომც. „ინტელექტი“, 1997.
- თინათინ ბოლქვაძე, პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“ (რედაქტორები: კ. დანელია, გ. რამიშვილი), 1997.
- თენგიზ სანიკიძე, გ. ტაბიძის ენის სიხშირის ლექსიკონი (რედაქტორი კ. დანელია), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1997.
- გალაკტიონ ტაბიძის ენის ლექსიკონი, ტომები I-V, შემდგენლები: თ. სანიკიძე, ც. სანიკიძე, ნ. ტაბიძე (რედ. კ. დანელია), ტ. I -1990, ტ. II -1991, ტ. III -1993, ტ. IV -1994, ტ. V-1996, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა.
- გივი ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (მასალები), რედ. კ. დანელია, თბილისი: გამომც. „ინტელექტი“, 1997 (406 გვ.).
- ანა ჩიქვანაია, მეგრული ხატოვანი სიტყვა-თქმანი (რედ. კ. დანელია, პ. ცხადაია): „კოლხური სერია“ 4 (სერიის მთ. რედაქტორი ბუბა კუდავა), თბილისი: გამომც. „არტანუჯი“, 2008 (102 გვ.).

პროგრამების შედგენა და რედაქტორობა:

- კოლხური ენის პროგრამა /თსუ, ძვ. ქართ. ენის კათედრა (შემდგ. კ. დანელია; რედ. ა. შანიძე), თბილისი, 1987.
- მეთოდური მითითებანი კოლხურ (მეგრულ-ჭანურ) ენაში /თსუ, ძვ. ქართ. ენის კათედრა (შემდგ. კ. დანელია; რედ. ზ. სარჯველაძე), თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987.
- ქართველოლოგიის შესავლის პროგრამა /თსუ, ძვ. ქართ. ენის კათედრა (შემდგ. კ. დანელია), რედ. ა. შანიძე, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987.
- ზმნა ძველ ქართულში (სპეციალური კურსი) /თსუ, ძვ. ქართ. ენის კათედრა (შემდგ. ლ. კიკნაძე), რედ. კ. დანელია, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987.
- მეთოდური მითითებანი ქართულ პალეოგრაფიაში / თსუ, ძვ. ქართ. ენის კათედრა (შემდგ. თ. მეტრეველი), რედ. კ. დანელია, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987.
- ქართული პალეოგრაფია: პროგრამა /თსუ, ძვ. ქართ. ენის კათედრა (შემდგ. ლ. ბარამიძე), რედ. კ. დანელია, თბილისი: თბილ. უნ-ტის გამ-ბა, 1987.

პროფ. კორნელი დანელიას შესახებ

- რევაზ მიშველაძე, კორნელი დანელია, ნიგნში: მინანერები სატელეფონო ნიგნზე: ნერილები, დიალოგები, თბილისი, 1996, გვ. 140-141.
- გელათის მეცნიერებათა აკადემია კორნელი დანელიას ხსოვნას: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1997, 3-10 ოქტომბერი, №39, გვ. 16.
- ზურაბ სარჯველაძე, უმძიმესი დანაკლისი: გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, თბილისი, 1997, 3-10 ოქტომბერი, №39, გვ. 16.
- ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 29 (კრებული ეძღვნება პროფესორ კორნელი დანელიას) (რედ. ზურაბ ჭუმბურიძე), თბილისი: თბილ. სახელმწ. უნ-ტის გამ-ბა, 1999.
- ზურაბ ჭუმბურიძე, კორნელი დანელია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე [დაბადების 65-ე წლისთავის გამო]: ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1999, №2, გვ. 131-136.
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I (ეძღვნება პროფესორ კორნელი დანელიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს), რედ. დ. მელიქიშვილი, თბილისი: გამომც. „უნივერსალი“, 2010.
- ზურაბ ჭუმბურიძე, კორნელი დანელია – მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე: თსუ ქართული ენის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. I, თბილისი, 2010, გვ. 3-11.
- გელათის მეცნიერებათა აკადემიის განსხვავებულ ნევრთა ღვანლის მოსახსენებელი: კორნელი დავითის ძე დანელია [ბიოგრაფია და მოღვაწეობა. მოკლე ცნობები]: რწმენა და ცოდნა. 2001-2002. მარტი-მაისი, N5 (9), გვ. 50.
- კორნელი დანელია (1934-1997), ნიგნში: ვახტანგ გოგუაძე, პანთეონი (რედ. თამარ გოგუაძე), თბილისი, 2010, გვ. 62-62.

**პროფ. კ. დანელიას ხელმძღვანელობით დაცული საკანდიდატო
დისერტაციები (ამოკრებილია ნაწილი):**

- მერაბ ნაჭყებია**, მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსური ურთიერთობა ქართველურ ენებში, 1987 (სამეცნ. ხელმძღვანელები: ა. კიზირია, კ. დანელია).
- თინათინ ბოლქვაძე**, პოეტური პარალელიზმი „ვეფხისტყაოსანში“, 1995 (სამეცნ. ხელმძღვანელები: კ. დანელია, გ. რამიშვილი).
- მაია მელიქიძე**, ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის პრინციპები საშუალო ქართულში, 1997 (სამეცნ. ხელმძღვანელი კ. დანელია).
- ნინო შარაშენიძე**, პირველი სერიის მწკრივთა ფორმოზრივი და ფუნქციური ცვლილებების დათარიღებისათვის ქართულში, 1997 (სამეცნ. ხელმძღვანელები: კ. დანელია, ზ. ჭუმბურიძე).
- ლალი ეზუგბაია**, გრამატიკული რიცხვის გამოხატვის სისტემა ზანურში, 1999 (სამეცნ. ხელმძღვანელები: კ. დანელია, ვ. შენგელია).
- ლელა ციხელაშვილი**, კაუზატივის წარმოება საშუალო ქართულში, 1999 (სამეცნ. ხელმძღვანელები: კ. დანელია, ზ. ჭუმბურიძე).
- ქეთევან გოჩიტაშვილი**, თანდებული საშუალო ქართულში, 1998 (სამეცნ. ხელმძღვანელი კ. დანელია).
- დარეჯან კუხიანიძე**, „უსწორო კარაბადინის“ XIII საუკუნის ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, 1998 (სამეცნ. ხელმძღვანელი კ. დანელია).
- ნათელა ნაკუდაიძე**, ბერძნული წინდებულების გადმოცემისათვის ბიბლიურ წიგნთა ქართულ რედაქციებში (სახარება-ოთხთავის მიხედვით), 1999 (სამეცნ. ხელმძღვანელები: კ. დანელია, ა. ურუშაძე, ზ. ჭუმბურიძე).

პროფესორ კორნელი დანელიას სტატიები

Scientific Papers of Professor Korneli Danelia

ჩვენი სახელმწიფო ენა

ქართული ენისა და ანბანის ამბავი

დღეს საბჭოთა საქართველო კონსტიტუციით განმტკიცებულ უფლებათა შორის ყველაზე მეტად აფასებს და უფროთხილდება თავის სახელმწიფოებრივ უფლებას მშობლიური ენის შემდგომი განმტკიცებისა და განვითარების თაობაზე. ქართული ენის კეთილდღეობისა და დღეგრძელობისათვის რომ ოდითგან თავგამოდებით ირჯებოდა ქართველი კაცი, ამაზე ნათლად მეტყველებს ჩვენი ისტორიაც, თანამედროვეობაც. ამ დიდი ერთგულებისა და გარჯის ნაყოფია ისიც, რომ დღეს, საქართველოზე რომ აღარაფერი ვთქვათ, უცხოეთშიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ ქართული ენის მკვლევართა და შემსწავლელთა მთელი სკოლები. ამას ხელს უწყობს ის დიდი ყურადღება და მზრუნველობა, რასაც ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს მშობლიური ენის მიმართ. ხალხი კი, როგორც ყოველთვის, დღესაც მიუყვარძობლად, მთელის პირუთვნელობით შეაფასებს ქართული ენის მოამაგეთა ღვაწლს და შესაფერის პატივს მიაგებს თითოეულ მათგანს. აი, ამ დღეებშიც რედაქციაში მივიღეთ ცნობა იმის თაობაზე, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიდმა სამეცნიერო საბჭომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემიით აღნიშნა პროფესორ კორნელი დანელიას დამსახურება. კერძოდ – ნაშრომებისათვის: „ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები“ და „ქართული ლექციონარის პარიზული ხელნაწერი“.

მცირე შემოკლებით გთავაზობთ ბატონ კორნელის მეცნიერულ ნარკვევს.

ქართული ერთ-ერთი უძველეს და უმდიდრეს ენათაგანია, ასევე ძველი სამწერლობო ტრადიციით. მასში უწყვეტ პროცესად ასახულია ქართველი ხალხის წარსული და დღევანდელი, მისი სახელმწიფოებრივი ყოფა, ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება. როგორც თქმულა, „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება, რაც დედამიწაზე შეიძლება გამოითქვას რა გინდა რა ენით, აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არა თუ ქართულმა საესკებოთ ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრულ ყალიბში არ ჩამოასხას... ასე მდიდარია ქართული, შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით მსოფლიური“.

ჩვენს დედაენას ოდითგან დიდი ისტორიული მისია ჰქონდა დაკისრებული. საუკუნეების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა მხარეთა პოლიტიკური განკერძოებულობის ჟამს ის იყო ეროვნული მთლიანობის შეგნების მაცოცხლებელი და დაქსაქსული სახელმწიფოებრივი ძალების ერთიანად შემკვრელ-შემდუღებელი გარეშე მტრების ძალმომრეობის დროს, ამასთანავე ქართულს მრავალეროვან კავკასიაში განსაკუთრებული და გამორჩეული ფუნქციაც უტვირთავს – საეროვნებათმორისო ენის ფუნქცია. ამაზე გადაუჭარბებლად წერდა დიდი ნიკო მარი ჯერ კიდევ 1922 წელს: ქართული საზოგადოდ, კავკასიის საზოგადოებრიობის ენაა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული

ისეთ ტომებსა და ერებს შორისაც კი, რომელნიც ტომობრივი წარმოშობილობით ანდა თავიანთი პრაქტიკული ყოფაცხოვრებით მათზე სრულებით შორს დგანან, ამასთანავე სარწმუნოებისდა მიუხედავადაც. ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აფხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მობინადრე სომხებიც..., აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ, დიდოელი, და თურქებიც კი. წარსულთან შედარებით ქართულს, ვითარცა კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილი (პოზიცია) დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისების მქონეა... საერთაშორისობასთან ერთად ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩნია. ორივე ეს თვისება უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია. ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ერი არ იღებდა.

ქართველების და კავკასიის მთის ხალხების მრავალსაუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის, ამ ურთიერთობაში ქართული ენის გაზრდილი როლის მაუწყებელია ის ფაქტიც, რომ ქართული ანბანით შუა საუკუნეებში სარგებლობდა ჩრდილოეთ კავკასიის ზოგი ხალხი.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დაახლოებით 4 ათასი წლის წინათ, ძვ. წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულის მიჯნაზე, ქართველურ ეთნიკურ ერთეულთ საერთო ენა უნდა ჰქონოდათ. ცოტა მოგვიანებით (XVIII-XVII ს.ს. ძვ.წ.) წინაქართველურ ფუძეენას დამოუკიდებელ ენობრივ ერთეულად უნდა გამოჰყოფოდა სვანურის წინაპარი დიალექტი, ხოლო ქართულ-ზანური ერთიანი ენა უფრო გვიან (დაახლოებით VIII ს. ძვ.წ.) უნდა დაშლილიყო ზანურ (კოლხურ) და ქართულ ენებად. სხვაგვარი ვარაუდით, წინაქართველურ ფუძეენას სვანური უნდა გამოჰყოფოდა X საუკუნეს (ძვ.წ.), ხოლო ზანურ-ქართული ერთიანობა უნდა დაშლილიყო I საუკუნის დასაწყისში (ახ.წ.). მაშასადამე, დღევანდელი ქართულის უშუალო წინაპრის დამოუკიდებელი სახის ჩამოყალიბება ძვ. წელთაღრიცხვის I ათასწლეულის ფარგლებში უნდა ვივარაუდოთ. ცხადია, ქართულმა, ზანურმა (კოლხურმა) და სვანურმა ენებმა განვითარების საკუთარი გზა განვლეს და საგრძნობლადაც შეიცვალნენ. მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა ქართული, ზანური (კოლხური) და სვანური ენები, ქართული დარჩა ერთიან სამწერლობო ენად სამივე ქართველური ტომისთვის.

ქართველური ენების გენეტიკური ერთიანობა დღეს უდავოდ დამტკიცებულია მათი გრამატიკული სტრუქტურისა და ლექსიკური სისტემის ისტორიულ-შედარებითი შესწავლის საფუძველზე. მაგრამ ასე უდავოდ სრულებით არ არის დადგენილი ქართველური ენების შორეული გენეტიკური კავშირი სხვა ენებთან.

წინაქართველურ თუ ისტორიულად ცნობილ ქართველურ ენებს წარსულში კონტაქტები ჰქონიათ განსხვავებული სტრუქტურის ენებთან (ინდოევროპულთან, სემიტურთან, თურქულ-მონღოლურთან...) და მეტ-ნაკლებად არეკლილა ეს მათში (უფრო ლექსიკის სფეროში). დღეს საეჭვოდ არ მიაჩნიათ ინდოევროპულ ფუძეებთან დაკავშირება.

სემიტური ენებიდანაც დამკვიდრებულან ქართულში სიტყვები: არაბულიდან: აქლემი, შაბიამანი, ქალალდი, ყასაბი, ჯალათი, ყალიბი, ქირა, დავა..., სირიულიდან: თარგმანი, კუპრი, ზეთი, შაბათი, ქარქაში...

ბევრი საკუთარი სახელი დამკვიდრდა ქართულში ბერძნულიდან, სპარსულიდან, ებრაულიდან (უფრო ბერძნულის გზით). კერძოდ, ბერძნულიდან: აკაკი, ანდრია, ანანია, აპოლონი, ბასილი, არსენი, გრიგოლი, გიორგი, ესტატი, ექვთიმე (ევთვიმე), თევდორე, დიმიტრი, პლატონი, პეტრე..., სპარსულიდან – არჩილი, ბაგრატი, ბაკური, ბარამი, გოდერძი, გურგენი, ვახტანგი, ფარნაოზი..., ებრაულიდან (ბერძნული გზით, ბიბლიური თარგმნებით): ანა, დავითი, სოლომონი, ელისაბედი, თამარი, მოსე, იოვანე (ივანე), იოსები, იაკობი, სამსონი, სიმონი, მარიამი, ეფრემი...

არ უნდა გავიკვირვოთ და ქართულის ნაკლად არ უნდა მივიჩნიოთ ნასესხები ლექსიკის არსებობა, რადგან, ჯერ ერთი, არც ერთი ენა არ არსებობს, ასე ვთქვათ, „სუფთა“, ლექსიკური ნასესხობების გარეშე; მეორეც, ქართულს, საჭიროებისამებრ, და ზომიერად დაუმკვიდრებია უცხო სიტყვები და არა ისე ჭარბად, როგორც, მაგალითად სპარსულს, რომელშიც არაბული ლექსიკა 80-მდე პროცენტს შეადგენს. და, რაც მთავარია, ქართულს პოლიტიკური თუ კულტურული ასიმილაციის საფრთხის გრძელ მანძილზე მტკიცედ და შეურევლად დაუცავს თავისი გრამატიკული სტრუქტურა – ენის თავისთავადობის უძირითადესი პირობა.

დღეს ჭირს ზუსტად დადგენა, როდის ან რომელი ანბანის საფუძველზე უნდა შექმნილიყო ქართული დამწერლობა, ქართული ანბანი. ამის თაობაზე არსებული განსხვავებული თეორიები, არსებითად, მხოლოდ ორ ძველ წერილობით ცნობას ემყარება: ერთი დაცულია V საუკუნის სომეხი მწერლის კორიუნის თხზულებაში „მაშტოცის ცხოვრება“, მეორე კი XI საუკუნის ქართველი ისტორიკოსის, ლეონტი მროველის მატიანეში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“.

პირველი ცნობის მიხედვით, V საუკუნის პირველ ნახევარში, იბერიაში ბაკურის მეფობის ჟამს, მესრობ მაშტოცმა სომხური ანბანის შემდეგ იზრუნა ბარბაროს (უცხო) ქვეყნებზეც და ღვთისწყალობის ბოძებით შეუდგა დამწერლობის შექმნას იბერიულ ენაზე, მოხაზა, გამოიყვანა ასოები, განალაგა, გააწყო საჭიროებისამებრ, მერმე აიყვანა ერთი საუკეთესო მოწაფეთაგანი, გაუდგა გზას და მოვიდა იბერთა მხარეში. აქ ის წარუდგა იბერთა მეფეს ბაკურს და ამ მხარის ეპისკოპოს მოსეს. ღვთის ნებით, მეფე და მისი მხედრობა თვინიერად უსმენდნენ მას. და მან (მაშტოცმა) გამოაჩინა მათ წინ თავისი ხელოვნება, არიგებდა და მოძღვრავდა მათ. ყველამ ვალდებულად ჩათვალა, რომ შეესრულებინათ მისი სურვილები და პოვეს იბერიული ენიდან ერთი მთარგმნელი, განათლებული და მორწმუნე კაცი, რომელსაც ეძახდნენ ჯალას (ჯაყა). შემდგომ იბერთა მეფემ ბრძანა, რომ თავის სამბრძანებლოს სხვადასხვა კუთხიდან შეეკრიბათ ყმანვილები და სასწავლებლად მიეცათ მოძღვრისთვის [ვარდაპეტისთვის] (კორიუნი, ცხოვრება მაშტოცისა, მანუკ აბელიანის გამოცემა, ერევანი, 1981, გვ. 209. სომხურ ტექსტს გამოკვლევასთან ერთად ახლავს რუსული და ინგლისური თარგმანებიც).

ამ ცნობამ ხელი შეუწყო ქართული ანბანის სომხურიდან მომდინარეობის თეორიის გავრცელებას არა მარტო სომხურ, არამედ მრავალ უცხო ენაზე გა-

მოსულ შრომასა და საცნობარო-ენციკლოპედიური ხასიათის ნიგნებში. ივ. ჯავახიშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ კორიუნის შრომის პირვანდელ ტექსტში არ უნდა ყოფილიყო ცნობა მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის თაობაზე, რადგან ლაზარე პარფელს უამცნობოდ ჰქონია ნაკითხული კორიუნის თხზულება და ამიტომაც არაფერს ამბობს ამ ფაქტზე მაშტოცის ღვანლზე საუბრისას. მართლაც, „მაშტოცის ცხოვრების“ შემავსებლის თხრობა წინააღმდეგობრივია: მესროპი სომხეთში ქმნის ქართულ ანბანს, მერმე მოაქვს ეს მზა ანბანი ქართლის მეფე ბაკურთან. მან ქართული არ იცის, მეფემ კიდეც – სომხური. იძულებული არიან მონახონ თარჯიმანი, ქართულისა და სომხურის ერთობლივ მცოდნე კაცი, სახელად ჯალა (კ. კეკელიძით, ჯალი). გამოდის, რომ მაშტოცმა ქართული არ იცოდა და ქართული ანბანი ღვთის შთაგონებით შექმნა, ოდენ „ღმრთისაგან წყალობის ბოძებით“. ცხადია, ენის სტრუქტურის, ბგერითი სისტემის ღრმა ცოდნის გარეშე ანბანის გამოგონებაზე ლაპარაკი დაუფერებელია და რაც მთავარია, ქართულ და სომხურ ანბანებში ასოთა რიგი-თანმიმდევრობა, ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა და თითოეული ასოს გრაფიკული სახე უეჭველს ხდის მათ შორის არსებულ პრინციპულ სხვაობებს და თითოეულის დამოუკიდებლობას, თავისთავადობას.

მეორე (ლევონტი მროველის) ცნობის მიხედვით, ქართული დამწერლობის (მნიგნობრობის) შექმნა ძვ. წ. IV-III საუკუნეთა მიჯნაზე ქართლის სამეფო დინასტიის დამაარსებლის, მეფე ფარნავაზის სახელს უკავშირდება: „და ესე ფარნავაზი იყო პირველი მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვნიერ [= გარდა] ქართულისა და ამან შექმნა მნიგნობრობა ქართული“ (ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, ტ. 1, 1955, გვ. 26).

მროველის ამ ცნობას ზოგი სარწმუნოდ თვლის და ქართული დამწერლობის დასაწყისად ძვ. წ. 284 წელს დებს (ქრონიკონის მე-10 ციკლის დასასრულსა და მე-11 მოქცევის დასაწყისს), უმეტესობას კი ეჭვი შეაქვს ამ ცნობის სისწორეში, რადგან მროველის თხზულებაში ბევრი არარეალური, ფანტასტიკური პასაჟია და თანაც ჩვენი წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნემდელი არც ერთი წერილობითი ძეგლი ქართულ ენაზე არ მოღწეულა. ფიქრობენ, რომ ქართული მრგლოვანი დამწერლობა საქართველოში წიგნიერი რელიგიის – ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით უნდა შექმნილიყო, მანამდე კი სხვა (ბერძნული, არამეული) დამწერლობები უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მართლაც, ფაქტია, რომ საქართველოში I-IV საუკუნეების ბევრი უცხოენოვანი წარწერაა შემორჩენილი (არმაზის ბილინგვა [არამეულ და ბერძნულ ენებზე], ვესპასიანეს ხანის ბერძნული წარწერა 75 წლისა...), მაგრამ ქართული – არც ერთი.

უძველესი ქართული ასოები (V საუკუნიდან დადასტურებული) მეტწილად მრგვალი ან ნახევარწრის იერისაა და ამიტომ V-X საუკუნეებში მიღებულ ასონიშნებს მრგლოვანს ეძახიან (ზოგჯერ ასომთავრულსაც). დღეს განმტკიცებულია აზრი, რომ მრგლოვან დამწერლობაში განხორციელებულია ბერძნული მონუმენტური დამწერლობის ზოგადი პრინციპები, რომელთა საფუძველზე ჩამოყალიბებულია ორიგინალური გრაფიკული სახეობის მონუმენტური დამწერლობა.

ქართულ ასოთა მოხაზულობა ჩანერილია უხილავ კვადრატულ ჩარჩოში (სრულ ან ნახევარკვადრატში). შემადგენელ ელემენტთა მრავალფეროვანი კომბინირება ქმნის სტილისტურად ერთიან გრაფიკულ სისტემას. მაგრამ შეინიშნება სტანდარტიდან „მაცოცხლებელი გადახრა“, რაც ცივ სიმეტრიულობას არბილებს, ბუნებრივსა და ესთეტიკურს ხდის ასოებს.

მრგლოვანში 37 ასო იყო. უ ბგერას არ ჰქონდა საკუთარი ნიშანი და ბერძნული წერის კვალობაზე ორი ასო-ნიშნით (O, A) გადმოიცემოდა. ნუსხურმა წერამ შეძლო ორნიშნა უ-ს ერთნიშნად ქცევა გადაბმის საფუძველზე (აჟღ→აჟ) და ამით იდეალური სიზუსტე დაამყარა წერასა და გამოთქმას შორის: ყველა ბგერას თითო საკუთარი ნიშანი! ქართული ანბანის ამ შეუდარებელ სიზუსტეზე ინგლისელი მეცნიერი უილიამ ედუარდ დევიდ ალლენი ამბობს: „ქართული ანბანი მთელი სისრულით და სიზუსტით გადმოსცემს ქართული ენის ბგერათა მრავალფეროვნებას. ყოველ ბგერას შეესაბამება ცალკეული ასო. ყოველი ასო წარმოითქმის ზუსტად და მკაფიოდ და ამ თვალსაზრისით ვერცერთი სხვა ანბანი ვერ შეედრება ქართულ ანბანს“.

მე-9 საუკუნის ბოლოდან მრგლოვანი წერა საგრძნობლად შეიცვალა (საწერი მასალისა და დროის ეკონომიის მიზნით). ერთგანზომილებიანი ასოები ოთხგანზომილებიან (ზედა, ქვედა, შუა, ზედა-ქვედა) ასოებად გადაკეთდა, შუა ასოები და დანარჩენთა შუა ნაწილი მარცხნივ გადაიხარა, ასოთა უმეტესობის ნაწილებმა კუთხოვანი იერი შეიძინა. წერის ეს სახეობა (II საფეხური) ცნობილია ნუსხურის სახელით. მე-11 საუკუნეში კუთხოვნობაც მოიშალა, ასოთა გადაბმა პრინციპად იქცა და ჩამოყალიბდა ქართული წერის მესამე სახეობა, ე.წ. მხედრული, რომლის განვითარებითაა მიღებული დღევანდელი ჩვენი წერა.

ქართული ანბანის პროტოტიპად მიუჩნევიან ფინიკიური, არამეული, ფალაური, ბერძნული, სომხური...; დღეს ყველაზე დასაბუთებულად უნდა მივიჩნიოთ ის დებულება, რომელიც ქართული ანბანის პროტოტიპად ბერძნულ ანბანს თვლის. ამის სასარგებლოდ მეტყველებს: გეომეტრიულ სიმეტრიაზე დაფუძნებული მონუმენტური გრაფიკული სისტემის ერთგვარობა. ასოთა თანმიმდევრობის და რიცხვითი მნიშვნელობის ერთგვარობა (ბერძნულ ქ-მდე, მერმე ქართულში მოდის სპეციფიკური ქართული ბგერების აღმნიშვნელი ასოები: ღ, ყ, შ, ჩ, ც, ძ, ნ, ჭ...), გრაფიკული სიახლოვე ხმოვანთა აღმნიშვნელი ასოებისა, წერის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინოლოგიის ბერძნული წარმომავლობა: კალამი, მელანი, კაბადონი (კატაპატონი „გვერდი“ ნაწერისა), სტრიქონი, კინაბარი, ზანდუკი (წითელი ფერის მელანი).

V საუკუნიდან ქართულ ენაზე ბევრი ძეგლია მოღწეული წარწერების თუ ხელნაწერი წიგნების სახით, რაც არ შეიძლება კანონიერ სიამაყეს არ იწვევდეს (ძეგლთა ასეთი სიძველით თავს ვერ მოიწონებს დღეს ევროპაში დანიშნურებული დიდი ერების უმეტესობა). ძველი წერილობითი ძეგლებიდან დავასახელოთ რამდენიმე, წარწერებიდან: პალესტინისა (პეტრე იბერისა, მე-5 საუკ. 30-იანი წლების), ბოლნისის სიონის ტაძრისა (492-493 წლების), მცხეთის ჯვრის მონასტრისა (VI საუკ.), საჰაკდუხტისა (V საუკ. ბოლო), წყისისა (616-619 წ.წ.), ატენისა (853 წ.), ხუნამისისა (895 წ.) და სხვ.

პირველი ქართული ორიგინალური ლიტერატურული ძეგლი – იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“ დანერილია 476-483 წლებში. მაგრამ მასზე ადრე ქართულ ენაზე არსებობდა ბიბლიურ წიგნთა თარგმანები და აგიოგრაფიული კრებულები „წიგნნი მონამეთანი“, როგორც ეს აღნიშნულია თვით იაკობ ხუცესის თხზულებაში. ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ნათარგმნი წიგნებიდან აღსანიშნავია: ხანმეტი (V-VII ს.ს.), ჰაემეტი (VIII ს.) ტექსტის ფრაგმენტები. ბიბლიური და სხვა საეკლესიო ხასიათის წიგნები: სინური მრავალთავი (864 წ.), იოვანე ოქროპირის ცხოვრება (968 წ.), ოშკის (ათონის) ბიბლია (978 წ.), ოთხთავები: ადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.), პარხლის (973 წ.), ტბეთის (995 წ.), ურბნისის (X საუკ.), ბერთის (X საუკ.) და სხვათა.

ისტორიული აუცილებლობის თუ ჟამთა სიავის გამო სად არ დაუდვიათ ბინა უძველეს და ძვირადღირებულ ქართულ ხელნაწერებს – ეგვიპტესა და საბერძნეთში, პალესტინასა და ამერიკაში, ინგლისსა თუ საფრანგეთში..., მაგრამ, საბედნიეროდ, უმეტესობა საქართველოშივეა დაცული – საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, სადაც ხდება მათი რესტავრაცია, მოვლა-დაცვა, შესწავლა და მეცნიერული პუბლიკაცია.

კორნელი დანელია,

პროფესორი

გაზ. „თბილისი“, 13 აპრილი, 1988 წელი, გვ. 4

გამოსაცემად მოამზადეს „ქართველური ენათმეცნიერების“

პროგრამის მაგისტრანტებმა: მარიამ ხუბუნაიამ და ნანა შოშიაშვილმა

„მცხეთური ხელნაწერი“ და მისი მნიშვნელობა ქართველოლოგიისათვის

ბიბლიურ წიგნთა ძველი ქართული თარგმანი არის უძველესი და უპირველესი მონუმენტური ძეგლი, რომელიც საძირკვლად დაედო ძველ ქართულ მწერლობას, მხატვრულ აზროვნებას, პოეტურ მეტყველებას და ჩამოქნილ, დარბაისლურ პროზაულ სამწერლო ენას. ამ მხრივ ამ ძეგლის საგანგებო გამოჩენილობა და შეუტოლებლობა უცხადესია ქართული კულტურის ისტორიაში. მაგრამ უდიდეს ეროვნულ მნიშვნელობასთან ერთად ეს მრავლისმეტყველი ლიტერატურული წყარო თვალნათლივ წარმოაჩენს მსოფლიო ცივილიზაციისადმი მუდამ სმენაგამახვილებულ ქართველთა ნვლილს საერთო ქრისტიანული კულტურის სფეროში.

საქმე ისაა, რომ ბიბლიოლოგიის კარდინალური პრობლემის გადაჭრა – ბიბლიის პირვანდელი ტექსტის აღდგენა-რეკონსტრუქცია – შეუძლებელია მხოლოდ ორიგინალის ენაზე არსებული ხელნაწერებით, მათთან ერთად აუცილებელია უცხოენოვანი თარგმანების გათვალისწინებაც. ებრაულ და ბერძნულ ენებზე შექმნილი ბიბლიური ტექსტების დადგენისას ბიბლიოლოგები ითვალისწინებენ უპირველესად სირიულ და ლათინურ თარგმანებს, ასევე სომხურ და ზოგჯერ ქართულ თარგმანებს. ძველი ქართული თარგმანი თუ გვიან ჩაერთო ბიბლიოლოგიურ პრობლემატიკაში, ეს იმის გამო, რომ ისტორიული ხელგაუმართაობისა და გულდასაწყვეტი უღონობის გამო XX საუკუნის დამდეგამდე ვერ მოხერხდა მისი კრიტიკული გამოცემა (ადრე არჩილ მეფის, ვახტანგ VI-ის და ბაქარის გამოცემებს პრაქტიკული, საეკლესიო დანიშნულება ჰქონდა და არა წმინდა მეცნიერული). მაგრამ როგორც კი ამ თარგმანის მცირე ნაწილმაც კი საზღვარგარეთ გააღწია, ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიბლიოლოგიის სპეციალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა და ზუსტი ლათინური თარგმანის თანხლებით ჩაერთო კვლევა-ძიების სფეროში.

თუ ა. შანიძის მიზანსწრაფული მეცადინეობით და ხელმძღვანელობით დღეს მოგვეპოვება ახალი აღთქმის ქართული რედაქციების სრული ტექსტის გამოცემები, ძველი აღთქმის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოქვეყნებული. ა. შანიძემ შეძლო ცხრაას ათიან წლებში ნ. მარის წამოწყებული საქმის განახლება და 1947-48 წლებში ოშკის (ათონის) ხელნაწერის მიხედვით ორ ნაკვეთად გამოსცა „წიგნი ძუელისა აღთქმისანი“ (ამ ხელნაწერის მცირე ნაწილი „ქება ქებათა“ და „ეკლესიასტე“ ადრეც იყო გამოცემული გარკვეული ხარვეზებით აღ. ცაგარლისა და კ. კეკელიძის მიერ). მერმე ცოტა დაიძრა საქმე: რ. ბლეიკმა ოშკისა და იერუსალიმური ხელნაწერების მიხედვით 1926-29 წლებში გამოაქვეყნა ეზრა სუთიელის წიგნი, ხოლო 1961-63 წლებში მ. ბრიერთან ერთად – წინასწარმეტყველთა წიგნები. მ. შანიძემ დაბეჭდა ფსალმუნის ტექსტი (1960 წ.), ც. ქურციკიძემ – აპოკრიფული ბიბლიური წიგნებისა (1970 წ.), თ. ცქიტიშვილმა – ეზეკიელის წინასწარმეტყველებისა (1976 წ.).

მაგრამ ეს მაინც მცირე ნაწილია ძველი აღთქმისა. ამიტომ გასაგებია ის ცხოველი ინტერესი, რასაც იწვევს ძველი აღთქმის რომელიმე წიგნის გამოსვლა.

სწორედ ასე მრავალმხრივ საინტერესოა ახლახან გამოსული წიგნი „მცხეთური ხელნაწერი“, რომელიც გამოსცა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელენე დოჩანაშვილმა, მეცნიერი რედაქტორია პროფ. ზ. სარჯველაძე. კრიტიკული ტექსტი გამოქვეყნებულია სპეციალისტებისათვის კარგად ცნობილი „მცხეთური ბიბლიის“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 51 ხელნაწერის) საფუძველზე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოცემა დიდი მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ ფილოლოგიაში.

ცნობილია, რომ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი დაარსების პირველი წლებიდანვე (60-იანი წლები) პროფ. ილ. აბულაძის ხელმძღვანელობით შეუდგა ძველი აღთქმის ქართული რედაქციების სრული კორპუსის გამოსაცემად მომზადებას, რაც სხვადასხვა დაბრკოლებათა გამო, სამწუხაროდ, დღემდე არ განხორციელებულა. ასეთ შემთხვევაში ერთი ხელნაწერის ცალკე გამოცემა შეიძლება კოორდინაციის დარღვევად და ძალების დაქსაქსვად მოეჩვენოს კაცს. მაგრამ არა. მცხეთური ხელნაწერის ცალკე გამოცემის საჭიროებას ბევრი გარემოება განაპირობებს:

1) ახალ აღთქმასთან შედარებით ძველი აღთქმის ქართული თარგმნის შემცველი ხელნაწერები ამკარად ცოტაა მოღწეული. ამის მიზეზი მაინც და მაინც ხელნაწერთა მძიმე ხვედრი არ უნდა ყოფილიყო, ისინი თავიდანვე არ უნდა გვექონოდა ბევრი: ქრისტიანული ეკლესიის პრაქტიკული ინტერესები ახალი აღთქმის ტექსტს საგანგებოდ გამორჩეულსა და პრიორიტეტულს ხდიდა. ძველი აღთქმის ტექსტის შემცველ ხელნაწერებს (ოშკურს, იერუსალიმურს, გელათურს, ჯანაშვილისეულს...) რაოდენობრივ სიმცირესთან ერთად დიდი ნაკლულება (ტექსტის საგრძნობი ნაწილის კლება) ახასიათებთ. ამ მხრივ მცხეთური ხელნაწერი ყ ვ ე - ლ ა ზ ე ვ რ ც ე ლ ი ა მოღწეულთა შორის, თავის 668 ფურცელზე იტევს ძველი აღთქმის 43 წიგნს. ამდენად, სრულ (სვეტებიან) გამოცემაში მცხეთურ ხელნაწერს სხვა ვერცერთი ვერ აუბამს მხარს.

2) რედაქციულად მცხეთური ხელნაწერი ნ ა რ ე ვ ი ა, ის უფრო საგანგებო (სისრულის) მიზნით შედგენილი კ რ ე ბ უ ლ ი ა და არა ბიბლიური წიგნების ადრე არსებული რ ო მ ე ლ ი მ ე ქართული რედაქციის პირი. ძველი აღთქმის ქართული რედაქციების სრული კორპუსის გამომცემისას მცხეთური ხელნაწერი თავისი რედაქციული სიჭრელით მძიმე ტექნიკურ დაბრკოლებას ქმნის: მისი ტექსტი ხან ერთი რედაქციის სვეტში აღმოჩნდება, ხან მეორისაში. მისი ცალკე გამოცემით ეს ტექნიკური დაბრკოლება იხსნება.

3) მცხეთური ხელნაწერი დიდი ს ა ბ ა ს ნ ა რ ე დ ა ქ ც ი ე ვ ი ა, მისი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური მუშაობის მაუნყებელი ძეგლი (საბამ დამუხლა ახალი დაყოფისამებრ ტექსტი, შეუდგინა პარალელურ ადგილებზე მისათითებელი და საძიებელი 1666 წელს ამსტერდამში ვოსკანის გამომცემული სომხური ბიბლიის მიხედვით). ამასთანავე, ეს ხელნაწერი XVIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში არსებული ტექსტოლოგიური მუშაობის გარკვეული დონის მაჩვენებელი ვრცელი დოკუმენტიცაა. ცხადია, ხელნაწერის ეს თვისება ცალკე გამოცემისას მთლიანად გამოჩნდება, სრული კორპუსის გამომცემისას კი დაიჩრდილება.

მართალია, მცხეთური ხელნაწერი გვიანდელია (XVIII ს.) და სხვადასხვა პირის მიერ არის გადანერილი ნვრილი, მჭიდრო ნუსხური ხელით, მაგრამ თვით ტექსტი ძველია და დიდ ნაწილში ფრიად განსხვავებული სხვა ძველი რედაქციის ხელნაწერთაგან. ხელნაწერის გადანერის ჟამს ძველი ორთოგრაფიული სისტემა მოშლილი იყო, რაც აშკარად ჩანს მისი შერყვნილი ორთოგრაფიით. უმადურობა იქნება იმის დაუნახაობა და უთქმელობა, რომ ტექსტის გამომცემელს რედაქტორთან ერთად მძიმე და მომქანცველი შრომა აქვს განეული ტექსტის გასამართავად, რაც ნათლად ჩანს ვრცელი კრიტიკული აპარატიდან. ტექსტის კრიტიკულად დადგენისას გათვალისწინებულია სხვა ქართული ხელნაწერები და უცხოენოვანი ტექსტებიც, უმთავრესად ბერძნული და სომხური.

გვიანდელი ორთოგრაფიით გადანერილი ძველი ტექსტის გამმართველი რთული დილემის წინაშე იდგა: ან ხელნაწერის გადანერის დროინდელი ორთოგრაფია უნდა გაეტარებინა, ან თვით ტექსტის შექმნის დროინდელი. იყო მესამე, კომპრომისული გზაც: ერთისთვისაც გაენიანა ანგარიში და მეორისთვისაც. თუ რომელი გზა აირჩია გამომცემელმა, ეს ჩანს მისივე სიტყვებიდან: „ტექსტი გამართულია იმ ნორმის მიხედვით, რაც ამ ძეგლს ახასიათებს“ (გვ. 47). ამ ძეგლს კი, როგორც ვთქვით, ორთოგრაფიული სიჭრელე, შერყვნა ახასიათებს, რაც მეტწილად გასწორებულია გამოცემაში. ამდენად, რეალურად ტექსტის გამართვისას კომპრომისული გზა არჩეული: ხშირად ძველი და ახალი ორთოგრაფიული ფორმები გვერდი-გვერდაა წარმოდგენილი. მაინც ხელნაწერის ორთოგრაფიული ფორმებიდან რა გასწორდა და იქნა დატოვებული? ზოგადი ვითარება ასეთია: გასწორებულია: 1) უმარცვლო უსთან ემერვეს ხმარების შემთხვევები (ძღუწნი – ძღვენნი); 2) ზედმეტად (უფუნქციოდ) ნახმარი იოტა, ე. ი. იოტამეტური ფორმები, რაც არსებითად ადაო ხმოვნების მომდევნო პოზიციაში დასტურდება (უქმნაჲ, იყოჲ, სიტყუაჲნი, ცხოჲვარი...); გაუსწორებელია: 1) ძველი უმარცვლო უს ადგილზე გვიანდელი ვს ხმარების შემთხვევები (თქვა, ქვეყანა...); 2) აღმავალი დიფთონგის (ჟი-ის მსგავსი ბგერის გადმომცემი ძველი ვ გრაფემის ნაცვლად გვიანდელი ვი დაწერილობა (თვისი, მეშვიდესა...)).

ზემოდასახელებული ოთხივე ტიპური შემთხვევა გვიანდელია, მაგრამ მათ მიმართ გამომცემელს განსხვავებული პოზიცია უკავია: პირველი ორი შემთხვევა სწორდება, როგორც საერთოდ მცდარი ფორმები, რომელთაც ცოცხალ მეტყველებაში არასოდეს ჰქონიათ საფუძველი. მაგრამ მეორე ორი შემთხვევა არ სწორდება, როგორც მცდარი ფორმები მხოლოდ ძველი ენობრივი ტრადიციით, მაგრამ გამართლებული ახალი სამეტყველო პრაქტიკითა და ორთოგრაფიით. ხელნაწერის გვიანდელი ფორმებისადმი გამომცემლის ასეთ დიფერენცირებულ მიდგომას, მაშასადამე, თავისი ლოგიკა აქვს. მაგრამ ალბათ აჯობებდა, რომ უკანასკნელი ფორმებიც გასწორებულიყო, აჯობებდა იმიტომ, რომ ძველი ტექსტის გვიანდელი ორთოგრაფიული სიჭრელის (ძველი და გვიანდელი უსწორო ფორმების პარალელური ხმარების) დასაძლევად ძველ ორთოგრაფიულ ფორმებს უნდა მიეცეს უპირატესობა, მით

უმეტეს მაშინ, როცა ძველი ფორმები სიხშირით აშკარად სჭარბობს გვიანდელს. ჩანს, რომ მცხეთურ ხელნაწერში უმარცვლო უ და ვ ძირითადად სწორად, ძველი კლასიკური ნორმებისამებრ არის ნახმარი, რადგან მის გადამწერთ დედნებად ძველი ტექსტუალური და ორთოგრაფიული ტრადიციის ხელნაწერები ჰქონდათ ხელში. მაგრამ გადანერისას ყოველთვის ვერ იცავდნენ სიზუსტეს და მათ ადგილზე ვ და ვი-ს გაურევდნენ. ზოგჯერ XVIII საუკუნის გამოთქმისამებრ (გადამწერი ხომ ჯერ სიტყვას კითხულობს, შემდეგ იმახსოვრებს, ბოლოს გულში გამოთქვამს, იმეორებს, და ამ უკანასკნელს გრაფიკულად გამოხატავს). ცხადია, გვიანდელი (ვ და ვი დაწერილობიანი) ფორმები, როგორც სამწერლო ენის ისტორიისათვის ღირებულნი, შეიძლება და სქოლიოში აღნუსხულიყო. მაშინ მოიხსნებოდა ის უხერხულობა, რომელიც შეიძლება გაუჩნდეს მკითხველს, როცა ერთი მუხლის ფარგლებში ნაანყდება ერთი სიტყვის ორგვარ დაწერილობას, ვთქვათ, როგორიცაა: ქვეყანასა და ქუეყანასა (დაბ. 2,5).

მაგრამ მთავარია ამ საკითხზე არა განსხვავებული თვალსაზრისების ქონა, არამედ ის, რომ გამოცემაში ბოლოს და ბოლოს ხელნაწერის რთული ვითარება სწორადაა წარმოდგენილი, არსებითად არაფერია დაკარგული და უგულებელყოფილი, მკითხველს ზუსტად ეძლევა ხელნაწერისეული ფორმები ძირითადად ტექსტსა თუ სქოლიო-აპარატში.

გამოცემულ ტექსტს შესავლად უძღვის გამოკვლევა, რომელშიც ავტორი განიხილავს მცხეთური ხელნაწერის ადგილს ბიბლიის სხვა ქართულ ხელნაწერთა შორის, ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანის წარმომავლობის საკითხს და იძლევა ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების პუბლიკაციის მოკლე ისტორიას.

საყურადღებოა იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ხელნაწერის ტექსტის რედაქციული სიჭრელე შეიმჩნევა არა მარტო სხვადასხვა წიგნის, არამედ თვით ერთი წიგნის ფარგლებშიც. მაგალითად, მკვლევარი დაწვრილებით, მუხლ-მუხლად უდარებს „გამოსვლათა“ წიგნის ტექსტს სხვა ქართულ ხელნაწერებს, ასევე ბერძნულ, სომხურ, ებრაულ წყაროებს და მასში გარკვეული თავების მიხედვით ოთხ ტექსტუალურ ფენას გამოყოფს, რომელთაგან თითოეული განსხვავებულ დამოკიდებულებას ავლენს უცხოენოვან წყაროებთან. ეს გარემოება მეტად ართულებს ქართული რედაქციების წარმომავლობის საბოლოო დადგენას.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარს ხელთ ჰქონდა შედარების გზით მოპოვებული მრავალი კონკრეტული ფაქტი, რომელშიც აშკარად ცნაურდება ამა თუ იმ უცხოენოვანი წყაროს გავლენა ქართულ თარგმანზე, ზომიერებას, სიფრთხილეს იჩენს და თავს იკავებს განმაზოგადებელი დასკვნებისაგან, რადგან სჯერა: ბიბლიური წიგნების ქართულმა რედაქციებმა ხანგრძლივი არსებობის მანძილზე მრავალგზის განიცადეს შედარება-გადაკეთება სხვადასხვა უცხოენოვანი წყაროების ან განსხვავებული ქართული რედაქციის ტექსტების მოშველიებით, რის გამოც მათში თავი მოიყარა ბევრმა განსხვავებულმა ფენამ, ამიტომ ტექსტის ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილას გამოვლენილი უცხოენოვანი მასალის გავლენის ნაკვალების მიხედვით ჯერ ნაადრევი და გაუმართლებელია შორს მიმავალი

დასკვნების გაკეთება ქართული ბიბლიის, ან თუნდაც მისი ცალკეული წიგნების წარმომავლობის შესახებ. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს ამ უბანში უმოქმედობის გამართლებას. პირიქით, ბიბლიურ წიგნთა ქართული რედაქციების სტრიქონ-სტრიქონ ჩხრეკით უნდა გამოვლინდეს და დაგროვდეს მათში უცხოენოვანი წყაროების პირდაპირი გავლენის მაუწყებელი ტექსტუალური მასალები, რომ ასეთ კონკრეტულ ფაქტთა მთლიანობის ფონზე დარჩეს და გამოიკვეთოს ქართული ტექსტის წარმომავლობის კონტურები და მერმე გაკეთდეს განმარტებელი დასკვნები.

შრომში კარგად არის წარმოჩენილი მცხეთურ ხელნაწერზე საბას მიერ გაწეული რედაქტორული მუშაობა. მაგრამ, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია ერთი საკითხის ისტორია. მკვლევარი იზიარებს სპეციალურ ლიტერატურაში (პ. ინგოროყვას, ქრ. შარაშიძის, თ. ცქიტიშვილის მიერ) გამოთქმულ აზრს და წერს: XVIII ს. 10-იან წლებში სულხან-საბა ორბელიანის მოთავეობით და უშუალო მონაწილეობით თბილისში, ვახტანგ VI-ის მიერ ახლად დაარსებულ სტამბაში, შეუდგნენ ბიბლიის გამოცემას. „განზრახული ყოფილა პირველ წიგნად გამოსულიყო წინასწარმეტყველთა და ახალი აღთქმის წიგნები. სწორედ წინასწარმეტყველთა წიგნების სასტამბოდ გასამზადებლად აუღია საბას გელათური ხელნაწერი (ახლანდელი ხელნაწერთა ინსტიტუტის A – 1108 ხელნაწერი), დაუყვია მისი ტექსტი თავებად და მუხლებად, შეუტანია საკუთარი ხელით ტექსტში რედაქციული ცვლილებები. ა ი ა მ ხ ე ლ ნ ა ნ ე რ ი დ ა ნ ა უ ნ ყ ვ ი ა ს ტ ა მ ბ ა ს ზემოაღნიშნული ტექსტი“ (გვ. 8).

ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წინასწარმეტყველთა ტექსტი რომ გელათური ვერსიისაა, ეს დღესაც ნათელია, მაგრამ სარწმუნო არაა, რომ უშუალოდ გელათური ხელნაწერიდან (A – 1108-დან) აეწყო ტექსტი სტამბაში. პატ. პ. ინგოროყვა დამაჯერებლად წერს: საბას მიერ გასწორებული და სასტამბოდ დამზადებული გელათური ხელნაწერი გადაუციათ სტამბაში და ამ დედნიდან აუწყვიათ ტექსტი. ხელნაწერს ა ტ ყ ვ ი ა ს ტ ა მ ბ ა შ ი ა ნ ყ ო ბ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი, ს ტ ა მ ბ უ რ ი ლ ა ქ ე ბ ი (პ. ინგოროყვა, ქართ. მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, № 4, 1952, გვ. 125). ეს მტკიცება ემყარება იმის რწმენას, რომ თითქოს ნაბეჭდი და გელათური ნუსხა ტექსტუალურად იდენტური იყოს. მაგრამ ასეა? ეტყობა, ფრაგმენტული შედარებით ვერ იქნა შენიშნული საგრძნობი სხვაობანი ხელნაწერსა და ნაბეჭდ ტექსტებს შორის. ოციოდე წლის წინ, როცა იერემიას ძველი ქართული ვერსიების ტექსტს გამოსაცემად ვადგენდით, საბას მიერ რედაქტირებული გელათური ხელნაწერის ტექსტი მუხლ-მუხლად შევეუდარეთ ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილს (იერემიას ნაწილში) და მათ შორის გარკვეული სხვაობანი შევნიშნეთ და ეს ფაქტი აღვნიშნეთ კიდევ ერთ-ერთ შრომაში („სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის ერთი წყარო“: საქ. სსრ მეც. აკადემიის „მაცნე“, № 2, 1964, გვ. 205-221). დასმული საკითხის ისტორიის დადგენა გვაიძულებს, საქმით დაინტერესებულ სპეციალისტებს კვლავ შევახსენოთ ის ფაქტები, რომელთა საფუძველზე დაუჯერებელი ხდება გელათური ხელნაწერის სასტამბო ცალად მიჩნევა:

1) პარალელურ ადგილებზე მისათითებლები არ არის თანხვედნილი ნაბეჭდსა და ხელნაწერს შორის. ნაბეჭდის მისათითებლები სავსებით იმეორებს სომ-

ხური ვოსკანის ბიბლიის ვითარებას, ხელნაწერს კი ზოგან აკლია ასეთი მისათითებლები.

2) ხელნაწერი და ნაბეჭდი ტექსტები ალაგ-ალაგ აშკარად განსხვავებულია, მაგალითად, ხელნაწერშია: მივაველენ მრავალთა მთხევლართა ... დამოთხევლენ იგინი (იერ. 16, 16), ნაბეჭდშია: მივაველენ მრავალთა მონადირეთა დამონადირენ იგინი. ან კიდევ, ხელნაწერშია: განკითხული (15, 10), მზარაულმან (52, 30), ხოლო ნაბეჭდშია: განკითხული, ქონდაქარმან. ხელნაწერში საკუთარი სახელების ფორმები მოყვანილია ბერძნულის გვიანდელი გამოთქმისამებრ, ხოლო ნაბეჭდში – ძველი, ტრადიციული გამოთქმისამებრ, ე. ი. ხელნაწერშია: პასხორ, ხალდეველი, ნაბუხოდონოსორ, მადდოლო, ლომორა... ხოლო ნაბეჭდშია: პასქორ, ქალდეველი, ნაბუქოდონოსორ, მაგდოლო, გომორრა.

სწორედ ამ ტიპის ფაქტების საფუძველზე ჩვენ ვაკეთებდით სათანადო დასკვნას, რომლის განმეორება ახლაც გვიხდება: „მართალია, გელათური ნუსხა (A – 1108) შესწორებულია და გამართული საბას მიერ, მაგრამ უშუალოდ ამ ნუსხიდან არ აუნყვიათ ნაბეჭდი ტექსტი. ეს ნუსხა არ არის სასტამბოდ დამზადებული ცალი. ამ ნუსხაში შეტანილი ცვლილებები საბას რედაქტორული მუშაობის ერთ-ერთ საფეხურს შეადგენს და არა უკანასკნელს. ამიტომაც ზოგიერთი სხვაობა ამ ნუსხასა და ნაბეჭდ ტექსტს შორის: ეს სხვაობა საბას შემდგომი რედაქტორული მუშაობის შედეგია. ესაა და ეს“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 209-210). მაშასადამე, გელათური ნუსხიდან გადაწერილ ტექსტს კიდევ განუტვინია რედაქტირება და მერმე მისულა სტამბაში. ზემოაღნიშნული ფაქტებიც რომ არა, ისედაც ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ უგანათლებულეს საბას XII საუკუნის უნიკალური კატენებიანი ხელნაწერი დაეშალა და ასოთამწყობებისათვის პირდაპირ მიეცა ხელში. ასეთი რამ არ მომხდარა.

ელენე დოჩანაშვილი კარგა ხანია გულდასმით იკვლევს მცხეთური ხელნაწერის ბიბლიურ წიგნთა ტექსტის ისტორიას. გამოქვეყნებულიც აქვს ათიოდე სპეციალური შრომა ტექსტოლოგიური დაკვირვების შედეგებზე და, ალბათ, გამოცემის დასასრულს ტექსტს აახლებს ვრცელ შემაჯამებელ გამოკვლევას. მაგრამ ჯერ-ჯერობით ყველაზე საშური და სასურველი მაინც ის არის, რომ გამოცემულ ნაწილს მალე მოჰყვეს სხვა ნაკვეთები. მაშინ საზოგადოებას ხელთ ექნება ისეთი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი ფუნდამენტური ძეგლი, რომელშიც უხვ საკვლევ მასალას იპოვის სხვადასხვა პროფილის სპეციალისტი: ენათმეცნიერი, ლიტერატურისმცოდნე, ისტორიკოსი და, რა თქმა უნდა, მწერალსაც გაეხსნება საუკუნეობით დახშული კარი აქამომდე ხელუკარებელი მშვენიერი, ფერად-ფერადი და სავსე სიტყვათსაცავისა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კარგად დაწყებული მნიშვნელოვანი ეროვნული საქმე წარმატებით დაბოლოვდება.

კორნელი დანელია,

პროფესორი

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 6 ნომბერი, 1981 წელი, გვ. 12-13
გამოსაცემად მოამზადა ლაშა კაპანაძემ

**სამეცნიერო სტატიები
Scientific Papers**

**ძველი და ახალი ქართული ენა
ქართველური ენები**

**Old and New Georgian Language
Kartvelian Languages**

გიორგი გოგოლაშვილი
Giorgi Gogolashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arnold Chikobava Institute of Linguistics

ვაჟა-ფშაველას თხრობის სტილის ერთი თავისებურება
პოემების მიხედვით
On One Peculiarity of the Narrative Style in Vazha-Pshavela's
Epic Poems

საკვანძო სიტყვები: მწერალი, მთხრობელი, პერსონაჟი, პოემა, სტილი.
Keywords: Writer, narrator, character, epic poem, style.

In Vazha-Pshavela's epic poems the story is narrated in a traditional manner: the narrator observes the action taking place within the inner space from the outer space. However, he deviates from this traditional narrative style whenever it is necessary to accommodate it to the narrative situation in the poem. The narrator "penetrates" the inner space and is transformed into the 1st person (grammatically) *dramatis personae* who holds a conversation with the (2nd person) characters. Then he "returns" to the outer space and continues to narrate in the traditional style.

This peculiarity of the narrative style can be observed in epic poem "*Host and Guest*", in the episode when Khevsurians launch an assault on Kisteti (chapter 11) and after Joqola's death (chapter 13). This device is also used in the epic poem "*Bakhtrioni*". Having defeated the enemy, the troops are heading back to Pshavi. The narrator leaves the outer space and meets them near Pshavi and talks to them in the 1st person (chapter 16). Then he returns to the outer space and the narrative continues in the traditional style. This alteration of narrative styles is an important stylistic innovation in Georgian narrative literature.

Reference:

Gogolashvili, G. (2023). *mtserali, mtkhroblei, tkhrobis variatsiebi (pikrebi basil melikishvilze)*. [Writer, narrator, variations of narration (thoughts about Basil Melikishvili)]. Tbilisi: "Tbilisi State University Publishing House".

Shanidze, A. (1980). *kartuli enis gramatikis sapudzvlebi, t. III*. [Basis of the Georgian Language Grammar, vol. III]. Tbilisi: Tbilisi State University Publishing House.

ვაჟა-ფშაველა ეპიკურ ნაწარმოებებს, ჩვეულებრივ, წერს მესამე პირში: მოქმედება მიმდინარეობს მთავარ სივრცეში. მთხრობელი სხვა (გარე) სივრციდან აღწერს მოვლენებს:

„მაცნე მოიდა შატილსა,
ქისტებმა მოგვცეს ზიანი...“

მთხრობელი მთავარი სივრცის გარეთაა, თუმცა ამგვარ შემთხვევაში იმის მინიშნებასაც თვლის საჭიროდ, რომ მოვლენებს „ახლოდან“ ადევნებს თვალს, თავად იქვეა, მთავარ სივრცესთან (**მო-ვიდაო**)...

ასეა პროზაშიც – „სალამო იყო, ჭალაზედ გამოჩნდა მწკრივად მომდინარი ხალხი...“ და ა. შ.

მთხრობელს ესმის ყოველივე, ჰხედავს ყოველივეს, მაგრამ მთავარი სივრცის მიღმაა...

მთხრობელი **მესამე პირია**.

ეს ჩვეულებრივ. თუმცა არის ნაწარმოებები, სადაც მთხრობელი მთავარ სივრცეშია, პირველი პირია, პერსონაჟია...

ეს, როცა ნაწარმოები დანერილია „პირველ პირში...“

„დავბერდი, შვილო, დავბერდი,
ამიკანკალდა მუხლები.
ათრევას, – ზეზე დადგომას
მთელი დღე-ღამე ვუნდები...“

პროზაში: „პანანა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრძოვა. ცუდ დროს დავობლდი...“
მაგრამ ვაჟა-ფშაველას პოემებში არის შემთხვევები, როცა მთხრობელი იცვლის პოზიციას – გარე სივრციდან მთავარ სივრცეში შედის; და გარე სივრცეში მყოფი მესამე პირი მთავარ სივრცეში პირველ პირად გადაიქცევა, თუმცა ეს პირველი პირი არაა პერსონაჟი – მოქმედი პირი... მთხრობელი შედის მთავარ სივრცეში, რათა მოქმედ პირს გვერდით დაუდგეს, გააფრთხილოს, გააგებინოს რაღაც, წააქეზოს, ურჩიოს...

(მთხრობელისა და პერსონაჟების პირთა მონაცვლეობისა და სივრციდან სივრცეში მიმოსვლის შესახებ იხ.: გოგოლაშვილი 2023)

„სტუმარ-მასპინძელში“ არის ასეთი ეპიზოდი:

თემისგან გარიყული ჯოყოლა სახლში ჩაიკეტა; გარეთ არ გამოდის... ბისოს მივიდა ზვიადაურის დაღუპვის ამბავი... მოვლენები ასე ვითარდება: ხევსურთა ჯარი გამოილაშქრებს ქისტეთზე, რათა „მოძებნონ თავისი მკვდარი, მოკრიბონ გმირის ძვლები“... თუ ჯოყოლა არ მიიღებს ამ ბრძოლაში მონაწილეობას, ეს განამტკიცებს თემის აზრს ჯოყოლას მოღალატეობაზე...

და პოემის XI თავი იწყება მიმართვით:

„კარში გამოდი, ჯოყოლავე,
წყნარად ნუ სწევხარ კერასა,
რამდენი ხალხი მოერტყა
იმ ჩვენის მთების წვერასა!

.....
ნადი, უშველე თავისებს,
მტრის დასახვედრად მორბიან,
შენც ისე ნადი, ჯოყოლავე,
როგორაც სხვები მოდიან“.

აქ არ ჩანს, ვინ ამბობს ამას. ვაჟა-ფშაველას მესამე ტომს დართული შენიშვნებიდან ვიგებთ, რომ მე-11 თავს პირველ ვარიანტში სხვაგვარი დასაწყისი ჰქონია: ალაზა მოუწოდებდა ჯოყოლას, გამოსულიყო გარეთ და დახმარებოდა ქისტებს: პოემის ვარიანტებში ასეთი სტროფია:

„**ცოლი ეტყოდა ჯოყოლას:**
შენც რად არ უშველ ქისტებსა?
მიდიან, აგერ, უცქირე
ადე, თან გაჰყევ ბიჭებსა“.

როგორც ვხედავთ, პირველ ვარიანტში რეპლიკის ავტორად ალაზა არის მოაზრებული. საბოლოო ვარიანტში ალაზა აღარ ჩანს...

ამ დროისათვის ჯოყოლას ორი გულშემოტივარი ჰყავს: ალაზა და მთხრობელი; კი ათქმევინა პირველ ვარიანტში ალაზას – „შენც რად არ უშველ ქისტებსაო?... ადე, თან გაჰყევ ბიჭებსაო“. მაგრამ გახსოვთ „ვეფხისტყაოსნიდან“? – „ქალი ომსა რაგვარ მანვესო?!“ – იწყინა ტარიელმა ნესტანისაგან შეხსენება... ღირსების შემლახველი იყო ვაჟკაცისათვის ეს... როგორც ჩანს, ამ ამბავმა ვაჟაც დააფიქრა და აღარ შეურაცხყო ჯოყოლა... გამოსავალი მოძებნა: მთხრობელი შე-

იყვანა მთავარ სივრცეში და ჯოყოლას მასთან დიალოგი გაამართვინა... ანუ: ორი ვარიანტიდან (ალაზა თუ მთხრობელი) არჩევანი რაინდული პრინციპით მთხრობელზე გააკეთა...

ერთი რამეც არის საფიქრალი: ვაჟამ იცოდა, რომ მომდევნო ეპიზოდში ალაზასთან იქნებოდა ასეთი საუბარი საჭირო და... ამჯობინა, თემისაგან მოკვეთილ ორივე პერსონაჟთან მთხრობელს ესაუბრა; ამით ისიც გვითხრა, რომ მთხრობელის სიმპათიები ამ პერსონაჟთა მხარესაა... ანუ: მთხრობელი გარე სივრციდან შედის მთავარ სივრცეში; დიალოგს მართავს პერსონაჟებთან (მიმართავს მათ, იღებს პასუხს). ანუ: ნეიტრალური პირი ჩაერთვება მოქმედებაში, გადაიქცევა პირველ პირად და პირიქით...

მძიმე ვითარებაა აღწერილი XIII თავში; ჯოყოლა დაიღუპა; ახლა ალაზა სულ მარტო დარჩა... არადა სჭირდება თანადგომა, გამხნეება... მთხრობელს არჩევანი აღარ აქვს... ამიტომ ისევ შედის მთავარ სივრცეში ალაზას თანამდგომად, ჭირისუფლად; თანაუგრძნობს მას და რჩევას აძლევს (რეპლიკის ავტორს არც აქ ასახელებს პოეტი).

XIII თავი ასე იწყება:

„– უცხო კაცისა მოზარევე,
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია,
ნადი, იტირე, ალაზავ,
სამარეს მიაბარია;
თავს დაჰყრანტალებს ყორანი,
წვერ-ულვაშს უცრის ქარია“.

აქაც მთხრობელი უკვე მთავარ სივრცეშია; იგი პირველი პირია, ალაზა – მეორე პირი...

და გაიმართა დიალოგი მთხრობელსა და პერსონაჟს შორის...

ალაზას „პასუხი“ აშკარად მიანიშნებს თხრობის სტილის შეცვლის მიზანს: თვითმხილველის, უბედურების თანაგანმცდელის ენით მოგვითხროს, ერთი მხრივ, თემისა და, მეორე მხრივ, ჯოყოლას ქმედების ავ-კარგი. ასეთი სტილური ხერხი გაცილებით მეტ დამაჯერებლობას მატებს მოთხრობილ ამბავს. მთხრობელს (პირველ პირს) მიმართავს ალაზა:

„– შენს მტერსა ისეთი ყოფნა,
რო ჩემი ყოფნა მწარია!
ალარვინ მივლის ახლოსა,
არვინ მიჭირა მხარია.
იქვე დავმარხე კლდის თავზე,
საფლავიც გავუთხარია;
სუყველამ ზურგი მაქცია,
ყველაყა განზე მდგარია.
სასაფლაოც კი შემიკრეს,
რო დამემარხა ცხედარი:
ჯოყოლამ გვილალატაო,
მაგის ადგილი ეგ არი,
საცა მარტოკა ომოზდა,

ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი,
თემის პირისა გამტენი,
ორგული, დაუდეგარი.
ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს,
უალო, მოუდეგარი;
გულს მიკლავს, გონებას მირევს
ფიქრები გაუგებარი!“

დაგვეთანხმებით: ეს ამბავი რომ გარე სივრციდან მოეთხრო მთხრობელს, ასეთი მხატვრული ეფექტი აღარ ექნებოდა.

* * *

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ვაჟა-ფშაველა ცვლის თხრობის სტილს. „ბახტრიონში“ („სტუმარ-მასპინძელზე“ ერთი წლით ადრე დაწერილ პოემაში) დაახლოებით ასეთივე ვითარებაა:

ჩვეულებრივ ავტორ-მთხრობელი გარე სივრცეშია; პერსონაჟები – მთავარ სივრცეში. მთხრობელი აღწერს მოვლენათა განვითარებას; ავტორისეულ თხრობას ენაცვლება დიალოგები, მონოლოგები... ქართველთა გამარჯვებით დასრულდა ბრძოლა:

„აივსო თათრის ძვლებითა
ის ბახტრიონის არეა.

.....
ეს ის დრო იყო, როდესაც
მთასა ჰლოცავდა ბარია,
როს სალოცავად მიაჩნდა,
მთიელის ხალხის გვარია...“

ეს მე-15 თავის დასასრულია.

და მთხრობელს უჩნდება სურვილი გმირების წარმოჩენისა, საბრძოლო პერიპეტეიების დაწვრილებითი აღწერისა; ღირსეულთათვის ღირსი პატივის მიგებისა, უღირსთა მხილებისა... და გენიალურმა ვაჟამ აქ საოცრად საინტერესო სტილურ ხერხს მიმართა: მესამე პირის თხრობა გადაიყვანა პირველ პირში; XIX საუკუნიდან მთხრობელი „ჩაიყვანა“ XVII საუკუნეში; ფშავის კართან შეახვედრა გამარჯვებულ ჯარს და გაუმართა დიალოგი. მთხრობელი სვამს კითხვებს, ლაშქარი უპასუხებს...

მე-16 თავი იწყება შეკითხვით:

„– საით მოსდიხართ, ფშავლებო,
ცხენ-ხეთქით, რიალითაო?
ღრეობით, მხიარულადა,
ჩაჩქნების კრიალითაო?
ლაშარის ჯვარის დროშისა
საამო წკრიალითაო?!“

ეს უკვე მთავარ სივრცეში შესული მთხრობელია. არავითარი სიტყვიერი მინიშნება ამის შესახებ არ არის: მხოლოდ გრამატიკულ პირთა მონაცვლეობა... მოიძებნა სტილური საშუალება მხატვრული ეფექტის შესუსტების გარეშე; პი-

რიქით, ეს ეფექტი ამ ხერხით უფრო გაძლიერდა; მთხრობელი საკმაოდ ვრცელ დიალოგს გამართავს ბრძოლის მონაწილე მთიელებთან.

ამგვარი კითხვა-პასუხის მეთოდით აღწერს ბრძოლის შედეგებს. პირველი კითხვა ზემოთ მოვიყვანე.

ფშაველთა პასუხი:

„ – საით და კახეთს ვიყვენით,
ბახტრიონს ჩავიყარენით;
ჩვენა, თუშნი და ხევსურნი
პანკისში შავიყარენით.
ვაცადეთ ჩვენი საცდელი,
ეხლა კი გავიყარენით“.

და ეს თავი (მე-16) დიალოგია მთხრობელსა და ფშავლებს შორის. მთხრობელი პირველი პირია, ფშავლები – მეორე:

მთხრობელი სვამს კითხვებს:

„– რა გქონდათ, კაცნო, საცდელი,
რა გქონდათ საომარია?...
– საკაცით ვინლა მიგაქვისთ,
ნაბდებში შახვეულები?...
– ვის მოგილოცოთ სახელი,
ვინა ხართ სახელიანი?...
– ახლა ისა სთქვით, მოყმენო,
ვინ დარჩა სირცხვილიანი?...
– თუშჩი ვინ ვარგდა, მითხარით,
კაცად ვინ უფრო არია?...
– ბერი სადლაა ლუხუმი,
დამრიგებელი ფშავისა?“...

სულ 7 კითხვა დასვა მთხრობელმა; მოკლე, ლაკონიური... ამით შესაძლებლობას აძლევს მკითხველს წარმოიდგინოს სრული სურათი ბრძოლისა; მისი შედეგები... უკვდავეყოს გმირთა საქმენი და სახელები, ამხილოს „სირცხვილიანი“... ყველა კითხვას უპასუხეს ფშავლებმა...

მერე ისევ ბრუნდება მთხრობელი გარე სივრცეში და განაგრძობს თხრობას – რა ხდება მთავარ სივრცეში...

ეს სტილური ხერხი მკვეთრად გამოხატული ინდივიდუალური მცდელობაა ვაჟა-ფშაველასი, ორიგინალური მიგნება (შეიძლება ვცდები, მაგრამ მსგავსი სტილური ხერხი სხვა არ მახსენდება...).

ლიტერატურა:

გოგოლაშვილი, გ. (2023). მწერალი, მთხრობელი, თხრობის ვარიაციები (ფიქრები ბასილ მელიქიშვილზე). თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ვაჟა-ფშაველა (1964). თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. 3. თბილისი: თსუ გამომცემლობა.

ქეთევან დათუკიშვილი

Ketevan Datukishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics

ნაცვალსახელთა კლასიფიკაციისათვის თანამედროვე ქართულში

(პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები)

On the Classification of Pronouns in Modern Georgian

(Personal and Demonstrative Pronouns)

საკვანძო სიტყვები: ნაცვალსახელთა კლასიფიკაცია, პირის ნაცვალსახელები,
ჩვენებითი ნაცვალსახელები.

Keywords: classification of pronouns, personal pronouns, demonstrative pronouns.

In Georgian, there are 10 groups of pronouns. The units comprising each group have been defined by numerous Georgian scholars. In my opinion, this classification requires further clarification regarding certain cases. The paper focuses on personal and demonstrative pronouns.

According to A. Shanidze, the personal pronouns in Georgian are as follows: მე /me/ (I), შენ /shen/ (you (singular)), ეს /es/ (this), ეგ /eg/ (that), ის /is/ (he, she, it, that) (იგი /igi/ (he, she, it)); ჩვენ /chven/ (we), თქვენ /tkven/ (you plural), ესენი /eseni/ (these), ეგენი /egeni/ (those), ისინი /isini/ (იგინი/ igini/) (they/those); თავი /tavi/ (self). The demonstrative pronouns are: ეს /es/ (this), ეგ /eg/ (that), ის /is/ (იგი /igi/) (that); ასეთი /aseti/ (აგეთი /ageti/) (such), ეგეთი /egeti/ (მაგეთი /mageti/) (that kind of), ისეთი /iseti/ (such); ამნაირი /amnairi/ (this kind of), მაგნაირი /magnairi/ (that kind of), იმნაირი /imnairi/ (that kind of); ამისთანა /amistana/ (such), მაგისთანა /magistana/ (that kind of), იმისთანა /imistana/ (that kind of); ამდენი /amdeni/ (so much/so many), მაგდენი /magdeni/ (that much/that many), იმდენი /imedeni/ (that much/that many) (Shanidze, p. 43).

The above-mentioned groups are presented in the same way (with slight changes) in the works of other authors: L. Kvachadze, Z. Peikrishvili, A. Martirosov, A. Arabuli...

As we can see from the above list, ეს /es/, ეგ /eg/, ის /is/, იგი /igi/ are viewed in the Georgian linguistic literature on the one hand as III person pronouns, and, on the other hand, as demonstrative ones. In my opinion, such classification creates certain problems. Therefore, we should work out a different approach.

It is widely known that personal pronouns express the participation (role) of a person or “non-person” in the process of speech. Hence, the pronoun defines the person – first (I), second (you) or third (he/she/it). The demonstrative pronoun names a person (first, second or third) not participating in the conversation, but being close to the participant of the conversation (either first, second or third), as well as a certain quality, quantity etc. ეს /es/ (this), ამნაირი /amnairi/ (such), ამდენი /amdeni/ (so much/so many)... ეგ /eg/ (that), მაგნაირი /magnairi/ (that kind of), მაგდენი /magdeni/ (that much)...

ეს /es/ (**this**) and ეგ /eg/ (**that**) always (both in nominal and verbal collocations) express closeness to the first or second person. Hence, they should be qualified as demonstrative pronouns.

As for the pronoun ის /is/ (**that**), in nominal collocations it expresses an object or a person that is close to the third person. Thus, it is a demonstrative pronoun: ის ბავშვი / is bavshvi/ (that child), ის სახლი /is sakhli/ (that house). However, in verbal collocations, this pronoun is, in the majority of cases, a personal pronoun: ის მოვიდა /is movida/ (he/she came), ის წერს /is tsers/ (he/she writes)... Yet, in certain contexts, it may perform the function of a demonstrative pronoun, for instance, ან ის მოვიდეს, ან ეს /an is movides, an es/ (either that person comes or this person).

Thus, the pronoun ის /is/ should be included in two different groups, namely, it should be considered as a demonstrative pronoun in the opposition: ეს /es – ეგ /eg/ – ის /is/ (**this – that**); and as a personal pronoun in the opposition: მე /me/ – შენ /shen/ – ის /is/ (**I, you, he/she/it**). In this case, the pronoun ის /is/ is a synonym of the pronoun იგი /igi/ (he/she/it).

The same refers to the plural forms: ესენი /eseni/ and ეგენი /egeni/ are demonstrative

pronouns, whereas ისინი /isini/ is both demonstrative and personal pronoun. It acts as a personal pronoun in the opposition: ჩვენ /chven/– თქვენ /tkven/ – ისინი /isini/ (**we-you-they**), and as a demonstrative pronoun in the opposition ესენი /eseni/– ეგენი /egeni/ – ისინი /isini/ (**these-those**). იგინი /igini/ is rarely found in modern Georgian and always acts as a personal pronoun, like the pronoun იგი /igi/.

This, ეს /es/, ეგ /eg/, ესენი /eseni/, ეგენი /egeni/ are always demonstrative pronouns, whereas ის /is/ and ისინი /isini/ can be both demonstrative and personal pronouns.

Based on the above-mentioned, modern Georgian personal and demonstrative pronouns should be classified as follows:

ersonal pronouns: მე /me/ (I), შენ /shen/ (you (singular)), ის // იგი /is//igi/ (he, she, it); ჩვენ /chven/ (we), თქვენ /tkven/ (you (plural)), ისინი /isini/, [იგინი /igini/] (they);

Demonstrative pronouns: ეს /es/ (this), ეგ /eg/ (that), ის /is/; ესენი /eseni/ (these), ეგენი /egeni/ (those), ისინი /isini/ (those); ასეთი /aseti/ (such), ეგეთი /egeti/ (that kind of), ისეთი /iseti/ (such); ამნაირი /amnairi/ (this kind of), მაგნაირი /magnairi/ (that kind of), იმნაირი /imnairi/ (that kind of); ამისთანა /amistana/ (such), მაგისთანა /magistana/ (that kind of), იმისთანა /imistana/ (that kind of); ამგვარი /amgvari/ (this kind of), მაგგვარი /maggvari/ (that kind of), იმგვარი /imgvari/ (that kind of); ამდენი /amdenni/ (so much/so many), მაგდენი /magdeni/ (such a lot), იმდენი /imdeni/ (that many/that much).

References

- Arabuli, A. (2016). Akhali kartuli ena. tsigni I, saliteraturo enis morpologia [New Georgian Language, Book I. Morphology of the Literary Language]. Tbilisi: “Tbilisi State University Publishing House”.
- Chartolani, N. (1985). The Systems of Demonstrative Pronouns in Georgian as Compared to other Kartvelian Languages. Tbilisi: “Metsniereba” Publishing House.
- Kvachadze, L. (1993). The Georgian language. Fourth Revised Edition. Tbilisi: “Rubikoni” Publishing House.
- Martirosov, A. (1964). The Pronoun in Kartvelian Languages (Historical-Comparative Analysis). Tbilisi: “Publishing House of the Georgian Academy of Sciences”.
- Peikrishvili, Z. (2018). Kartuli enis morpologia [Morphology of the Georgian Language]. Tbilisi: “Logos”.
- Sanikidze, I. (2023). For One Group of Pronouns in the New Georgian Language, Collected Scientific Works Kartvelian Linguistics, IX. Tbilisi: “Tbilisi State University Publishing House”, 106-113.
- Shanidze, A. (1980). Kartuli enis gramatikis sapudzvlebi [Basics of Georgian Grammar] in 12 volumes, v. III. Tbilisi: “Tbilisi State University Publishing House”.
- Chikobava, A. (1998). General Characteristics of the Georgian Language. Tbilisi: “Kartuli Ena”.

ქართულ ენაში ნაცვალსახელთა 10 ჯგუფს გამოყოფენ: პირის, ჩვენებითი, კითხვითი, კუთვნილებითი, კითხვით-კუთვნილებითი, მიმართებითი, ურთიერთობითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ა. მარტიროსოვი, ჟ. ფეიქრიშვილი...).

ჩვენი აზრით, ნაცვალსახელთა კლასიფიკაცია ზოგ შემთხვევაში დაზუსტებას მოითხოვს. ამჯერად შევეხებით პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფებს.

ა. შანიძის მიხედვით, პირის ნაცვალსახელებია: მე, შენ, ეს, ეგ, ის (იგი); ჩვენ, თქვენ, ესენი, ეგენი, ისინი (იგინი); თავი.

ჩვენებით ნაცვალსახელთა ჩამონათვალი კი ამგვარია: ეს, ეგ, ის (იგი); ასეთი (აგეთი), ეგეთი (მაგეთი), ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამდენი, მაგდენი, იმდენი (შანიძე, 1980, გვ. 43).

დასახელებული ჯგუფები თითქმის ასევეა (მცირე სხვაობით) წარმოდგენილი სხვა ავტორებთანაც: ლ. კვაჭაძე, ჟ. ფეიქრიშვილი, ა. მარტიროსოვი, ა. არაბული...

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, **ეს, ეგ, ის, იგი** ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში განიხილება, ერთი მხრივ, როგორც მესამე პირის და, მეორე მხრივ, როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელები. ჩვენი აზრით, ამგვარ განაწილებას გარკვეული წინააღმდეგობანი ახლავს, კერძოდ:

1. წინააღმდეგობრივია თავისთავად ერთი და იმავე ნაცვალსახელთა (**ეს, ეგ, ის, იგი**) წარმოდგენა ორ სხვადასხვა ჯგუფში – კლასიფიკაციის პრინციპი ირღვევა;
2. ბრუნების სისტემის განხილვისას **ეს, ეგ, ის, იგი** სიტყვათა პარადიგმები მოცემულია ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფში, პირის ნაცვალსახელებში კი ისინი არ არის წარმოდგენილი; ამ უკანასკნელთა კატეგორიაში განიხილება მხოლოდ პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები; ამდენად, ბრუნებისას პირის ნაცვალსახელების ჯგუფი მესამე პირის ნაცვალსახელის პარადიგმის გარეშე რჩება (შანიძე, 1980; კვაჭაძე, 1993, ფეიქრიშვილი, 2018);
3. მრავლობითი რიცხვის ფორმები (**ესენი, ეგენი, ისინი**) დასახელებულია პირის ნაცვალსახელებთან, ჩვენებითებთან – არა. ბრუნებისას კი ისინი განხილულია ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფში (შანიძე, 1980; კვაჭაძე, 1993, ფეიქრიშვილი, 2018);
4. ჩვენებითი ნაცვალსახელების რიგშია წარმოდგენილი **იგი** ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა (**იგი, მა-ნ, მა-ს... მრავლობითში: იგი-ნ-ი, მა-თ...**); ცნობილია, რომ **იგი** თანამედროვე ქართულში ჩვენებითის მნიშვნელობით აღარ გამოიყენება, მას მხოლოდ პირის ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს. ამიტომ მისი განხილვა ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფში მიუღებელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ **ეს – ეგ – ის** ნაცვალსახელებს ორმაგი ფუნქციონალური როლი აქვთ: ზმნასთან შესიტყვებაში პირის ნაცვალსახელებია (**ის** მოვიდა), სახელთან შესიტყვებაში კი – ჩვენებითი (**ის** კაცი მოვიდა) (პაპიძე, 1998, გვ. 111; არაბული, 2016, გვ. 242-3; ფეიქრიშვილი, 2018, გვ. 136...).

სახელურ შესიტყვებაში **ის** უდავოდ ჩვენებითი ნაცვალსახელია. ზმნური შესიტყვებისას კი, მართალია, შემთხვევათა აბსოლუტურ უმრავლესობაში **ის** პი-

რის ნაცვალსახელის ფუნქციით დასტურდება, მაგრამ გარკვეულ კონტექსტებში შეიძლება ჩვენებითის მნიშვნელობასაც გამოხატავდეს, მაგალითად: არც **ის** მოსწონს და არც **ეს**; ან **ის** აირჩიე, ან **ეს**. ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, ამგვარ შემთხვევებში **ის** ნაცვალსახელი, როგორც ზმნური შესიტყვევის წევრი, პირის ნაცვალსახელებს უნდა მივაკუთვნოთ, რაც არასწორია. ჩვენი აზრით, ფუნქციონალური როლის საფუძველზე ნაცვალსახელების განაწილება სხვადასხვა ჯგუფში მართებული არ არის. ნაცვალსახელთა ჯგუფები უნდა გამოიყოს არა მათი სინტაქსური ფუნქციის, არამედ მნიშვნელობის მიხედვით, თუ რას გამოხატავენ ისინი.

როგორც ცნობილია, პირის ნაცვალსახელი გამოხატავს პირს ან „არაპირს“ საუბრის პროცესში მისი მონაწილეობის (როლის) თვალსაზრისით, შესაბამისად, განისაზღვრება პირის რომელობა – პირველი, მეორე ან მესამე:

I – **მე**: მოსაუბრე პირი;

II – **შენ**: პირი, რომელსაც მოსაუბრე მიმართავს;

III – **იგი, ის**: პირი, რომელიც საუბარში არ მონაწილეობს.

ჩვენებითი ნაცვალსახელი კი ასახელებს არა უშუალოდ საუბარში მონაწილე ან არმონაწილე პირს (პირველს, მეორეს ან მესამეს), არამედ რომელიმე მათგანთან (პირველთან, მეორესთან ან მესამესთან) ახლოს მყოფს, ან ამ ახლოს მყოფის თვისებას, რაოდენობას და მისთ.:

ეს – პირველ პირთან მყოფი;

ამნაირი – პირველ პირთან მყოფის მსგავსი;

ამდენი – პირველ პირთან მყოფთა რაოდენობისა;

ეგ – მეორე პირთან მყოფი;

მაგნაირი – მეორე პირთან მყოფის მსგავსი;

მაგდენი – მეორე პირთან მყოფთა რაოდენობისა და ა. შ.

ეს და **ეგ** ყოველთვის პირველ ან მეორე პირთან ახლოს მყოფობის შინაარსს გამოხატავენ. შესაბამისად, ისინი ყველა შემთხვევაში ჩვენებით ნაცვალსახელებს უნდა მივაკუთვნოთ.

რაც შეეხება **ის** ნაცვალსახელს, ის ორი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. შესაბამისად, სხვადასხვა ჯგუფში უნდა გაერთიანდეს. კერძოდ, პირის ნაცვალსახელია, თუ უშუალოდ მესამე (საუბარში არმონაწილე) პირს გამოხატავს, ხოლო ჩვენებითია, თუ გამოხატავს მესამე პირთან ახლოს მყოფს.

პირველ შემთხვევაში (როდესაც პირის ნაცვალსახელია) **ის** შედის სამწევრა ოპოზიციაში: **მე – შენ – ის**; მეორე შემთხვევაში კი (ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქციით) – ოპოზიციაში: **ეს – ეგ – ის**.

როდესაც **ის** გამოიყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით, **ის** და **იგი** ნაცვალსახელები სინონიმებია: **ის** წერს // **იგი** წერს; **ის** დგას // **იგი** დგას... ხოლო, თუ **ის** ჩვენებითი ნაცვალსახელია, მაშინ, ბუნებრივია, არ არის **იგი**-ს სინონიმი.

არნ. ჩიქობავას **ეს** და **ეგ** არ მიაჩნია პირის ნაცვალსახელებად (ჩიქობავა, 1998, გვ. 38). ეს თვალსაზრისი ასახულია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ პირველ გამოცემაში, რომელშიც **ის** განიმარტება, ერთი მხრივ, როგორც ჩვენებითი და, მეორე მხრივ, როგორც პირის ნაცვალსახელი, ხოლო **ეს** და **ეგ**

კვალიფიცირებულია მხოლოდ ჩვენებით ნაცვალსახელებად, მათთან პირის ნაცვალსახელის მნიშვნელობა მითითებული არ არის.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ახალ რედაქციაში კი (რედაქტორი – ა. არაბული) **ეს** და **ეგ** პოლისემიური სიტყვებია. პირველი მნიშვნელობა პირის ნაცვალსახელისა აქვთ, მეორე კი – ჩვენებითისა. პირველი მნიშვნელობის განმარტება ამგვარია:

ეს 1. მესამე პირის ნაცვალსახელი, პირველ პირთან სიახლოვის მითითებით.

ეგ 1. მესამე პირის ნაცვალსახელი, მეორე პირთან სიახლოვის მითითებით.

ჩვენი აზრით, პირველ და მეორე პირთან სიახლოვის მითითება ნიშნავს, რომ ისინი ჩვენებითი ნაცვალსახელებია და არა პირისა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ეს** და **ეგ** ყოველთვის ჩვენებითი ნაცვალსახელებია, ხოლო **ის** შეიძლება იყოს ჩვენებითი ან პირის ნაცვალსახელი. მრავლობით რიცხვშიც იგივე ვითარებაა: **ესენი** და **ეგენი** ჩვენებითი ნაცვალსახელებია, **ისინი** კი ორივე მნიშვნელობით დასტურდება, კერძოდ: პირის ნაცვალსახელია, თუ გამოსატყავს პირს, რომელიც საუბარში არ მონაწილეობს (ისინი მოვიდნენ), ხოლო ჩვენებითია, თუ აღნიშნავს მესამე პირთან ახლოს მყოფს (ან **ისინი** მოვლენ, ან – **ესენი**). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით **ისინი** (**ის** ნაცვალსახელის მსგავსად) ნაკლებად გვხვდება. **იგინი** თანამედროვე ქართულში იშვიათად დასტურდება და ყოველთვის იქნება პირის ნაცვალსახელი, ისევე, როგორც **იგი**.

მაშასადამე, **ეს**, **ეგ**, **ესენი**, **ეგენი** – ჩვენებითი ნაცვალსახელებია, **ის** და **ისინი** კი ხან ჩვენებითია და ხან – პირისა. რომ განვსაზღვროთ, რომელი ჯგუფის ნაცვალსახელებს მიეკუთვნება **ის** ან **ისინი** კონკრეტულ კონტექსტში, შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი პრაქტიკული წესი: თუ შესაძლებელია **ის** ნაცვალსახელს ჩაენაცვლოს **იგი**, მაშინ **ის** პირის ნაცვალსახელია, ხოლო თუ არ ჩაენაცვლება, მაშინ – ჩვენებითი:

ის მოდის. – **იგი** მოდის: ჩანაცვლება შესაძლებელია, მაშასადამე, **ის** პირის ნაცვალსახელია.

ის კაცი მოდის. – სალიტერატურო ქართულისათვის დაუშვებელია: **იგი** კაცი მოდის. ჩანაცვლება შესაძლებელი არ არის, მაშასადამე, **ის** ჩვენებითი ნაცვალსახელია.

აღსანიშნავია, რომ **ის** და **ისინი** მხოლოდ სახელობით ბრუნვაში გამოიყენება ორი – პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის – ფუნქციით, სხვა ბრუნვებში კი მათი პარადიგმები გამიჯნულია:

მხოლოდითი რიცხვი

	პირის ნაცვალსახელი	ჩვენებითი ნაცვალსახელი
სახ.	ის	ის
მოთხ.	მან	იმან
მიც.	მას	იმას
ნათ.	მის	იმის
მოქ.	მით	იმით
ვით.	[მად]	იმად

მრავლობითი რიცხვი

	პირის ნაცვალსახელი	ჩვენებითი ნაცვალსახელი
სახ.	ისინი	ისინი
მოთხ.	მათ	იმათ
მიც.	მათ	იმათ
ნათ.	მათ	იმათ

რადგან დასახელებულ ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმები სხვადასხვაა, ეს დამატებით უწყობს ხელს მათ გამიჯვნას კლასიფიკაციის დროს, ამასთან, კიდევ უფრო ცხადს ხდის ის ნაცვალსახელის ორგვარ ბუნებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ **ეს** და **ეგ** ნაცვალსახელებს ბრუნების მხოლოდ ერთი პარადიგმა აქვთ, შესაბამისად, ისინი ნაცვალსახელთა მხოლოდ ერთ ჯგუფში უნდა იყოს წარმოდგენილი.

თუ განხილული ერთეულები ამგვარად განაწილდება პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფებში, მაშინ დაზუსტდება ნაცვალსახელების სამწევრა სისტემა.

ზემოთ ჩვენ ვმსჯელობდით იმის შესახებ, რომ **ეს** და **ეგ** სიტყვათა განხილვას პირის ნაცვალსახელების ჯგუფში გარკვეული წინააღმდეგობები ახლავს. წინააღმდეგობა იქმნება სამწევრა სისტემის თვალსაზრისითაც, კერძოდ: როდესაც **ეს** და **ეგ** პირის ნაცვალსახელების ჯგუფში განიხილება, სამწევრა სისტემა ვერ აიგება, რადგან მესამე კომპონენტი („მესამე პირი“) ოთხი ელემენტისგან შედგენილი აღმოჩნდება:

მხ. რ.: ეს, ეგ, ის, იგი;

მრ. რ.: ესენი, ეგენი, ისინი [იგინი].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, **ეს**, **ეგ**, **ესენი**, **ეგენი** პირის ნაცვალსახელებთან არ უნდა იყოს წარმოდგენილი; ამ უკანასკნელ ჯგუფში მესამე პირის ნაცვალსახელებად განიხილება მხოლოდ ეს სიტყვები: **ის**, **იგი** (მხ. რ.), **ისინი**, **[იგინი]** (მრ. რ.). ასეთ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელთა სამწევრა სისტემის მესამე კომპონენტი ორ-ორი ნაცვალსახელით იქნება წარმოდგენილი მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში, მაგრამ ეს სისტემას არ არღვევს, რადგან **იგი** და **ის**, აგრეთვე **იგინი** და **ისინი** სინონიმებია. იგივე აზრი აქვს გამოთქმული ნელი ჩართოლანს, ოღონდ აღნიშნულ ერთეულებს ის განიხილავს, როგორც ჩვენებით ნაცვალსახელებს, მსჯელობს მათი გენეზისის შესახებ და დასძენს: „საბოლოოდ მივიღეთ ოთხი ნაცვალსახელისაგან შედგენილი სისტემა, რომელიც ფუნქციობს, როგორც სამწევროვანი, ვინაიდან ორი ნაცვალსახელი [ის // იგი] სინონიმურია“ (ჩართოლანი, 1985, გვ. 144).

აღნიშნულის საფუძველზე წარმოვადგენთ პირის ნაცვალსახელთა სამწევრა სისტემას:

I პირი	II პირი	III პირი
მე	შენ	ის // იგი
ჩვენ	თქვენ	ისინი // [იგინი]

რაც შეეხება ჩვენებით ნაცვალსახელებს, აქ სამწვერა სისტემა მწყობრია:

I პირთან სიახლოვე	II პირთან სიახლოვე	III პირთან სიახლოვე
ეს	ეგ	ის
ესენი	ეგენი	ისინი
ასეთი	ეგეთი	ისეთი
ამნაირი	მაგნაირი	იმნაირი
ამისთანა	მაგისთანა	იმისთანა
ამგვარი	მაგგვარი	იმგვარი
ამდენი	მაგდენი	იმდენი

სამწვერა სისტემა წარმოდგენილია კუთვნილებით ნაცვალსახელებშიც, მაგრამ ეს ჯგუფი ამჟერად ჩვენი მსჯელობის საგანი არ არის.

საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ნაცვალსახელთა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით ინგა სანიკიძეს, რომელიც სვამს საკითხს იმის შესახებ, რომ „იგივე“ და „ერთი და იგივე“ უნდა აისახოს ნაცვალსახელთა შინაარსობრივ ჯგუფებში. ავტორი გვთავაზობს ახალი ჯგუფის – იგივეობითის – გამოყოფას (სანიკიძე, 2023). ჩვენ ვეთანხმებით მის მოსაზრებას **იგივე** ნაცვალსახელის შინაარსობრივ ჯგუფებში გაერთიანების შესახებ. შესაძლებელია იგივეობითის გამოყოფა ანდა **იგივე-ს** გაერთიანება განსაზღვრებით ნაცვალსახელთა ჯგუფში. **ერთი და იგივე** კი, ჩვენი აზრით, არცერთ ჯგუფში არ უნდა იყოს განხილული, რადგან ის ნაცვალსახელური შესიტყვებაა და არა ნაცვალსახელი.

ინგა სანიკიძე აღნიშნავს, რომ **იგივე** ნაცვალსახელს ზოგჯერ პირის ნაცვალსახელის ფუნქციაც აკისრია (სანიკიძე, 2023, გვ. 110). ავტორი იზიარებს სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილ თვალსაზრისს, რომ **ეს, ეგ, ის, იგი** საზიარო ნაცვალსახელებია პირისა და ჩვენებითი ჯგუფებისათვის. იგი აღნიშნავს: „ეს / ეგ /ის / იგი ნაცვალსახელთა მიკუთვნებულობა იმისდა მიხედვით წყდება, თუ რასთან დგანან, ანუ რას მიემართებიან ისინი: I. ზმნას („ეგ მომწონს“) თუ II. სახელს („ეგ ქალი“). სწორედ ამავე პრინციპით უნდა გაიმიჯნოს **იგივე** და **ერთი და იგივე** ნაცვალსახელები, რომლებიც ასევე საზიარონი აღმოჩნდებიან ორი შინაარსობრივი ჯგუფისათვის – პირისა და იგივეობითი ჯგუფისათვის (პირისა: „იგივე მტკივა“; იგივეობითი: „იგივე სატკივარი“)“ (სანიკიძე, 2023, გვ. 112).

ჩვენ ვერ დავეთანხმებით **იგივე** (და მით უმეტეს – **ერთი და იგივე**) ნაცვალსახელის პირის ნაცვალსახელთა ჯგუფში გაერთიანებას იმ არგუმენტების გამო, რომლებიც ზემოთ გვქონდა განხილული. **იგივე** ნაცვალსახელი უდავოდ უნდა იყოს წარმოდგენილი საკლასიფიკაციო ჯგუფებში, მაგრამ არა პირის ნაცვალსახელებში.

ზემოთ განხილულის საფუძველზე თანამედროვე ქართულში პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ჩამონათვალი შეიძლება ამგვარად დაზუსტდეს:

პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, ის // იგი; ჩვენ, თქვენ, ისინი;¹

¹ ნაცვალსახელი „თავი“ ცალკე, კერძოდ, უკუქცევითი ნაცვალსახელის ჯგუფში უნდა იყოს წარმოდგენილი (იხ. ა. არაბული, 2016, გვ. 243).

ჩვენებითი ნაცვალსახელები: ეს, ეგ, ის; ესენი, ეგენი, ისინი; ასეთი, ეგეთი, ისეთი; ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი; ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა; ამგვარი, მაგგვარი, იმგვარი; ამდენი, მაგდენი, იმდენი.

როგორც ცნობილია, პირის ნაცვალსახელები მხოლოდ ძირეული სიტყვებია, ჩვენებითებში კი ძირეულის გარდა რთულფუძიანი ნაცვალსახელებიც გვხვდება (ამნაირი, ამისთანა...), ამიტომ ამ უკანასკნელთა სია შეიძლება კიდევ განვირცოთ.

ლიტერატურა:

- არაბული, ა. (2016). ახალი ქართული ენა, წიგნი I, სალიტერატურო ენის მორფოლოგია, გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
- კვაჭაძე, ლ. (1993). ქართული ენა, მეოთხე შესწორებული გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „რუბიკონი“.
- მარტიროსოვი, ა. (1964). ნაცვალსახელი ქართველურ ენებში (ისტორიულ-შედარებითი ანალიზი). თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- პაპიძე, ა. (1998). მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი XI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- სანიკიძე, ი. (2023). ნაცვალსახელთა ერთი ფგუფისათვის ახალ ქართულ ენაში, სამეცნიერო შრომების კრებული „ქართველური ენათმეცნიერება“, IX. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“, გვ.106-113.
- ფეიქრიშვილი, ე. (2018). ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი 12 ტომად, ტ. III. თბილისი: „თსუ გამომცემლობა“.
- ჩართოლანი, ნ. (1985). ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ჩიქოვაძე, ა. (1998). „ქართული ენის ზოგადი დახასიათება“. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.

რუსუდან ზეკალაშვილი
Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

მეორე კავშირებითის უმართებულო ფორმები თანამედროვე ქართულში¹
The Wrong Forms of the Optative in Modern Georgian²

საკვანძო სიტყვები: ქართული ენა, ქართული ზმნა, მართლწერა, მეორე კავშირებითი, უნიფიკაცია.

Keywords: Georgian language, Georgian verb, orthography, optative, unification.

¹ მოხსენების ერთი ნაწილი წაკითხულია ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, 12 აპრილი, 2024, თსუ, თეზისები, გვ. 18-21.
https://www.researchgate.net/publication/380035782_kartuli_enis_dghisadmi_midzghvnili_sametsniero_konperentsia_tezisebi_Scientific_Conference_Dedicated_to_The_Georgian_Language_Day

² One part of this research has been presented as a paper at the Scientific Conference Dedicated to the Georgian Language Day, Abstracts, pp. 18-21.

It is well-known that language never stops its development but this process continues throughout the entire process of its existence and use. But it is also known that grammatical structure is generally more stable and changes occur quite slowly. This reason implies the peculiarities of the conjugation forms of verbs as well.

We will separate and discuss some peculiar reasons out of a number of them:

1. Influence of the dialectal speech and entering more forms differing from the literary language forms;

2. Finding resemblance with any other form of the word and moving on to its peculiar formation;

3. Analogy with other, quite different language events;

4. Striving towards unification;

5. Phonetical events which sometimes cause the alteration of the word forms (for example, changing certain sounds, replacing them or giving place to other sounds, putting additional sounds where they did not occur earlier, and so on).

Within Georgian dialects and colloquial speech, it is quite frequent to include (or on the contrary - to miss) the sound **-n**:

This is the result of the influence of infinitive having in it the sound **-n** (*ishovnis, ishovna, ushovnia, ip'ovnis, ip'ovna, up'ovnia...*).

This consonant is also met in the process of using the forms of the III tense groups of transitive verbs (*dauts'ernia, daets'erna, daech'amna, gvetesna...*):

Nasalization among the theme markers or in some forms of the East Georgian dialects, with the theme markers **-av, eb**, and the forms which do not have verb thematical markers at all (We meet such forms as *tesans, gaak'etanda, ak'landa, daumalans, vighendi, ts'erans...*);

The consonant **-n** is met also in static verbs, in the present tense form we meet archaic forms (*sts'adia-n, hkvia-n, sheudzlia-n...*). In such cases, the consonant **-n** is seen almost in every suffix of the verbs with the subject person, excluding the suffix **-es**: **-an, -en, -nen, -n**. The archaic forms are met as well as in other mentioned cases. When the consonant **-n** is added, then in the third person plural forms we have, as usual, the forms with **-n-o-n** endings: **-n** (is added) + **-o** (marker of the Optative form) + **-n** (plural marker in the third person).

According to the National corpus of the Georgian language, the above-mentioned ending **-non** is used in the **first** as well as in the **second** diathesis verbs (but mostly among the **second** diathesis with the **-e** prefix). It is met after the seventeen consonants: **b, g, d, v, z, t, l, m, p', r, s, t', sh, ts, ts', kh, j**. But besides the wrong forms (*daighalnon, daests'rnon, sheechvivnon, daemat'non, daekhmarnon...*), we have the right examples as well. In our opinion, the wrong forms are caused by two circumstances – 1. Striving for unification in the case of the transitive verbs with **n**-stem which need adding of the **-on (n+o-n)** in the Optative forms (*loghn-o-n, daamq'n-o-n, danishn-o-n, dajabn-o-n...*);

2. The analogy of the Aorist forms (sometimes also of the Optative), where we have the ending **-nen**.

It is necessary to separate **n**-stem verbs and also other verbs with other consonants which need the Optative with the **-o** suffix. If the verb in the III person singular ends in **-o-s** (and not **-n-o-s**), in plural, in such cases, putting the consonant **-n** is a mistake. In the plural,

it is mistaken to place the **-n** consonant (sg. *sheitcval-o-s* – pl. *sheitsval-o-n*, not *sheitsval-n-o-n* – which is mistaken, but in such form as *dainishn-o-s* it is necessary to add **-n** in the plural – *dainishn-o-n*).

შესავალი

ენა თავისი არსებობის განმავლობაში მუდამ ვითარდება, განსაკუთრებით ეხება ეს ლექსიკას. გაცილებით მყარია გრამატიკული წყობა, რომელიც ძალიან ნელა იცვლება. შეიძლება შეიცვალოს ზმნის უღლებადი ფორმებიც, რომელთაგან მხოლოდ მცირე ნაწილი თუ შედის სალიტერატურო ენაში.

ამ ცვლილებათა მიზეზებიდან გამოვყოფთ რამდენიმეს:

- დიალექტური მეტყველების გავლენა და განსხვავებული ფორმების შემოტანა სალიტერატურო ენაში;
- რომელიმე ფორმასთან მიმსგავსება და წარმოების აღრევა;
- ფონეტიკური მოვლენებით განპირობებული ფორმათა ცვლა (მაგ., ბგერათა გადანაცვლება, ჩანაცვლება, ჩართვა, გაჩენა და სხვ.);
- ანალოგია სხვა ენობრივ მოვლენებთან;
- უნიფიკაციისკენ სწრაფვა.

1. -ნ ბგერა ზმნებში ქართულ ენასა და დიალექტებში

1.1 -ნ პირის ნიშნებში

ნ-ბგერა ხშირად შედის ზმნის ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის გამომხატველ აფიქსებში, მაგალითად, პირის, რიცხვისა და კონტაქტის მანარმოებლებში, ზოგიერთი მწკრივის, მასდარისა თუ მიმღობის აფიქსებში.

თანამედროვე ქართულში ზმნების მესამე სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვის თითქმის ყველა სუფიქსი, გარდა ერთისა, **-ნ**-ს შეიცავს: **-ენ, -ან, -ნენ, -ნ** (შანიძე, 1973, გვ. 177).³ ამათგან **ანმყოს** ფორმებში გვხვდება **-ენ** (*წერ-ენ, ამზადებ-ენ, ადნობ-ენ, სვამ-ენ, ცხოვრობ-ენ*) და **-ან** (*იცი-ან, იმალები-ან, ნითლდები-ან, ტირი-ან, მიდი-ან...*)⁴ სუფიქსები, **უნყვეტელში/ანმყოს კავშირებითში, ხოლმეობითში/მყოფადის კავშირებითსა და წყვეტილში** (ზოგჯერ – **მეორე კავშირებითშიც**) – **-ნენ** (*წერდ-ნენ – დანერდ-ნენ, აკეთებდ-ნენ – გააკეთებდ-ნენ, დაიმაღ-ნენ, განითლდ-ნენ, გაშრ-ნენ...*), მეორე კავშირებითში – უმეტესად **-ნ** (*აკეთო-ნ, დანერო-ნ, დაიმალო-ნ...*).

ა. შანიძის აზრით, „**-ნენ** იმდენად შეიძლება ჩაითვალოს მრავლობითი რიცხვის მე-3 პირის სუბიექტურ ნიშნად, რამდენადაც შიგ შემავალი პირველი **ნ** ვისამე ენაში მხოლოდ მე-3 პირში გვხვდება და იმავე რიცხვის 1-ისა და მე-2 პირის ფორმებში კი – არა: წავიდ-ნენ“ (შანიძე, 1973, გვ. 178). მეცნიერი დასახელებულ ზმნურ ფორმას ადარებს შემდეგს: *იყვ-ნ-ენ* (შდრ. *ვიყვ-ენ-ით, იყვ-ენ-ით*), *წაეკი-*

³ ძველ ქართულში **ნ**- იყო მესამე პირის ნიშანი მხ. რიცხვშიც: ანმყოს ხოლმეობითსა (არ-ნ, ვალ-ნ) და წართქმით ბრძანებითში (იყავ-ნ, მოვედი-ნ) (შანიძე, 1976, გვ. 62).

⁴ ზოგჯერ **-ან** სუფიქსი მეშველი ზმნის ნაწილია: გაზრდილ-ან (← გაზრდილ არიან), განითლე-ბულ-ან (← განითლელ არიან).

დ-ნ-ენ (შდრ. ნავეკიდ-ენ-ით, ნაეკიდ-ენ-ით), რომლებშიც პირველ-მეორე პირე-შიც გამოიყენება -ენ/-ნ.

-ნენ სუფიქსის ისტორიის შესახებ ა. შანიძე აღნიშნავდა, რომ „მოქმ. გვარის ზმნებში -ნ-ენ დაბოლოება მხოლოდ II კავშირებითში იყო შესაძლებელი და ისიც მაშინ, თუ პირდ.-ობიექტური პირი (პირველიც, მეორეც, მესამეც) მრავლობითში იგულისხმებოდა“ (შანიძე, 1973, გვ. 452). მეცნიერი დასძენს, რომ აქ მრ. რიცხვის პირის ნიშანია -ენ, „რომელიც ანმყოშიც გვხვდება (წერ-ენ, აქებ-ენ და სხვ.). რაც შეეხება ნ-ს, იგი მოქმ. გვარის ზმნაში პირდაპირი ობიექტის მაჩვენებელი იყო II სერიის მწკრივებში“ (შანიძე, 1973, გვ. 452). დღეს სალიტერატურო ქართულის-თვის სავრცობიან მწკრივებში (ასევე წყვეტილში) ნორმა არის -ნენ და არა -ენ, მაგრამ ბევრ დიალექტსა და ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაში მაინც საკ-მოდ გავრცელებულია -ენ სუფიქსი: აკეთებდ-ენ → (აკეთებდ-ნენ), წერდ-ენ → (წერდ-ნენ)...

1.2 ნ- ბგერა სანყისებსა და ზმნის უღლებად ფორმებში

ქართული ენის კილოებში ფონეტიკური პროცესებიდან არაა იშვიათი სხვა-დასხვა ბგერის ჩართვა ან დაკარგვა, მათ შორის – **ნარის** ჩამატება სახელებში, ზმნებში, ზმნიზედებში თუ დამხმარე მეტყველების ნაწილებში (თანდებულებში, ნაწილაკ-მორფემოიდებში).⁵ ამას ხაზს უსვამდა ბ. ჯორბენაძე (1989, გვ. 498).

ნ-ს გამოყენების შემთხვევებიდან უნდა ვახსენოთ ე. წ. **ნარიანი** სანყისე-ბი ვინით დაბოლოებულ ფუძეებთან (პოვნა, შოვნა, ხსოვნა...), ამ ნ-ს აკაკი შა-ნიძე **ინფიქსს** უწოდებს (შანიძე, 1973, გვ. 561) და მოგვიანებით განვითარებუ-ლად მიიჩნევს (შდრ. თოხი: თოხნა → თოხნის). ზოგიერთი სანყისის ნ- გადაჰყვება ზმნის პირიან ფორმებშიც (ცოხნა → ცოხნის, ჩიჩქნა → ჩიჩქნის, ვარცხნა → ვარ-ცხნის...). მათი ანალოგიით ნ- თანხმოვანს უმატებენ იქაც, სადაც, ნორმის მიხედ-ვით, არაა საჭირო: იპოვნის, იპოვნა, უპოვნია... იშოვნის, იშოვნა, უშოვნია...

(1) ახალგაზრდობაც და ძველგაზრდობაც ივლის იქ, სადაც თავის შეკით-ხვებზე პასუხებს **იპოვნის**.⁶ opentext-old/resonance/2005/056/056-017

(2) გია ინტერნეტში „შეძვრა“, **იპოვნა** სათანადო სააგენტო და მოლაპარაკე-ბებიც დაინყო. opentext-old/24hours/2004/005/005-036

(3) ადამიანმა მოახერხოს, თავის ქვეყანაში საკუთარი ადგილი **იპოვნოს**. opentext-old/resonance/2007/150/150-015

(4) 1897 წელს პედაგოგ თეიმურაზ ჭიჭინაძეს სოფელ ბეღიაში თავადის ოჯახში **უპოვნია** „ძველი სიგელი მხედრული ასოებით ხელნაწერი“. opentext-old/abxazetisxma/2001/005/5-013

(5) შეჯიბრება კალენდრითაა დათქმული და ამა თუ იმ გუნდს ვერ დაელო-დება, ვიდრე ის ფულს **იშოვნის**. opentext-old/lelo/2003/012/12-002

(6) შემცირდა სოციალური დახმარების მიმღებთა რიცხვი. ბევრმა მათგანმა სამუშაო **იშოვნა**. tavisupleba/content/article/1518413

⁵ ამჯერად მხოლოდ ზმნურ ფორმებს განვიხილავთ.

⁶ მასალა ამოკრებილია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან (ვუთითებთ შესაბამის ID-ს).

(7) ბევრს, თუკი საერთოდ სამსახური უშოვნია, 670 ლარი კვარტალში აქვს საოცნებო. opentext/texts/2011/12254 და სხვ.

1.3 ნაზალიზაცია ზმნებში

სხვადასხვა დიალექტში ხშირია ნაზალიზაცია ზმნურ ფორმებშიც, მაგალითად, ავ- და ებ-თემის ნიშნების ნაცვლად -ან-/-ენ-ის გამოყენება: *სხლანს, კლანს, მალანს, მალანდა, აკეთენს, აკეთანს, აღენს, ცხოვრანს...* (იხ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 219; 300).

(8) თუ ისინი ერთსა კლავდნენ, ისა ხმითა [ხმლითა] ათსა კლანდა⁷ (1938წ., ქართლური, სოფ. ბრეთი).

(9) ტირის ე კაცი, რო თავს იკლანს. №2372 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, ასპინძა).

(10) კაცი რო მოკდების, მეშიდე დღეჩი დაგიკლან, დაგკლანო შენაო (2008წ., ფერეიდნული, სოფ. მარტყოფი).

(11) აი, დამიმალან? ერთი ბოთლი დარჩენილიყო რვა ბოთლიდან. №2371 (1982წ., სამცხურ-ჯავახური, ასპინძა).

(12) ყველა თავი საქმეს აკეთენდა. №2362 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, ღრელი).

(13) ეგრე ვაკეთენდით და დეე, შუალამიენდი კალოებზე ვეყრებოდით ხოლმე (1991წ., სამცხურ-ჯავახური, ღრელი).

(14) გააკეთანს და წაანერანს ზედ თავი სახელსა №1055 (1948წ., სამცხურ-ჯავახური, ბარალეთი).

(15) ადგილ გაუკეთანდით ღვდელსა, ამ ჯვარის ადგილას გავაკეთანდით ჯვარსა, ყინულ ამოვჭრიდით №2396 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, ბარალეთი).

(16) ჩავიდოდი, წავიდოდი და გავალენდი კარებსა, შევიდოდი, სანთლებ ვყიდანდი. №2396 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, ბარალეთი).

(17) დავდახენდი, მერე დავყიფებდით იმასა და წავიდენდით იმაში. №2401 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, გოგაშენი).

(18) იმიდან ამოვილენდით №2402 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, ახალქალაქი).

(19) დილაჰ რო მოვლენ და კარებ რო გაალენენ და შეემოვლენ. №2391 (1991წ., ხიზაბავრა).

(20) ეს ვინ მოქცა, ღილი რო მიენონოს, მოგჭრის, წაილენს. №1039 (1948წ., სამცხურ-ჯავახური, აქილდა).

(21) აჰა ესე და გადმორეკეს. ურემს წაილენს. №2381 (1991წ., სამცხურ-ჯავახური, თმოგვი) და სხვ.

მ. შინჯიაშვილმა ყურადღება მიაქცია, რომ სტატიკურ ზმნათა -ია-ზე დაბოლოებულ ანმეოს ფორმებს მხატვრულ თუ სამეცნიერო ლიტერატურასა და მასმედიის ენაში ზოგჯერ ემატება **ნ-** (*ჰშიან-ნ, სწყურია-ნ, სწადია-ნ, ურჩვენია-ნ, სჯობია-ნ, ჰქვია-ნ, ეშინიან, შეუძლია-ნ...*). „ეს -იან დაბოლოება ჰქონდა ზემოთ დასახელებულ ზმნებს XII-XIX საუკუნეების ქართულ სალიტერატურო ენაში; ამასთან, რაც უფრო ადრეული ხანის ტექსტებს განვიხილავთ, მით უფრო მყარი

⁷ მასალა ამოკრებილია ქართული ენის დიალექტური კორპუსიდან (ქდკ).

აღმოჩნდება -ნ დაბოლოება ამ ზმნებში“ (იხ. შინჯიაშვილი, 1972, გვ. 178). მას მოჰყავს შესაბამისი მაგალითები საშუალი და ახალი ქართული ენის ტექსტებიდან, XX საუკუნის ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებიდან და ხაზს უსვამს, რომ დღეს მსგავსი ნარიანი ფორმები დადასტურებულია ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებში (ქართლ-კახურში, მოხეურსა და ფშაურში). მეცნიერი ამ ნარ-ს წარმოშობით ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის ნიშნად მიიჩნევს (იხ. იქვე, გვ. 186-187), ხოლო -იან და -ია დაბოლოებებს – იდენტურად: „-ნ აქ ზედმეტ ელემენტად იქნა აღქმული და დაიკარგა კიდევ სალიტერატურო ქართულში მომდევნო XX საუკუნეში“ (შინჯიაშვილი, 1972, გვ. 190).

მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს კორპუსიდან:

(22) მოვახტეთ სალამოს მატარებელს „თბილისი-ბათუმი“ და გავნიოთ საქართველოს იმ თვალწარმტაცი კუთხისკენ, რომელსაც სახელად აჭარა **ჰქვიან**. opentext-old/literaturulipalitra/2008/009/09-003

(23) შენს გადაღებულ ფოტოზე აღნუსხულ ადგილს უბრალოდ მტკვრისპირა მცხეთა **ჰქვიან**. opentext-old/literaturulipalitra/2008/009/09-003

(24) ვინც ამ გვარის სახელმწიფოს შედგენას სცდილობს, იმას ფედერალისტი **ჰქვიან**. opentext-old/24hours/2005/021/021-057 და სხვ.

(25) მე ჩემი პროტესტი მაქვს, პროტესტი მქონდა, როცა ტელევიზიებს არბევდნენ. მათ **შეუძლიან** თქვან, არასოდეს დავპატიჟებ ქ. დ-ს ამა თუ იმ ტელევიზიების თოქშოუებშიო. opentext/texts/2011/11090

(26) არის უამრავი რამ, რაც ჩემს კოლეგებთან ერთად წლების მანძილზე გავაკეთე და ზოგიერთით **შემიძლიან** ვიამაყო კიდევაც. opentext-old/akhalitaoba/2005/014/014-029.

(27) საქართველოც რო მიეყოლებინა თანა. ჰოი როგორ უნდოდა. და როგორ უნდა. როგორა **სწყურიაან!!! სწყურიაან** და რა ჰქნას (ოთარ ჩხეიძე). opentext-old/writer/2002/047/47-009

მართლაც, ამ ტიპის ზმნებში -იან დაბოლოება დიალექტებში არქაულია და არა გვიანდელი ჩანართი, თუმცა უკვე უფუნქციო, ზედმეტია და თანამედროვე სალიტერატურო ქართულისთვის მიუღებელი.

პირველი დიათეზის გარდამავალი ზმნების უღლებისას ზოგ კილოში მესამე სერიის მსკრივეებში ნარდამატებული ფორმები დასტურდება: დაუნერნია, დაენერნა, დაენერნოს, უჭამნია, ეჭამნა, ეჭამნოს, დაუხატნია, დაეხატნა, დაეხატნოს, დაუთესნია, დაეთესნა... (მართებულია: დაუნერია, დაენერა, დაენეროს, უჭამია, ეჭამა, ეჭამოს, დაუხატავს/დაუხატია, დაეხატა, დაეხატოს, დაუთესავს/დაუთესია, დაეთესა, დაეთესოს...).

(28) კატუნს ქათმები **დეეჭამნა**, იგრე გასუქებულიყო, როგორც ღორი, ეგეთი იყო. №3306 (1949წ., კახური, მატანი).

(29) იქ მიდიოდა საკუთრივ შემწვარიც და მოხარშულიც, რამდელიც უნდოდა **ეჭამნა**, რამდელიც უნოდა, ეძინა. №3441 (1937წ., კახური).

(30) აუყვანია შვილათ მორჩაძეს და **დაუნერნია** თავი გვარზედა. №593 (1949წ., შიგნიკახური, ზემო ხოდაშენი).

(31) ისე გაზდილა, იმას **აუნერნია** ეს ამბავი. №4037 (1956წ., მთიულურ-გუდამაყრული, ზაქანი).

(32) მესამეთ სიმინდი უნდა დეგვეთესნა, ეგრე კეთდებოდა ადგილი, თორემ მარტო პური რომ გვეთესნა. №2941 (1936წ, კახური, ვარდისუბანი) და სხვ.

2. მეორე კავშირებითის წარმოება და პირის ნიშნები

2.1 მწკრივის ნიშნები მეორე კავშირებითში

მეორე კავშირებითის მწკრივის მანარმოებელთა გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული წყვეტილის ფორმანარმოებასთან და სუფიქსები ამის მიხედვითაა გადანაწილებული. ზმნას შეიძლება დაერთოს **-ო**, **-ა** ან **-ე** სუფიქსები, რომელთა გამოყენების არეალი დადგენილია:

ა.-ო **სუფიქსი** საჭიროა: პირველი დიათეზის გარდამავალ უთემისნიშნო, თემისნიშნიან (**-ებ**, **-ობ**, **-ავ**, **-ოფ**, ნაწილობრივ **-ი**) და ფუძედრეკად ზმნებში. „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიაში“ აღნიშნულია: „შესაბამისობა წყვეტილის **-ე** : მეორე კავშირებითის **-ო** უგამონაკლისო ჩანს. სხვაგვარად: ზმნები, რომლებიც წყვეტილის I და II პირში მიიღებენ **-ე** დაბოლოებას (წყვეტილის წარმოების III და IV ყალიბი), II კავშირებითს **-ო** სუფიქსით იწარმოებს“ (არაბული, გოგოლაშვილი და სხვ. 2011, გვ. 721). მაგ.: *წერ-ე – წერ-ო, გააკეთ-ე – გააკეთ-ო, დახატ-ე – დახატ-ო, დაყავ-ი – დაყ-ო, გათალ-ე – გათალ-ო, გათხარ-ე – გათხარ-ო, მონყვიტ-ე – მონყვიტ-ო...* ამავე დიათეზის **-ობ/(-ებ)** თემისნიშნიან ერთპირიან ზმნებში: *იცხოვრ-ე – იცხოვრ-ო, ისეირნ-ე – ისეირნ-ო...* მეორე დიათეზის **ი/ე** პრეფიქსიან ზმნებში: *გაიზარდ-ე – გაიზარდ-ო, გაეზარდ-ე – გაეზარდ-ო...*

ბ.-ა **სუფიქსი** – პირველი დიათეზის გარდამავალ **-ავ**, **-ამ** (ნაწილობრივ **-ი**) თემისნიშნიან ზმნებთან: *მოკალ-ი/მოკლ-ა – მოკლ-ა-ს, დააბ-ი/დააბ-ა – დააბ-ა-ს, დაჭერი/დაჭრ-ა – დაჭრ-ა-ს, გახსენ-ი/გახსნ-ა – გახსნ-ა-ს...*

გ.-ე **სუფიქსი** – პირველი დიათეზის გარდამავალ **-ემ**-თემისნიშნიან ზმნებთან: *მივც-ე, გავც-ე, გადავც-ე...* ასევე, მეორე დიათეზის ერთ- და ორპირიან (ე. წ. დონიან და უნიშნო ვნებითის) ზმნებთან: *გა(უ)წითლდ-ი – გა(უ)წითლდ-ე, გა(უ)შრ-ი – გა(უ)შრ-ე...*

დასახელებული სუფიქსებიდან მეორე კავშირებითში ყველაზე გავრცელებულია **-ო**. ამ ბოლოსართის მქონე ზმნებთან შეიძლება გამოიყოს ორგვარი შემთხვევა: როცა **-ნ**- ფუძისეულია (*ლოლნ-ო-ნ, კოცნ-ო-ნ*) და როცა **ნ**- ჩართულია და **-ნ-ო-ნ** დაბოლოება უმართებულოა (*გადაეყარ-ნ-ო-ნ, გადაეხვივ-ნ-ო-ნ*).

2.2. **-ნ-ო-ნ** დაბოლოების მქონე მართებული ფორმები

ჯერ დავასახელოთ **ნ-ფუძიანი** ზმნების სალიტერატურო ფორმები. ასეთ ზმნებს (უმეტესად გარდამავალს) მეორე კავშირებითში სჭირდება **-ნ-ო-ნ** დაბოლოება: **ნ**- (ფუძისეული) + **-ო** (მწკრივის ნიშანი) და **-ნ** (მრ. რიცხვის მე-3 პირის ნიშანი). ამ ტიპის ზმნებთან **ნ-ს** წინ შეიძლება იდგეს როგორც მჟღერი (უმეტესად – სონორი), ისე ყრუ თანხმოვნები.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის (ქეეკ) მიხედვით, 4 თანხმოვანთან (**ყ, ფ, ჩ, ჰ**) **-ნონ** დაბოლოებიანი ზმნა საერთოდ არ მოიძებნა, 7 თანხმოვანთან (**კ, ნ, ქ, ლ, ყ, ძ, ჭ**) ფუძისეულ **-ნ**-სთან მხოლოდ მართებული ფორმებია, 2 თანხმოვან-

თან (**ლ, თ**) – მხოლოდ უმართებულო, ხოლო 15-თან (**ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, მ, პ, რ, ს, ტ, შ, წ, ხ, ჯ**) – ორივე: მართებულიც და უმართებულოც (იხ. სქემა ქვემოთ).

საერთოდ არაა	4	ჟ, ფ, ჩ, ჰ
მხოლოდ მართებული ფორმაა	7	კ, ნ, ქ, ღ, ყ, ძ, ჭ
მხოლოდ უმართებულო ფორმაა	2	ლ, თ
ორივე ფორმაა	15	ბ, გ, დ, ვ, ზ, მ, პ, რ, ს, ტ, შ, ც, წ, ხ, ჯ

სქემა 1: **-ნონ** დაბოლოება ზმნების ფუძეთა ბოლოსწინა (ან ბოლო) თანხმოვნების მიხედვით

გარდამავალი ორ- ან სამპირიანი ზმნები:⁸

ჯერ ჩამოვთვლით ისეთ შემთხვევებს, როცა ბგერათა კომბინაციაში მხოლოდ მართებული ფორმები მოიძებნა (**კ, ნ, ქ, ღ, ყ, ძ, ჭ**):

კ+ნ: წინკნ: ამომწინკნონ,⁹ გამოწინკნონ, მწინკნონ; **ჭკნ:** დააჭკნონ;

ნ: ყვან: წამოიყვანონ;

ქ+ნ: ჩიჩქნ: ამოჩიჩქნონ; **ბუქნ:** ჩაბუქნონ; **იმასქნ:** დააიმასქნონ;

ღ+ნ: ლოღნ: ლოღნონ;

ყ+ნ: მყნ: ამყნონ;

ძ+ნ: გრძნ: იგრძნონ, შეიგრძნონ, თანაგვიგრძნონ; **ფუძნ:** დააფუძნონ;

ჭ+ნ: კეჭნ: დაკეჭნონ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 15 თანხმოვანთან მეორე კავშირებით მრ. რიცხვში გვხვდება როგორც მართებული, ისე უმართებულო ფორმები:

ბ+ნ: ჯაბნ: დაჯაბნონ;

გ+ნ: გნ: შეიგნონ;

ღ+ნ: დნ: გაადნონ, გამოადნონ, შეიდნონ; **ღევნ:** აღევნონ, განღევნონ, დევნონ; **ხედნ:** გაუხედნონ, გახედნონ;

ვ+ნ: გემოვნ: დააგემოვნონ; **გზავნ:** გაგზავნონ, წარგზავნონ; **ვნ:** ავნონ, გავნონ; **კუთვნ:** მიაკუთვნონ, მიგვაკუთვნონ; **მყლავნ:** გამოამყლავნონ; **მრავალრიცხოვნ:** გაამრავალრიცხოვნონ; **მრავალფეროვნ:** გაამრავალფეროვნონ; **სიამოვნ:** ასიამოვნონ; **სნებოვნ:** დაასნებოვნონ; **ყოვნ:** დამაყოვნონ, დაყოვნონ, შეაყოვნონ;

ზ+ნ: გზნ: ალაგზნონ; **მიზნ:** დაუმიზნონ; **ხიზნ:** გაიხიზნონ;

მ+ნ: თარგმნ: თარგმნონ, გადათარგმნონ, გადაუთარგმნონ;

პ+ნ: ტკეპნ: ტკეპნონ, გატკეპნონ, ჩატკეპნონ; **თხუპნ:** დაგითხუპნონ, დათხუპნონ; **წაპნ:** აწაპნონ;

რ+ნ: კურნ: განკურნონ; **ქვეყნ:** გამოაქვეყნონ, გამომიქვეყნონ;

ს+ნ: მსგავს: დაემსგავსონ; **პატიოსნ:** გააპატიოსნონ;

ტ+ნ: კორტნ: ამოკორტნონ;

⁸ ჩამოთვლილ მაგალითებში შესულია **ნასახლარი** ფორმებიც.

⁹ ყველა ზმნური ფორმა ამონერულია **ქვეკ**-იდან.

შ+ნ: ნიშნ: ანიშნონ, მიანიშნონ, შენიშნონ, ჩაინიშნონ, დაგვინიშნონ; **ჯავშნ:** დაჯავშნონ;

ც+ნ: კოცნ: დაუკოცნონ; მცნ: ამცნონ; ტყორც: ტყორცნონ; ცნ: იცნონ, ამოიცნონ, გიცნონ, ამცნონ;

ნ+ნ: ნუნნ: მონუნნონ; ხვენნ: მეხვენნონ;

ჭ+ნ: კეჭნ: დაკეჭნონ; **ხ+ნ:** ვარცხნ: დავარცხნონ; **კვენნ:** დაიკვენნონ; **თითხნ:** შეთითხნონ, შეუთითხნონ; **თოხნ:** ჩათოხნონ; **ჭმუხნ:** შეიჭმუხნონ, შეჭმუხნონ;

ჯ+ნ: მიჯნ: გაიმიჯნონ.

პირველი დიათეზის გარდაუვალ ერთპირიან ზმნებთან:

კ+ნ: ქორიკნ: იქორიკნონ;

რ+ნ: სეირნ: ისეირნონ, გაისეირნონ;

-ი-პრეფიქსიან გარდაუვალ ზმნებთან:

ვ+ნ: დევენ: განიდევნონ, იდევენონ;

ზ+ნ: ხიზნ: გაიხიზნონ;

კ+ნ: ტიკნ: გაიტიკნონ;

-ე-პრეფიქსიან გარდაუვალ ზმნებთან:

დ+ნ: ყრდნ: დაეყრდნონ, დაგვეყრდნონ;

ს+ნ: ტმასნ: მიეტმასნონ;

ც+ნ: ცნ: გაეცნონ;

ჯ+ნ: მიჯნ: გაემიჯნონ, გაიმიჯნონ.

როგორც ჩამონათვალიდან ჩანს, მართებული ფორმებიდან ქარბობს პირველი დიათეზის გარდამავალი ორ- ან სამპირიანი ზმნები, ძალიან ცოტაა მეორე დიათეზის ერთ- ან ორპირიანი პრეფიქსიანი ფორმები, ხოლო პირველი დიათეზის ერთპირიანი ზმნების მაგალითი მხოლოდ თითო-ოროლაა.

2.3 -ნ-ო-ნ დაბოლოების მქონე უმართებულო ფორმები

როგორც აღვნიშნეთ, ამ ბოლო დროს მეორე კავშირებითის -ო სუფიქსიანი ზმნების მე-3 პირის მრ. რიცხვში მომრავლდა ნ-ჩართული ფორმები (-ნ-ო-ნ). პირველი -ნ მრ. რიცხვის -ნენ სუფიქსის ანალოგიით უნდა გაჩენილიყო. მის გამოყენებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ ნ-თანხმოვანზე დაბოლოებულ ზმნებს (უმეტესად გარდამავალს) ამ მწკრივში ისედაც სჭირდებათ -ნონ დაბოლოება (იხ. ქვეთავი 2.2), რომელშიც პირველი ნ- ფუძისეულია: ნ (ფუძისეული) + ო (მე-2 კავშირებითის მწკრივის ნიშანი) + -ნ (მე-3 პირის მრ. რიცხვის ნიშანი).

ვერ ვიტყვით, რომ არასწორი ფორმები დიალექტებიდან გავრცელდა, რადგან იქ ძალიან იშვიათად იძებნება, თან ისეთ კილოებში, რომლებიც ვერ მოახდენდნენ გავლენას დღევანდელ მეტყველებაზე: ფშაურში, რაჭულში, ჩვენებურების ქართულში (თურქეთში): ებრძოლნონ, ზიდნონ, გაგვიგნონ, გაიგნონ, ამყოფნონ, გამყოფნონ, მიეხვიგნონ, ეშოვნონ, იშოვნონ...

(33) მაყრემ უნდა ებძოლნონი საკიდელსა, უნდა ჩამააგდონ ისი. №3814 (1960წ., ფშაური, გოგოლაურთა).

(34) თუ ვეროგორ ჩამააგდეს, გასტეხენ იმასა, უნდა გადაიკიდონ მწარზე-
დად' ისრა **ზიდნონ**. №3814 (1960წ., ფშაური, გოგოლაურთა).

(35) ერთ ალაგასო ყორნებმა გადმოიფრინესო, თურმე ესენი რო წავიდეს
ახლა, ისე გადავფრინდეთო, რომეო, ე.ი. ვერ **გავვიგნონ** იმათ. №4113 (1984წ., რა-
ჭული, გლოლა).

(36) გადაჰკიდა ახლა გმირებნი, გადაჰკიდნა ამაზედა, რო არავინ **გაიგნონ**
ახლა რომე ეს მიდის. №4114 (1984წ., რაჭული, გლოლა).

(37) ჩემიდამ ბევრი სელამი უთხარ, ღმერთმა კარგობით **გამყოფნონ**, ღმერ-
თმა ჩუენი ჰუქუქემეთები ერთმანეთში კარგა **ამყოფნონ**. №1581 (ჩვენებურების ქა-
რთული, ლივანური (ნიგალური)).

(38) ღმერთმა კარკობით გამყოფნოს! თქუენც კარქა **გამყოფნონ!** №1553
(1989წ., ზემო მაჭახლური).

ეს რამდენიმე მაგალითი ვერ მოგვცემს იმის მტკიცების საშუალებას, რომ
უმართებულო ფორმების წყაროდ დიალექტები გამოვაცხადოთ.

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემების მიხედვით, მასმედიის
ენაში საკმაო რაოდენობით დადასტურდა **ნონ**-დაბოლოების მქონე უმართებუ-
ლო ფორმები.¹⁰ ის გვხვდება როგორც **პირველი**, ისე **მეორე** დიათეზის ერთ-, ორ-,
იშვიათად – სამპირიან ზმნებში, რომლებიც ფუძედრეკადებია ან პირველ სერიაში
აქვთ **-ი, -ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ** თემის ნიშნები.

ეს დაბოლოება ყველაზე ხშირად აღმოჩნდა **მეორე** დიათეზის პრეფიქსიან
ზმნებთან, შედარებით ნაკლებად – **პირველი** დიათეზის ერთპირიანებთან (ე. ნ.
მედიოაქტივებთან).

არასწორი ფორმები დაიძებნა 17 თანხმოვანზე დამთავრებულ ფუძეებთან
(აქედან 15-თან აღმოჩნდა მართებული ფორმებიც, რომლებიც უკვე ჩამოვთვა-
ლეთ), მხოლოდ უმართებულო ფორმებია **-თ** და **-ლ** თანხმოვნებზე დამთავრებულ
ფუძეებთან.

მრ. რიცხვის არასწორსუფიქსიანი ზმნების ფუძეები ბოლოვდება როგორც
მჟღერ (მათ შორის – სონორ: **რ, მ, ლ, ნ**), ისე **ყრუ** თანხმოვნებზე (**თ, ს, ც, ყ**):

რ: მგზავრ: გაემგზავრნონ; მუქრ: დაემუქრნონ; საუბრ: გაესაუბრნონ; სწრ:
დაესწრნონ; მოესწრნონ; ყარ: გადაეყარნონ, გაიყარნონ, შეიყარნონ; შურ: აღი-
შურნონ; ხმარ: დაგვეხმარნონ, დაეხმარნონ; ხმაურ: გამოგვეხმაურნონ; ჯიბრ:
გაეჯიბრნონ;

მ: მონმ: დაემონმნონ;

ლ: თვალ: გაითვალნონ; მალ: მიიმალნონ, მიემალნონ; მორჩილ: დაემორ-
ჩილნონ; ნაცვლ: ჩაენაცვლნონ; ღალ: გადაიღალნონ; შალ: წამოიშალნონ; ცვალ:
შეიცვალნონ;

ნ: ვლინ: მოგვევლინნონ;

ვ: გუვ: შეეგუვნონ; დავ: წაედავნონ; კავ: დაიკავნონ; პოვ: იპოვნონ, მიპო-
ვნონ, გვიპოვნონ; რივ: მოერივნონ, გამოერივნონ, ჩაერივნონ; სივ: შემოგესივ-
ნონ; შოვ(ნ): იშოვნონ; ჩვივ: მიეჩვივნონ, შეეჩვივნონ; წვივ: ეწვივნონ, გვეწვივ-
ნონ; ხვივ: გადაეხვივნონ, შემოეხვივნონ.

¹⁰ ძველი და საშუალო ქართულის ტექსტებში მსგავსი დაბოლოების ფორმები არ გვხვდება.

სხვა **მჟღერი** ბგერებიდან შეგვხვდა მხოლოდ **ღ**-ზე დამთავრებული ფუძეები: **ბად:** დაიბადნონ; **გუდ:** გაიგუდნონ; **ზარდ:** აღიზარდნონ, გაიზარდნონ, დაიზარდნონ; **კიდ:** გადაეკიდნონ, გამოეკიდნონ, მოეკიდნონ, წაეკიდნონ; **ლოდ:** დაელოდნონ, ელოდნონ; **მზად:** მოემზადნონ; **ნდ:** გენდნონ; **რიდ:** გაერიდნონ, ერიდნონ, მოერიდნონ; **ყიდ:** გაიყიდნონ; **ცად:** ეცადნონ, შეეცადნონ; **წინდ:** დაწინდნონ; **ჭიდ:** მოეჭიდნონ;

ყრუ ფშვინვიერი ბგერებიდან – **თ, ს** და **ც**-ზე დამთავრებული ფუძეები:

თ: **მართ:** წარემართნონ; **ს:** **მსგავს:** დაემსგავსნონ; **ც:** **ხოც:** დაიხოც-ნ-ო-ნ;

ყრუ მკვეთრი ბგერებიდან – **ყ**-ზე დამთავრებული: გადაგვიყნონ.

როგორც ვხედავთ, არასწორი **-ნონ** სუფიქსი ყველაზე ხშირად გამოყენებულია **მეორე** დიათეზის პრეფიქსიან ზმნებთან, გვხვდება **პირველი** დიათეზის ზმნებთანაც. ძნელია, ფუძეების მიხედვით კანონზომიერების დადგენა, თუ როდის უმატებენ **ნ**-ს მეორე კავშირებითის **ო**-სუფიქსის წინ. მთავარი მიზეზი აქ ჩანს არასწორი აღქმა, **ნ**-ფუძიან ზმნებთან გაიგივება ან წყვეტილისთვის საჭირო **-ენ** ბოლოსართის გავლენა (**მეორე** დიათეზის ზმნებთან).

ჩამოვთვლით უმართებულო ფორმების შემცველ მაგალითებს წინადადებაში მასმედიის ტექსტებიდან (*ქვევ*-ის მიხედვით):¹¹

ბ: (39) მოძებნოთ ახალი ინფორმაცია, ეძებონ მთელ მსოფლიოში, **ეძებ-ნ-ო-ნ** იმ კვარტლის იქით, რომელიც იტალიის პარლამენტის ზედა პალატიდან ქვედა პალატისაკენ მიდის. opentext-old/saguramo/2002/002/2-014;

გ: (40) მ-საც და სხვა მთავრობის წევრებსაც მე ვურჩევდი დროულად გონს **მოეგ-ნ-ო-ნ** და კანონს დაემორჩილონ და საკუთარი ხალხის ნებას. civil/texts/025666;

დ: (41) ჩვენს საზოგადოებას მე მგონი, ნამდვილად არ უნდა, რომ შვილები **გა-იზარდ-ნ-ო-ნ** ან დათრგუნულები, ან დამსმენები. opentext/texts/2010/19396;

(42) აქ უნდა **აღიზარ-დ-ნ-ონ** ახალგაზრდები მოქალაქეებად, საზოგადოების წევრებად. opentext-old/sakartvelos-respublika/2007/041/04009;

(43) დღეს ფეხბურთში არავინ არაფერს დაგითმობს და ყველანი ურთულესი ბრძოლებისთვის უნდა **მოემზად-ნ-ო-ნ**. opentext-old/11x11/2000/145/145-008;

(44) თურმე ვერ გადაუნყვეტიათ, გამოგვეყენენ და განსაცდელში ჩაიგდონ თავი, თუ **გაერიდ-ნ-ო-ნ** ხიფათს. opentext-old/new7day/2000/023/23-011;

(45) ექიმი-დერმატოლოგი ახალგაზრდებს ურჩევს, 1-დან 18 საათამდე მზეზე ყოფნას **მოერიდ-ნ-ო-ნ**. opentext-old/akhalitaoba/2005/206/206-052;

(46) ქართველები მათთან ხვალინდელ თამაშს სერიოზულად უნდა **მოეკიდ-ნ-ო-ნ**. opentext-old/sarbieli/2007/242/24011;

(47) ხელისუფლების ორგანოები უნდა **შეეცად-ნ-ო-ნ**, გამონახონ საერთო ენა მათთან, შეისყიდონ მათი სახლ-კარი. opentext-old/sakartvelos-respublika/2007/106/106-049;

ვ: (48) შეუძლებელია, რომ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები ერთმანეთს **დაერივ-ნ-ონ** და ძლიერმა გაიმარჯვოს. opentext-old/resonance/2005/209/209-020;

(49) თუ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზრდება, არა მგო-

¹¹ *ქვევ*-იდან ამოწერილ წინადადებებთან მითითებულია ID.

ნია, მათ შორის ჩემპიონობისთვის მებრძოლები **გამოერივ-ნ-ო-ნ**. opentext-old/sarbieli/2005/132/13004;

(50) რუსეთის ეროვნული გუნდის სტუმრობამდე ირლანდიელები და შვეიცარიელები უნდა **გვეწვივ-ნ-ო-ნ**. opentext-old/11x11/2003/039/39-009;

(51) ცოტა ხნით მაინც რომ შეხვდნენ ერთმანეთს და **გადაეხვივ-ნ-ო-ნ**. opentext/texts/2009/11906;

(52) [მათ] სურთ, რომ ადვოკატთა ასოციაციაში **დაიკავ-ნ-ო-ნ** ადმინისტრაციული პოსტები, უკანონო შემოსავლების იმედიც აქვთ ალბათ, მაგრამ ტყუილად. opentext-old/akhalitaoba/2002/164/164-034;

თ: (53) ეს ყველაფერი კი ნაკლებად მოტივირებულს ხდის ქალებს **ჩაერთ-ნ-ო-ნ** აქტიურ და დაძაბულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. tavisupleba2015/content/tavisupali-sivrtse-mariam-managadze-kvotireba/26972635;

ლ: (54) (ბავშვები) მეცადინეობისას ზედმეტად არ **გადაიღალ-ნ-ო-ნ**, და, შესაბამისად, სწავლის სურვილიც არ დაკარგონ. opentext-old/24hours/2005/221/221-005;

(55) მოვუწოდებ მთავრობას აქტიური მუშაობა დაიწყოს იმ მიმართულებით, რომ რუსი სამშვიდობოები **შეიცვალ-ნ-ო-ნ** უფრო ეფექტური სამშვიდობო მანდატით. civil/texts/011726;

(56) შესაძლოა, რუს სამხედროებს პოლონელებიც **ჩაენაცვლ-ნ-ო-ნ**. civil/texts/000480;

მ: (57) შეუძლიათ თუ არა ადამიანებს **დაემონმ-ნ-ო-ნ** საკუთარ გადამწყვეტილებებს (ბ. გროსი);

ნ: (58) ფრანგების პოტენციალი იმდენად დიდია, რომ ადვილი შესაძლებელია, 2011 წლის მსოფლიო თასზე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტებად **მოგვევლინ-ნ-ო-ნ**. opentext/texts/2010/03641;

პ: (59) განა იმას ვამბობ, რო ჩემი სიძისთანებზე ამომდის მზე და მთვარე. არა, ეგეთები საერთოდაც უნდა **მოისპ-ნ-ო-ნ**. opentext-old/arili/2001/010/10-014;

რ: (60) დიდი შანსია, ხვალ საღამოს მეტოქეები ტოლ-სწორად **გაიყარ-ნ-ო-ნ**. opentext-old/11x11/2003/238/238-002;

(61) მთელი ორგანიზაცია ღიაა ევროპელებისთვის, რომ ისინი შემოვიდნენ და შესაძლებლობის ფარგლებში **დაგვეხმარ-ნ-ო-ნ**. opentext-old/resonance/2006/024/024-014;

(62) ჟურნალისტებს, სურვილის შემთხვევაში, მიეცეთ საშუალება **გაესაუბრ-ნ-ო-ნ** და ინფორმაცია მიიღონ ნებისმიერი პატიმრისგან. opentext/texts/2012/04487;

(63) ჩემი ქვეყნის ბედი ნამდვილად მალეღვებს და მინდა, რომ მე თუ არა, ეს ბაღნები მაინც **მოესწრ-ნ-ო-ნ** ნორმალურ საქართველოს და ლალად იცხოვრონ ამ მიწა-წყალზე. opentext/texts/2009/00451;

ს: (64) აჯობებს შვილებს მიხედოთ, რათა ისინიც თქვენ არ **დაგემსგავს-ნ-ო-ნ**. opentext-old/giaboqlomi/2008/008/08-009;

(65) მაგრამ მათაც, ვინც არც ირლანდიელია და არც კათოლიკე, შეუძლიათ, მწვანედ **შეიმოს-ნ-ო-ნ**. opentext-old/24hours/2004/064/064-042;

ტ: (66) იქმნება საშიშროება, დაინგრეს ის, რაც მოგვიპოვებია, **დაიფანტ-ნ-ონ** პედაგოგები. opentext-old/sakartvelos-respublika/2005/208/208-004;

(67) მიტინგებს რო **მიემატ-ნ-ო-ნ**, სიტყვა რო წააშველონ ლიდერებსაო. opentext-old/ae/2003/046/46-004;

(68) კვიპროსის ტურნირზე საქართველოს ნაკრებს, შესაძლოა, გიორგი ქინ-ქლაძე და გოგა გახოკიძე მაინც **შემატ-ნ-ო-ნ**. opentext-old/11x11/2000/022/22-011;

შ: (69) მაგრამ მე ის მანუხებს, რომ ბავშვები ზრდასრულებს უნდა **ეთამაშ-ნ-ო-ნ**. opentext-old/sarbieli/2000/041/41-014;

ც: (70) კოლეჯის სტუდენტების მოთხოვნა, რომ ისინი სამედიცინო უნივერ-სიტეტთან, ანუ სახელმწიფოსთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობებისა-მებრ **ჩაირიცხ-ნ-ო-ნ** სამედიცინო ურივერსიტეტში, მოთხოვნად რჩება opentext-old/akhhalitaoba/2005/080/080-016;

(71) არ არის რუსეთში საკმარისი ტყეები რუსი ოფიცრებისთვის, საქართვე-ლოს ტერიტორიაზე რომ არ **დაიხოც-ნ-ო-ნ** ქართულ ტყეებში. civil/texts/016198;

(72) ბავშვებს კი არა, სამინისტროებს უნდა **გაეფიც-ნ-ო-ნ**. opentext-old/akhhalitaoba/2001/118/118-020;

ნ: (73) რალაც დოზის შემდეგ მეგობრებიც რომ **მეხვენ-ნ-ო-ნ**, არ ვუჯერებ და აღარ ვსვამ. opentext-old/7-dge/2000/075/75-011;

ჭ: (74) ეს ორი იწყებს სხვების დევნას, ცდილობენ რა ან **დაკეჭ-ნ-ო-ნ** ისინი, ან გააგდონ კვადრატის საზღვრებს მიღმა. opentext-old/lelo/2003/011/11-021;

ხ: (75) კატეგორიულად მოვითხოვ, **დაიკითხ-ნ-ო-ნ** 1992-1993 წლებში მოქმედი ადგილობრივი აგენტურის წარმომადგენლები. opentext-old/sakartvelos-respublika/2007/104/104-027;

(76) მამები რალაც ცოდვისთვის **განიკითხ-ნ-ო-ნ** და ჩვენ, დედები – არა, ასეთი რამ არ არსებობს. opentext/texts/2010/09038;

ჯ: (77) პირველი, ვინც უნდა **დაისაჯ-ნ-ო-ნ**, დიდები უნდა იყვნენ და არა პატარები. opentext-old/sarbieli/2008/153/153-057;

(78) ბიჭები მზად არიან ყველა მატჩში ბოლომდე **დაიხარჯ-ნ-ო-ნ**, რათა „ბა-რსას“ ძველი დიდება დაუბრუნონ. opentext-old/11x11/2003/039/39-016 და სხვ.

ჩვენი აზრით, აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ამ დარღვევას მე-ორე კავშირებითის მრ. რიცხვის მე-3 პირის წარმოებისას და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს **ნ-ფუძიანი** და სხვა თანხმოვნებზე დაბოლოებული ზმნები. ამისთვის შესაძლებელია მოვიშველიოთ შემდეგი ხერხი: თუკი მეორე კავშირებითის მხ. რი-ცხვის მესამე პირში ზმნას აქვს **-ო-ს** დაბოლოება და არა **-ნ-ო-ს**, ამ ზმნებთან მრავლობით რიცხვში **ო-ს** წინ **-ნ** ბგერის ჩართვა არაა საჭირო: **დანიშნ-ო-ს//და-ნიშნ-ო-ნ**, მაგრამ **შდრ. შეიცვალ-ო-ს//შეიცვალ-ო-ნ** და არა **შეიცვალ-ნ-ო-ნ**.

დასკვნები

ამ ბოლო დროს შეინიშნება, რომ მეორე კავშირებითში **-ო** მწკრივის ნიშნის წინ ხშირად ამატებენ **ნ-ს** და მრავლობითი რიცხვის მესამე პირში იყენებენ **-ნ-ო-ნ** დაბოლოებას: **-ნ** (ჩართული ბგერა) + **ო** (მწკრივის ნიშანი) + **ნ** (მე-3 პირის ნიშანი მრ. რ-ში).

ქვეყნის მიხედვით, ეს არასწორი დაბოლოება გამოყენებულია როგორც **პირ-ველი**, ისე **მეორე** დიათეზის ზმნებში (უფრო ხშირად – მეორე დიათეზის **ე-** პრე-ფიქსიან ზმნებთან) 17 თანხმოვნის შემდეგ (ბ, გ, დ, ვ, ზ, თ, ლ, მ, პ, რ, ს, ტ, შ, ც, წ, ხ, ჯ. მაგ., **დაილაღნონ**, **დაესწრნონ**, **შეეჩვივნონ**, **დაემატნონ**, **დაეხმარნონ**...). ყვე-ლა დასახელებულ თანხმოვანთან, **ლ-სა** და **თ-ს** გარდა, არის მართებული ფორ-მებიც (**ლოღნონ**, **მონიშნონ**, **დაჯავშნონ**, **დაჯიჯგნონ**...).

ჩვენი აზრით, უმართებულო დაბოლოების გამოყენების მიზეზი ორია: 1. სწრაფვა **უნიფიკაციისკენ ნ-ფუძიან** გარდამავალ ზმნებთან, რომლებსაც მეორე კავშირებითში სჭირდებათ **-ნონ**; 2. **ანალოგია** წყვეტილის (ზოგჯერ – მეორე კავშირებითის) **-ნენ** სუფიქსთან მრ. რ-ში.

ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს **ნ-ფუძიანი** და სხვა თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნები, რომელთაც მეორე კავშირებითში აქვთ **-ო** სუფიქსი: ამათგან **ნ-ფუძიანს** მართლაც სჭირდება **-ნ-ო-ნ** დაბოლოება, დანარჩენთან კი პირველი **-ნ** ზედმეტია.

ლიტერატურა:

გოგოლაშვილი და სხვ. (2011). გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი და სხვ., თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია. სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით). თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
ქდკ: ქართული დიალექტური კორპუსი. <http://corpora.co/No/corpus>. ბოლო წვდომა: 13.05.2024.

ქეეკ: ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge/gnc/page>. ბოლო წვდომა: 13.05.2024.

შანიძე, ა. (1973). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შინჯიაშვილი, მ. (1972). ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევნია? ჰქვიათ თუ ჰქვია? ქსკს, ნ. 1. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, გვ. 178-190.

ჯორბენაძე, ბ. (1989). ქართული დიალექტოლოგია, I (რედ. გ. გოგოლაშვილი). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

დარეჯან თვალთვაძე

Darejan Tvaltavadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

ოთხთავის ხელნაწერები სვანეთიდან

Gospel Manuscripts from Svaneti

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული ხელნაწერები, სვანეთში დაცული ხელნაწერები, სახარების ხელნაწერები სვანეთიდან, ალექსანდრე ხახანაშვილი.

Keywords: Old Georgian manuscripts, manuscripts preserved in Svaneti, Gospel manuscripts from Svaneti, Aleksandre Khakhanashvili.

Currently, 9 Georgian manuscripts of Gospels are preserved in Svaneti. Most of them are preserved in Mestia, at the Museum of History and Ethnography of Svaneti. Others are preserved at the churches of different villages. As it seems, there were more manuscripts of Gospels in Svaneti than those registered today. This can be proved by the publications of the outcomes of expeditions aimed at the study of ancient objects in Svaneti in the second half of the 19th century and the beginning of the 20th century. Out of these expeditions, the most important ones were organized by Dimitri Bakradze in 1860 [Bakradze, 1864], Countess Praskovya Uvarova in 1895 [Uvarova, 1904] and Ekvtime Takaishvili in 1910 [Takaishvili, 1937].

In 1904, the 10th edition of the journal “Materials on the Archeology of the Caucasus” published A. Khakhanashvili’s paper “Svan Manuscripts of Gospels” [Khakhanashvili, 1904]. With more or less precision, the author describes and analyzes the manuscripts of Gospels preserved in different villages of Svaneti. Five of these manuscripts (of Adishi, Mestia, Lapskaldi, Lakhamuli and Latali/Lahili) are still preserved in Svaneti. The other five manuscripts must have been taken from Svaneti at different times.

The paper is an attempt to restore the history of the manuscripts of Gospels described by A. Khakhanashvili 120 years ago. The Gospels were still kept in Svaneti at that time, but currently they are no longer preserved there. In particular, the paper focuses on three manuscripts of Gospels found in Muzhali village. A. Khakhanashvili termed these manuscripts as “Muzhali Gospels” and called them the first, second and third Muzhali Gospels based upon their order [Khakhanashvili, 1904:18-19]; Lashtkhveri Gospels, first discovered by Bartolomei (in 1853) and later by D. Bakradze (in 1860) at the church of Archangel Michael, Mukheli village, Lashtkhveri community, and Uvali (Ughvali) Gospels, which, according to the author, consisted of the readings from the Gospels - Aprakos.

The paper identifies all the three manuscripts termed by A. Khakhanashvili as “Muzhali Gospels”. Based on paleographic-codicological and textological research, it has been found out that all the three Gospels of Muzhali are currently preserved at Fund H (H-1791, H-1870 and H-1871) of Korneli Kekelidze Georgian National Centre of manuscripts. The manuscript called “The First Manuscript of Muzhali”, which was preserved at Chvabiani village, Muzhali community, is also preserved at Fund H, code H-1791. The second Gospels of Muzhali described by A. Khakhanashvili is manuscript H-1870, and the manuscript termed by A. Khakhanashvili as the third Gospels of Muzhali is the palimpsest manuscript H-1871. The latter belonged to Christ Church of Zhabeshi village, Muzhali community.

All the three codexes of Muzhali were among the manuscripts collected by Archipriest Besarion Nizharadze in different villages of Svaneti. After his death (in 1919), Ioseb Tsiokresh Japaridze from Mestia became the owner of the manuscripts [Shanidze, 2021: 292]. Two out of the three manuscripts (H-1870 and H-1871) were brought to Tbilisi and granted to the museum by Akaki Shanidze in 1921. As it seems, the Historical-Ethnographic Society had purchased one manuscript (H-1791) from Ioseb Japaridze earlier, in 1920. A certain fragment of this manuscript, consisting of 4 pages, is still preserved in Svaneti (the Museum of History and Ethnography of Svaneti, N 491. K-8).

It is highly probable that the manuscript termed by A. Khakhanashvili as Lashtkhveri Gospels (H-1741) was brought to Tbilisi at the same time and in the same way. In 1048, this manuscript was copied by monk Michael from Sabatsminda Gospels in Gethsemane, Palestine (the so-called Palestine Gospels, Manuscript G, published by I. Imnaishvili [Imnaishvili, 1979]. In 1911, K. Kekelidze found this manuscript in Mestia; hence it was termed “Svan Gospels“ [Kekelidze, 1912: 36]. As for the manuscript termed by A. Khakhanashvili as “Uvali Gospels”, it is not a codex of Gospels but an Aprakos. Due to the extremely scarce data regarding this manuscript, so far we have failed to identify its location.

References

- Bakradze (1864). Svaneti: Records of the Caucasian Department of the Emperor’s Russian Historical Society, Book VI. Tbilisi, 1864 (In Russian)//Бакрадзе Д.З., Сванетия: Записки Кавказского отдела Императорского русского исторического общества, Книга VI. Тифлис, 1864
- Uvarova (1904). Countess Uvarova’s Trip to Pshavi, Khevsureti and Svaneti: Materials in the Archeology of the Caucasus Collected during the Expeditions of Moscow Archeological Society / edited and prefaced by Countess Uvarova; Issue 10:1904, Moscow Archeological Society. Moscow (In Russian) // Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию графини Уваровой: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой ; Вып. 10:1904, Моск. археолог. о-во. – М.
- Takaishvili, E. (1937). The Archeological Expedition to Lechkhumi and Svaneti in 1910. Paris, 1937 (In Georgian)// ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი.
- Khakhanashvili, A. S. (1904). Khakhanov, A. S., Svan Manuscripts of Gospels: Materials in the Archeology of the Caucasus Collected during the Expeditions of Moscow Archeological Society / edited and prefaced by Countess Uvarova; Issue 10: Appendix 1 (pages 1-21), 1904. Moscow Archeological Society. Moscow (In Russian)// .С. Хаханов, Сванскія рукописныя Евангелія: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой ; Вып. 10: Приложение, 1(1-21), 1904, М.: Моск. археолог. о-во.
- Shanidze, L. (2021). Memories, Diaries, Miscellaneous Works. Compiled by Lela Shanidze, edited by Tamaz Gamkrelidze. Korneli Kekelide Georgian National Centre of Manuscripts, Tbilisi, 2021 (In Georgian)// მოგონებანი, დღიურები, სხვადასხვა, შემდგენელი ლელა შანიძე, რედაქტორი თამაზ გამყრელიძე, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2021.
- Imnaishvili, I. (1979). Two Latest Editions of Georgian Gospels, the text edited and appended with analysis by Ivane Imnaishvili. Tbilisi, 1979 (In Georgian)// ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბილისი, 1979.
- Kekelidze, K. S. (1912). Jerusalem Book of Canons of the 7th Century (Georgian Version), Tbilisi, 1912 (In Russian)// Кекелидзе, К.С., Иерусалимский Канонарь VII века (Грузинская версия). Тифлиси, 1912.

სვანეთის წერილობითი ძეგლების შეკრება და აღწერა ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებისთვის დაიწყო. სიძველეთა შესწავლის მიზნით სვანეთში მოწყობილი ექსპედიციებიდან უმნიშვნელოვანესი იყო 1860 წელს დიმიტრი ბაქრაძის,¹ 1895 წელს გრაფინია პრასკოვია უვაროვას² და 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილი ექსპედიციები.³

სვანეთში დაცული სახარების ხელნაწერები მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ოთხთავის ძველი ქართული თარგმანის ისტორიის შესასწავლად. მათი დიდი ნაწილი მესტიაში, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში (სიემ) ინახება, ნაწილი კი – სხვადასხვა სოფლის ეკლესიაში.

საზოგადოდ, დღეისათვის სვანეთში სახარება-ოთხთავის 9 ქართული ხელნაწერია დაცული,⁴ მაგრამ, როგორც ჩანს, სვანეთში ბევრად მეტი ხელნაწერი სახარება ინახებოდა, ვიდრე დღეს არის აღნუსხული, რასაც მოწმობს XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში სვანეთში განხორციელებული ექსპედიციების შედეგების ამსახველი პუბლიკაციები, რომლებშიც დასახელებული ოთხთავის კოდექსებიდან ზოგიერთი დღეს სვანეთში აღარაა დაცული.

¹ დ. ბაქრაძის ექსპედიციის ანგარიში გამოქვეყნდა 1864 წელს. Бакрадзе Д.З., Сванетия: Записки Кавказского отдела Императорского русского исторического общества, Книга VI. Тифлис, 1864.

² პ. უვაროვას 1895 წლის ექსპედიციის ანგარიში დაიბეჭდა 1904 წელს: Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию графини Уваровой: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой; Вып. 10:1904, Моск. археолог. о-во. – М.

³ 1910 წლის ექსპედიციის ანგარიშის გამოცემა ე. თაყაიშვილმა მხოლოდ 1937 წელს შეძლო: ე.თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937.

⁴ მათ შორის 7 მეტ-ნაკლებად სრული ხელნაწერია: ადიშის (სიემ N478 (კ-82), მესტიის (სიემ N1(კ-70), ლაბსყალდის (სიემ N482 (კ-71), იენაშის (სიემ N483 (კ-72), ლაპილის (სიემ N620, (კ-75), ქურაშის (ქურაშის წმიდა გიორგის ეკლესია) და ლახამულის (სოფ. ლახამულის წმ. გიორგის ეკლესია) ოთხთავები; თავ-ბოლო ნაკლებია ტვიბერის ოთხთავი (სიემ N548 (კ-73) და XIII საუკუნის ხელნაწერი სახარება, რომლის მხოლოდ 76 ფურცელია შემონახული (სიემ N3381 (კ-64); მუზეუმში ასევე დაცულია სახარების ხელნაწერების რამდენიმე ფრაგმენტი: სიემ N8, (კ-37); სიემ N491(კ-8); სიემ N13 (კ-4); სიემ N13 (კ-4) (თვალთვაძე-კვიციანი, 2018:41-55). შევნიშნავთ, რომ სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმში დაცული ხელნაწერების ვრცელი აღწერილობა, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს. იქ დაცული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა-კატალოგი გასული საუკუნის 60-იან წლებში შეადგინა აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა, რომელიც დღეს ხელნაწერი და ნაბეჭდი სახით ინახება კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (ხეცი), მეცნიერის პირად არქივში (ხეცი, საქმე 369; მეტრეველი, 2007); უკანასკნელ წლებში სვანეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერები ხელახლა გადაინომრა და მათი ამჟამინდელი ნუმერაცია ე. მეტრეველის კატალოგის ნუმერაციას აღარ ემთხვევა. სტატიაში სვანეთის მუზეუმში დაცულ ხელნაწერებს ვუთითებთ მათი ახალი და ძველი ნუმერაციით: პირველ რიგში მითითებულია ხელნაწერის ახალი შიფრი, ფრჩხილებში კი – ნომერი, რომელიც მას მინიჭებული ჰქონდა ძველ კატალოგში (ძველი კატალოგი აღნიშნულია ლიტერით კ.). სვანეთში დაცული ხელნაწერები, რომელთაც ახლავს მინაწერი საისტორიო საბუთები, შედარებით ვრცლად აღწერა და 1986 წელს გამოსცა ვალერი სილოგავამ (სილოგავა, 1986); 2015 წელს გამოიცა საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი, რომელშიც სვანეთში დაცული სახარების ხელნაწერებიც მოხვდა (საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი, 2015:279-298).

1904 წელს ჟურნალ „მოამბეში“ დაბეჭდილ სტატიაში დეკანოზი ბესარიონ ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი) წერდა: „სამწუხაროდ, თავშივე უნდა აღვნიშნო, რომ სვანეთის ხელნაწერებისა ჩვენ დრომდე ერთი მეოთხედსღა თუ მოუღწევია; სამი მეოთხედი კი ან დრო-ჟამს მოუსპია ან და კერძო პირებს გაუტანიათ სვანეთიდან: ქუთაისს, ტფილისს, პეტერბურგსა და მოსკოვს და შეიძლება სხვაგანაც, მაგრამ მე მხოლოდ ამ ქალაქებში მეგულება“ (ნიჟარაძე, 1904). სვანეთიდან გატანილი მანუსკრიპტების ერთი ნაწილი ქართულ ხელნაწერთა სხვადასხვა კოლექციაში მოხვდა, სვანეთთან მათი კავშირის შესახებ მითითებას ზოგჯერ ხელნაწერთა აღწერილობებშიც შევხვდებით.⁵

ერთ დროს სვანეთში დაცული ხელნაწერების იდენტიფიცირებას ართულებს ისიც, რომ ცნობები, რომლებსაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის მკვლევრები გვანვდიან მათ შესახებ (ხელნაწერის ზომები, მათში ფურცელთა რაოდენობა, შედგენილობა, შენახვის ადგილის დასახელება და სხვ.), ყოველთვის არ არის ერთგვაროვანი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგიერთი ხელნაწერი დროთა განმავლობაში შეიძლება უფრო მეტად დაზიანებულიყო, ზოგი კი საერთოდ დაკარგულიყო.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით 120 წლის წინ სვანეთში აღექსანდრე ხახანაშვილის მიერ ნანახი და აღწერილი იმ ხელნაწერი სახარებების ისტორია აღვადგინოთ, რომლებიც დღეს სვანეთში აღარ ინახება.

მუჟალის ოთხთავები. 1904 წელს ჟურნალ „Материалы по археологии Кавказа“-ს მე-10 ნომერში, რომელშიც გამოქვეყნდა გრაფინია პრ. უვაროვას ფშავში, ხევსურეთსა და სვანეთში მოგზაურობის ანგარიში, დანართის სახით დაიბეჭდა ალ. ხახანაშვილის ორი სტატია, მათ შორის ერთი – სათაურით „სვანური ხელნაწერი სახარებები“ (Сванскія рукописныя Евангелія)⁶ – ეხება სვანეთში დაცულ ოთხთავის მანუსკრიპტებს, რომელშიც ავტორი მეტ-ნაკლები სისრულით აღწერს და მიმოიხილავს სვანეთის სხვადასხვა სოფელში დაცულ 10 ხელნაწერ სახარებას. ადიშის, მესტიის, ლაფსყალდის, ლახამულის, ლატალის, ლაშთხვერის, უვალის სახარებებთან ერთად, აღექსანდრე ხახანაშვილი ასახელებს სოფელ მუჟალში ნაპოვნ 3 ხელნაწერს, რომელთაც „მუჟალის სახარებებს“ („Мужалскія Евангелія“) უწოდებს (ხახანაშვილი, 1904:18-19). მუჟალის თემის ეკლესიებში 3 სახარება უპოვია 1860 წელს დიმიტრი ბაქრაძესაც, რომელთა შესახებ ის მოკლე, მაგრამ საყურადღებო ცნობებს გვანვდის (ბაქრაძე, 1864:108-109). ალ. ხახანაშვილი, ცხადია, იცნობს და იყენებს დ. ბაქრაძის ნაშრომს, ისევე, როგორც პრ. უვაროვას ანგარიშს, რომლის

⁵ „სვანეთში ნამყოფი“ ხელნაწერებია, მაგალითად, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში (A ფონდი) დაცული სახარების წინათონური რედაქციის ტექსტის შემცველი კოდექსები: A-1699 (X ს); A-18 (XIII ს); ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების კოლექციის ხელნაწერები: H-1741 (1048 წ.); H-1789 (XIII ს.); H-1836 (XIV-XV სს); H-1870 (XIII-XIV სს); H-1871 (XIV-XV სს); H-1872 (XIV-XV სს). სვანეთთან მათ კავშირს ყველაზე კარგად მათ ფურცლებზე მინერილი სვანური საბუთები ცხადყოფენ (სილოგავა, 1986:36-60).

⁶ А.С. Хаханов, Сванскія рукописныя Евангелія: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой ; Вып. 10: Приложение, 1(გვ. 1-21), 1904, Моск. археолог. о-во. - М.

ერთი ქვეთავი სვანეთში ნაპოვნ ხელნაწერებს ეხება (უვაროვა, 1904:147-154),⁷ თუმცა ხელნაწერი სახარებების მის მიერ მოცემულ აღწერილობებში მეტწილად თავად ავტორის უშუალო დაკვირვების ამსახველი ინფორმაციაა ასახული.

სანამ თითოეული მათგანის მოკლე აღწერილობას მოგვცემდეს, ალ. ხახანაშვილი ზოგადად აღნიშნავს, რომ მუჟალში ნაპოვნი სამივე ხელნაწერი ოთხთავი დაშლილი და უყდოა; დაწერილია ნუსხური ანბანით, დასაწყისები და სათაურები – ასომთავრულით. სანერად ალაგ-ალაგ გამოყენებულია სინგურიც. მუჟალის თემში ნანახ ხელნაწერ სახარებებს ალ. ხახანაშვილი რიგითობის მიხედვით, პირველ, მეორე და მესამე სახარებებად მოიხსენიებს (ხახანაშვილი, 1904:18-19). ალ. ხახანაშვილის კვალდაკვალ, მათ ჩვენც, პირობითად, მუჟალის I, II და III ოთხთავებს ვუწოდებთ და შევეცდებით ვაჩვენოთ, რა ბედი ენია თითოეულ მათგანს.

„მუჟალის I ოთხთავი“. ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობით, პერგამენტზე ნუსხურად ორ სვეტად ნაწერი ეს ხელნაწერი 151 ფურცელს შეიცავს, რომელთაგან 22 ფურცელი უჭირავს მათეს, 42 – მარკოზის, 68 – ლუკას და 20 ფურცელი – იოანეს სახარებას. მკვლევარი უთითებს ხელნაწერის ფურცლის ზომებს (20X15 სმ) და გვერდზე სტრიქონთა რაოდენობასაც (22 სტრიქონი) და პალეოგრაფიული ნიშნებით მანუსკრიპტს XI-XII საუკუნეებს მიაკუთვნებს.

ალ. ხახანაშვილს მოჰყავს სახარებათა ბოლოს დართული მინაწერები (ე.წ. ჰიპოგრაფები, რომლებიც სახარებების დაწერასთან დაკავშირებული დეტალების, მათში მუხლებისა და თავების რაოდენობის შესახებ ცნობებს შეიცავს), თუმცა ზოგჯერ არასწორი წაკითხვით და ინტერპრეტაციით. იგი აქვეყნებს ამ ხელნაწერის რამდენიმე ანდერძსაც და ასწორებს ზოგიერთი ადგილის, მისი აზრით, მცდარ წაკითხვას, რომელიც დ. ბაქრაძის პუბლიკაციაში შეუნიშნავს. იქვე ალ. ხახანაშვილს მოჰყავს ლუკას სახარების ბოლოს მიწერილი ანდერძის ტექსტიც, რომელიც ხელნაწერის დაწერის დროს განსაზღვრავს: *„მას ჟამსა დაიწერა ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს, ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათვის“* და კიდევ ერთი ანდერძი, რომელშიც ზემოთ დასახელებული გიორგი ბერია ნახსენები: *„წმიდაო მარკოზ მახარებელო, მეობ-ყყავ გიორგი ბერსა ავად ცოდვილსა“* (ხახანაშვილი, 1904:18-19).

ალ. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ოთხთავის ამ ხელნაწერს მის დროს უკვე აკლდა ის ფურცელი, რომელიც 1860 წელს უნახავს ბაქრაძეს⁸ და რომელზედაც დაწერილი ყოფილა კიდევ ერთი ანდერძი: *„ლოცვა ყოველ (ყავთ) გიორგი ბერისათვის. დაიწერა მთასა საკურველსა თორნესა წმიდისა სვეთონისასა. ღმერთმან შეუწდვენ ბასილსა დეკანოზსა დიდად მოღუნა (იგვანა?). თქუენცა აკურთხეთ“.*

⁷ პრ.უვაროვას ანგარიშს ერთვის სვანეთის ეკლესიებსა და კერძო კოლექციებში ექსპედიციის დროს მიკვლეული სიძველეების ნუსხაც (უვაროვა, 1904:163-183), სადაც მულახის თემის სოფელ ჩვაბიანში დ. ბაქრაძის მიერ 1864 წელს ნანახი ეტრატის ორი ხელნაწერი სახარებაა დასახელებული, რომლებიც 1895 წლის ექსპედიციის დროს პრ. უვაროვას ვერ უნახავს (უვაროვა, 1904:174). ამ თემში მას მხოლოდ ერთი, ეტრატზე ნაწერი ძლიერ დაზიანებული სახარება უპოვია, რომელიც სოფ. ჟაბემის ეკლესიაში ინახებოდა (უვაროვა, 1904:175).

⁸ იგულისხმება დიმიტრი ბაქრაძე და მისი ნაშრომი „Сванетія“, რომელიც 1864 წელს გამოქვეყნდა, გვ. 108.

აღ. ხახანაშვილი ასწორებს ანდერძის რამდენიმე ადგილის ბაქრაძისეულ წაკითხვას (ყოველქვათ); მოლუნაიგვანა), თუმცა ეს მხოლოდ მისი კონიექტურაა, თავად ანდერძის ტექსტი აღ. ხახანაშვილს არ უნახავს. დ. ბაქრაძისგან განსხვავებით, რომელიც ანდერძებში მოხსენიებულ გიორგი ბერს გიორგი მთაწმიდელად მიიჩნევს, აღ. ხახანაშვილი არ აიგივებს მას გიორგი მთაწმიდელთან, რადგან სწორად შეუნიშნავს, რომ ანდერძში დაფიქსირებული ხელნაწერის შექმნის თარიღი („დაინერა...ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“) XIII საუკუნეზე მიუთითებს. ცნობილია, რომ კილიკიის სომეხებმა ანტიოქია ორჯერ აიღეს: ერთხელ 1213 წელს, ხოლო მეორედ – 1216 წელს. სავარაუდოდ, ხელნაწერიც ამ წლებშია გადაწერილი.

აღ. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ხელნაწერის გადამწერის, გიორგი ბერის ანდერძს მოჰყვება გადამწერისავე ხელითვე დანერილი სხვა ტექსტიც, რომელსაც კოდექსის ბოლო გვერდი უჭირავს და ბოლონაკლულია. მოვიყვანთ ამ ტექსტს მთლიანად, რადგან სწორედ ის დაგვეხმარა აღ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის I ოთხთავად აღწერილი სახარების იდენტიფიკაციაში: „*მადლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ყოვლად წმიდასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყუარებითა თვისითა აურაცხელნი დიდებულნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვიარებთ და ჭეშმარიტება მისი მართლმადიდებლობით ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ...*“ (ხახანაშვილი, 1904:18).

აღ. ხახანაშვილის მიერ აღწერილი ეს ხელნაწერი დღეს სვანეთში დაცულ სახარების კოდექსებს შორის არ ჩანს. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეს მანუსკრიპტი აღ. ხახანაშვილამდე ნახაჩი აქვს 1860 წელს დიმიტრი ბაქრაძეს (ბაქრაძე, 1864:108) და, როგორც ექვთიმე თაყაიშვილი მიუთითებს, ბერ ალექსი ბაქრაძესაც (თაყაიშვილი, 1937:249); ხელნაწერი არ უნახავს 1895 წელს სვანეთში ექსპედიციის დროს პრ. უვაროვას (უვაროვა, 1904:148). 1910 წელს ლეჩხუმ-სვანეთში მოწყობილი არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშში ე. თაყაიშვილი წერს, რომ მუჟალის თემის მაცხოვრის ეკლესიაში „*ეხლა აღარ არის, მაგრამ დ. ბაქრაძის დროს აქ ყოფილა ეტრატის სახარება*“ (თაყაიშვილი, 1937:249).⁹

რა ბედი ენია აღ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის I ოთხთავად წოდებულ ხელნაწერს?

ჩვენი ყურადღება მიიქცია კოდექსის ანტიოქიასთან კავშირმა და მის ბოლო გვერდზე შემორჩენილმა ტექსტმა, რომელიც მოჰყავს აღ. ხახანაშვილს („*მადლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ...*“) და რომელიც ოთხთავის რამდენიმე სხვა ხელნაწერშიც გვხვდება (K-76; Vat.Iber.1; A-357; H-1791, A-37). ყველა ეს ხელნაწერი ოთხთავის გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ტექსტს შეიცავს და უკავშირდება ანტიოქიის სამნიგნობრო სკოლას. ტექსტი ოთხთავის პარატექსტული დანართია, პანეგირიკული ჰომილია, რომელიც სახარება-ოთხთავის, როგორც „წიგნთა წიგნის“, სადიდებლად დაინერა. აღნიშნული ტექსტი (პირობითი სათაუ-

⁹ სინამდვილეში, როგორც ირკვევა, ე. თაყაიშვილმა ეს ხელნაწერი ნახა მესტიაში, ბესარიონ ნიჟარაძესთან (თაყაიშვილი, 1937: 307), თუმცა დ. ბაქრაძის და აღ. ხახანაშვილის მიერ აღწერილ მუჟალის პირველ ოთხთავთან მისი იდენტიფიცირება ვერ მოახერხა.

რით „შესხმაჲ ოთხთავისაჲ“) ყველაზე სრულად შემონახულია 1060 წლის კალიპოსის ოთხთავში (K-76,350v-353v); თითქმის სრულად ერთვის XIV-XV საუკუნეებით დათარიღებულ ქვათახევის ოთხთავსაც (A-357, 252r-255r); ნაკლული სახით გვაქვს შავ მთაზე გადაწერილ ვატიკანის ოთხთავში (Vat.Iber.1: 574,567); მისი შემოკლებული ვერსია დართული აქვს XIII საუკუნის ერთ ოთხთავსაც A-37 (308r-309v) და ფრაგმენტულად – სირიული წარმომავლობის H-1791 ხელნაწერს, რომელიც 1213–1216 წლებით თარიღდება. პარატექსტის ავტორად მიიჩნევა XI საუკუნის II ნახევარში ანტიოქიაში, კერძოდ, კალიპოსის მონასტერში მოღვაწე ქართველი მწიგნობარი ბასილი თორელყოფილი,¹⁰ რომელსაც 1060 წელს გადაუწერია გიორგი მთაწმიდლის „ახალთარგმნილი სახარება“ (K-76) და რომლისთვისაც, გადამწერის ანდერძთან ერთად, ოთხთავის შესხმის ტექსტიც დაურთავს.¹¹

ამ ხელნაწერებში დაცული „შესხმაჲ ოთხთავისაჲს“ ტექსტის შედარება ალ. ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ მუჟალის I ოთხთავის ბოლო გვერდზე წარმოდგენილ ტექსტის ზემოთ მოყვანილ ფრაგმენტთან გვიჩვენებს, რომ ის ბასილი თორელყოფილის „შესხმის“ დასაწყისია და საინტერესოა, რომ სწორედ იმ ადგილზე წყდება, რომელზეც H-1791-ში დაცული ტექსტი.¹² გარდა ამისა, ერთნაირია „მუჟალის I ოთხთავის“ და H-1791-ის სხვა პარამეტრებიც, რასაც კარგად წარმოაჩენს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი, რომელშიც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, მუჟალის I ოთხთავად წოდებული ხელნაწერის შესახებ ალ. ხახანაშვილის მიერ მოწოდებული ცნობები, მეორე მხრივ კი – H ფონდის N 1791 ხელნაწერის შესახებ აღწერილობაში მოცემული ინფორმაცია (H ფონდის აღწერილობა, 1950: 218).

	მუჟალის I ოთხთავი (ალ. ხახანაშვილის მიხედვით)	H-1791 (აღწერილობის მიხედვით)
მასალა	ეტრატი	ეტრატი
მდგომარეობა	ნაკლული, უყდო	ნაკლული, უყდო
ფურცელთა რაოდ.	151 ფ.	153 ფ.
თარიღი	„ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“ 1213-1216 წ.წ.	„ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“ 1213-1216 წ.წ.
ზომები	20X15 სმ	21X15 სმ
სვეტები/ სტრიქონები	ორ სვეტად, სვეტში 22 სტრიქონი	ორ სვეტად, სვეტში 22 სტრიქონი
ანბანის სახეობა	ნუსხური	ნუსხური
გადამწერი	გიორგი ბერი	გიორგი ბერი (153r)
გადანერის ადგილი	სირია (შავი მთა)	სირია (ანტიოქია) (151r)

¹⁰ პარატექსტის ავტორის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია სხვა აზრიც, მაგ., თ. შურლაია მის ავტორად გიორგი მთაწმიდელს მიიჩნევს (შურლაია, 2006:165).

¹¹ ამ ტექსტის შესახებ ვრცლად იხ. სილოგავა, 1989; თვალთვაძე, 2010.

¹² ვრცლად ამის შესახებ: იხ. დ. თვალთვაძე, ჩვაბიანის ოთხთავი (H-1791 და მესტიის მუზეუმში დაცული მისი ფრაგმენტი (სიემ N 491) (თვალთვაძე, 2024).

შედგენილობა	22ფ. უჭირავს მათეს, 42ფ.– მარკოზის, 68ფ. – ლუკას და 20 ფ. – იოანეს სახარებას	მათეს (21,33-დან), მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებები ნაკლულად
ანდერძები და მინანერები	<p>გადამწერის ანდერძები: (სულ 3 ანდერძი)</p> <p>1. ლუკას სახარების ბოლოს: „მას ჟამსა დაინერა ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს. ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათვის“</p> <p>2. „გიორგი ბერსა გლახ მწარედ ცოდვილსა ულოცე, მკითხველო, ღმრთისათვის. „მაღლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანის-ცემაჲ ყოვლადწმიდასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყუარებითა თვისითა აურაცხელნი დიდებულნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვიარებთ და გუეუნყა ჭეშმარიტებაჲ მისი მართლადიდებლობით ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ“...</p> <p>3. „ბაქრაძეს (გვ. 108) უნახავს კიდევ ერთი ფურცელი, რომელიც დღეს დაკარგულია, სადაც ეწერა: „ლოცვა ყოველ (ყავთ) გიორგი ბერისათვის. დაინერა მთასა საკურველსა თორნესა წმიდისა სვეონისასა. ღმერთმან შეუნდგენნ ბასილსა დეკანოზსა დიდად მოლუნა (იგვანა ?). თქუენცა აკურთხეთ“ (ანდერძის ტექსტი ალ. ხახანაშვილს მოჰყავს დ. ბაქრაძის პუბლიკაციაზე დაყრდნობით)</p>	<p>გადამწერის ანდერძები: (2 ანდერძი; მე-3 ანდერძი ხელნაწერის აღწერის დროისთვის დაკარგულია).</p> <p>1. „მას ჟამსა დაინერა ესე ოთხთავი, ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“. აქვე წვრილი ნუსხურით: „ლოცვა ყავთ გიორგი ბერისათვის“ (151v)</p> <p>2. „გიორგი ბერსა, გლახ მწარედ ცოდვილსა, ულოცე მკითხველო, ღმრთისათვის. „მაღლი და დიდებაჲ, პატივი და თაყუანისცემაჲ ყოვლად წმიდასა სამებასა, მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელმან აურაცხელითა კაცთმოყუარებითა თვისითა აურაცხელნი დიდებულნი კეთილნი და ნიჭნი სრულნი მოჰმადლნა კაცთა და განგუეცხადა მორწმუნეთა სახიერებით, რომლისა მიმართ გურწმენა და აღვიარებთ და გუეუნყა ჭეშმარიტებაჲ მისი მართლადიდებლობით ხარებისაებრ და უწყებისა წმიდათა მოციქულთა და მახარებელთაჲსა და სულითა წმიდითა მათ მიერ აღწერილისა წიგნისა ამის მიერ“... (153r)</p> <p>3. (დაკარგულია)</p>

მიუხედავად იმისა, რომ დღეს H-1791 ხელნაწერში არა 151, არამედ 153 ფურცელია (H ფონდის აღწერილობა, 1950:218) და მისი ზომა (21X15 სმ) მცირედ, მაგრამ განსხვავდება ალ. ხახანაშვილის მიერ მითითებული ზომებისაგან (20X15 სმ), სხვა მრავალი მახასიათებელი აშკარად მიგვანიშნებს, რომ H-1791 ის ოთხთავია, რომელსაც ალ. ხახანაშვილი მუჟალის I ოთხთავად აღწერს: H-1791 ხელნაწერიც ნაწერია ორ სვეტად და სვეტში 22 სტრიქონია; მისი გადამწერიც გიორგი ბერია; გადაწერის ადგილი და დრო იგივეა, რაც დასტურდება ანდერძით, რომელიც დ. ბაქრაძეს, ა. ბაქრაძეს და ალ. ხახანაშვილსაც (დ. ბაქრაძეზე დაყრდნობით) მოჰყავთ: „დაიწერა მას ჟამსა ოდეს ანტიოქია სომეხთა აიღეს“ (H-1791, 151v); ამ ანდერძის მიხედვით ხელნაწერის თარიღად 1213-1216 წლები განისაზღვრება; იდენტურია ხელნაწერი წიგნის შედგენილობა და მდგომარეობა: შეიცავს მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებებს ნაკლულად; ხელნაწერი უყდოა და დაშლილი; იდენტურია H-1791-ის და ალ. ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებული სახარებათა ჰიპოგრაფები (გიორგი მთაწმიდლის რედაქციისა); იდენტურია H-1791-ში დაცული სახარების პარატექსტი, ე.წ. „შესხმად ოთხთავისა“ და მუჟალის I ოთხთავის აღწერისას ალ. ხახანაშვილის მიერ ანდერძის გაგრძელებად მოყვანილი ტექსტი, ისინი ერთსა და იმავე ადგილზე წყდება (H-1791, 153r).

ეჭვგარეშეა, რომ აქ ერთსა და იმავე ხელნაწერთან გვაქვს საქმე - ალ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის I ოთხთავად წოდებული ხელნაწერი არის ოთხთავის ის კოდექსი, რომელიც დღეს თბილისში, ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციაში (H ფონდი) ინახება 1791-ე ნომრით. უცნობია, როდის და ვინ ჩამოიტანა ეს ხელნაწერი თბილისში (ხელნაწერის აღწერილობაში მისი წარმომავლობის შესახებ არაფერია ნათქვამი), მაგრამ ფაქტია, რომ 1904 წელს ის ჯერ კიდევ მუჟალის მაცხოვრის ეკლესიის საკუთრება ყოფილა.¹³

H-1791 ხელნაწერი ნაკლულია. უყდო და დაშლილ კოდექსში ამოვარდნილია ფურცლები. რადგან მანუსკრიპტის სვანეთთან კავშირი დადგინდა, მისი დაკარგული ფურცლების ძებნა სვანეთში დაცული ფრაგმენტების შესწავლით დავიწყეთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია მესტიის მუზეუმში ჩვაბიანის ოთხთავის სახელით დაცულმა ოთხფურცლიანმა ფრაგმენტმა (სიემ N 491 (კ-8), რომელიც მუჟალის თემის სოფელ ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიაში იქნა ნაპოვნი და სახელიც ბოლო დაცულობის ადგილის მიხედვით ეწოდა. ფრაგმენტისა და H-1791 ხელნაწერის შედარებითმა პალეოგრაფიულ-კოდიკოლოგიურმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ მესტიაში დაცული და ჩვაბიანის ოთხთავად წოდებული ფრაგმენტი H-1791 ხელნაწერის ნაწილია, რომელიც 1904 წელს ალ. ხახანაშვილმა მუჟალის I ოთხთავად აღწერა, შემდეგ კი თბილისში H ფონდში მოხვდა (თვალთვაძე, 2024).

ჩვენი კვლევის შედეგად „მუჟალის I ოთხთავის“, იგივე „ჩვაბიანის ოთხთავის“ (H-1791+სიემ N491) ისტორია ასე წარმოგვიდგება: 1213-1216 წლებში სირიაში, ანტიოქიის მახლობლად, „მთასა საკრველსა თორნესა წმიდისა სვეონისასა“ ბერი გიორგის მიერ გადაწერილი ეტრატის სახარება-ოთხთავის ხელნაწერი, არ ვიცით როდის და როგორ, მაგრამ სვანეთში მოხვდა. შეიძლება დანამდვილებით ითქვას,

¹³ ქვემოთ ამ ხელნაწერის თბილისში ჩამოტანის საკითხს კიდევ შევხებით.

რომ XX საუკუნის დასაწყისამდე ეს ხელნაწერი ჩვაბიანის მაცხოვრის ეკლესიის კუთვნილება იყო; აქ ნახა ის 1860 წელს დ. ბაქრაძემ, 1904 წელს – ალ. ხახანაშვილმა. 1910 წლისთვის მისი დიდი ნაწილი (მინიმუმ 153ფ.) მესტიაში ბესარიონ ნიჟარაძესთან ინახებოდა, სადაც ის უნახავს ექვთიმე თაყაიშვილს (ე. თაყაიშვილი, 1937:307), შემდეგ კი ხელნაწერი თბილისში საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში მოხვედრილა და დღეს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში 1791-ე ნომრად არის დაცული.

როგორც ჩანს, დაშლილი ხელნაწერის ნაწილი ჩვაბიანშივე დარჩა. 1895 წელს სწორედ ამ სოფელში, მღვდლის სახლში უნახავს პრ. უვაროვას ხურჯინი, რომელიც სავსე იყო ეტრატზე დანერილი დაშლილი და დაზიანებული ძველი ხელნაწერებით (უვაროვა, 1904:154), მათ შორის იყო, ალბათ, H-1791-ის ფრაგმენტებიც, საიდანაც შემორჩენილმა 4-მა ფურცელმა ბოლოს მესტიის მუზეუმში დაიდო ბინა. დღეს ჩვაბიანის ოთხთავად სწორედ ეს ოთხფურცლიანი ფრაგმენტი – სიემ N491(კ-8) ინოდება. მართებული იქნება იმავე სახელით მოვიხსენიოთ H-1791 ხელნაწერიც, რომელიც მესტიაში დაცულ ფრაგმენტთან ერთად უკვე არა 153, არამედ 157 ფურცელს შეიცავს.

„მუჟალის II ოთხთავი“. ალ. ხახანაშვილის მიხედვით, მუჟალში ნაპოვნი მეორე ხელნაწერი არის ეტრატზე ნუსხურით ნაწერი ოთხთავის თარიღიანი ნუსხა (1211 წ.), რომლის გადამწერია ვინმე გიორგი. ამ ხელნაწერის შესახებ ალ. ხახანაშვილი წერს: *„მეორე სახარება, ასევე უყდოა და დაშლილი, პერგამენტი. 24 X 18 სმ. დეფექტური. შემორჩენილია 129 ფ. მათგან 1 არის იოანე მახარებლის მინიატურა. ნაწერია მე-13 საუკუნის ნუსხურით, რომელიც არც ისეთი ლამაზია, როგორც წინა ოთხთავის;“¹⁴ მარკოზის სახარება მთავრდება სიტყვებით: „დაესრულა მარკოზის სახარებაჲ თავი. ცლზმურლი აღინერა ხუთასოთმოცმეათერთმეტესა წელსა ბრძანებითა ბესითა, ხოლო იკითხვის წმიდათა მარხვათა“. ასეთივე მინაწერი არის ლუკას სახარების ბოლოს: „აღინერა სახარებაჲ ლუკასი შემდგომად ამაღლებისა უფლისა ჩუენის იესუ ქრისტესა წელსა მეთხუთმეტესა, სტიქონი ორითასა (?) სამეოცდა ათი, თავნი საკითხავიანი ფვ“; ხოლო იოანეს სახარების ბოლოს გადამწერის ხელითვე დანერილი ანდერძია, რომელშიც დასახელებულია „გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი“ („...სამებაო ერთღვთაებაო, დღესა მას დიდსა სასჯელისასა იხსენ სატანჯველთაგან სასტიკთა და საშინელთა გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი მეოხებითა წმიდათა შენტა ათორმეტთა მოციქულთაჲთა, მნბითა (მეოხებითა) წმიდისა ღმრთისმშობლისათა და ყოველთა ზეცისა ძალთათა, რომელნი სათნო გეყვნეს“ (ხახანაშვილი, 1904:18-19).*

ანდერძში დასახელებულ გიორგის ალ. ხახანაშვილი გადამწერად მიიჩნევს, განსხვავებით დ. ბაქრაძისგან, რომელსაც ის გიორგი მთაწმიდელად მიუჩნევია და, შესაბამისად, ხელნაწერიც გიორგის ეპოქასთან დაუკავშირებია (ბაქრაძე, 1864:109). მის ამ შეცდომას ხახანაშვილი იმით ხსნის, რომ დ. ბაქრაძეს არ უთვალისწინებია ანდერძის ტექსტი, სადაც, როგორც ხახანაშვილი წერს: *„მითითებულია, რომ ხელნაწერი გადამწერილია ქართული ქორონიკონის 591 წელს,*

¹⁴ გულისხმობს ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ მუჟალის I სახარებას.

ანუ 1211 წელს“ (ხახანაშვილი, 1904:19), თუმცა არც თვითონ მოჰყავს გადამწერის ის ანდერძი, სადაც თარიღი ყოფილა აღნიშნული. გადამწერის ანდერძის ის მონაკვეთი, რომელშიც კოდექსის გადანერის თარიღია მითითებული, არ მოჰყავს არც ე. თაყაიშვილს, რომელიც ამ ხელნაწერზე საუბრისას წერს, რომ „სოფელ ჟაბუმში მაცხოვრის ქვის ეკლესიაში დ. ბაქრაძის დროს ყოფილა ტყავის სახარება, რომლის ბოლოს წერებულა: „სამებაო ერთარსებაო... იხსენ სატანჯველთაგან გიორგი ამის აღმწერელი“ (თაყაიშვილი, 1937:250); ამ ხელნაწერზე საუბრისას ე. თაყაიშვილი იმონმებს ალ. ხახანაშვილსაც და ასწორებს მის მიერ გამოქვეყნებული მინაწერებისა და ანდერძის ნაკითხვის რამდენიმე შეცდომას. თარიღთან დაკავშირებით ის არაფერს ამბობს.

მაშ, რა ნახა და რის საფუძველზე დაათარიღა ალ. ხახანაშვილმა ხელნაწერი 1211 წლით? შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას ხელთ ჰქონდა ხელნაწერის ის ფურცელი, რომელზეც კოდექსის გადანერის თარიღი ეწერა და რომელიც შემდეგ დაიკარგა, მაგრამ რატომ არაფერს ამბობს მასზე დ. ბაქრაძე ან ე.თაყაიშვილი? საქმის ვითარება უფრო სხვაგვარი ჩანს. გადამწერის ასეთი ანდერძი (თუ ანდერძის მონაკვეთი), სადაც ხელნაწერის გადანერის თარიღად ქორონიკონით 591 წელი (?) იყო მითითებული, ხახანაშვილს არ უნახავს და ალბათ არც არსებულა.

ალ. ხახანაშვილი შეცდომაში შეუყვანია მარკოზის სახარების ბოლოს დაერთულ მინაწერს, რომელსაც ის ასე კითხულობს: „დაესრულა მარკოზის სახარებაჲ თავი. ცლზმურლი აღინერა ხუთასოთხმოცმეათერთმეტესა წელსა ბრძანებითა ბესითა, ხოლო იკითხვის წმიდათა მარხვათა“ (ხახანაშვილი, 1904:18). მას ეს ტექსტი გადამწერის ანდერძად, ხოლო იქ დასახელებული 591-ე წელი კი ხელნაწერის გადანერის თარიღად მიუჩნევია.¹⁵ სინამდვილეში კი, ეს არა გადამწერის ანდერძი, არამედ სახარების ტრადიციული კოლოფონია (ე.წ. ჰიპოგრაფი), რომელიც ბერძნულ ხელნაწერებს (და სხვაენოვან ვერსიებსაც) ერთვის და რომელშიც მოცემულია სახარებასთან დაკავშირებული ცნობები: ავტორი, დაწერის დრო (ზოგჯერ დასახელებულია ადგილი და დაწერის ინიციატორიც), მითითებულია სახარებაში თავებისა და მუხლების რაოდენობა და ინფორმაცია მისი ლიტურგიკული დანიშნულების შესახებ (მაგ. „იკითხვის წმიდათა მარხვათა“). ასეთი კოლოფონები ერთვის ქართულ ხელნაწერთა უმრავლესობას და, მიუხედავად იმისა, რომ რედაქციების მიხედვით ტექსტი განსხვავებულია, გიორგი მთაწმიდლისეული რედაქციის ნუსხებში იგი ყველაზე ხშირად ასე იკითხება: „დაესრულა მარკოზის სახარებაჲ თავი ს ლ ზ, მუჯლი ჩ ფ ჟ. მეათორმეტესა წელსა აღინერა ბრძანებითა პეტრესითა, ხოლო იკითხვის წმიდათა მარხუათა“; ან ასე: „სახარებაჲ მარკოზის თავი აღინერა აღექსანდრიას შემდგომად ამალღებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა მე-ია-სა წელსა. სტიქონი ჩ ქ, თავნი საკითხავთანი ნ ზ“ (თვალთვაძე, 2021).

¹⁵ თუმცა მასზე დაყრდნობით ალ. ხახანაშვილის მიერ მითითებული 1211 წელი მაინც არ გამოდის სწორად გამოანგარიშებული (591+780=1371). უნდა აღინიშნოს, რომ კოლოფონის რუსულ თარგმანში ავტორი სხვა თარიღს (1219 წ.) უთითებს: “Закончилось Евангелие отъ Марка. Написано 591 (591+780=1219) по приказанію Бесаріона, читается постомъ” (ხახანაშვილი, 1904:18).

აღ. ხახანაშვილს (ან ხელნაწერის გადამწერს) არასწორად ამოუკითხავს კოლოფონში დაქარაგმებულად დანერილი მარკოზის სახარების დანერის ინიციატორის, პეტრე მოციქულის სახელი ბესარიონად (უნდა იყოს „ბრძანებითა პეტრესითა“ და არა „ბრძანებითა ბესარიონისითა“); შეცდომაა დაშვებული მარკოზის სახარების თავთა რაოდენობის ამოკითხვაშიც (უნდა იყოს: სლზ მუჭლი, რომლის ნაცვლად ხახანაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ტექსტში წერია გაუგებარი შინაარსის სიტყვა „ცლზმურლი“; როგორც ჩანს, გადამწერის მიერ ასევე არასწორადაა ამოკითხული ასოებით ჩანერილი მუხლების რაოდენობის აღმნიშვნელი რიცხვი ჩ ფ ყ (=1590), სავარაუდოდ, ფ ყ ა-დ (=591), რომელმაც მოგვცა ნაკითხვა „ხუთას ოთხმოცმეათრთმეტესა“ (უნდა იყოს ან „მეათორმეტესა წელსა“, ან „წელსა მე-ია (მე-11) შემდგომად ამალლებისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა“, როგორც ეს არის წარმოდგენილი კოლოფონის ვარიანტებში).

როგორც ჩანს, აღ. ხახანაშვილი ვერ გაერკვა მინაწერის რაობაში,¹⁶ რამაც გამოიწვია მისი მიჩნევა ხელნაწერის გადამწერის ანდერძად და იქ მითითებული თარიღისა კი – კოდექსის გადამწერის თარიღად. სინამდვილეში ხელნაწერი უთარიღოა, პალეოგრაფიული მახასიათებლებით ის XIII-XIV საუკუნეებს უნდა მიეკუთვნებოდეს.

სად არის დღეს „მუჟალის II ოთხთავი“? თბილისში, ყოფილი საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმის კოლექციაში (დღევანდელ H ფონდში), ნომრით H-1870 ინახება XIII-XIV საუკუნეების ნაკლული, ეტრატზე ნუსხურით დანერილი, უყდო, დაშლილი ოთხთავის ხელნაწერი, რომლის აღწერილობაში მითითებულია, რომ ის შეიცავს 98 ფურცელს (ზომები 24,5X18,5სმ.), დასაწყისები დანერილია სინგურით და მთავრულით, შემორჩენილია იოანე მახარებლის გამოსახულება, მოყვანილია გადამწერის ანდერძიც, რომელშიც დასახელებულია გადამწერი გიორგი. „სამეზაო ერთღმრთეზაო, დღესა მას დიდსა სასჯელისასა იხსენ სატანჯველისაგან სასტიკთა და საშინელთა გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი მეოხებითა წმიდათა შენტა ათორმეტთა მოციქულთაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისაჲთა და ყოველთა... ზეცისა ძალითაჲთა, რომელნი სათნო გეყვნეს...“ (H-1870, 98v). აღწერილობაში მითითებულია, რომ ხელნაწერი ჩამოტანილია სვანეთიდან აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს და ახლავს სვანური საბუთები (H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, 1950:252). ამ ხელნაწერის მონაცემები, თუ არ ჩავთვლით ფურცელთა რაოდენობას, რომელიც განსხვავებულია (აკლია 31 ფურცელი, სავარაუდოდ, დასაწყისში), სხვა მხრივ (თარიღი, ზომა, იოანე მახარებლის მინიატურა, გადამწერი, ანდერძი და წარმომავლობა) იგივეა, რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ აღ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის II ოთხთავად წოდებული ხელნაწერი და H-1870 ერთსა და იმავე კოდექსად მივიჩნიოთ.

¹⁶ განსხვავებით დ. ბაქრაძის და ე. თაყაიშვილისაგან, რომლებიც სწორად განსაზღვრავენ მინაწერის სტატუსს. ე. თაყაიშვილი ასწორებს ხახანაშვილის ნაკითხვის რამდენიმე შეცდომას, თუმცა ბესარიონს უცვლელად ტოვებს (თაყაიშვილი, 1937:109).

	მუჟალის II ოთხთავი (აღ. ხახანაშვილის მიხედვით)	H-1870 (აღწერილობის მიხედვით)
მასალა	ეტრატი	ეტრატი
მდგომარეობა	ნაკლული, უყდო,	ნაკლული, უყდო
ფურცელთა რაოდ.	129 ფ.	98 ფ.
თარიღი	1211(//1219)	XIII-XIV ს.ს.
ზომები	24X18 სმ	24,5 X 18, 5 სმ
ანბანის სახეობა	ნუსხური (წვრილი, არც ისეთი ლამაზი)	ნუსხური
გადამწერი	გიორგი	გიორგი
შედგენილობა	მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებანი კოლოფონებით	ლუკას სახარება (1-44-დან) და იოანეს სახარება კოლოფონებით
ანდერძები და მინაწერები	გადამწერის ანდერძი: <i>„...სამებაო ერთღმრთეებაო, დღესა მას დიდსა სასჯელისასა იხსენ სატანჯველისაგან სასტიკთა და საშინელთა გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი მეოხებითა წმიდათა შენტა ათორმეტთა მოციქულთაჲთა, მნიბითა წმიდისა ღთისმშობლისათა და ყვლა ზეცისა ძალთათა, რომელი სათნო გეყვნეს.“</i>	გადამწერის ანდერძი (98v): <i>„...სამებაო ერთღმრთეებაო, დღესა მას დიდსა სასჯელისასა იხსენ სატანჯველისაგან სასტიკთა და საშინელთა გიორგი ამის წიგნისა აღმწერელი მეოხებითა წმიდათა შენტა ათორმეტთა მოციქულთაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთის-მშობელისაჲთა და ყოველთა... ზეცისა ძალისაჲთა, რომელნი სათნო გეყვნეს...“</i>
მხატვრული გაფორმება	იოანე მახარებლის მინიატიურა	იოანე მახარებლის მინიატიურა (62v)
ცნობები ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ	აღ. ხახანაშვილთან ხელნაწერის სვანეთში თავდაპირველი დაცულობის კონკრეტული ადგილი მითითებული არ არის. ნახსენებია მხოლოდ მუჟალის თემი.	ჩამოტანილია სვანეთიდან აკაკი შანიძის მიერ 1921 წ. (H ფონდის აღწერილობა, 1950:252).

ამკარაა, რომ აღ. ხახანაშვილის მიერ მუჟალის II ოთხთავის შესახებ მონოდეზული ცნობები (გარდა ფურცელთა რაოდენობისა)¹⁷ იდენტურია H-1870-ის აღწერილობაში მონოდეზული ცნობებისა და საქმე ერთ ხელნაწერთან გვაქვს, რომელიც სვანეთიდან ჩამოუტანია და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისთვის გადაუცია აკაკი შანიძეს.

აკაკი შანიძემ სვანეთში ორჯერ, 1920 და 1921 წლებში იმოგზაურა. 1921 წლის 20 სექტემბერს თავის დღიურში მას შემდეგი ჩანაწერი გაუკეთებია: „სვანეთიდან

¹⁷ ვვარაუდობთ, რომ ხელნაწერს შეიძლება ეს ფურცლები დაკლებოდა მას მერე, რაც ის აღ. ხახანაშვილმა აღწერა.

წამოვიღე და მუზეუმისთვის ჩამოვიტანე ზოგიერთი ჯელნანერი, რომელიც გა-
ნსვ. დეკანოზ ბესარიონ ნიჟარაძის მიერ იყო შეგროვებული სვანეთის სხვა და
სხვა კუთხიდან. ეს არის ნაწილი იმ ჯელნანერებისა, რომლებიც შარშან (ე. ი. 1920
წელს დ. თ.) ზამთრის პირად ჩამოიტანა მესტიელმა იოსებ ციოყრემ ჯაფარიძემ
და რომლებიც საისტ. და საეთნ. საზოგადოებამ შეიძინა. ბლალორჩინის გარდაცვა-
ლების შემდეგ ჯელნანერები იოსებისას იყო. დაემალათ და შარშან დიდი წილი ჩა-
მოიტანეს. მცირე ნაწილი ახლა წამოვიღე, მაგრამ სულ დაფლეთილები, ამოვარდ-
ნილი ფურცლები, დანესტიანებული და გაფუჭებული: მინაში ჰქონდა ჩამარხული,
მეშინოდა ჩხრეკისაო. როგორც ჩანს, ამასთან სხვაც იყო, მაგრამ დამიშალეს და
არ გამოძიებინეს. დამიშალეს-მეთქი, რადგან შარშან იოსებმა მითხრა, როდესაც
ამ ჯელნანერების პირველი ნაწილი ჩამოიტანა, თითქმის ნახევარი კიდეც დარჩაო.
ნახევარი კი არა, რაღაც საცოდავი ნაფლეთები-ლა მომცა“ (შანიძე, 2021:292).

რამდენი ხელნაწერი ჩამოიტანა და გადასცა 1921 წელს აკაკი შანიძემ მუზე-
უმს, ზუსტად არ ვიცით, მაგრამ მის მიერ ჩამოტანილ ხელნაწერთა შორის მუჟა-
ლის II ოთხთავი (H-1870) რომ არის, ეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ. ასე-
ვე დანამდვილებით შეგვიძლია იმის თქმაც, რომ აკაკი შანიძემ ამ ხელნაწერთან
ერთად ჩამოიტანა სახარების მეორე ხელნაწერიც, რომელიც H-1870-ის მსგავსად
დაზიანებული და ნაკლებია.

„მუჟალის III ოთხთავი“. ალ. ხახანაშვილის მიერ „მუჟალის III ოთხთავად“
სახელდებული ხელნაწერი არის აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს H-1870-თან ერთად
თბილისში ჩამოტანილი მეორე ხელნაწერი, რომლისთვისაც 1871-ე ნომერი მიუნი-
ჭებიათ და ამჟამად კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H
ფონდში ინახება (H ფონდის აღწერილობა, 1950:252-253).¹⁸ ალ. ხახანაშვილის ცნო-
ბით, ეს ხელნაწერი მუჟალში ნახან ხელნაწერთა შორის დასახელებული არა აქვს
დ. ბაქრაძეს (ხახანაშვილი, 1904:19). მის მიერ მოცემული მოკლე აღწერილობის
მიხედვით კი ჩანს, რომ დეფექტური და უყდო ხელნაწერი XX საუკუნის დასაწყ-
ისში შეიცავდა 116 ფურცელს (ზომა: 20X18 სმ). ხელნაწერი საინტერესოა იმით,
რომ პალიმფსესტია. ქვედა ტექსტი ასომთავრულითაა დაწერილი. მარკოზის სა-
ხარების ბოლოს ერთვის ხელნაწერის გადამწერის ხელითვე დაწერილი ანდერძი,
საიდანაც ჩანს, რომ მისი გადამწერი არის ათანასე.

ამ ხელნაწერს მოკლედ აღწერს ექვთიმე თაყაიშვილიც, რომელსაც ის 1910
წელს მესტიაში, ბესარიონ ნიჟარაძესთან უნახავს: „სახარება ეტრატზე, თავი და
ბოლო არ აქვს, უყდო, 21X19. სმ. ორ სვეტად. ნუსხა-ხუცურის ხელით. ხელნაწე-
რი პალიმფსესტს წარმოადგენს. მარკოზის სახარების ბოლოს უწერია: „წმიდანო
ღმერთშემოსილნო მამანო, ქრისტესმოყუარენო, ვინცა წმიდასა ამას სახარებასა
და ლოცვასა იმსახურებდეთ, ლოცვასა თქუენს მომიწსენეთ ღვთისათვის ფრი-
ად და მწარედ ცოდვილსა ამისი მწერალისა ათანასესთჳს, ვინ ჩემთჳს შენდობაჲ
ჰპრძანოთ, ღმერთმან თქუენცა მოგავოს აქა და მას საუკუნესა ამენ“. „ეს სახა-
რებაც მუჟალის თემის ეკლესიას ჰკუთვნებია, მხოლოდ არ ვიცით, რომელს. დ.
ბაქრაძე მას არ იხსენიებს, მაგრამ ხახანაშვილს აღნიშნული აქვს“, – წერს ე. თა-

¹⁸ შეიძლება აკაკი შანიძის მიერ იყოს ჩამოტანილი H-1872 ხელნაწერიც – სახარების 18-ფურ-
ცლიანი პალიმფსესტური ფრაგმენტი, რომელსაც ახლავს სვანური საბუთები (H ფონდის
აღწერილობა, 1950:253).

ყაიშვილი (თაყაიშვილი, 1937:307). ე. თაყაიშვილს მოჰყავს შემდგომი დროის მინაწერი სვანური საბუთის ტექსტიც, რომელშიც ნახსენებია სოფელი ჟაბეში და იქ მდებარე მაცხოვრის ეკლესია: „ღმრთისა თავისიდებობით მაცხოვარი ჟაბეშისა. პირველი მოციქული იოანე ქოჯმელანი, მულჩამაგიანი, მამისთვალ ჩამაგიანი, ჯუანა საჰრანი, მქა ქოჯმელანი, ისო ჩამაგიანი და აჯუ ქოჯმელანი. აბუ საჰრინანი და იოანე კორსიანი, გიორგისაი იოსელიანი სრულ და ჟაბეშისა სოფელი ესე ასრეი მოგიცია, ვითამცა მაცხოვარი აღმაშინებელ იყო. ვინ წინა დაუდგეს უშელოდ მახარებელისა იჰყარიანისა(?) სათიბი ლასგორელლაში მოგიცემია“ (თაყაიშვილი, 1937:307). ამ სვანური საბუთისთვის ყურადღება მიუქცევია ალ. ხახანაშვილსაც, რომელიც აღნიშნავს: „ხელნაწერში ერთგან გვხვდება გაუგებარი სახელები ან სიტყვები: იარმან, ოჰრი, აზიზ, აიჩრიმ, თარ იჯაბ, აფუარაშ, არაილ. ერთ მინაწერში იხსენიება გვარი ჯოჯმელანი, რომელიც დღემდე გვხვდება სვანეთში“ (ალ. ხახანაშვილი, 1904:19).¹⁹

	მუჟალის III ოთხთავი (ალ. ხახანაშვილის მიხედვით)	H-1871 (აღწერილობის მიხედვით)
მასალა	ეტრატი	ეტრატი
მდგომარეობა	ნაკლული, უყდო,	ნაკლული, უყდო
ფურცელთა რაოდ.	116 ფ.	101 ფ. ²⁰
თარიღი	თარიღს არ უთითებს	XIV- XV სს
ზომები	20X18 სმ	20 X 17 სმ
ხელი	პალიმფსესტი. ქვედა ფენა მთავრულით, ზედა – წვრილი ნუსხურით	პალიმფსესტი. ქვედა ფენა ასომთავრულით და მსხვილი ნუსხურით; ზედა – ნუსხურით
გადამწერი	ათანასე	ათანასე (20v)
შედგენილობა	ლუკას და იოანეს სახარება	ლუკას სახარება (ნაკლულად), სასწაულები ლუკას თავისანი. იოანეს სახარება
ანდერძები	გადამწერის ანდერძი: „წმიდანო ღმერთშემოსილნო მამანო, ქრისტესმოყუარენო, ვინცა ვინ ამას სახარებასა და ლოცვასა იმსახურებდეთ, ლოცვასა თქუენს მომიწსენეთ ღვთისათვის თავად მწარედ ცოდვილსა ათანასესთვის, ვინ ჩემთვის შენდობა ბრძანოთ, ღმერთმან თქუენცა მოგავოს აქა და მას საუკუნესა ამენ“.	გადამწერის ანდერძი: „წმიდანო ღმერთშემოსილნო მამანო, ქრისტესმოყუარენო, ვინცა წმიდა ამას სახარებასა და ლოცვასა იმსახურებდეთ, ლოცვასა თქუენსა მომიწსენეთ ღმრთისათვის ფრიად და მწარედ ცოდვილი ამისი მწერალისა ათანასესთვის, ვინ ჩემთვის შენდობა ჰბრძანოთ, ღმერთან თქუენცა მოგავოს. აქა და მას საუკუნესა, ამენ“ (20v)

¹⁹ საბუთის ბოლო პუბლიკაცია ეკუთვნის ვ. სილოგავას (სილოგავა, 1986:210).

²⁰ ხელნაწერის აღმწერს გადანომვრისას გამორჩენილი აქვს გვერდი. სინამდვილეში ხელნაწერში 102 ფურცელია (ქართული პალიმფსესტები, 2017: 163).

მინანერები	„ხელნაწერში გვხვდება გაუგებარი სახელები ან სიტყვები: იარმან, ოჭრი, აზიზ, აიჩრიმ, თარ იჯაბ, აფუარაშ, არაილ. ერთ მინანერში იხსენიება გვარი ჯოჯმელანი, რომელიც დღემდე გვხვდება სვანეთში“ (ხახანაშვილი, 1904:19)	„ღმრთისა თავისდებობითა მაცხოვარი ჟაბეშისა. პირველი მოციქული იოანე ქოჯმელანი, მულ ჩამაგიანი მამისთვალ ჩამაგიანი, და ჯუუნა საპრანი, მქა ქოჯმელანი, ისო ჩამაგიანი და აჯუ ქოჯმელანი. აბუსაჰრინი და იოანე კორიანი, გიორგისაჲ იოსელიანი სურდა ჟაბეშისა სოფელი ესე ასრეი მოვიცემია, ვითარცა მაცხოვარი აღმაშინებელ იყო. ვინი წინა დაუდგეს უშელოდ მახარებელისა ჰყარინისა სათიბი ლასგურელდაში მოვიცემია“ (21r).
ცნობები ხელნაწერის წარმომავლობის შესახებ	აღ. ხახანაშვილთან ხელნაწერის სვანეთში თავდაპირველი დაცულობის კონკრეტული ადგილი მითითებული არ არის. ნახსენებია მხოლოდ მუჟალის თემი.	ჩამოტანილია სვანეთიდან აკაკი შანიძის მიერ 1921 წ. (H ფონდის აღწერილობა, 1950: 252-253).

ვფიქრობთ, ნათელია, რომ ერთსა და იმავე ხელნაწერთან გვაქვს საქმე. მართალია, ფურცელთა რაოდენობა H-1871-ში ნაკლებია (-15 ფ.), მაგრამ სხვა ყველაფერი (გადამწერი, ანდერძები, მინანერები, პალიმფსესტური ფურცლები და ა.შ.) ემთხვევა. ეჭვგარეშეა, რომ ხახანაშვილის მიერ „მუჟალის III ოთხთავად“ წოდებული ხელნაწერი არის H-1871, რომელიც აკაკი შანიძემ ჩამოიტანა სვანეთიდან თბილისში.

როგორც ირკვევა, მუჟალის სამივე ოთხთავი დღეს თბილისში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში, ინახება: ა) ის ხელნაწერი, რომელსაც მუჟალის I ოთხთავად ასახელებს აღ. ხახანაშვილი, არის H-1791. მისი იდენტიფიცირებული ფრაგმენტი ინახება მესტიის მუზეუმში ჩვაბიანის ოთხთავის ფრაგმენტის სახელით, რის გამოც მთავარ ხელნაწერსაც შეიძლება „ჩვაბიანის ოთხთავი“ დავუმკვიდროთ სახელად; ბ) მუჟალის II ოთხთავი იგივე H-1870 ხელნაწერია, რომელიც მისი დაცულობის ბოლო ადგილის მიხედვით შეიძლება „მუჟალის ოთხთავად“ მოვიხსენიოთ; გ) მუჟალის III ოთხთავი კი არის პალიმფსესტური ხელნაწერი H-1871, რომელიც ბოლოს მუჟალის თემის სოფელ ჟაბეშის მაცხოვრის ეკლესიის კუთვნილება ყოფილა,²¹ ამიტომ შეიძლება ის „ჟაბეშის ოთხთავად“ იწოდოს.

სამივე ხელნაწერი ყოფილა იმ ხელნაწერ სახარებათა შორის, რომელიც ბესარიონ ნიჟარაძეს შეუფროვებია სვანეთის სხვადასხვა სოფელში, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მესტიელი იოსებ ციოყრემ ჯაფარიძის საკუთრება გამხდარა (შანიძე, 2021: 292). სამიდან ორი (H-1870 და H-1871) 1921 წელს თბილისში ჩამოიტანა აკაკი შანიძეს; ერთი (H-1791- მუჟალის პირველი, ანუ ჩვაბიანის ოთხთავი), როგორც ჩანს, ბესარიონ ნიჟარაძის კოლექციის კიდევ რამდენიმე ხელნაწერთან

²¹ ხელნაწერი 1895 წელს სოფ. ჟაბეშში უნახავს პრ. უვაროვას (უვაროვა: 1904:175).

ერთად, უფრო ადრე, 1920 წელს შეუსყიდა იოსებ ჯაფარიძისგან საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას, მისი ნაწილი 4-ფურცლიანი ფრაგმენტი კი დღემდე სვანეთში ინახება (სიემ N 491. კ-8).

ლაშთხვერის ოთხთავი. სავარაუდოდ, ამ დროსვე და ამ გზითვე მოხვდა თბილისში ალ. ხახანაშვილის მიერ ლაშთხვერის ოთხთავად სახელდებული ხელნაწერი H-1741, რომელიც პალესტინაში, გეთსამანიაში, 1048 წელს გადაუნერია მიქაელ მწირს საბანმინდური დედნიდან (ე.წ. პალესტინური ოთხთავი, ივ. იმნაიშვილის გამოცემის G ნუსხა; იმნაიშვილი, 1979:29-52). მართალია, თავად ხელნაწერი ალ. ხახანაშვილს არ უნახავს, რადგან ხელნაწერი ამ დროს ილუმენ კლიმენტის სამყოფელში ყოფილა გადატანილი (ხახანაშვილი, 1904:20), მაგრამ მას დ. ბაქრაძის ნაშრომზე დაყრდნობით აღწერს. ამ ცნობილ კოდექსს, რომელსაც კ. კეკელიძე „სვანურ ოთხთავს“ უწოდებს (კეკელიძე, 1912:36),²² 1910 წელს ე. თაყაიშვილი დაკარგულად მიიჩნევდა (თაყაიშვილი, 1937:336-337), თუმცა, როგორც ჩანს, ის ამ დროს უკვე ბესარიონ ნიჭარაძესთან ინახებოდა მესტიაში, რადგან სწორედ აქ უნახავს ის 1911 წელს სვანეთში ჩასულ კორნელი კეკელიძეს.²³ ბესარიონის გარდაცვალების შემდეგ (1919 წ.), როგორც მის მიერ შეგროვილი მუჟალის ოთხთავები, ლაშთხვერის ოთხთავიც (იგივე პალესტინური ოთხთავი) იოსებ ჯაფარიძის ხელში გადავიდოდა და მისგან მოხვდებოდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა კოლექციაში (H ფონდში).

120 წლის წინ დაწერილ სტატიაში ალ. ხახანაშვილი სვანეთში მიკვლეულ სახარების 10 ხელნაწერს აღწერს; მათგან ხუთი დღესაც სვანეთშია დაცული (ადიშის, მესტიის, ლაფსყალდის, ლახამულის და ლატალის/ლაჰილის ოთხთავები). როგორც გავარკვეით, ოთხი – თბილისში, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდში ინახება (H-1791+სიემ N491(კ-8); H-1870; H-1871 და H-1741 (ლაშთხვერის/სვანური/პალესტინური ოთხთავი), ერთი კი, რომელსაც ალ. ხახანაშვილი „უვალის სახარებას“ („Увальское Евангелие“) უწოდებს, არის არა სახარება-ოთხთავის კოდექსი, არამედ სახარება-აპრაკოსი, რომლის ადგილსამყოფელი მის შესახებ მონოდედებული ძალზე მწირი ცნობების გამო ვერ დავადგინეთ,²⁴ დანარჩენი 9 ხელნაწერი კი იდენტიფიცირებულია. ქვემოთ მო-

²² კ.კეკელიძეს გამოქვეყნებული აქვს ამ ხელნაწერის გადამწერის ანდერძიც (კეკელიძე, 1912: 36-37).

²³ ე. თაყაიშვილმა ბ. ნიჭარაძის მიერ სვანეთის სხვადასხვა ეკლესიიდან შეკრებილი ხელნაწერების მხოლოდ ნაწილი ნახა: „მესტიის ბლალორჩინ ბესარიონ ნიჭარაძის სახლში იყო კიდევ ბევრი სხვა ხელნაწერი, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ მოკლებული დავრჩით საშუალებას ისინი გაგვეშინჯა, ვინაიდან ბესარიონი ერთი კვირით ვატაცის ეახლა და მისი დაბრუნების შემდეგ ჩვენ უკვე მუჟალის თემში ვიყავით და დრო აღარ გვქონდა მესტიაში დავბრუნებულიყავით“ (თაყაიშვილი, 1937:299). სავარაუდოდ, ლაშთხვერის/სვანური/პალესტინური ოთხთავის ხელნაწერი იმ ნაწილში მოხვდა, რომელთა „გასინჯვა“ ე. თაყაიშვილმა ვერ მოასწრო.

²⁴ ალ. ხახანაშვილი არ ასახელებს არც ხელნაწერში ფურცელთა რაოდენობას, არც ზომებს; აქცენტს აკეთებს მხოლოდ ტექსტში არსებულ ჩანართზე, რომლითაც, მისი აზრით, დგინდება, რომ არსებობდა ექვთიმეს თარგმნილი სახარება. მოვიყვანთ შესაბამის ადგილს ალ. ხახანაშვილის სტატიიდან: „ამ ხელნაწერის შესახებ ბაქრაძე მხოლოდ იმას ამბობს, რომ არის ქალაქდზე დაწერილი სახარება საეკლესიო საკითხავების რიგის მიხედვით (Евангелие, писанное на бумаге по порядку церковных чтений). ჩემი მხრიდან დავამატებ, რომ ხელნაწერი

ცემულ ცხრილში წარმოდგენილია ალ. ხახანაშვილის 1904 წლის სტატიაში დასახელებული ხელნაწერები და მათი ამჟამინდელი დაცულობის ადგილი შიფრის მითითებით:

	ალ.ხახანაშვილის 1904 წლის სტატიაში დასახელებული ხელნაწერები	ამჟამინდელი დაცულობის ადგილი და შიფრი	შენიშვნა
1.	ადიშის ოთხთავი	მესტია (სიემ N478 (კ-82))	„ადიშის ოთხთავი“ (897 წ.)
2.	მესტიის ოთხთავი	მესტია (სიემ N1(კ-70))	„მესტიის ოთხთავი“ (1033 წ.)
3.	ლაფსყალდის ოთხთავი	მესტია (სიემ N482 (კ-71))	„ლაფსყალდის ოთხთავი“ (XIII ს.)
4.	ლახამულის ოთხთავი	სოფ. ლახამულა	„ლახამულის ოთხთავი“ (XII ს.)

დეფექტურია, ხელი XV საუკუნისაა და წარმოადგენს ე.წ. აპრაკოსს. ერთგან ტექსტის ხელით წერია: „ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთვის, რომელმან ესე წმიდა სახარება ვთარგმნე“... უვალის სახარებიდან ასევე ჩანს, რომ არსებობდა წმ. ეფთვიმეს სახარება. აქ მოგვეპოვება შემდეგი ჩანართი ტექსტში: „დიდსა პარასკევსა სახარებანი. დიდსა სვინაქსარსა სხუებრ სწერიან დიდისა პარასკევისა ჟამთა ზედა და იგიცა კეთილ არს და შუჭნიერ, გარნა ჩუენ გლახაკნი ესე, ვინათგან კათოლიკე ეკლესიისა სამკაულსა ამას სახარებასა შევეკიდებით და წყლობამან ღმრთისამან აქამომდე მოგუანინა, არა ჯერ ვიჩინეთ სრულიად მცონარობასა მიცემად უდებთა ამათ თავთა ჩუენთა, ამისთვის ესერა წელგყავით და წმიდისა მამისა ეფთვიმის სანატრელისა სახარებისგან ესე წმიდანი სახარებანი დაენუსხენით, ვითარცა ღმერთმან ძალი მომეცა. ხოლო ესე საცნაურ იყავ, რამეთუ ბერძიელისგან დაგინერია“ ... ასეთივე ჩანაწერი მოიპოვება გელათის ოთხთავშიც. ეს სიტყვები ადასტურებენ ქართულ ენაზე სახარების უფრო ადრეული თარგმანის არსებობას, რომელიც გიორგი მთაწმიდელის თარგმანს უძღოდა“ (ხახანაშვილი, 1904:21). შევნიშნავთ, რომ მსგავსი ტექსტი გვაქვს გიორგისეული რედაქციის სხვა კოდექსებსა და სახარება-აპრაკოსის ხელნაწერებშიც. უვალის სახარების ფიზიკური აღწერილობიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ ის ქალაღზე ყოფილა დაწერილი (ბაქრაძე) მე-15 საუკუნის ნუსხურით (ხახანაშვილი), რაც მის იდენტიფიცირებას აძნელებს. შეიძლება ეს იყოს ე. თაყაიშვილის მიერ მესტიაში (ბ. ნიჟარაძესთან) ნანახი ხელნაწერთა სიაში მე-9 ნომრად შეტანილი ხელნაწერი, რომლის შესახებ ის წერს: „სახარება, ეტრატზე, 21X17,5. ხუცური. მე-12-13 სს. დალაგებული დღიური საკითხავების რიგზე, თავბოლო ნაკლული“ (თაყაიშვილი, 1937:307). თუმცა, თაყაიშვილის მიერ დასახელებული ხელნაწერი ეტრატზეა დაწერილი და არა ქალაღზე. ვფიქრობთ, ე. თაყაიშვილის მიერ მესტიაში ნანახი ეტრატის აპრაკოსი არის H-1790 ხელნაწერი, რომელიც ასევე ეტრატზეა დაწერილი, ნაკლულია და შეიცავს 249 ფურცელს (ზომა 22X17სმ). ტექსტს დართული აქვს თვეთა და დღესასწაულთა მიხედვით განრიგებული საკითხავების საძიებელი (198v-248v), ახლავს სვანური საბუთები (H ფონდის აღწერილობა, 1950:217-218; სილოგავა, 1986:150-152), რაც მის სვანეთთან კავშირს ადასტურებს. სავარაუდოდ, ეს ხელნაწერი (H-1790) საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმში შემოსულია H-1791-სთან ერთად და, სავარაუდოდ, მუზეუმმა ისიც იოსებ ჯაფარიძისგან შეიძინა. ხელნაწერის ამიაზე მინერილ ერთ-ერთ საბუთში (N55) ნახსენებია სოფ. ლაშთხორი, რომელიც იმავე თემს (ეცერის თემი) მიეკუთვნება, რომელსაც სოფ. უღვალი. მიუხედავად იმისა, რომ დიდია ალბათობა, რომ 1910 წელს ე. თაყაიშვილის მიერ მესტიაში ბესარიონ ნიჟარაძესთან ნანახი ეტრატის სახარება-აპრაკოსი და ალ. ხახანაშვილის მიერ დასახელებულ უვალის სახარება ერთი და იგივე ხელნაწერი იყოს, მათი იგივეობისა და H-1791-თან იდენტიფიცირების კუთხით კვლევა უნდა გაგრძელდეს.

5.	მუჟალის I ოთხთავი	H-1791 + სიემ N 491 (კ-8)	„ჩვაზიანის ოთხთავი“ (1213-1216 წწ)
6.	მუჟალის II ოთხთავი	H-1870	„მუჟალის ოთხთავი“ (XIII-XIVსს)
7.	მუჟალის III ოთხთავი	H-1871	„ჟაბემის ოთხთავი“ (XIV-XV ს.ს.)
8.	ლატალის ოთხთავი	მესტია (სიემ N620 (კ-75))	„ლაჭილის ოთხთავი“ (XIV ს.)
9.	ლაშთხვერის ოთხთავი	H -1741	„პალესტინური ოთხ- თავი“ (1048 წ.)
10.	უვალის სახარება „Увальское Евангелие“ (XV საუკუნის ქალაქი)	?	შეიძლება ეს იყოს H 1790 (იდენტიფიცირებისთვის შემდგომი კვლევაა საჭირო).

ლიტერატურა:

- ბაქარაძე, დ. (1904). Бакрадзе Д.З., Сванетия, Сванетия: Записки Кавказского отдела Императорского русского исторического общества, Книга VI. Тифлис, 1864.
- თაყაიშვილი, ე. (1937). არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს. პარიზი, 1937.
- თვალთვაძე, დ., კვიციანი, ე. (2018). სვანეთის მუზეუმში დაცული სახარების ტექსტის შემცველი ხელნაწერების ფრაგმენტები: თსუ ქართული ენის ინსტიტუტის შრომები, ქართველური ენათმეცნიერება, V. თბილისი, გვ. 41-55.
- თვალთვაძე, დ. (2010). დოქსოლოგიური ხასიათის ერთი თხზულება შავ მთაზე გადაწერილ ოთხთავის ხელნაწერებში: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის IV სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი.
- თვალთვაძე, დ. (2021). კოლოფონი, როგორც ოთხთავის პარატექსტი და მისი რედაქციები ძველი ქართული ხელნაწერების მიხედვით, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის XV საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენცია, მიძღვნილი აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის 100 წლის იუბილესადმი. თბილისი, 05.07.2021.
- თვალთვაძე, დ. (2024). ჩვაზიანის ოთხთავი (H-1791 და მესტიის მუზეუმში დაცული მისი ფრაგმენტი (სიემ N491): თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორენოვანი ელექტრონული რეცენზირებადი სამეცნიერო ჟურნალი „სპეკალი“, N18, 2024. <https://www.spekali.tsu.ge>
- იმნაიშვილი, ი. (1979). ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაიშვილმა. თბილისი, 1979.
- კეკელიძე, კ. (1912). Кекелидзе, К.С., Иерусалимский Канонарь VII века (Грузинская версия), Тифлисъ, 1912.
- მეტრეველი, ე. (2007). ქართული კულტურის დიდი კერა: ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი. ნაკვ. I (ედღვნება ე. მეტრეველის დაბადებიდან 90 წლისთავს). თბილისი, გვ. 31-41.
- ნიჟარაძე, ბ. (1904). სვანეთის ხელნაწერები: სახარებები: „მომბე“, 1904, N9.
- საქართველოს რეგიონებში... 2015 – საქართველოს რეგიონებში დაცული ქართული ხელნაწერების კატალოგი, შემდგენლები: გრ. გაგნიძე, შ. გლოველი, დ. გოგაშვილი, მ. კარანაძე, თ. ოთხმეზური, ნ. ჩხიკვაძე, შალვა გლოველის რედაქციით. თბი-

- ლისი.
- სილოგავა, ვ. (1986). სვანეთის წერილობითი ძეგლები, ისტორიული საბუთები და სულთა მატრიანეები. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ. თბილისი.
- სილოგავა, ვ. (1989). XI საუკუნის ქართველი მნიგნობარი ბასილი თორელ-ყოფილი და მისი ანდერძი: მრავალთავი, XV, გვ. 153-165. თბილისი.
- უვაროვა (1904). Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию графини Уваровой: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества /под ред. и с предисл. гр. Уваровой; Вып. 10, Москва: Моск. археолог. о-во, 1904.
- ქართული პალიმფსესტები (2017). ქართული პალიმფსესტები ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. კატალოგი, ტექსტები, ალბომი, შეადგინეს: ლამარა ქაჯაიამ, ხათუნა გაფრინდაშვილმა, ციციხო გულედანმა, ნათია მიროტაძემ, დალი ჩიტუნაშვილმა და ირმა ხოსიტაშვილმა. თბილისი.
- შანიძე, ლ. (2021). მოგონებანი, დღიურები, სხვადასხვა, შემდგენელი ლელა შანიძე, რედაქტორი თამაზ გამყრელიძე, კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. თბილისი.
- შურღაია, თ. (2006). ვატიკანის ოთხთავის თავგადასავალი: კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობა, №11, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი, 2006.
- ხახანაშვილი, ა. (1904). Хаханов, А.С., Сванскія рукописныя Евангелія: Материалы по археологии Кавказа, собранные экспедициями Московского археологического общества / под ред. и с предисл. гр. Уваровой; Вып. 10: Приложение, 1 (გვ. 1-21), Москва: Моск. археолог. о-во, 1904.
- Н ფონდის აღწერილობა (1950). საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (Н კოლექცია), ტომი IV, შედგენილი და დასაბუთებლად დამზადებული ელენე მეტრეველის მიერ, კორნელი კეკელიძის საერთო რედაქციით. თბილისი.

ნანა ლოლაძე

Nana Loladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakishvili Tbilisi State University

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

Arn. Chikobava Institute of Linguistics

**„პოზიციის“ აღმნიშვნელი ზმნები ქართულში
(ძირითადი მნიშვნელობა და გაფართოების არეალი)**

Posture Verbs in Georgian

(Basic meanings and extended uses)

საკვანძო სიტყვები: პოზიციის აღმნიშვნელი ზმნები, კოგნიტიური ლინგვისტიკა, ტიპოლოგიური კვლევა, სემანტიკური გაფართოება, პროტოტიპული მნიშვნელობა.

Keywords: posture verbs, cognitive linguistics, typological study, semantic extension, prototypical meaning.

The space and the objects within it provide a fundamental conceptual framework. The primary goal is to characterize the general properties of this structure and the linguistic-cognitive system in which it participates (Talmy, 1985, 225).

Posture verbs have important place among language means, expressing spatial relationships. Most studies agree on the anthropocentric basis of these verbs: their prototypical meaning pertains to the three typical positions of a human being - vertical state (standing), horizontal state (lying), and middle state (sitting).

It should be noted that typologically these verbs are characterized by semantic extension. The results of such extension are, on the one hand, metaphorization, and, on the other hand, grammaticalization.

Newman has distinguished four cognitive domains relevant for the interpretation of the basic meanings of these three positional verbs. These domains are: the spatio-temporal domain, force dynamics domain, active zone and social/cultural domain (Newman, 2002, 2).

This is the basic meaning of „standing“, „lying“ and „sitting“. As for the lexicalization of this meaning, it can be expressed by different lexical means in different languages. It should be noted that such lexical diversity is especially peculiar of the verbs of sitting.

Above all, we should mention that in all Kartvelian languages, the verbs of *standing* and *lying* are based on common roots.¹ However, there are different roots for the verbs of sitting:

Georgian – ზის *zis*
Megrelian – (გე)ხე(ნ) *(ge)khe(n)*
Laz – გეხენ *gekhen*
Svan – სგურ *sgur*

Besides, unlike the verbs *დგას* *dgas* “stands” and *ძეხს* *zevs* “lies”, the verbs of sitting were not used in old Georgian in the meaning of possession.

In Georgian, there are two verbs expressing sitting. One is ზის (*zis*), referring to one person, and სხედ *skhed*, referring to the plural.

In modern Georgian, the verb ზის (*zis*) “sits” has the following meanings:

1. The state of a person leaning upon some solid object with the lower part of the body (buttocks); staying in some place, for instance, in prison; occupying a certain post (the King, the Patriarch, the Catholicos...).

2. The state of an animal leaning on its hind legs, or the state of a bird, insect, reptile, rodent or amphibian which is motionless, leaning upon something with its legs.

3. In case of an inanimate subject, placed in something; established.

When the verb ზის *zis* “sits” refers to a person, in the majority of cases, it denotes not the so-called “compact” position, but restricted movement or restricted area of action. When referring to other animate subjects, this verb denotes stillness and restricted movement in space.

As for old Georgian, Ilia Abuladze considers “establishment” as one of the basic meanings of this verb (Abuladze, 1973, p. 573). Thus, in Old Georgian, the verbs of sitting chiefly denoted a state when movement in space is restricted or the area of action is limited. These meanings were developed as a result of extension of the basic meaning.

¹ As for the verbs of lying, the word *ხეხს* *xevs* is used for the animate subject, whereas *ძეხს* *zevs* is used for the inanimate subject. This division seems to be secondary (Loladze, 1012, pp. 138-139).

უკანასკნელ ათწლეულებში აშკარად შეინიშნება მკვლევართა გაზრდილი ინტერესი სივრცული მიმართებების ენობრივი საშუალებების მიმართ. განსაკუთრებით გააქტიურდა ამგვარი კვლევა კოგნიტიური ლინგვისტიკის ფარგლებში. როგორც ლ. ტალმი აღნიშნავს, სივრცული დანაწევრება წარმოადგენს სამყაროს კონცეპტუალიზაციის საფუძველს. ამდენად, მნიშვნელოვანია მისი სტრუქტურისა და სივრცული მიმართებების ამსახველი ლინგვისტურ-კოგნიტიური სისტემის ზოგადი მახასიათებლების აღწერა (ტალმი, 1983, გვ. 225).

სივრცული მიმართებების ენობრივ საშუალებებს შორის გამოირჩება ზმნები, რომლებიც აღნიშნავენ სივრცეში ობიექტის (ფართო გაგებით) მდებარეობას. ამ ზმნებს „პოზიციის“ ზმნებს უწოდებენ. კერძოდ, ეს ზმნები სამ განსხვავებულ პოზიციას აღნიშნავენ: ვერტიკალურს – *დგომა*, ჰორიზონტალურს – *წოლა/დება* და შუალედურს – *ჯდომა*. კვლევების უმეტესობა ადასტურებს პოზიციის ზმნათა ანთროპოცენტრულ საფუძველს: მათი პროტოტიპული მნიშვნელობა მიეკუთვნება ადამიანის სამ ძირითად პოზიციას (ლემენსი, 2002, გვ. 2).

საგულისხმოა, რომ ტიპოლოგიურად ამ ზმნებისათვის დამახასიათებელია სემანტიკური გაფართოება, რასაც შედეგად, ერთი მხრივ, მათი მეტაფორული მნიშვნელობით გამოყენება, ხოლო, მეორე მხრივ, გრამატიკალიზაცია მოჰყვება.

ნიუმანმა გამოყო ოთხი კოგნიტიური სფერო, რომლებიც რელევანტურია ამ სამი პოზიციის აღმნიშვნელი ზმნების ძირითადი მნიშვნელობების ინტერპრეტაციისათვის, ეს სფეროებია: სივრცულ-დროითი სფერო, მამოძრავებელი ძალა, აქტიური ზონა და სოციალურ-კულტურული სფერო. დგომის, წოლა/დებისა და ჯდომის აღმნიშვნელი ზმნების ძირითადი მნიშვნელობები ამ სქემის მიხედვით ასე გამოიყურება:

სივრცულ-დროითი სფერო

- დგომა** ვერტიკალურად მიმართული პოზიცია;
- წოლა/დება** ჰორიზონტალურად მიმართული პოზიცია;
- ჯდომა** შუალედური („მოკეცილი“) პოზიცია.

მამოძრავებელი ძალა

- დგომა** კონტროლისა და ბალანსის მაღალი ხარისხი, ძნელად შესანარჩუნებელი პოზიცია;
- წოლა/დება** კონტროლისა და ბალანსის ძალიან დაბალი ხარისხი, არანაირი ფიზიკური ძალისხმევა პოზიციის შესანარჩუნებლად;
- ჯდომა** კონტროლისა და ბალანსის საშუალო ხარისხი, ადვილად შესანარჩუნებელი პოზიცია.

აქტიური ზონა

- დგომა** ფეხები (და ზედა ტანი);
- წოლა/დება** მთელი სხეული;
- ჯდომა** საჯდომი (და ზედა ტანი).

სოციალურ-კულტურული სფერო

- დგომა** პოტენციურად ყველაზე მძლავრი ფიზიკური პოზიცია;
- წოლა/დება** ასოცირებულია დაღლილობასთან, ავადმყოფობასთან, ძილთან, სიკვდილთან;
- ჯდომა** კომფორტული პოზიცია როგორც მუშაობის, ისე დასვენებისათვის. (ნიუმანი, 2002, გვ. 2).

ეს არის პოზიციის ზმნათა საბაზისო მნიშვნელობები. რაც შეეხება ამ მნიშვნელობათა ლექსიკალიზებას, სხვადასხვა ენაში ის შეიძლება განსხვავებული იყოს. აღსანიშნავია, რომ ლექსიკური მრავალფეროვნება განსაკუთრებით *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნებისათვის არის დამახასიათებელი. მაგ., ზოგ ენაში სხვადასხვა ზმნით აღინიშნება, როდესაც *ჯდომის* დროს ფეხები მოკეცილია და მორთხმით, ფეხებგადაჯვარედინებული *ჯდომა*. ამერიკელ ინდიელთა ერთ-ერთ ენაში *ჯდომა* ხუთი პრედიკატით გადმოიცემა, კერძოდ: ერთი ზის სკამზე, ბევრი ზის სკამზე, ერთი ზის მიწაზე, ბევრი ზის მიწაზე და მეხუთე – როცა სითხიანი ჭურჭელი არის მაგიდაზე (ნიუმანი, 2002, გვ. 3).

ჩრდილოეთ განას ერთ-ერთი ტომის ენაში ზმნა *zi* აღნიშნავს მხოლოდ ადამიანის პოზას, ამასთან, პროტოტიპული *ჯდომის* პოზები მოითხოვს, რომ ადამიანი საჯდომით იყოს დაყრდნობილი მიწაზე გაშლილი ან მოკეცილი ფეხებით. სავარძელზე, ლოგინზე ან ნებისმიერ სხვა საგანზე *ჯდომა* ამავე ზმნით გამოიხატება, ოღონდ იმ პირობით, რომ ფეხები ეყრდნობა მიწას (მყარ ზედაპირს). თუ ადამიანს ფეხები ჩამოკიდებული აქვს ან მყარ ნიადაგს არ ეყრდნობა (მაგ., მაღალ სკამზე ან ხის ტოტზე ზის), მაშინ გამოიყენება ზმნა *yagi* (ატინტონო, 2012).

ქართულში *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნა ორია – როცა ერთის *ჯდომა* აღინიშნება (ზის) და როცა ერთზე მეტის *ჯდომა* აღინიშნება (სხედ). ეს ზმნები ენის არქაულ ფენას მიეკუთვნება და ენებში არაერთი თავისებურებით ხასიათდება.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სამივე ქართველურ ენაში *დგომისა* და *დების* (*ძეს*) აღმნიშვნელი ზმნები საერთო ძირებს ეყრდნობა.² *ჯდომის* აღსანიშნავად კი სხვადასხვა ძირი გამოიყენება:

- ქართული – ზის
- მეგრული – (გე)ხე(ნ)
- ლაზური – გეხენ
- სვანური – სგურ

ამდენად, *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნების საერთო ქართველური შესატყვისი არ ჩანს. ზის ზმნას საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილად მიიჩნევენ ბაქარ გიგინეიშვილი (გიგინეიშვილი, 2016, გვ. 174).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, განსხვავებით დგას და ძევს ზმნებისაგან, *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნების რელატიური ფორმები ძველ ქართულში ქონა-ყოლის მნიშვნელობით არ გამოიყენება.

² დამონებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან. <http://gnc.gov.ge>.

ზის/ჯდა და სხედს/სხედან ზმნებმა არაერთი ცვლილება განიცადეს სტრუქტურული თვალსაზრისით ძველი ქართულიდან დღემდე. ამაზე ამჯერად არ შევჩერდებით, მხოლოდ ერთ საკითხს გამოვყოფთ, კერძოდ, თანამედროვე ქართულში იჯდა წყვეტილის ფორმაა, ხოლო ფუნქციურ-სემანტიკურად ის უწყვეტელს შეესაბამება (რას შვრებოდა? და არა რა ქნა?).

ზის აღნიშნავს ადამიანის ისეთ მდგომარეობას, როდესაც ტანი ქვედა ნაწილით (საჯდომით) რამეს ეყრდნობა. როგორც ვხედავთ, ქართულისათვის მნიშვნელოვანია „აქტიური პოზა“, ხოლო ფეხების პოზიცია არაარსებითია. მხოლოდ საბას განმარტებაში არის მითითებული ფეხების მდგომარეობა – „მუჭლმოკეცით განსუენება“.

ზის ზმნა ხშირად ადამიანის სადმე *მყოფობას* გამოხატავს. აქედან განვითარებულია ადგილსამყოფელი *აქვს* (მეფეს, პატრიარქს...), *ცხებში ზის* და მისთ.

თანამედროვე ქართულში, როდესაც სუბიექტი ადამიანია, ზმნა **ზის** უმრავლეს შემთხვევაში აღნიშნავს არა ე. წ. „მოკეცილ“ პოზიციას, არამედ იმას, რომ ადამიანის გადაადგილება შეზღუდულია ან მისი მოქმედების არეალი შემოსაზღვრულია.

ზმნა **ზის** გამოიყენება სხვა სულიერ სუბიექტებთანაც. ცხოველის შემთხვევაში გამოხატავს პოზიციას, როდესაც ის (ცხენი, ძაღლი...) უკანა ფეხებზეა დაყრდნობილი. ეს ზმნა ასევე გამოიყენება, როდესაც სუბიექტი ფრინველი, მწერი, ქვეწარმავალი, მღრღნელი, ამფიბიაა და აღნიშნავს, რომ ეს არსება ფეხებით რამეზეა დაყრდნობილი, გაჩერებულია, მისი გადაადგილება შეზღუდულია.

ენებში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნების გამოყენება უსულო სუბიექტთან. ხშირად ამოსავალი მნიშვნელობის ამგვარი გაფართოების საფუძვლის ახსნაც კი ძირს. ამგვარი ვითარებაა, მაგალითად, ჰოლანდიურში, სადაც პოზიციის ზმნები ძალიან ფართოდ გამოიყენება როგორც სულიერ, ისე უსულო სუბიექტთან. გაგაცნობთ ამ ენაში *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნის უსულო სუბიექტთან გამოყენების რამდენიმე შემთხვევას (ლემენსი, 2002, გვ. 6):

Er **zit** geen bier meer in het vat.

ქილაში ლუდი აღარ არის („ქილაში ლუდი აღარ **ზის**“).

Hoeveel zand zit er in één zak?

რამდენი ქვიშაა ერთ ტომარაში? („რამდენი ქვიშა **ზის** ერთ ტომარაში?“).

Er **zit** suiker in mijn koffie.

ჩემს ყავაში შაქარი არის („ჩემს ყავაში შაქარი **ზის**“).

ქართულში უსულო სუბიექტთან ეს ზმნები ფართოდ არ გამოიყენება. ამ შემთხვევაში იგი აღნიშნავს, რომ საგანი რამეში არის მოთავსებული, – ჩამჯდარია, ასევე, რაიმე დამკვიდრებულია, გამჯდარია. მაგ.: „რაც ჩვენს მენტალიტეტში **ზის**, ის უნდა შევინარჩუნოთ“ (გაზ. „ახალი თაობა“); „აზარტი ადამიანის ბუნებაში **ზის**“ („დილის გაზეთი“) და მისთ. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანს შეინიშნება ამგვარ კონტექსტებში **ზის** ზმნის **დევს** ზმნით ჩანაცვლების ტენდენცია: „ეს ქართველი კაცის ბუნებაში **დევს**“ (გაზ. „24 საათი“).

საინტერესო სურათს გვიჩვენებს *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნები ქართული ენის დიალექტებში (ბერიძე, 2009, გვ. 36-37).

ილია აბულაძე ძველ ქართულში ამ ზმნის მნიშვნელობად „დამკვიდრებას“ გამოყოფს (აბულაძე, 1973, გვ. 573). ყურადღებას იქცევს შემთხვევები, როდესაც *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნა გადაადგილების აღმნიშვნელ ზმნებთან გვხვდება:

ჯდომა შენი და *გამოსლვა* და *შესლვა* შენი უწყი. O, IV, მფ. 19,27

ნუ განიშორებ მას ნუცა *სლვასა* და ნუცა *ჯდომასა*. მ.სნ. 62,13.

რამეთუ ვითარცა კაცნი არ განიყოფვიან ურთიერთას, ხოლო ვითარცა რომელიმე ნუუკუე *ზის*, ხოლო რომელიმე *ვალს*, განიყოფვიან. ამონიოს ერმისი, 39¹

რაიმეზე (მაგ., ცხენზე) *ჯდომის* აღსანიშნავად ზმნას დაერთვის *ზე/ზედა*. რომელნი-იგი *ზე-სხდეს* ჰუნებსა. ფს. 75,7.

მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი და *ზე ზის* იგი ვირსა და კიცუსა. მ. 21,5.

ამდენად, ძველ ქართულში *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნების ძირითადი მნიშვნელობა არის მდგომარეობა, როდესაც გადაადგილება შეზღუდულია, მოქმედების არეალი შემოსაზღვრულია, რაც ამ პოზიციის საბაზისო მნიშვნელობის გაფართოების შედეგად არის მიღებული.

ქართულში *ჯდომის* აღმნიშვნელი ზმნების გრამატიკალიზაცია არ მომხდარა და არც ამის ტენდენცია შეინიშნება, ხოლო რაც შეეხება სემანტიკურ გაფართოებას, საკმაოდ დიდ არეალს მოიცავს და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბერიძე, მ. (2009). ფიზიკური მდგომარეობის ზმნები და „არსებობის“, „მყოფობის“, „მკვიდრობის“ გამოხატვა ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „ქართული ენა“.
- გიგინეიშვილი, ბ. (2016). ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.
- ლოლაძე, ნ. (2012). სივრცული ლოკალიზაციის აღმნიშვნელი ზმნები, საენათმეცნიერო ძიებანი, XXVIII. თბილისი, ISSN 1987.-6653
- Atintono, S. A. (2012). Basic and extended uses of posture verbs in Gurene, Cogni Textes, Revue De L'association Francaise De Linguistique Cognitive, Volume VII. <https://doi.org/10.4000/cognitextes.501>
- Lemmens, M. (2002). The semantic network of Dutch posture verbs, Published online: 24 September. <https://doi.org/10.1075/tsl.51.07lem>
- Newman, J. A. (2002). Cross-linguistic overview of the posture verbs ‘sit’, ‘stand’, and ‘lie’. In: The Linguistics of Sitting, Standing and Lying. Newman, J. (ed.) Amsterdam and Philadelphia: John Benjamins Publishing Company. <https://doi.org/10.1075/tsl.51>
- Talmy, L. (1983) How language structures space / L. Talmy // Spatial orientation: theory, research and application / H. Pick, L. Acredolo (eds). New York: Plenum Press.

¹ დამონმებულია ქართული ენის ეროვნული კორპუსიდან. <http://gnc.gov.ge>.

ქეთევან მარგიანი-სუბარი
Ketevan Margiani-Subari

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

ერთი არქაული ენობრივი მოვლენის მორფოსინტაქსური
ანალიზი სვანურ ენაში¹
The Morphosyntactic Analysis of One Archaic Language
Phenomenon in the Svan Language

საკვანძო სიტყვები: სვანური ენა, არქაულობა, წინდებული, ჰიპოტაქსი,
მორფოსინტაქსი.

Keywords: Svan language, archaic, preverb, hypotaxis, morphosyntactic.

¹ ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული (FR-21-352) პროექტის ფარგლებში.

Svan language is the most archaic among the non-literary Kartvelian languages. In this language, there are numerous phonetical (umlaut, length of vowels...) and grammatical phenomena that are considered either common Kartvelian or developed after the disintegration of the proto-Kartvelian language (double-stem declension, hypotactic constructions without conjunctions, specific types of indirect speech...).

While considering the archaic features of the Svan language, attention should be paid to the relation between two grammatical (morphological and syntactic) phenomena, in particular, the morphosyntactic function of prepositions-postpositions in a complex sentence.

At the present stage of development of the Svan language, the preposition, which is often used in its archaic function and still represents an independent, notional part of speech, functions as a morphosyntactic element in a complex sentence. By adding the particle *ი* /*i*/ (cf. Georgian -ც /*ts*/), it forms a hypotactic construction without a conjunction, which, in its turn, pertains to the earlier stage of development of a complex construction.

სვანური ენა არასალიტერატურო ქართველურ ენათა შორის არქაულობით გამორჩეული ენაა. ამ ენაში არაერთი ფონეტიკური (უმლაუტი, ხმოვანთა სიგრძე...) თუ გრამატიკული მოვლენა დასტურდება, რომლებიც მიჩნეულია ან საერთოქართველურიდან მომდინარედ, ან ფუძენის დაშლის შემდგომ პერიოდში ჩამოყალიბებულად (ორფუძიანი ბრუნება, უკავშირო ჰიპოტაქსი, სხვათა სიტყვის სპეციფიკური ტიპი...).

სწორედ არქაულობის თვალსაზრისით საინტერესოდ იკვეთება ენის განვითარების ადრეულ ეტაპთან დაკავშირებული ორი გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) მონაცემის ურთიერთმიმართება: ე. წ. წინდებულ-თანდებულები და მათი მორფოსინტაქსური ფუნქცია რთულ ქვენყობილ წინადადებაში.

როგორც ცნობილია, წინდებულ-თანდებულები: **ჟი** (ა/-ზე), **ჩუ** (ჩა-/ჩამო-, -და, -ში), **სგა** (შე/-ში), **ქა** (გა/-ზე, გასწვრივ) ზმნასთან ცალკე მდგომი ელემენტებია, თანდებულის ფუნქციით კი ისინი ყოველთვის აუსლაუტში მიერთვიან სახელს; წინდებულ-თანდებულებისა და ძირითადი პრევერბების ფუნქციები იკვეთება მხოლოდ ასპექტისა და დროის კატეგორიების წარმოებაში. საანალიზო ელემენტები მეორეული (ზმნისართული) წარმოშობისაა და გაცილებით ძველი მონაცემია ძირითად პრევერბებთან შედარებით (ჩანტლაძე 1983:11; მარგვანი 2014:201-208).

წინდებულ-თანდებულთა ადგილი ზმნასთან მყარი არ არის (ერთვიან ანლაუტში, აუსლაუტში, ასევე ტმესის საფუძველზე შეუძლიათ დამორდნენ ზმნას რამდენიმე სიტყვითაც კი), რაც ასევე მიუთითებს ენის განვითარების იმ ეტაპზე, როცა საანალიზო ელემენტები დამოუკიდებელი, სრულმნიშვნელობიანი ლექსემები უნდა ყოფილიყვნენ; ამასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მათ ზოგ შემთხვევაში დღესაც შენარჩუნებული აქვთ ისტორიული დამოუკიდებლობა – გვევლინებიან ზმნიზედებად, წინადადებაში კი სხვადასხვა ტიპის გარემოებად. გარდა ამისა, სვანურში პარონომაზიული შესიტყვების გადმოცემის ერთადერთი საშუალება სწორედ წინდებულ-თანდებულია.

როგორც აღვნიშნეთ, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა საანალიზო ელემენტთა როლი რთულ ქვეყნობილ წინადადებაში.

ენათმეცნიერებაში მიღებულია დებულება ჰიპოტაქსის მეორეულობის შესახებ: „ენის განვითარების ადრეულ საფეხურებზე მხოლოდ მარტივი წინადადებები იყვნენ ერთმანეთთან შეპირისპირებულნი, შემდეგ და შემდეგ გამომუშავდა რთული სინტაქსური მიმართებანი, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ჰიპოტაქსის რთული სისტემის ჩამოყალიბებაში“ (ძიძიგური 1989:9). თუკი ჰიპოტაქსური კონსტრუქცია მაქვემდებარებელი კავშირითა და კორელატივით ენის განვითარების ბოლო, უმაღლესი საფეხურია, ხოლო სანყის ეტაპზე მხოლოდ თანწყობა არსებობდა, მათ შორის კი გარდამავალი ეტაპი, მაშინ ამ თეორიის დასტურად სვანურის მონაცემები, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანია. ზოგადად, ჰიპოტაქსის პრობლემა სვანურში კარგად არის შესწავლილი ქართველ ენათმეცნიერთა მიერ, მათ შორის, ჩვენ მიერაც სვანური ჰიპოტაქსის საკითხი არაერთხელ არის გამოტანილი და გამოქვეყნებული სხვადასხვა ფორუმსა თუ სამეცნიერო კრებულში.

ვფიქრობთ, სვანური ენის მონაცემები სწორედ იმ ძველი ვითარების გამოვლინებაა, როცა მარტივი წინადადებები მხოლოდ ლოგიკური მიმართებით (და არა გრამატიკულად) უკავშირდებიან ერთმანეთს, რასაც შ. ძიძიგური რთული კონსტრუქციის უძველეს ტიპად მიიჩნევს (ძიძიგური 1989:442), ხოლო კორელატიანი, მაგრამ უკავშირო კონსტრუქციები (რომლებიც ასევე დამახასიათებელია სვანურისთვის), მკვლევრის აზრით, სათანადო ტიპის წინადადებათა გრამატიკის პირველი საფეხურის სიტუაციას უნდა ასახავდნენ: „კორელატი კრავს ასიდენტურად დაახლოებულ წინადადებებს და ისინი ერთიანი (რთული) წინადადების გამომუშავებისკენ მიჰყავს“ (ძიძიგური 1989:443);

სვანურში უკავშირო ქვეწყობილი წინადადების აქტუალობას ჩვენ ვხსნიდით ორი ფაქტორით: ა) ენაში ინფერენციული ზმნების არსებობით, რომლებიც თავად შეიცავენ თავისთავში იმ ნიუანსს, რომელიც მაქვემდებარებელ კავშირს ანაცვლებს, და ბ) ინტონაციით, რომელიც ასევე ასრულებს მთავარ და დამოკიდებულ წინადადებებს შორის კავშირის ფუნქციას.

კვლევამ აჩვენა, რომ ენაში არსებობს დაქვემდებარების მესამე საშუალებაც, რომელიც, პირველ ორთან შედარებით, შეიძლება ითქვას, უფრო მეტად აქტიურადაც კი მოქმედებს ენაში: ეს არის **წინდებულ-თანდებულთა -ი ნაწილაკიანი ფორმების გამოყენება რთულ კონსტრუქციაში**. ქვეწყობის ეს ტიპი საენათმეცნიერო სივრცეში ყურადღების მიღება დარჩენილი, თუმცა ის მეტად საინტერესოდ გამოიყურება სწორედ ენის არქაულობისა და ჰიპოტაქსის განვითარების საფეხურების თვალსაზრისით.

სვანური -ი ნაწილაკი ფუნქციურად ქართული -ც'ს ბადალია, თუმცა ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: არის თუ არა წინდებულ-თანდებულზე დართული -ი ნამდვილად -ც ნაწილაკი? ხომ არ არის ის **იმჟი** („როგორც“) მიმართებითი ზმნიზედის ელიფსისის შედეგად შემორჩენილი ხმოვანი (ქა+ი < ქა იმჟჷჲჟი/იმჟი = „როგორც კი“)?

ერთი შეხედვით, უკანასკნელ მოსაზრებას უჭერს მხარს საანალიზო ელემენტური ნინადადების ქართული განმარტება:

მერაბ ქაი ადზგერე კლას, შიშდ უნივერსიტეტოე ლახბჳრჲე „მერაბ-მა[როგორც კი] დაამთავრა სკოლა, ხელად უნივერსიტეტში ჩააბარა“;

თუმცა საკითხის სიღრმისეული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ საანალიზო -ი სწორედაც ქართული -ც ნაწილაკის ფარდია; ამას ადასტურებს რამდენიმე ფაქტორი:

ა) საანალიზო ტიპის ქვეწყობილი ნინადადებები უმეტეს შემთხვევაში მთავარ ნინადადებაშიც იჩენენ ი'ნაწილაკიან ნინდებულის ფორმებს, რაც მთლიანობაში ქართულად ასე ჟღერს: *როგორც კი... კიდევაც...*:

მერაბ ქაი ანსკინე ყწრქა, ჩუი ახჳწრ ქორ (ბზ.) - „მერაბი [როგორც კი] გამოვარდა (გამოხტა) კარში, [კიდევაც] დაინგრა სახლი“;

ან ასე: ...თუ არა, მაშინვე/კიდევაც...

ალი ქაი რჳქჳე ი ჟიი ოხჩად ქჳინ (ბქ.) - „ეს თქვა [თუ არა] და ამოსძვრა [კიდევაც] სული“.

მსგავსი კონსტრუქციები უხვად გვხვდება როგორც სვანური ტექსტების ადრინდელ პუბლიკაციებში, ისე თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში.

საანალიზო ი ელემენტის, როგორც ნაწილაკის, სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ზოგადად, ნინდებულ-თანდებულები გამოირჩევიან უნარით, დაირთონ ნებისმიერი ნაწილაკი (სხვათა სიტყვის ნაწილაკები: -გჯ/-იჯ „-მეთქი“/ „-თქო“, ესერ/-როქ(ჳ) „-ო“, -გდ/-იდ „ისევ“, -ლალ - შებრალების, თანაგრძნობის გამომხატველი ნაწილაკი, ლახ „თუ“, (ჰ)ემა „თუკი“, -ჳეთ/-ღეთ „კინალამ“, შა/ალ „თითქმის“ და სხვ.) და შეუცვალონ სემანტიკა ზმნა-შემასმენელს, მთლიანობაში კი - ნინადადებას ან ფრაზას, რაც მორფოსინტაქსის სფეროა.

ბ) ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ პარონომაზიულ გამოთქმებს სვანურში სრულად მხოლოდ ისეთი ნინადადებები ფარავს, რომლებშიც -ი (-ც) ნაწილაკდართული ნინდებულ-თანდებულები მონაწილეობენ და ელიფსისი გამორიცხულია, მოცემულ შემთხვევაშიც საკითხი პირველი მოსაზრების სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს:

სგაი სგა ლახბჳრჳე უმღლესთე მიჩოჳშ ი ქაი ქადზგერე ფრიადჳრჳი - [„ჩაბარებითაც] ჩააბარა უმაღლეში თავისით და [დამთავრებითაც] დაამთავრა ფრიადებზე“, ამ კონსტრუქციას ასევე მიესადაგება დიალექტური ქეც'ნაწილაკიანი კონტექსტები: ქეც ჩააბარა და ქეც დაამთავრა და სხვ.

საანალიზო ტიპის რთული კონსტრუქცია ძალზე ხშირი გამოყენებისაა სვანურში და ბუნებრივადაც ჟღერს, თუმცა მეტ-ნაკლებად შეზღუდულია დამოკიდებული ნინადადების სახეობის თვალსაზრისით: ასეთ კონსტრუქციაში დამოკიდებული ნინადადება უმეტესად დროის გარემოებითია, იშვიათად - პირობითიც; კორელატი ამ შემთხვევაშიც ხან წარმოდგენილია, ხან არა.

ვფიქრობთ, ამჯერადაც სვანური ენისთვის დამახასიათებელ არქაულ მოვლენასთან გვაქვს საქმე: -ი (-ც) ნაწილაკი დღეს ნინდებულ-თანდებულებად წოდებულ ელემენტებს მათი ჯერ კიდევ დამოუკიდებელ ლექსებზედ არსებობის პერიოდში უნდა დართვოდ. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ნინდებულ-

თანდებულები სვანურში, თანამედროვე ქართულისგან განსხვავებით, მხოლოდ „ოდესლაც დამოუკიდებელი სიტყვები“ (ა. შანიძე) კი არაა, არამედ ხშირ შემთხვევაში დღესაც შენარჩუნებული აქვთ არქაული მდგომარეობა.

ასევე არქაულ ვითარებას აჩვენებს ქვენყობილი წინადადების უკავშირო ტიპის აქტუალობა სვანურში (განსაკუთრებით, სალიტერატურო ქართული ენის გავლენისგან შედარებით თავისუფალ ბალსქვემოურ დიალექტში).

ამრიგად, სვანურში ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წინდებული, რომელიც ხშირ შემთხვევაში არქაული ფუნქციით – ჯერ კიდევ დამოუკიდებელ, სრულმნიშვნელოვან მეტყველების ნაწილად გვხვდება, რთულ ქვენყობილ წინადადებაში მორფოსინტაქსური ელემენტია: ქმნის უკავშირო ჰიპოტაქსურ კონსტრუქციას, რომელიც, თავის მხრივ, ასევე რთული კონსტრუქციის განვითარების ადრეულ საფეხურს განეკუთვნება.

ლიტერატურა:

მარგიანი-სუბარი, ქ. (2014). ჰიპოტაქსის განვითარების საფეხურებისათვის სვანურ ენაში, ენათმეცნიერების საკითხები, №1-2, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 201-208.

შანიძე, ა. (1973). ქართული გრამატიკის საფუძვლები, მორფოლოგია, I, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჩანტლაძე, ი. (1983). ასპექტის კატეგორიის ისტორიიდან სვანურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIX სესია, თეზისები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 10-11.

ძიძიგური, შ. (1989). რთული წინადადების პრობლემა ქართულ ენაში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

დამანა მელიქიშვილი
Damana Melikishvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**მეთოდოლოგიური და ტერმინოლოგიური პრობლემები თანამედროვე
ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში და მათი დაძლევის გზები
(ფორმისა და შინაარსის ურთიერთმიმართებისათვის)**

**Methodological and Terminological Problems in Modern Georgian Grammatical
Literature and the Ways to Overcoming them
(On the Relation between Form and Content)**

საკვანძო სიტყვები: სუბიექტი, ობიექტი, პირის ნიშნები, დიათეზა.

Keywords: Subject, object, personal markers, diathesis.

1. The subject-matter of the research and study of grammar, as one of the branches of linguistics, is the study of the word and its relation with the content.

2. Unlike the mono-personal verb of European languages, the Georgian poly-personal verb is a “sentence in miniature” in itself due to the alternation of subjective and objective person markers and vowel prefixes which make orientation between grammatical persons.

3. The research of Georgian poly-personal verb according to the “model” of the Thracian grammar have given rise to many essential methodological and terminological problems, which are still unsolved. Among them is the problem of “Voice category”.

4. Until today, in university grammar courses and school textbooks of the Georgian language, verbs of the *R-(th.suf.) -ი -I* structure are qualified as “passive”, “passive voice” verbs, when they actually have an active content.

5. In connection with this problem, quite a number of articles have been published: including my articles – “*Tradition and Authoritarianism in Georgian Grammatical Literature*”, “*Dogmatism in Grammatical Literature*” and others.

6. The structural analysis of the entire verb material in the eight-volume explanatory dictionary of the Georgian language showed, that verbs of the *ა- a-/ ი- i-/ უ- u-/ ე- e- R(th.suf.) -ი -ი* structure (*ვ-ი-მალ-ებ-ი v-i-mal-eb-i* “I am hiding”, *ვ-ე-მალ-ებ-ი v-emal-eb-i* “I am hiding myself from him/her”, *ვ-ე-ლაპარაკ-ებ-ი v-elap'arak'-eb-i* “I am speaking with him/her”, *ვ-ე-ჩხუბ-ებ-ი v-e-čxubeb-i* “I am fighting with him/her”, *ვ-ე-ჯავჯგურ-ებ-ი v-e-jajgur-eb-i* “I am shaking him/her/it”, *ვ-ე-მზად-ებ-ი v-e-mzad-eb-i* “I am preparing for something”, *ვ-ა-ხტ-ებ-ი v-a-xt'-eb-i* “I am jumping on something”, *ვ-ა-ცხრ-ებ-ი v-a-cxr-eb-i* “I am attacking him/her/it” etc) clearly have an active content (their subject is active) and, therefore, their qualification as passive verbs is unfounded.

Abbreviations:

R – Root; th. suf - thematic suffix

References:

Melikishvili, D. (2001). ქართული ზმნის უღლების სისტემა [The System of Conjugation in the Georgian Language]. Tbilisi: Publishing House “Logos presi”.

Shanidze, A. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, t. III. [Basis of the Georgian Language Grammar, vol. III]. “Tbilisi State University Publishing House”.

გრამატიკის შესწავლის საგნისა და კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ

ენა სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება განიხილებოდეს და შეისწავლებოდეს: ფორმისა თუ შინაარსის მიხედვით, სემანტიკის, სტილისტიკისა თუ პრაგმატიკის – ასევე, კოგნიტური, ანუ – ძირეული კატეგორიების მიხედვით.

ენათმეცნიერება – ზოგადად არის მეცნიერება ენის შესახებ, მაგრამ – ენას ორი მხარე აქვს: ფორმა და შინაარსი. შესაბამისად, ფორმის შესწავლისას მასალის კლასიფიკაცია ფორმის, სტრუქტურების მიხედვით უნდა მოხდეს. შინაარსისა კი – სემანტიკის მიხედვით. სემანტიკა, თავის მხრივ, სხვადასხვა ქვედარგს მო-

იცავს: სემასოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, პრაგმატიკა... ყველა ეს დარგი ენას შინაარსის თვალსაზრისით სწავლობს და ანალიზებს.

ამ დარგებს შორის მხოლოდ გრამატიკას დარჩა ასპარეზი ენის ფორმის – სტრუქტურების მიხედვით შესწავლისა. მაგრამ ფორმა შინაარსის გარეშე არ არსებობს: ყოველი ფორმა რალაც შინაარსს გადმოსცემს.

ამჯერად ჩვენ გვინტერესებს ენის ფორმების – სტრუქტურების და ამ სტრუქტურების ურთიერთმიმართებათა, ფორმალური აგებულების შესწავლა: კერძოდ კი, ქართული ენის შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის ანალიზი და, შესაბამისად, გარკვევა იმისა, თუ ენათმეცნიერების რომელი დარგი შეისწავლის ამ თვალსაზრისით ენას. ანუ ჩვენი მიზანია, გავარკვიოთ, რა არის გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, შესწავლის საგანი დღეს: რას სწავლობს, ან, რას უნდა სწავლობდეს გრამატიკა: ენის სიღრმისეულ – ლოგიკურ, სემანტიკურ კატეგორიებს, თუ ზედაპირულ სტრუქტურებს, ფორმებს, რომელთა საშუალებითაც ფორმდება შინაარსობლივი მიმართებები? უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სწავლობს სიტყვის ფორმას თუ შინაარსს? რა შინაარსით გამოიყენება დღეს ტერმინი „გრამატიკა“, რა მეთოდით უნდა იკვლიოს დღევანდელმა გრამატიკოსმა ესა თუ ის ენა?

შესაბამისად, ჩნდება კითხვა და გადასაწყვეტია საკითხი: ენის შესწავლისას მასალის კლასიფიკაციისათვის რა უნდა იყოს ამოსავალი, პრინციპი, კრიტერიუმი: შინაარსი თუ ფორმა? თუ ორივე ერთად? შესასწავლი ენობრივი მასალა შინაარსის მიხედვით უნდა იყოს კლასიფიცირებული და კვალიფიცირებული, თუ ფორმის მიხედვით? ფორმის აღწერა-კვალიფიცირება ფორმის მიხედვით უნდა მოხდეს, თუ შინაარსის მიხედვით?

ეს საკითხი დასვა არნოლდ ჩიქობავამ ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ, – 1928 წელს და ეს პრობლემა დასაძლევია დღესაც, არა მარტო ქართულ, არამედ, ზოგადად, ენათმეცნიერულ ლიტერატურაში: ინერტია ნაშრომები მორფოლოგიის საკითხებზე, ხოლო ფორმის აღწერა კი ხდება სემანტიკური ტერმინოლოგიის საშუალებით, რაც, ცხადია, ბევრ გაუგებრობას ქმნის.

I. გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, შესწავლის საგანი (არნ. ჩიქობავას „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ კონტექსტში)

I.1. გრამატიკული მოვლენის კვალიფიკაციისას უნდა გაიმიჯნოს ლოგიკისა და გრამატიკის სფეროები: გრამატიკული კატეგორიების დეფინიცია მორფოსინტაქსური ანალიზის საფუძველზე უნდა ხდებოდეს, რის შედეგადაც გამოვლენილი ფორმების/სტრუქტურების ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციები გაირკვევა: ანუ დადგინდება სემანტიკური მარკირების მიმართების ტიპი მორფოლოგიაში; ასევე გაირკვევა, მარკირებულია თუ არა გრამატიკულად (მორფოლოგიურად) ესა თუ ის უნივერსალური სემანტიკური კატეგორია კონკრეტულ ენაში.

თითქმის ერთი საუკუნე გავიდა არნოლდ ჩიქობავას ფუძემდებლური ნაშრომის სადოქტორო დისერტაციის - „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ – გამოქვეყნების, 1928 წლის შემდეგ.

პირველი პუბლიკაციიდან 40 წლის შემდეგ, 1968 წელს, ამ ნაშრომის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში არნოლდ ჩიქობავა წერდა: „მაშინ ამ წიგნის ავტორი **„იდეალისტად და სუბიექტივისტად“** გამოაცხადეს, რადგანაც იგი მოითხოვდა ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგია დაყრდნობადა შესასწავლი ენის **იმანენტურ**, შინაგან ბუნებას“. ამავე წინასიტყვაობაში ავტორმა კიდევ ერთხელ, ნათლად ჩამოაყალიბა თავისი კონცეფცია ლინგვისტურ კვლევაში „**იმანენტისმის**“ მეთოდის გამოყენების შესახებ და გამოკვეთა ტერმინ „**იმანენტისმის**“ მნიშვნელობა, როგორც ენათმეცნიერული კვლევის მეთოდისა, რომელიც მოითხოვს ენობრივი მასალის კვლევას **ობიექტიდან, მოცემული ენის შინაგანი ბუნებიდან ამოსვლით, განსხვავებით „იმანენტური ფილოსოფიისაგან“**, როგორც გნოსეოლოგიური სუბიექტივისტური მოძღვრებისაგან, რომელიც **სუბიექტიდან ამოსვლით იკვლევს სამყაროს: „ტერმინ „იმანენტისმის“ ხმარება საკმარისად მიიჩნეის იმისათვის, რომ ავტორი „იმანენტური ფილოსოფიის“ დამცველად გამოეცხადებინათ, თუმცა, ცნობილია, რომ „იმანენტურ ფილოსოფიას“, როგორც გნოსეოლოგიურ მოძღვრებას, შემეცნების პროცესში სიმძიმის ცენტრი გადააქვს სუბიექტზე, „მეთოდოლოგიური იმანენტისმი“ კი ენის შესწავლისას მოითხოვს ობიექტის თვისებებიდან ამოსვლას, მოითხოვს გამოვავლინოთ ის ნიშან-თვისებები, რაც ობიექტს შინაგანად ახასიათებს, რაც ობიექტისთვისაა იმანენტური“** (იქვე, გვ. 012).

სამწუხაროდ, სწორედ ამის გამო მოხდა, რომ არნოლდ ჩიქობავას ამ ფუნდამენტურ ნაშრომს, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იან წლებში, „სტრუქტურული“ – „დესკრიფციული“ ენათმეცნიერების გარიჟრაჟზე შეიქმნა, არათუ საქართველოს ფარგლებს გარეთ არ იცნობდნენ (და დღემდეც არ იცნობენ),¹ არამედ ქართულ ენათმეცნიერულ წრეებშიც და საუნივერსიტეტო გრამატიკის კურსებშიც იშვიათად თუ იყენებდნენ და იყენებენ.

ამ ნაშრომის ავტორი მაშინ, მეოცე საუკუნის ოციან წლებში, ალბათ ჯერ კიდევ არ იცნობდა ფერდინანდ დე სოსიურის თეორიულ მოძღვრებას, რომელიც მისი მსმენელი სტუდენტების წყალობით გავრცელდა და შემდგომ საფუძვლად დაედო ენათა სტრუქტურულ კვლევებს (თორემ იგი უთუოდ ახსენებდა მაინც მას სხვა ავტორთა მოძღვრებებს შორის, რომელთაც დაწვრილებით განიხილავს თავისი ნაშრომის პირველ ნაწილში). ჩვენამდე ამ მოძღვრებამ მეოცე საუკუნის შუა წლებში მოაღწია.

„მეთოდოლოგიური იმანენტისმის“ მოძღვრების პრინციპების დამცველი ავტორი, როგორც თვითონვე წერს, მტკიცედ იცავდა თავის დებულებებს ლოგიციზმისა და ფსიქოლოგიზმის წინააღმდეგ გრამატიკაში (რაც დიონისე თრაკე-

¹ აღსანიშნავია, რომ თამაზ გამყრელიძემ (გამყრელიძე, 1979, 2002), ირინე მელიქიშვილმა (ირ. მელიქიშვილი, 2010, 2011) და რუსუდან ასათიანმა (ასათიანი, 2017) გარკვეული წესრიგი შემოიტანეს სემანტიკური მარკირების თვალსაზრისით მორფოლოგიაში, რითიც დაძლეულ იქნა სტრუქტურალისტების ცალმხრივი (ფორმალისტური) პრინციპი ისე, რომ არ შელახულა გრამატიკული: ირ. მელიქიშვილის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილი სურათი აქტიურობა-არააქტიურობის კატეგორიის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილებისა ადეკვატურად ასახავს ქართული „წინადადების ბირთვის“ პარტიციპანტების ზმნასთან სემანტიკურ მიმართება-მარკირების წესს.

ლიდან მოყოლებული, დამკვიდრებული იყო აღწერით გრამატიკებში: აღწერითი გრამატიკების სხვადასხვა მიმდინარეობა სტრუქტურულ ცნებათა ჩამოყალიბებისას ემყარებოდა ფუნქციის ნიშან-თვისებებს), რადგანაც ეს დებულებები „მეცნიერულად სწორად მიაჩნდა“. მან თავის მოვალეობად ჩათვალა „უფრო დაწვრილებით დაესაბუთებინა და განევითარებინა ეს დებულებები რიგს ნაშრომებში“, რომლებიც შეეხება:

1. ზოგად ენათმეცნიერებას (1935; 1945; 1952);
2. ენის, როგორც გრამატიკის აგებულების, ძირითად საკითხებს (1940);
3. ენათმეცნიერების საგნის პრობლემას (1959);
4. თანამედროვე ლინგვისტიკის განვითარების საკითხებს (1966).

5. 1968 წელს დაიბეჭდა მეორე გამოცემა ... „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“. ამჯერად ავტორმა სხვა ენათმეცნიერულ მიმდინარეობებს შორის სოსიურის მოძღვრებაც მისთვის დამახასიათებელი სკრუპულოზურობით, გამონღვიღვით განიხილა (იხ. ჩიქობავა, შრომები, VIII, 2014, გვ.127-135).

1968 წლის შემდეგ გადის 10 წელი და 1978 წლის 26 დეკემბერს, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXIV სამეცნიერო სესიაზე არნ. ჩიქობავამ წარმოადგინა მოხსენება, რომელიც ეხებოდა „მორფოლოგიური ფაქტის რეინტერპრეტაციის საკითხს ქართული ზმნის ჩვენებათა მიხედვით“.

ამ მოხსენებაში არნოლდ ჩიქობავამ კვლავ წამოსწია წინ გრამატიკაში კვლევის მეთოდოლოგიის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი პოპლემა, კეძოდ, ენობრივი ფაქტის კვლევისას ფორმისა და შინაარსის დონეების გამიჯვნის საკითხი: კერძოდ, ის, რომ ენობრივი სისტემის მეცნიერული აღწერისათვის აუცილებელი პირობა უნდა იყოს სტრუქტურისა (ფორმისა) და სემანტიკის (შინაარსის) დონეების გამიჯვნა. მან საგანგებოდ გახაზა, რომ ლინგვისტურ კვლევებში „ლექსიკურ-სემანტიკურ და სტრუქტურულ-მორფოლოგიურ მონაცემთა ფარდობის უქონლობა ქმნის ძირითად სიძნელეს ენობრივი სისტემის მეცნიერულად აღწერისათვის“ (იხ. XXXIV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, საქ. მეცნ. აკად., ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1978 წ. 26-27 დეკემბერი, გვ. 7).

არნოლდ ჩიქობავას მოხსენების პირველივე თეზისი ეხებოდა სწორედ იმ პრობლემას, რომელიც მან მანამდე, ჯერ კიდევ 50 წლის წინ, 1928 წელს წამოჭრა თავის სადოქტორო დისერტაციაში – „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“:

1. ენის მეცნიერული შესწავლა, ჩვენის აზრით, გულისხმობს როგორც სტრუქტურის, ისე ფუნქციის შესწავლას, მაგრამ შეუძლებელი ხდება სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) აღწეროთ ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და – პირუკუ;

2. სტრუქტურული ცნებები სტრუქტურული ნიშნების მიხედვით უნდა ჩამოვყალიბოთ, ფუნქციონალურიც შესაბამისად – ფუნქციონალური ნიშნების მიხედვით: მანძილი არ გაიზომება წონის ერთეულებში (კილოგრამობით);

3. ენის აღწერისას ჩვენთვის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს ჰომოგენურობის პრინციპი, როგორც საფუძველი „მეთოდოლოგიური იმანენტიზმისა“: ცნება უნდა შეიცავდეს ნიშნებს, რომლებიც იმანენტურია აღსაწერი ობიექტისათვის, შესასწავლი ობიექტისათვის შინაგანად დამახასიათებელია;

4. ერთი ენის გრამატიკა ვერ იქნება მეორე ენის გრამატიკის „თარგმანი“: ერთი ქალაქის გეგმის მიხედვით ვერ დავათვალიერებთ (ვერ გავეცნობით) მეორეს;

5. „უნივერსალური გრამატიკა“ შეუძლებელია იმიტომ, რომ არ არსებობს უნივერსალური გრამატიკული სტრუქტურა (თუმცა სხვადასხვა ენების სტრუქტურაში გამოირიცხული არაა გვექონდეს ცალკეული საერთო სტრუქტურული ნიშნები).

ამ მეთოდოლოგიური საკითხების წამოწვევა საჭირო გახდა იმის გამო, რომ აღწერითი გრამატიკების „სხვადასხვა მიმდინარეობა სტრუქტურულ ცნება-ტერმინთა ჩამოყალიბებისას ემყარება ფუნქციის ნიშან-თვისებებს. ამ მიმართულებებში (იგულისხმება ლოგიციზმი, ფსიქოლოგიზმი) ანგარიში არ ეწევა ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების ძირითად დასკვნას: ერთი და იგივე აღსანიშნი სხვადასხვა ენაში (ერთსა და იმავე ენაშიც მისი განვითარების სხვადასხვა პერიოდში) შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვაგვარად: ფუნქციის ერთგვარობა სტრუქტურის ერთგვარობას ვერ განსაზღვრავს. ერთი სიტყვით, ვერ გამართლდა რაციონალური გრამატიკის (რესპ. ფილოსოფიური გრამატიკის) ძირითადი დებულება, თითქოს ლოგიკურ კატეგორიათა ერთიანობა შესაძლებელს ხდიდეს „უნივერსალურ“ („ზოგად“) გრამატიკას: „უნივერსალურად“ („ზოგადად“) ეს გრამატიკა მიაჩნდათ იმიტომ, რომ იგი „რაციონალური“ იყო, ლოგიკურ კატეგორიებს ემყარებოდა“ (არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ., გვ. 09).

არნ. ჩიქობავამ აჩვენა, თუ რა შეუსაბამოებანი მოსდევს „იმანენტიზმის“ პრინციპის დარღვევას (უგულებელყოფას) გრამატიკაში: 1959 წელს, მოსკოვში, რუსულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ასევე ფუძემდებლური ზოგადენათმეცნიერული ნაშრომი „Проблема языка как предмета языкознания“, რომელშიც უცხოური ენათმეცნიერული აზროვნების ანალიზის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები ზოგად ენათმეცნიერებაში არსებული ამ უძირითადესი პრობლემების თაობაზე და დასმულია მომავალში განსახორციელებელი ამოცანები. სამწუხაროდ, არცერთი ამ ნაშრომთაგან არ გასცდენია „საბჭოთა კავშირის“ სა(ენათ)მეცნიერო წრეების ფარგლებს. მეტიც, ამ ნაშრომების თეორიულად თუ პრაქტიკულად სახელმძღვანელო და უაღრესად მნიშვნელოვანი დასკვნები და დებულებები (მიუხედავად არნ. ჩიქობავას დიდი მეცნიერული ავტორიტეტისა), **სათანადოდ არ ყოფილა გააზრებული, გათვალისწინებული და გამოყენებული არც ქართულ სასწავლო თუ სამეცნიერო ლიტერატურაში.** 60-70-იან წლებში სამეცნიერო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობის უაღრესად ნიჭიერი, ერუდირებული და ნაყოფიერი მკვლევარების ნაწილი, რომელიც გატაცებული იყო იმ დროს ჩვენში ახლად შემოსული „დესკრიფციული ენათმეცნიერებით“, ამ ნაშრომების ავტორს (რომელიც გრამატიკას განიხილავდა, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთ დარგს, რომელიც ენას უნდა აღწერდეს და შეისწავლიდეს სწორედ სტრუქტურული თვალსაზრისით) ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მოძველებული მეთოდოლოგიის მიმდევრად თვლიდა.

მართალია, არნ. ჩიქობავას ნაშრომს, როგორც თვითონვე წერს, „მარიზმის ბატონობის ხანაში გამოუტანეს განაჩენი“, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგაც, მი-

სი ეს, არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ, ზოგადად, მეცნიერული კვლევისათვის ლოგიკურად სრულიად გამართული, ნათელი და პრინციპულად აუცილებელი მეთოდოლოგიური მოძღვრება, რომელიც უზრუნველყოფს ემპირიული კვლევის სწორად წარმართვისა და სწორი მეცნიერული შედეგების მიღწევას, დარჩა ზოგადთეორიულ, აბსტრაქტულ მოძღვრებად და მივიწყებულ იქნა: ლინგვისტური კვლევებისას ის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ მეთოდს, პრაქტიკულად იშვიათად თუ გამოყენებულა ქართული ენის გრამატიკული სისტემის კვლევის შემდგომ ეტაპებზე – განსაკუთრებით კი ქართველური ზმნის სტრუქტურების კვლევისას: ზმნისა, რომელიც ქართული ენის, ქართული შესიტყვების ბურჯია.

სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმის თაობაზე, თუ როგორ წინააღმდეგობას წააწყდა მისი ეს დებულებები იმ დროში, როდესაც ენის სტრუქტურის (ფორმის) შესწავლა „ითვლებოდა „ფორმალიზმად“ ამ სიტყვის ყველაზე ცუდი გაგებით, ე.ი. ითვლებოდა იდეოლოგიურად მავნე საქმიანობად“ (არნ. ჩიქობავა, დასახ. ნაშრ.). თუ გადავხედავთ მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების რუსული გრამატიკული აზროვნების ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებს და გავეცნობით ამავე დროის საბჭოთა ლიტერატურაში მიმდინარე პოლემიკასა და დისკუსიებს ერთი მხრივ - „ფორმალური გრამატიკისა“ თუ „გრამატიკული ფორმალიზმის“ (და მისი სხვადასხვა ნაირსახეობის) და, მეორე მხრივ - „ლოგიკური გრამატიკის“ მიმდევრებს შორის, რომელიც დამთავრდა „მეცნიერული ფორმალიზმის“ უარყოფით და სასკოლო გრამატიკებში „ლოგიკური გრამატიკის“ პრინციპების დანერგვით, - გამოჩნდება, თუ რატომ გადაეკეტა გზა არნოლდ ჩიქობავას მოძღვრების (გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, შესახებ, რომელიც უნდა შეისწავლიდეს ენის ფორმასა = მორფოლოგიასა და ამ ფორმათა ურთიერთობას = სინტაქსს) გავრცელებას სასკოლო თუ სამეცნიერო ასპარეზზე (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. გ. ხუხუნის ვრცელი, საინტერესო მიმოხილვა – „გრამატიკული ფორმალიზმის შესახებ“ (თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 1981, გვ. 134-152).

იმ პერიოდში (30-იანი წლებიდან მოყოლებული), როდესაც სსრკ-ში მიმდინარეობდა დისკუსია გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოებში „მეცნიერულ ფორმალიზმსა“ და „ლოგიკურ გრამატიკას“ შორის არჩევანთან დაკავშირებით, ენათმეცნიერთა „მაღალ წრეებში“ „ფორმალიზმი“ აღმოჩნდა „მძაფრი კრიზისის მდგომარეობაში, მაგრამ არანაკლებ მძაფრი იყო ეს კრიზისი „ქვედა ფენებშიც“ - ფართო პედაგოგიურ საზოგადოებრიობაში“ (გ.ხუხუნი, დასახ. ნაშრ., გვ 144). ამ დისკუსიის შედეგი იყო ის, რომ სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოებში დაინერგა „ლოგიკური გრამატიკის“ პრინციპები, რადგანაც, „ფორმალიზმისადმი თეორიული ოპოზიციის ზრდასთან ერთად, პარალელურად ძლიერდებოდა მისდამი პედაგოგიური მასების კრიტიკული განწყობილება, რაც განპირობებული იყო, პირველ რიგში, „ფორმალური გრამატიკის“ უუნარობით, შეექმნა საშუალო სკოლისათვის სტაბილური სახელმძღვანელო“ (გ. ხუხუნი, დასახ. ნაშრ., გვ 146).

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ წლებში ქვეყნდება ქართული ენის ახალი გრამატიკის ფუძემდებლის, აკაკი შანიძის ნაშრომები. მათ შორისაა მისი სამი

ფუძემდებლური ნაშრომი: 1) მოძღვრება სერიებისა და მწკრივების შესახებ: „მწკრივის კატეგორია ზმნაში“ (ენიმკის მოამბე, ტ. X, 1941); „მწკრივთა მოძღვრებისათვის“ (აკად. მოამბე, ტ. III, 1945); 2) „აქტივი და პასივი ურთიერთის მიმართ ქართული მრავალპირიანი ზმნის მონაცემებით“ (აკად. მოამბე, IV (4), 1942); 3) „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში“ (თსუ ძვ. ქართული ენის კათედრის შრ. №7, 1961), რომლებიც საფუძვლად დაედო მის ფუნდამენტურ ნაშრომს - „ქართული გრამატიკის საფუძვლები“ (1953, 1973) და მის სასკოლო სახელმძღვანელოებს ქართულ ენაში, რამაც განსაზღვრა შემდგომ ქართული გრამატიკული აზრის განვითარების გზა.

1941 წელს აკაკი შანიძემ ჩამოაყალიბა ქართული ზმნის უღლებად ფორმათა გრამატიკული, სტრუქტურისა და კონსტრუქციის მიხედვით აგებული ძირითადი მოდელი, რომელიც ჯერ კიდევ ნიკო მარს ჰქონდა წარმოდგენილი თავის „ტაბულებში“ (1912 წ.) და, რომელსაც საფუძვლად უდევს სწორედ „იმანენტიზმის მეთოდი“: ქართული ზმნის უღლებადი ფორმები განანილებულია სამ ჯგუფში - „სერიაში“ სტრუქტურისა და კონსტრუქციის მიხედვით, ხოლო თითოეული სერიის შიგნით გამოყოფილ ქვეჯგუფებში - „მწკრივებში“. ნ. მარმა ზმნის ფორმები სემანტიკური პრინციპით (კრიტერიუმით) გააერთიანა: კერძოდ, დრო-კილოთა სემანტიკური კატეგორიის მიხედვით. ამით მან სრულიად შეცვალა ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული ძირითადი პრინციპი, რომელშიც კლასიფიკაციის ძირითად, გვარეობით ცნებად სემანტიკური კატეგორიები - დრო და კილოა მიღებული.

საბოლოოდ, ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის ნ. მარისეული ერთიანი პრინციპი, რომელიც აკაკი შანიძემ დამკვიდრა თავის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“, შესანიშნავი მაგალითია ენობრივი მასალის „მეთოდოლოგიური იმანენტიზმის“ პრინციპების დაცვის თვალსაზრისით: ზმნური ფორმები კლასიფიცირებულია გრამატიკული - მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით, რამაც გამოავლინა ქართული ენის ზმნური შესიტყვების სპეციფიკა სხვა ტიპის ენების შესიტყვების სტრუქტურებთან მიმართებით. მაგრამ გრამატიკულ ლიტერატურაში რთული მდგომარეობაა ქართული ზმნის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების კვალიფიკაციის სფეროში, როგორცაა „ქცევისა“ და „გვარის“ კატეგორიების სემანტიკურ ნაირსახეობათა კვალიფიკაციის საკითხები; ზმნის პირის გამოხატვის სისტემისა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის“ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები და სხვა.

ქართული ზმნის „გვარის კატეგორიის“ ევროპული მოდელის მიხედვით - სემანტიკური კრიტერიუმით კლასიფიკაცია, ქართული ორ- და სამპირიანი ზმნის ხმოვანპრეფიქსთა ვნებითი გვარისა და ქცევის გრამატიკულ მარკერებად კვალიფიკაცია და პირის ნიშანთა გრამატიკული და ფუნქციური ურთიერთმიმართების (ე.წ. „ინვერსიის“) საკითხები ენათმეცნიერულ ლიტერატურაში დღემდე დავას იწვევს და მოსაგვარებელია.

1.2. რაც შეეხება არნოლდ ჩიქობავას „იმანენტიზმის“ მეთოდოლოგიას, რომლის მიხედვითაც გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის

შესასწავლი საგანი სიტყვის ფორმა და ამ ფორმათა ურთიერთმიმართებაა, ანუ მორფოლოგიური სტრუქტურები და სინტაქსური კონსტრუქციებია, რაც ენობრივი მოვლენების სტრუქტურული და დესკრიფციული მეთოდით სისტემურ კვლევას მოითხოვს, და საჭიროებს მასალის მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით კვლევასა და, შესაბამისად, კლასიფიკაციასა და კვალიფიკაციასაც, ეს კი, თავის მხრივ, გულისხმობს გრამატიკული კატეგორიების დეფინიციასა და კვალიფიკაციას გრამატიკული და (და არა ლოგიკურ-სემანტიკური) ტერმინოლოგიის საშუალებით: - თუ რა სურათია ამ მხრივ არა მარტო ქართულ, არამედ, საერთოდ, ტრადიციულ ევროპულ (*//*რუსულ) როგორც სამეცნიერო, ისე სასკოლო გრამატიკულ ლიტერატურაში, გასული საუკუნიდან მოყოლებული დღემდე, კარგად ჩანს იმ გადაულახავ პრობლემებსა და წინააღმდეგობებში, რომლებსაც ყოველ ნაბიჯზე აწყდება მკვლევარი: „გვარისა“ და „ქცევის“ „გრამატიკული კატეგორია“ დაუძლეველი პრობლემა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული გრამატიკული ლიტერატურა მდიდარია ქართული ზმნის სისტემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ნაშრომებით, რომლებშიც ბევრი საკითხი სხვადასხვაგვარადაა განხილული და გადაწყვეტილი (იხ. ქვემოთ, ლიტერატურა). ყველა თვალსაზრისს (ეხება ეს გრამატიკულ კატეგორიათა კლასიფიკაციასა თუ კვალიფიკაციას) თავისი საფუძველი აქვს და უფლება აქვს მეცნიერული აზრის მიმოქცევაში არსებობისა, მაგრამ იგი არ უნდა არღვევდეს ემპირიული კვლევის ძირითად, ამოსავალ პრინციპებს - კერძოდ:

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში, რომლის კვლევის საგანს წარმოადგენს მატერიალური სამყარო და, მათსადამე, მატერიალური, სამეტყველო, ბგერითი ენა, საჭიროა ლოგიკური დასაბუთების ელემენტარული და აუცილებელი წესების, პრინციპების დაცვა: ამაზე საგანგებოდ მსჯელობს ჯერ კიდევ XII საუკუნის ცნობილი ქართველი მოაზროვნე, იოანე პეტრიწი პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების“ განმარტებაში: შესავალში იგი საგანგებოდ ეხება შემეცნების მეთოდებს და შემდეგ კი, I თავში, განიხილავს რა არისტოტელეს დასაბუთების მეთოდს, ასკვნის, რომ არისტოტელეს „ორგანონის“ უცილობელი კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია რისამე შემეცნება გონების (ლოგიკური) გზით.

სამწუხარო ფაქტია, რომ ხშირად სწორედ ეს, არისტოტელეს ლოგიკური დასაბუთების ელემენტარული და აუცილებელი („უცილობელი“) კანონებია უგულვებელყოფილი ენათმეცნიერული და, კერძოდ, გრამატიკული კვლევების დროს.

მორფოლოგია და სინტაქსი გრამატიკის, როგორც საენათმეცნიერო ცოდნის, დარგებია. ორივე დარგის შესწავლის საგანი სიტყვაა: მორფოლოგია სწავლობს სიტყვის ფორმას, სტრუქტურას, ხოლო სინტაქსი – ამ სტრუქტურების შეკავშირების წესებს, ანუ შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმს, სინტაქსურ კონსტრუქციებს. არ არსებობს ენათა უნივერსალური მორფოლოგია და სინტაქსი. ყოველ ენაში აზრის გამოხატვის საკუთარი ფორმები – სტრუქტურები და კონსტრუქციები მოიპოვება (თუმცა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად, გამო-

რიცხული არ არის, რომ გარკვეულ შემთხვევებში ტიპოლოგიური თვალსაზრისით გრამატიკული კატეგორიები, ანუ სემანტიკური კატეგორიების გამოხატვის ფორმები – სტრუქტურები და კონსტრუქციები სხვადასხვა ენაში ერთმანეთის მსგავსი იყოს). ამიტომ ყოველი კონკრეტული ენის გრამატიკული კატეგორიების კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ამ ენის სპეციფიკიდან ამოსვლით, ქართული სამპირიანი ზმნა ვერ დახასიათდება ევროპული ერთპირიანი ზმნის სტანდარტის მიხედვით. გრამატიკის, როგორც ენათმეცნიერების ერთ-ერთი დარგის, ამოცანაა გაარკვიოს ის, თუ რა ფორმით გადმოიცემა ესა თუ ის შინაარსი ამა თუ იმ ენაში, ფორმათა ურთიერთობის (ანუ სინტაქსის) რა წესებია ჩამოყალიბებული ამა თუ იმ ენაში ისტორიულად. ლოგიკური აზროვნების წესები, კანონები ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკე ადამიანისათვის ერთია, უნივერსალურია, მაგრამ ერთი და იმავე შინაარსის გამოხატვისათვის სხვადასხვა ენაში განსხვავებული საშუალებები - სტრუქტურები და კონსტრუქციებია ჩამოყალიბებული. ამასთან დაკავშირებით მოსწრებულად აღნიშნავს არნ. ჩიქობავა, რომ „ერთი ენის სტანდარტებიდან ამოსვლით მეორე ენის აღწერა იმას ჰგავს, თბილისის პარიზის გეგმის მიხედვით რომ დაათვალიერო“. სამწუხაროდ, მთელი რიგი მნიშვნელოვანი გრამატიკული მოვლენების აღწერა-დახასიათება და კვალიფიკაცია დღესაც ევროპული ენების თარგით ხდება.

მოკლედ ჩამოვთვლით მეთოდოლოგიურ პრობლემებს და იმ პასუხგაუცემელ კითხვებს, რომლებსაც ვხვდებით ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაში და რომლებიც მოითხოვენ პასუხს, ახსნასა და გადაწყვეტას:

1. ენათმეცნიერების კვლევისა და შესწავლის საგანი ენაა. ენას ორი მხარე აქვს: შინაარსი (ფუნქცია) და ფორმა, რომელიც ამ ფუნქციას გამოხატავს. ცხადია, ენის შესწავლა გულისხმობს როგორც ფუნქციის (სემანტიკის, მნიშვნელობის), ისე სტრუქტურის (ფორმის) შესწავლას, მაგრამ სრულიად დაუშვებელია, რომ „სტრუქტურა (სტრუქტურული კატეგორიები) აღინეროს ფუნქციის (ფუნქციონალურ კატეგორიათა) მიხედვით და პირუკუ“ (არნ. ჩიქობავა, 1968, გვ. 010). საკლასიფიკაციო პრინციპი უნდა ემყარებოდეს მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმებს;

2. ანალიზი უნდა ჩატარდეს საკვლევი საგნის (დარგის) შესაბამისი ცნება-ტერმინების გამოყენებით („მანძილი ვერ გაიზომება წონის ერთეულებით, ანუ კილოგრამებში), შესაბამისად: გრამატიკაში, რომლის შესწავლის საგანი არის ენაში არსებული სიტყვების სტრუქტურები და ამ სტრუქტურების უთიერთმართება (ანუ მორფოლოგია და სინტაქსი“), კვლევა უნდა მიმდინარეობდეს და საკვლევი მასალის აღწერა და კლასიფიკაცია უნდა ხდებოდეს არა სემანტიკური თვალსაზრისით, არამედ სტრუქტურების მიხედვით და ამ დარგისათვის შესაბამისი ტერმინოლოგიით. *სუბიექტი, ობიექტი, გვარი (პასიურობა, აქტიურობა), ქცევა (კუთვნილება-დანისწულეობა)* ლოგიკურ-სემანტიკური ცნებებია. კვლევისას გამოყენებული უნდა იყოს დარგის შესაბამისი ცნება-ტერმინები: მართალია, ენათმეცნიერება სწავლობს ენის ფორმასთან ერთად შინაარსსაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ გრამატიკაში ოპერირება ხდებოდეს ლოგიკური (/სემანტიკური) ტერმინოლოგიით. გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია უნდა აღი-

წეროს გრამატიკულ (მორფო-სინტაქსურ) და არა ლოგიკურ (/უნივერსალურ) ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინებით. ეს კი ხშირად დარღვეულია და იწვევს გაუგებრობას;

3. შესასწავლი მასალის, კერძოდ, ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისას დაცული უნდა იყოს **ცნების დაყოფის ლოგიკური წესი**, რაც გულისხმობს გვარეობითი ცნების სწორად განსაზღვრას და ამ კლასიფიკაციის ფარგლებში მიღებული კრიტერიუმის ბოლომდე დაცვას;

4. კვლევისას გრამატიკული კატეგორიების გამოვლენა უნდა ემყარებოდეს **საკვლევი ენის სპეციფიკას**, ამ ენის საკვლევი მასალის სტატისტიკური და სისტემური ანალიზის შედეგებს; დასკვნები უნდა ემყარებოდეს საკვლევი ემპირიული მასალის აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის ანალიზს: ენათმეცნიერების, ისევე, როგორც ნებისმიერი ემპირიული მეცნიერების სფეროში, კვლევის პროცესში პირველი რიგის ამოცანაა შესასწავლი **მასალის ანალიზი ჩატარდეს მეთოდოლოგიური იმანენტიზმის პოზიციიდან, რაც გულისხმობს საკვლევი ინდუქციური და არა დედუქციური** კვლევის გზით მისვლას ჭეშმარიტად სწორ დანასკვამდე და არა პირიქით, აპრიორულად, წინასწარ, დოგმად მიღებული, სტატისტიკურად შეუმომნებელი და დაუსაბუთებელი დებულებიდან, რასაც ლოგიკაში უწოდებენ „წრეს დასაბუთებაში“ (ეს კი „საგობელ არს ფილოსოფოსთაგანო“, წერს არისტოტელეს „კატეგორიების“ ერთ-ერთი კომენტატორი, ალექსანდრიული ფილოსოფიური სკოლის ცნობილი წარმომადგენელი, ამონიოს ერმიასი);

5. დასკვნების სისწორე-მცდარობა დამოკიდებულია **წანამძღვრის, ამოსავალი დებულების სისწორე-მცდარობაზე** (რასაც ემპირია/სტატისტიკა ამოწმებს და ხშირად დამოკიდებულია ახალი მასალის მოკვლევასა თუ აღმოჩენებზე); ანდა **ლოგიკური არგუმენტაციის სიმტკიცე-სისუსტეზე**. მეორე პირობის შემთხვევაში, თუ ემპირიული მასალა სტატისტიკურად საკმარისად არ არის შესწავლილი და არგუმენტაცია ეყრდნობა არასწორ წანამძღვარს, დანასკვი მცდარი იქნება: კვლევა უნდა ეყრდნობოდეს **ემპირიული მასალის მონაცემებს** და არა ტრადიციულად დამკვიდრებულ **აპრიორულად** მიღებულ დებულებას, რომელიც კვლევის პროცესში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს;

6. **ენა სისტემაა და ამ სისტემის რგოლები ერთმანეთთან ორგანულადაა დაკავშირებული**: სწორედ ამ ორგანული კავშირების ურთიერთმიმართებაა აღმოსაჩენი და შესასწავლი. ხშირად გამონაკლისად და ანომალიებადაა მიჩნეული სისტემური მოვლენები და ამიტომ მასალის კვლევას სისტემური ხასიათი არა აქვს: **ენობრივი მოვლენების შესწავლა ერთმანეთისაგან იზოლირებულად, „ამოგლეჯით“ ხდება, რაც შეუსაბამო სურათს იძლევა**. შესწავლილი და გათვალისწინებული არ არის ემპირიული, სტატისტიკური მონაცემები;

7. კვლევისას აუცილებელია **სინქრონიისა და დიაქრონიის მონაცემების გამიჯვნა**: სინქრონიულ დონეზე ენობრივი ფაქტის კვალიფიკაციისას დიაქრონიული ანალიზის შედეგების (მაგ., მორფო-სინტაქსური მოვლენების რეინტერპრეტაციის ფაქტების) გამომჟღავნება და მომარჯვება საჭირო ხდება ფაქტის ახსნის მიზნით, მაგრამ არა სინქრონიულ ჭრილში ამ ფაქტის კვალიფიკაციისთვის: დიაქრონიული ანალიზის შედეგად მათი სათანადო კვალიფიკაცია უნდა მოხდეს სინქრონიულ ჭრილში;

8. დგას მორფო-სინტაქსური ფაქტებისა და კატეგორიების ტერმინოლოგიური დახასიათების პრობლემა: ა) ზოგადად „მწკრივთა“ სახელწოდებების საკითხი (კერძოდ, ძველი ქართული ენის გრამატიკაში ტერმინის „კავშირებითის მწკრივ/ებ/ი“ გამოყენების შეუსაბამობა, III სერიის მწკრივთათვის ტერმინ „თურმეობითების“ მიზანშეწონილობის საკითხი როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულში და სხვ.); ბ) გარდამავლობის, როგორც გრამატიკული კატეგორიის საკითხი „პოლიპერსონალურ“ ქართულ ზმნაში; გ) ინვერსიის პრობლემა და ამასთან დაკავშირებით პირის გრამატიკული მარკერების ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციების განსაზღვრა დიაქრონიულ და სინქრონიულ ძრეულში.

ამ სრულიად ნათელი და ობიექტური პრინციპისათვის ხაზგასმა გვჭირდება იმის გამო, რომ გრამატიკულ ლიტერატურაში დღესაც ხშირად ხდება ოპერირება ლოგიკურ-სემანტიკური ცნება-ტერმინებით, გრამატიკული მოვლენების დეფინიცია ხდება სემანტიკური ნიშნით, რაც, ბუნებრივია, შედეგად ინვესს შეუსაბამობებს შესასწავლი ფაქტის ფორმასა და შინაარსს შორის; ზოგჯერ ეს გამოწვეულია იმით, რომ მისდევნ ტრადიციას და ევროპული ენების გრამატიკებში მიღებულ კლასიფიკაციის პრინციპებს: მაგ., ქართული ენისათვის სპეციფიკური ბრუნვის, მოთხრობითის გრამატიკული ფუნქციის აღიარებას და ბრუნვათა მის რიგში ჩასმას მთელი საუკუნე დასჭირდა; წოდებითი ბრუნვის საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი; ქართული ზმნის ფორმათა კილოების მიხედვით ევროპული კლასიფიკაციიდან გადახვევას და ნიკო მარისა და აკაკი შანიძისეული ქართული ზმნისათვის მისაღები სერიებისა და მწკრივების მორფო-სინტაქსური კრიტერიუმით კლასიფიკაციის შემოღებასაც გარკვეული დრო დასჭირდა.

ლოგიკის ექსპანსია გრამატიკაში დღესაც არ არის დაძლეული.

II. პრობლემის დაძლევის გზა

II.1. თავისთავად შესანიშნავ გამოკვლევებში, რომლებიც ეძღვნება „გრამატიკულ კატეგორიებად“ მიჩნეულ „გვარისა“ და „ქცევის“ ფორმათა განხილვას, ზმნური ფორმების კლასიფიკაციისას არ არის დაცული მორფო-სინტაქსური კრიტერიუმი და გრამატიკული კატეგორიების გამოვლენა არ ემყარება ქართული ენის, ქართული მრავალპირიანი ზმნის სპეციფიკას: ამ ენის საკვლევი მასალის სტატისტიკური და სისტემური ანალიზის შედეგებს; არ არის გათვალისწინებული ქართული ზმნის მორფო-სინტაქსური თავისებურება, რომლითაც იგი განსხვავდება ევროპული ზმნისაგან – შესაბამისად, ზმნურ ფორმათა გრამატიკული კვალიფიკაცია მცდარია: კერძოდ, ზემოთ განხილულ შემთხვევებში ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციისას გვარეობით ცნებად წინასწარ („აპრიორი“) მიღებულია სემანტიკური და არა მორფოლოგიური კრიტერიუმი: კერძოდ, გვარი, ქცევა და ზმნაში მონაწილე პირის როგორობა (ობიექტი-სუბიექტი) და არა რომელია.

ამგვარად, ქართული შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი გაანალიზებულია ევროპული ენების მოდელების მიხედვით: სახელმძღვანელოდ მიღებულ გრამატიკულ ლიტერატურაში ქართული ზმნის ძირითად მორფოლოგიურ საკლასიფიკაციო კრიტერიუმად გამოყოფილია გვარის სემანტიკური კატეგორია, კერ-

ძოდ, მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო და „ვნებითი გვარის“ მორფოლოგიური სტრუქტურის მახასიათებელ ნიშნად, „ყალიბად“ მიჩნეულია **[R]-ებ/-ავი** დაბოლოება მაშინ, როდესაც ემპირიული მასალის მიხედვით ეს სტრუქტურა საერთოა როგორც **ავტოაქტიური („უკუქცევითი“ - ვი-მალ-ებ-ი), ასევე - აქტიური (ვ-ე-მალ-ებ-ი) შინაარსის (სემანტიკის) ზმნებისთვის** (იხ. დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლებს სისტემა“; „ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი“ (თბილისი, პროგრამა „ლოგოსი“, 2014: იხ. დიათეზების ცხრილი და პარადიგმები). **R - -ი ებ/-ავი** სტრუქტურა არ არის „ვნებითის“ მახასიათებელი.

ამგვარად: **R-[ებ/-ავ]-ი** სტრუქტურა – აქტიური შინაარსისაა: ა) **რეფლექსივის, უკუქცევითობის -ი** პრეფიქსიანი **ი-R-[ებ/-ავ]-ი** (სუბიექტისკენ ან მოლაპარაკე პირებისკენ მიმართების პრეფიქსიანი) - ავტოაქტიური შინაარსისა; ბ) **ი-პრეფიქსიანი** (სუბიექტიდან ობიექტისკენ მიმართებისა) - აქტიური შინაარსისა.

ასევე, ირკვევა, რომ ე.წ. „**უნიშნო ვნებითები**“, რომელთაც აკად. არნ. ჩიქობავამ ისტორიულად „უგვარო დინამიკური ზმნები“ უწოდა, მაგრამ ქართული ზმნის ფორმათა თანამედროვე სისტემაში ვნებითა რიგში მოათავსა, რადგანაც **R-ები** სტრუქტურა ვნებითის ყალიბად მიიჩნია ისევე, როგორც აკად. ვარლამ თოფურია, თუმცა კარგად ხედავდნენ, რომ ამ ზმნათაგან ნაწარმოები მიმღეობა სასუბიექტო შინაარსისაა და არა საობიექტო შინაარსისა (იხ. ქ. ლომთათიძე, ეკ. ოსიძე, რომელთაც სწორედ აკად. არნ. ჩიქობავას მითითებით წარმართეს ეს კვლევები).

ათასობით რაოდენობის ზმნურ ფორმათა ანალიზი ცხადყოფს, რომ პასიური შინაარსი ამ სტრუქტურით მხოლოდ მაშინ გადმოიცემა, თუ ამ ფორმასთან **-მიერ** ან **-გან** თანდებულები მოიაზრება (ან კიდევ ისინი ფიქსირებულია ტექსტში); საკუთრივ ვნებითის გრამატიკული ფორმა აღწერითი წარმოებისაა და ქართულ ენაში გვიანაა ჩამოყალიბებული აქტიური შინაარსის ფორმებთან კონვერსია-დეკაუზაციის შედეგად მიღებული ომონიმური ფორმისაგან თარგმნის პროცესში განსხვავების საჭიროებით: **დაიკალ შენ იგი > დაიკალ შენ (ჩუენ უდებთათვის = დაკლულ იქენი); ინამე შენ იგი > ინამე შენ (ჩვენ ცოდვილთათვის = ნამებულ იქენი); დავივინყე მე იგი > დავივინყე მე, ვითარცა მკუდარი (=დავინყებულ ვიქენი მათგან, თქუენგან).**

ხოლო, რაც შეეხება **-დ** სუფიქსს, რომელიც **R-ებ-ი** სტრუქტურაში ასევე, „ვნებითი გვარის“ მარკერადაა კვალიფიცირებული, იგი სინამდვილეში **მადინა-მიკურებელი, მაინტენსივებელი** სუფიქსია, რომელიც სახელისაგან მოქმედების გამომხატველ სიტყვას – ზმნას აწარმოებს: **სახლი – სახლ-დ-ება, წითელი > წითლ-დ-ება** (შემთხვევითი არ არის, რომ ეს სუფიქსი სახელებში მრავლობითობას, კრებითობას გამოხატავს, ზმნურ ფორმებში კი მოქმედების უწყვეტელობას, განმეორებადობას, დინამიკურობას **-დ/-ედ** (ზმნის თემატური ნიშნის ფარდი - მისი „დანამატი“ სუფიქსია), რომელიც სახელისაგან **თანაბრად აწარმოებს როგორც პასიური, ასევე აქტიური და ავტოაქტიური შინაარსის (სემანტიკის) მქონე დინამიკური ზმნის ფორმას** (ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014). **თვით აქტივისა და პასივის სემანტიკა მორფოსინტაქსური ანალიზის შედეგად მიღებულ სქემაში ერთმანეთს ფორმის მიხედვით არ უპირისპირდება.**

ამგვარად, დიათეზების გრამატიკული კატეგორიის სქემის ფარგლებში „გვარი“ სემანტიკური კატეგორიაა.

ქართულ ენაში აქტივისა და პასივის გრამატიკული ფორმით დაპირისპირება თანდათან ჩამოყალიბდა ბერძნულიდან პასიური კონსტრუქციების თარგმნის პროცესში, რაც ომონიმური ფორმების თავიდან აცილების აუცილებლობამ გამოიწვია (დავივინყე მე იგი / დავივინყე მე, ვითარცა მკუდარი = დავიწყებულ ვიქენი; ინამე, დაიკალ შენ იგი / ინამე, დაიკალ შენ ჩუენ ცოდვილთათვი = ნამებულ იქენი... (ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014). ასევე საფუძველს მოკლებულია საშუალო გვარისა და მისი ქვეჯგუფის („მედიაქტივის“), როგორც გრამატიკული კატეგორიის, გამოყოფა ქართულში იმ არგუმენტით, რომ ი-პრეფიქსი „ნასესხებია“ აქტივის „სათავისო“ ფორმისაგან (ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, 2014).²

რამდენადაც საკლასიფიკაციო პრინციპი არ ემყარება მორფოლოგიურ და სინტაქსურ კრიტერიუმებს, შესაბამისად, გრამატიკული მოვლენების კვლევისა და კვალიფიკაციისას გამოყენებულია ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტრადიციული, ძველი ქართველი გრამატიკოსების თრაქიელიდან და ევროპული გრამატიკებიდან გადმოღებული ლოგიკური (/სემანტიკური) ტერმინოლოგია: გრამატიკული სტრუქტურა და კონსტრუქცია აღწერილია ლოგიკური კატეგორიების (რაც საერთოა, უნივერსალურია ნებისმიერ ენაზე მოლაპარაკეთათვის) და არა გრამატიკულ (/მორფო-სინტაქსურ) ცნებათა აღმნიშვნელი ტერმინებით, რაც ხშირად გაუგებრობას იწვევს, რადგანაც ერთი და იგივე სემანტიკური კატეგორია სხვადასხვა ენაში გრამატიკულად სხვადასხვაგვარადაა ფორმირებული. მაგ., გრამატიკულ ლიტერატურაში გამოყენებული ტერმინი **სუბიექტი ὑποκείμενον**), ბერძნულის ლათინური კალკია - ლოგიკური ცნება-ტერმინია და არა გრამატიკული. ეს ტერმინი გრამატიკაში ლოგიკიდანაა ნასესხები, არისტოტელეს „კატეგორიებიდანაა“ შესული.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ერთი უცნაურობაც: ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში (რუსულის კვალდაკვალ) მორფოლოგიური ანალიზისას გამოი-

² დიათეზასა და გვართან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, გასული საუკუნის 60-70-იან წლებში ლენინგრადის ენათმეცნიერულ სკოლაში დაიწყო დიათეზისისა და გვარის უნივერსალურ-ტიპოლოგიური კონცეფციის დამუშავება, რასაც არაერთი კოლექტიური თუ ინდივიდუალური შრომა და კრებული მიეძღვნა. მუშაობაში მოსკოვისა და სსრკ-ის სხვა ქალაქების, საზღვარგარეთის ლინგვისტებიც ჩაებნენ, მაგრამ პრობლემა მოუგვარებელი დარჩა, რასაც თვით ამ კონცეფციის მონაწილენიც აღიარებდნენ. ვფიქრობთ, რომ ამ გაურკვევლობის და ბუნდოვანების მიზეზი კლასიფიკაციის პრინციპების დარღვევა და კრიტერიუმების აღრევაა: აღნიშნული კონცეფციის მიხედვით გვარი განსაზღვრულია (გაგებულია), როგორც „ზმნაში გრამატიკულად მარკირებული დიათეზა“. ხოლო დიათეზის გაგება კი ეფუძნება სემანტიკური (სუბიექტ-ობიექტის) პლანისა და სინტაქსური (ქვემდებარე-დამატების) პლანის ურთიერთშესაბამისობას. მაგ.: ა.ხოლოდოვიჩის განსაზღვრებით, „დიათეზა – ეს არის სინტაქსურ დონესა და სემანტიკურ დონეს შორის შესაბამისობის სქემა, ხოლო გვარი – გრამატიკულად მარკირებული კატეგორია“. უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კლასიფიკაციას ეყრდნობა ზ. ბარათაშვილი ნაშრომში „დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში“ (ენათმეცნიერების საკითხები, 2013, გვ.66-80), რის გამოც ავტორი შეუსაბამო სურათს იღებს: ერთმანეთშია აღრეული გრამატიკული და სემანტიკური კატეგორიები.

ყენება ბერძნულიდან კალკირებული ლათინური ტერმინი სუბიექტი, ხოლო სინტაქსური ანალიზისას გამოიყენება **ქვემდებარე (რუს. подлежащее)**, რომელიც ასევე, ბერძნული **ὑποκείμενον**-ის კალკს წარმოადგენს. ეს ლოგიკურ-სემანტიკური ტერმინებია და არცერთი მათგანი არ ასახავს გრამატიკულ ფუნქციას (არ მითითებს მორფოლოგიურ ფორმაზე, კერძოდ, თუ რომელი ბრუნვის ნიშნითაა მარკირებული ამ კონკრეტულ ენაში „სუბიექტი“, – და სინტაქსურ მექანიზმზე: ფორმათა ურთიერთმიმართებაზე, კოორდინაცია-სუბორდინაციაზე). მეტიც, სუბიექტისა და ობიექტის დეფინიციაში, ჩვეულებრივ, დომინირებს შინაარსობლივი ასპექტი. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არნ. ჩიქობავა, რომელმაც სინტაქსური ურთიერთობების აღსანიშნავად შემოიღო სინტაქსისათვის შესაბამისი ტერმინები – **კოორდინაცია - სუბორდინაცია, დიდი, მცირე კოორდინანტი**, იძულებული გახდა ლოგიკური შინაარსის ტერმინები – „სუბიექტი“ და „ობიექტი“ გამოეყენებინა დარგის შესაბამისი განსაზღვრების თანხლებით: „**გრამატიკული**“ „**სუბიექტი/ობიექტი**“ და „**ლოგიკური**“ **სუბიექტი/ობიექტი**.

ამგვარად, გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) მოვლენის კვალიფიკაციისას უნდა გაიმიჯნოს ლოგიკისა და გრამატიკის სფეროები: გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს მასალის მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გაირკვევა გამოვლენილი ფორმების - სტრუქტურების ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციები, ანუ დადგინდება სემანტიკური მარკირების მიმართების ტიპი მორფოლოგიაში; ასევე, გაირკვევა, საერთოდ, მარკირებულია თუ არა გრამატიკულად (მორფოლოგიურად) ესა თუ ის უნივერსალური სემანტიკური კატეგორია კონკრეტულ ენაში.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართულში გვარი არ არის მორფოლოგიურად მარკირებული კატეგორია: ქართული ზმნის ორივე სტრუქტურა (R-0 და მისგან კონვერსიის შედეგად მიღებული R-ი სტრუქტურაც) აქტიური შინაარსისაა: *ვმალ-ავ – ვიმალ-ები – ვემალ-ები; ვჯავრობ – ვაჯავრებ – ვუჯავრდ-ები – ვეჯავრ-ები*. ეს ფორმები პასივის შინაარსს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოხატავენ, როდესაც მათ ახლავს (ან იგულისხმება) მიერ ან -გან თანდებულები (*კატა მალავს კნუტს/ კნუტი იმალება კატის მიერ*).

სამწუხაროდ, ლოგიკის და ლოგიკური ტერმინოლოგიის ექსპანსიამ გრამატიკაში, რაც, დიონისე თრაკიელის ფილოლოგიური გრამატიკიდან მოყოლებული, დღემდე ტრადიციულადაა დამკვიდრებული მეცნიერულ და სასკოლო-სასწავლო გრამატიკებში, ამ გრამატიკების ავტორთა დიდი ავტორიტეტის გავლენის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ ათეული წლების განმავლობაში დააბრკოლა ენათმეცნიერული (გრამატიკული) აზრის განვითარება ყოფილი „საბჭოთა კავშირის“ სივრცეში, რომელშიც ქართული ენათმეცნიერული სკოლაც მოიაზრება, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ქართველმა ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგიური ენათმეცნიერების სკოლის ფუძემდებელმა, არნოლდ ჩიქობავამ გაილაშქრა ამ „ექსპანსიის“ წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1928 წელს და შემდგომ სხვადასხვა წელს ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნებულ მთელ რიგ მეთოდოლოგიური ხასიათის ნაშრომებში: მაშინ, როცა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში, ევროპაში პრალის სკოლამ და სოსიურის ლექციებმა ენათმეცნიერების სფეროში დასაბამი დაუდო სტრუქტურულ და დესკრიფციულ კვლევებს, სწორედ მან, არნოლდ ჩი-

ქობავამ, თავის ფუძემდებლურ ნაშრომში - „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ – სტრუქტურული კვლევის თეორიული საფუძვლები ქართული ზმნური შესიტყვების ემპირიული კვლევის საფუძველზე ჩამოაყალიბა.

ენათმეცნიერების დარგობრივი დიფერენციაციის შემდეგ საჭირო გახდა ტერმინოლოგიის დიფერენცირება და დაზუსტება, რაც მეოცე საუკუნის განმავლობაში და დღესაც, 21-ე საუკუნის დასაწყისშიც, მიმდინარეობს. ერთი მხრივ, სტრუქტურულ-დესკრიფციულმა ენათმეცნიერებამ, რომლის სფეროა **გრამატიკა**, მოითხოვა ლოგიკური ტერმინოლოგიისაგან გამიჯვნა, მეორე მხრივ კი, კონკრეტული ხასიათის კვლევებმა მოითხოვა ლოგიკური ტერმინების – *სუბიექტისა და ობიექტის* მნიშვნელობათა დაზუსტება (*აგენსი, პაციენსი, ეკზეკუტორი...*). აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ბოლო დროს ევროპული ენების ზმნური შესიტყვების ანალიზისას გრამატიკულ ლიტერატურაში აფექტურ ზმნებში (*мне снится, хочется...*) სუბიექტად უკვე არა სახელობითში დასმული, არამედ მიცემითბრუნვიანი სახელი კვალიფიცირდება; სასკოლო სახელმძღვანელოებიდანაც გრამატიკული ანალიზისას ამოღებულია ტერმინები „სუბიექტი“ და „ობიექტი“. თუ რა გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს სხვა დარგის ცნება-ტერმინების შემოჭრას ენათმეცნიერებაში და ამ პოლისემიური ტერმინებით ოპერირება-კვალიფიცირებას, ეს კარგად გამოაჩინა სოციოლინგვისტური თვალსაზრისის ექსპანსიამ ქართულ ენათმეცნიერულ ლიტერატურაში „ქართველური ენების“ ლინგვისტური კვალიფიკაციის საკითხთან დაკავშირებით, რაზედაც სიტყვას არ გავავრძელებთ.

მსგავსი მეთოდოლოგიური პრობლემები ჯერ კიდევ არ არის დაძლეული ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაშიც, რადგანაც ენათმეცნიერება, რომელიც მე-19 საუკუნეში ყალიბდებოდა, როგორც ემპირიული მეცნიერების მიმართულება, არ იყო დიფერენცირებული დარგებად და ევროპულ ენათა გრამატიკები ძირითადად დიონისე თრაკიელის ფილოლოგიურ გრამატიკას ეყრდნობოდა. თრაკიელის ფილოლოგიურ გრამატიკაში არსებული არისტოტელეს ლოგიკური ტერმინოლოგია დამკვიდრდა ევროპული ენების გრამატიკებში, საიდანაც გზა გაიკვალა სხვა ენათა, მათ შორის ქართული ენის გრამატიკულ ლიტერატურაშიც, სადაც, მოყოლებული მე-18 საუკუნიდან, ტრადიციად იქცა.³

³ აღსანიშნავია, რომ თამაზ გამყრელიძემ გარკვეული წესრიგი შეიტანა ლოგიკურ და გრამატიკულ ცნება-ტერმინთა დიფერენცირებაში (თ. გამყრელიძე, ზმნის „პირიანობა“ და ვალენტობა, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ. 2000); ასევე, ირ. მელიქიშვილმა ქართული ზმნის სემანტიკური მარკირების მიხედვით მოახდინა **ვინისა და მანის** რიგის მარკერების ლოგიკური (ფუნქციური) კლასიფიკაცია და გამოჰყო ერთი მხრივ – **ვინის** რიგით გამოხატული აქტიური აქტანტებისა და მეორე მხრივ – **მანის** რიგით გამოხატული ინაქტიური აქტანტების (სუბიექტის) ქვეჯგუფები; ასევე, **მანის** რიგით მარკირებული აქტანტების (ობიექტების) ქვეჯგუფები („სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და პასიურობა-აქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში“ (იხ. კრებ. ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ბათუმი, 2011, გვ. 325-334). მის მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად წარმოდგენილი სურათი აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორიის მიხედვით პირის ნიშანთა განაწილებისა ადეკვატურად ასახავს ქართული „წინადადების ბირთვის“ პარტიციპანტების ზმნასთან სემანტიკური მიმართება-მარკირების წესს ისე, რომ არ არის აღრეული გრამატიკულ პრინციპში, თუმცა, აღვნიშნავ, რომ ლოგიკური ტერმინი „**სუბიექტი**“ მასაც, ტრადიციისამებრ, არა ლოგიკური, არამედ **გრამატიკული მნიშვნელობით** აქვს ნახმარი და ამიტომ იგი უნივერსალურ კატეგორიად არ მიაჩნია.

ამგვარად:

I. ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას იმანენტიზმის პრინციპის უგულებელყოფამ, კერძოდ:

1) ლოგიკური ცნება-ტერმინების ექსპანსიამ გრამატიკაში; 2) გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმების დარღვევამ; 3) კლასიფიკაციის პრინციპად, ევროპული ენების მსგავსად, „გვარის“ სემანტიკური კატეგორიის მიღებამ (რაც ევროპული ზმნური ფორმებისა და შესიტყვების სტრუქტურის აღწერისასაც კი ინვესს გარკვეულ კითხვებს) – ქართული ზმნის უღლების უაღრესად ლოგიკური სისტემის დეფორმირებული სურათი მოგვცა, რამაც გამოავლინა შეუსაბამობა „გვარისა“ და „ქცევის“ (ვერსიის) „გრამატიკული კატეგორიების“ სემანტიკურ დეფინიციასა და ფორმალურ კლასიფიკაციას შორის და, შესაბამისად, ზმნის ხმოვანპრეფიქსთა გრამატიკული ფუნქციების არაადეკვატური განსაზღვრა გამოიწვია;

II. ქართულ ზმნაში ინვერსიის მოვლენისადმი დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით მიდგომის აღრევამ, ისტორიული მოვლენის სინქრონიული თვალსაზრისით კვალიფიკაციამ, ამავე დროს, ლოგიკური ცნება-ტერმინებით (სუბიექტი-ობიექტი) ოპერირებამ შედეგად მოგვცა თანამედროვე ქართული ზმნის პირის ნიშანთა ცხრილში ამ ნიშნების რეალური ფუნქციის არაადეკვატური ასახვა.

მას მერე, რაც გამოქვეყნდა არნ. ჩიქობავას მეთოდოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებული ზემოხსენებული ნაშრომები, გავიდა ათეული წლები, მაგრამ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ლოგიკის ექსპანსიის“ პრობლემა ჯერ კიდევ არ არის დაძლეული: გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრის გადალახვა ძირს, როდესაც ემპირიული მასალის კვლევა არ არის სრულყოფილი.

გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც ქართულ საენათმეცნიერო წრეებში დაცხრა კამათი და დისკუსიები ენაში ფორმისა და ფუნქციის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, რომელიც ცხარედ მიმდინარეობდა 60-70-იან წლებში, ერთი მხრივ, სტრუქტურული (დესკრიფციული) ენათმეცნიერებისა, მეორე მხრივ კი, ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერების მომხრეთა შორის, - ენობრივი ფორმისა და ფუნქციის ანალიზის მეთოდოლოგიური საკითხები კვლავ დასვა ბესარიონ ჯორბენაძემ. მან ეს პრობლემები საფუძვლიანად დაამუშავა როგორც ზოგადი, თეორიული თვალსაზრისით, ისე ქართული ენობრივი მასალის სამაგალითო ფორმობრივი და ფუნქციური შეპირისპირებითი ანალიზის გზით თავის სადოქტორო ნაშრომში „ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები“, რომელიც გამოქვეყნდა 1980 წელს. ამ ნაშრომით მან გაავრცელა არნ. ჩიქობავას მეთოდოლოგიური ძიებანი, რომელთა შორის პირველ რიგში გათვალისწინებული იყო შექმნა ნაშრომისა, რომელშიც განხილული უნდა ყოფილიყო „ენის ანალიზის მეთოდები: ერთი მხრივ, ენის ისტორიის შესწავლის მეთოდები, ხოლო მეორე მხრივ, ენის სისტემის აღწერის მეთოდები“ (ჩიქობავა, 1959, გვ.3). ბ. ჯორბენაძემ წინ წამოსწია სწორედ ეს პრობლემები, რომელთა განხილვასაც ალბათ აპირებდა არნ. ჩიქობავა ზემოთ დასახელებული თეორიული ხასიათის ზოგადენათმეცნიერული ნაშრომის მეორე ნაკვეთში. XX საუკუნის ენათმეცნიერული აზროვნების პერიპეტეების საფუძვლიანი განხილვის შემდგომ ბ. ჯორბენაძე კვლავ მიუბრუნდა ენის ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის სფე-

როების შემოსაზღვრის საკითხს: „ფორმობრივი კვლევა გულისხმობს ენობრივი ფორმის იმანენტური თვისებების, ფორმობრივი ელემენტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესწავლას... შესაბამისად, ფუნქციური კვლევა ვარაუდობს ენობრივი ფუნქციების (მნიშვნელობების) სტრუქტურის, მათი ურთიერთმიმართებების განხილვას... ცალკე პრობლემაა ფორმისა და ფუნქციის ურთიერთობა“ (იხ. ბ. ჯორბენაძე, 1980, გვ.115). ამ საკითხების კვლევას ეძღვნება მისი ნაშრომის შემდგომი ნაკვეთები. მისი კვლევის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: როდესაც კვლევა ენობრივი ფუნქციიდან ამოსვლით ხდება, კვლევის ამოცანაა გარკვეული ენობრივი ფუნქციის სხვა ფუნქციებთან მიმართებების შესწავლა და ფორმობრივი რეალიზაციის ყველა შესაძლებლობის გამოვლენა და არა განსაზღვრული ფორმის განსაზღვრული ფუნქციით არსებობის კონსტატაცია. ხოლო, როდესაც კვლევა ფორმიდან ამოსვლით წარიმართება, „ფორმა ჯერ იმანენტური მონაცემების საფუძველზე შეისწავლება, როგორც ელემენტი გარკვეული ფორმობრივი სისტემისა, მისი სხვა ფორმებთან მიმართების გათვალისწინებით. შემდეგ კი ისიც უნდა დადგინდეს, თუ რომელი ფუნქციით ხერხდება მისი აღჭურვა და ამის რა საფუძველს იძლევა თვით ეს ფორმობრივი სტრუქტურა“ (იქვე, გვ. 116). იგი თვლის, რომ ანალიზის ამგვარი კრიტერიუმების მოხმარების საკითხი დეტალურ დამუშავებას მოითხოვს: „თავისთავად ასეთ კვლევაზე იმედის დამყარება მართებულად გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, იგი შესაძლებლობას მოგვცემს, ყოველგვარი გამონაკლისებისა და ანომალიების გარეშე ვილაპარაკოთ ენობრივი მოვლენებზე და გლობალურად მოვიცვათ ამა თუ იმ კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები“ (იქვე, გვ. 116-117). განსაკუთრებით ყურადსაღებია მისი ამ მსჯელობის დასკვნითი სიტყვები: „რისამე უგულვებელყოფა მისი თავიდან აცილების მიზნით წინასწარ დაგეგმილ ხიფათს ჰგავს: უგულვებელყოფილი ფაქტი ხშირ-ხშირად შეგვახსენებს ხოლმე თავს კვლევის დროს და, რაც უფრო ღრმად ვცდილობთ ენობრივ სამყაროში შეჭრას, მით უფრო მძიმე საზღაურს მოითხოვს“ (გვ. 117).

საყურადღებოა ამავე ნაშრომის წინასიტყვაობა, რომელშიც ავტორი არნ. ჩიქობავას მიერ 1928 წელს დასმული მეთოდოლოგიური საკითხების აქტუალიზაციას ახდენს და კვლავ წამოჭრის ენობრივი ფორმისა და ფუნქციის იმანენტური რაობის განსაზღვრის საკითხს. იგი მიზნად ისახავს ფორმობრივი და ფუნქციური სისტემებისა და სტრუქტურების ძირითადი პრინციპების გამოვლინების საფუძველზე ფორმობრივი და ფუნქციური კვლევის კრიტერიუმების დადგენას, კვლავ უბრუნდება უნივერსალურისა და კონკრეტულის ურთიერთმიმართების საკითხს კონკრეტული ენის კვლევისას და გახაზავს, რომ „ენობრივი ფუნქციებისა და ზოგადი (იგულისხმება ლოგიკური) ცნებების ურთიერთკავშირი უეჭველია, მაგრამ მათი გაიგივება ყოველად შეუძლებელია. სწორედ ეს მომენტი იყო გაუთვალისწინებელი და ფაქტიურად ასევე რჩება დღემდე. სწორედ ეს გაუთვალისწინებლობა გახდა მიზეზი ენის ლოგიკისტური პოზიციებიდან განხილვისა“ (იქვე, გვ. 90).

მეტად სამწუხაროა, რომ ბესიკ ჯორბენაძეს საბოლოო დასკვნების გამოსატანად არ ჰქონდა აუცილებელი და საკმარისი ემპირიული მასალა და არ დასცალდა თავისი საფუძვლიანი კვლევების გაგრძელება; სამწუხაროა ისიც, რომ

მისი გამოქვეყნებული ნაშრომების მნიშვნელობაც არ არის დღემდე სათანადოდ გაგებული და გაცნობიერებული და ამ კვლევის შედეგებიც არ არის გათვალისწინებული და გამოყენებული ქართულ ენათმეცნიერულ წრეებში. დასაძინია, რომ თვითონ მასაც, მიუხედავად იმისა, რომ ხედავდა ამ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, **თეორიულად** განიხილავდა და ამახვილებდა ყურადღებას მათზე, მაგრამ, მის მიერვე აღიარებული ამ პრინციპებით **პრაქტიკული, სტატისტიკური კვლევის გაგრძელება** არ დასცალდა: მართალია, მის მონოგრაფიაში „*ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში*“ (1983 წ.), მორფო-სინტაქსური მეთოდის სამაგალითო კვლევის საფუძველზე, დადგენილია ზმნური ხმოვანპრეფიქსების მორფოლოგიური და სინტაქსური ფუნქციები ზმნაში (ირიბი ობიექტის „პოვნირებაზე“ მინიშნება ზმნაში, ი- პრეფიქსის უკუქცევითობის კატეგორიასთან დაკავშირება და სხვ.) და სემანტიკური მიმართებები ადრესატებთან; ასევე, საყურადღებო წინასწარი დასკვნებია გამოტანილი „მოქმედებითისა“ და ე.წ. „ვნებითი გვარის“ ფორმათა დაპირისპირების პრინციპის თაობაზე, მაგრამ კვლევის იმ ეტაპზე, როდესაც ჯერ არ იყო გამოვლენილი და გამოქვეყნებული ემპირიული კვლევის შედეგები (იხ. დ.მელიქიშვილი, „*ქართული ზმნის უღლების სისტემა*“; „ლოგოს პრესი“, 2001; მისივე, „*ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი*“: „ლოგოსი“, 2014) – ბესიკ ჯორბენაძე გამოსავალს იმაში პოულობს, რომ შესაძლებლად თვლის, ტერმინი „ვნებითი“ პირობითად იქნეს გამოყენებული „-ები“ ყალიბის ზმნებისათვის; მაგრამ ვფიქრობ, რომ „პირობითობა“ ტერმინის შემთხვევაში გამორიცხული და დაუშვებელია, რადგანაც ტერმინის ძირითადი მახასიათებელია მისი ცალსახა დამოკიდებულება აღსანიშნულთან.

არნ. ჩიქობავაც კი, რომელიც, როგორც ცნობილია, „თბება“ ტიპის ფორმებს ისტორიულად „უგვარო დინამიკურ ზმნებს“ უწოდებს, ამ სტრუქტურის ზმნებს თანამედროვე ქართულში ვნებითთა ჯგუფში ათავსებს სწორედ იმის გამო, რომ მასაც „-R-ებ/-ავ-ი“ ყალიბის ზმნები აპრიორი, წინასწარ მიღებულად, ვნებითის მახასიათებლად მიაჩნია: კრიტერიუმი – ერთი შეხედვით – თითქოს, გრამატიკულია, მაგრამ ემპირიულ მასალასთან აშკარად წინააღმდეგობაშია: „-R-[ებ/-ავ]-ი“ სტრუქტურის ზმნები (ვთბ-ები, ვმრ-ები, ვ-ი-მალ-ები / ვ-ე-მალ-ები, ვ-ე-ჩხუბ-ები, ვ-უ-ჯავრ-დ-ები) სემანტიკურად აქტიურსუბიექტიანი ზმნებია: მათ შორის – ერთპირიანები რეფლექსივებია, უკუქცევითი შინაარსისაა და მათ შეიძლება ავტოაქტიური ზმნები – „ავტოაქტივები“ ვუნოდოთ.

ჩვენი ამოცანაა ვიპოვოთ მიზეზი ამ „აპორიებისა“, დაბრკოლებისა: მაგრამ წინასწარ შევნიშნავთ, რომ ამ კითხვაზე პასუხს მხოლოდ აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის ემპირიული მასალის ამომწურავი ინდუქციური კვლევა მოგვცემს.

თუკი მივიღებთ, რომ:

1. გრამატიკის შესასწავლი ობიექტი სიტყვის ფორმაა (სტრუქტურაა) და ამ ფორმათა შეკავშირების მექანიზმია (კონსტრუქციაა) – ანუ გრამატიკის საგანი მორფოლოგია და სინტაქსია, აქედან გამომდინარე, შესასწავლი მასალის აღწერა და კლასიფიკაცია უნდა ემყარებოდეს მორფო-სინტაქსურ კრიტერიუმს. ამავე დროს, დაცული უნდა იყოს ცნების დაყოფის ლოგიკური წესები და კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობა.

2. გრამატიკული მოვლენის კვალიფიკაციისას უნდა გაიმიჯნოს ლოგიკა-სემანტიკისა და გრამატიკის სფეროები: გრამატიკული კატეგორიების კვალიფიკაცია უნდა ხდებოდეს (/უნდა მოხდეს) მასალის მორფო-სინტაქსური ანალიზის საფუძველზე, რის შედეგადაც გაირკვევა:

ა) გამოვლენილი ფორმების (/ სტრუქტურების) ერთი მხრივ – გრამატიკული და მეორე მხრივ – ლოგიკურ-სემანტიკური ფუნქციები, ანუ დადგინდება სემანტიკური მარკირების მიმართების ტიპი მორფოლოგიაში;

ბ) ასევე, გაირკვევა – საერთოდ, მარკირებულია თუ არა გრამატიკულად (მორფოლოგიურად) ესა თუ ის უნივერსალური ლოგიკურ-სემანტიკური კატეგორიები, როგორცაა, მაგ.: გვარის სემანტიკური კატეგორია („აქტივი“// „მოქმედებით“, „პასივი“// „ვნებით“, „ნეიტრალური“ // „საშუალი“) ან ე.წ. „ქცევის“ სემანტიკური კატეგორია („სასუბიექტო“// „სათავისო“; „საობიექტო“ // „სასხვისო“// „ნეიტრალური“ // „საარვისო“) ამა თუ იმ კონკრეტულ ენაში.

3. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საანალიზო მასალის კვლევისას გამოყენებული უნდა იყოს გრამატიკული ტერმინოლოგია: „დიათეზა“, „სერია“; „მნკრივი“ და არა სემანტიკური („გვარი“, „ქცევა“) ტერმინოლოგია.

ლიტერატურა:

ბარათაშვილი, ზ. „დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში“, „ენათმეცნიერების საკითხები“, 2013, გვ.66-81.

გამყრელიძე, თ. „ზმნის „პირიანობა და ვალენტობა“, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, 2000.

ლომთათიძე, ქ. „თბება“ ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, ტ. IV, 1953.

მელიქიშვილი, დ. ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, 2001.

მელიქიშვილი, დ. ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსური ანალიზი, თბილისი, გამომცემლობა „ლოგოსი“, 2014.

მელიქიშვილი, ირ. სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და პასიურობა-აქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში, „ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი“, ბათუმი, 2011, გვ. 325-334.

შანიძე, ა. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, თსუ გამომც., 1973.

ჯორბენაძე, ბ. ქართული ზმნის ფორმოზრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბილისი, თსუ გამომცემლობა, 1980.

ჯორბენაძე, ბ. „ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში“, 1983.

ჩიქობავა, არნ. „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, 1968.

ჩიქობავა, არნ. მორფოლოგიური ფაქტის რეინტერპრეტაციის საკითხი ქართული ზმნის ჩვენებათა მიხედვით“. XXXIV სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, საქ. მეცნ. აკად., ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 1978 წ. 26-27 დეკემბერი.

ჩიქობავა, არნ. „Проблема языка как предмета языкознания“, 1959.

რამაზ ქურდაძე, ქეთევან მარგიანი
Ramaz Kurdadze, Ketevan Margiani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**დამატებათა შესახებ ინგლისურენოვან სტუდენტთათვის ქართულის,
როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლებისას¹**
**On the Teaching of Supplements (Objects) to English-Speaking Students of
Georgian²**

საკვანძო სიტყვები: ქართული, ინგლისური, ობიექტი, დამატება.
Keywords: Georgian, English, object, supplement.

¹ ნაკითხულია მოხსენებად კაბადოკიის პირველ საერთაშორისო ELT (ინგლისური ენის სწავლების) კონფერენციაზე (CapELT 2023), 1-2 სექტემბერი, 2023, ნევშეჰირი, თურქეთი, რეზიუმეების წიგნი, გვ. 7.

<https://capelt.com/wp-content/uploads/2023/10/Capelt-Abstract-Book-2023.pdf>

² This research has been presented as a paper at the 1st International Cappadocia ELT Conference (CapELT 2023), 1-2 September, 2023, Nevsehir, Turkey, book of abstracts, p. 7.

<https://capelt.com/wp-content/uploads/2023/10/Capelt-Abstract-Book-2023.pdf>

For English-speaking students, it is difficult to learn Georgian, because Georgian is a Caucasian language, whereas English is Indo-European. One of the problematic issues is the teaching of an additional member of the Georgian sentence, which in English literally means: Simple addition and, correspondingly, a subordinate clause with it, literally: Simple addition subordinate sentence.

In order to teach the above-mentioned issue efficiently, we should regulate the problem of terminological discrepancies between Georgian and English. The terminological differences are due to the fact that in Georgian, the morphological-syntactic levels are clearly distinguished by corresponding terms. It should be noted that certain grammatical terms coincide in the two languages; for instance, the Direct object and the Indirect object. But the problem is that in English grammar, direct and indirect objects are usually used in syntax, whereas in Georgian, they are morphological terms, and to denote the same grammatical phenomenon Georgian syntax uses other terms, which in the English translation literally mean addition.

In order to solve the existing problem, because addition means the act of adding anything, but supplement means something added when both are used as a noun (based on internet English dictionaries), we propose to use the term “Supplement”, instead of the literal translation using the word “addition”, and offer the following versions of English translations of the Georgian syntax terms: Direct supplement, Indirect supplement. In the Georgian syntax, there is a third term – Simple addition, which was mentioned above and for which we offer the term “Simple supplement”.

When explaining the Georgian hypotactic constructions, we offer corresponding English terms to the English-speaking students: Direct supplement subordinate clauses, Indirect supplement subordinate clauses, Simple supplement subordinate clauses. Alongside with the terms, we introduce the students to their syntactic functions. All this facilitates the acquisition of the Georgian language for the English-speaking students.

ქართულის, როგორც მეორე ან უცხო ენის, სწავლების დროს სირთულეს ქმნის ის, რომ ქართული, როგორც კავკასიური ენა, მორფოლოგიურ-სინტაქსური თავისებურებებით მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდოევროპული, კერძოდ, ინგლისური ენისაგან. ინგლისურს იმიტომ ვასახელებთ, რომ ბოლო დროს ქართული უმთავრესად ინგლისურად მიეწოდება სხვადასხვაენოვან არაქართველ სტუდენტს. ამის გამო, ქართული გრამატიკული საკითხები ინგლისური ენის გრამატიკის ფონზე გადაიციემა, რაც მოითხოვს ამ ენათა გრამატიკული თავისებურებების განხილვას კონტრასტული ანალიზის საფუძველზე, რათა მოიძებნოს ოპტიმალური გამოსავალი ქართული ენის სპეციფიკურ გრამატიკულ მოვლენათა სწავლებისათვის.

ერთ-ერთი ასეთი საკითხია ქართული წინადადების არამთავარი წევრის – უბრალო დამატებისა და, შესაბამისად, უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების სწავლება. უბრალო დამატება შემასმენელს ახლავს და დგას თანდებულიან ან უთანდებულო მიცემით, ნათესაობით, მოქმედებით და ვითარებით ბრუნვებში. იგი არ შეეწყობა ზმნას ობიექტურ პირად, არ აისახება ზმნაში პირის ნიშნებით (კვაჭაძე, 1988, გვ. 113-130; ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 104-110).

ქართული უბრალო დამატებისა და უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადების ზუსტი ეკვივალენტი ინგლისურში არ დასტურდება, რაც საკმაო სირთულეს წარმოადგენს ინგლისურენოვანი სტუდენტებისათვის ქართულის შესწავლისას.³ ამ სირთულის დასაძლევად საჭიროა უბრალო დამატების არსში კარგად გავარკვიოთ სტუდენტები, მოვძებნოთ მისი ანალოგი ინგლისურში, რასაც მიახლოებით მაინც მიესადაგება ქართული უბრალო დამატება და შევურჩიოთ მორგებული ინგლისური ტერმინი უბრალო დამატებას, რომელიც ქართული და ინგლისური გრამატიკული ტერმინების ფონზე უფრო გასაგები იქნება სტუდენტებისათვის.

ზემოთ აღინიშნა, რომ უბრალო დამატება არ შეეწყობა ზმნას ობიექტურ პირად. საქმე ისაა, რომ ქართულში გვაქვს სხვა სახის დამატებანიც, კერძოდ, პირდაპირი და ირიბი დამატებები, რომლებიც ზმნას კიდევ შეეწყობიან ობიექტურ პირებად, მასში პირის ნიშნებით გამოიხატებიან.

ბუნებრივია, უბრალო დამატებას არაქართველ სტუდენტებს პირდაპირ და ირიბ დამატებებთან მიმართებით ვასწავლით, რაც უფრო თვალნათლივ წარმოაჩენს მას. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ ერთი და იმავე გრამატიკული მოვლენის აღსანიშნავად ქართულში სხვადასხვა საენათმეცნიერო ტერმინი გამოიყენება მორფოლოგიასა და სინტაქსში. ამის საილუსტრაციოდ ზემოაღნიშნულის მაგალითებს შესაბამისი ტერმინებით წარმოვადგენთ მორფოლოგიისა და სინტაქსის დონეებზე:

(1)

	მხატვარი	მ-ხატავ-ს	მე
მორფოლოგიის დონე	სუბიექტი	ზმნა	პირდაპირი ობიექტი
სინტაქსის დონე	ქვემდებარე	შემასმენელი	პირდაპირი დამატება

ამ შემთხვევაში მესამე სუბიექტური პირი ზმნაში წარმოდგენილია -ს სუფიქსით, ხოლო პირდაპირი ობიექტური პირი – მ- პრეფიქსით.

(2)

	გიორგი	მ-ესალმება-ა	მე
მორფოლოგიის დონე	სუბიექტი	ზმნა	ირიბი ობიექტი
სინტაქსის დონე	ქვემდებარე	შემასმენელი	ირიბი დამატება

ამ შემთხვევაში კი მესამე სუბიექტური პირი ზმნაში წარმოდგენილია -ა სუფიქსით, ხოლო ირიბი ობიექტური პირი – მ- პრეფიქსით.

ორივე მაგალითი გვიჩვენებს, რომ პირდაპირი და ირიბი დამატებები მიემართებიან ზმნა-შემასმენელს, მასში პირიანობით აისახებიან, გამოხატულები

³ მართალია, სირთულეს აძლიერებს ისიც, რომ უბრალო დამატება თანდებულიანი ფორმითაც გვხვდება, თანდებული კი ინგლისურსა და, ზოგადად, ინდოევროპულ ენებს არ ახასიათებს, მის ნაცვლად ამ ენებში წინდებულები გვაქვს, მაგრამ ივარაუდება, რომ ქართული თანდებული უცხოელ სტუდენტებს ამ დროისათვის უკვე შესწავლილი აქვთ მორფოლოგიის კურსის გავლისას.

არიან პირის ნიშნებით, ამიტომაც მათ **პირმიმართ დამატებებს** უწოდებენ. რადგანაც ისინი ზმნა-შემასმენელში პირის ნიშნებით არიან ასახულები ისევე, როგორც ქვემდებარე, მათი სინტაქსური ძალა უდრის ქვემდებარისას. ამიტომაც ქვემდებარესთან ერთად ისინიც მთავარი წევრები არიან, რის გამოც ქართულში, ინდოევროპული ენებისაგან განსხვავებით, წინადადების ოთხი მთავარი წევრია: შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატება.

ამათგან არსებითად განსხვავდება უბრალო დამატება:

(3)

	მხატვარი	მ-ხატავ-ს	მე	ფანქრ-ით
მორფოლოგიის დონე	სუბიექტი	ზმნა	პირდაპირი ობიექტი	სახელი მოქმედებით ბრუნვაში
სინტაქსის დონე	ქვემდებარე	შემასმენელი	პირდაპირი დამატება	უბრალო დამატება

ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, იგივე ვითარება გვაქვს, რაც წარმოდგენილია (1) წინადადებაში, განსხვავებულია მხოლოდ წინადადების ბოლო წევრი – *ფანქრით*, რაც უბრალო დამატებაა. აქ უბრალო დამატება უთანდებულოა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უბრალო დამატება შეიძლება იყოს თანდებულნიც.

მაგალითად:

(4)

	მხატვარი	მ-ხატავ-ს	მე	გამოფენ-ის(ა)-თვის
მორფოლოგიის დონე	სუბიექტი	ზმნა	პირდაპირი ობიექტი	სახელი ნათესაობით ბრუნვაში -თვის თანდებულთ
სინტაქსის დონე	ქვემდებარე	შემასმენელი	პირდაპირი დამატება	უბრალო დამატება

როგორც მესამე და მეოთხე მაგალითებიდან ჩანს, უბრალო დამატება არ არის ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული, არ გამოიხატება ზმნაში პირის ნიშნებით, ამიტომ მას **პირმიუმართავი დამატება** ჰქვია.

პირმიმართ (პირდაპირსა და ირიბ) დამატებებს დამატება-ობიექტებს უწოდებენ, პირმიუმართავი დამატება, ანუ უბრალო დამატება, ობიექტი არ არის (ფეიქრიშვილი, 1996, გვ. 88-89).

ამ და სხვა ამგვარივე ტიპის მაგალითების ჩვენებით სტუდენტებისათვის ნათელი ხდება, თუ რა არის უბრალო დამატება და რითი განსხვავდება იგი პირდაპირი და ირიბი დამატებებისაგან.

უბრალო დამატების შესაბამისად გვაქვს უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება, რომელიც ჰიპოტაქსური კონსტრუქციის ნაწილია; იგი მთავარი წინადადების შემასმენლის მიმართ უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს:

(5) ყველა დარწმუნებული იყო, რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა (აკაკი) (კიზირია, 1974, გვ. 251).

ამ შემთხვევაში მთავარი წინადადებაა: **ყველა დარწმუნებული იყო**; ხოლო დამოკიდებულია: **რომ ერისთავების ლაშქარი იმერეთში მიდიოდა**, რასაც დაესმის კითხვა: რაში? და მთავრის მიმართ ასრულებს უბრალო დამატების ფუნქციას.

ფაქტობრივად, პირმიმართი დამატებები, იგივე დამატება-ობიექტები, გრამატიკის ორივე დონის მორფოლოგიის და სინტაქსის კუთვნილებაა; ხოლო უბრალო დამატება მხოლოდ სინტაქსის დონეს განეკუთვნება. ამისი ნათელი დადასტურებაა სამპირიანი გარდამავალი ზმნების მესამე სერიაში პირის კლება, ამ ფაქტს ადრინდელ სასკოლო სახელმძღვანელოშივე მიუთითებდნენ ა. შანიძე და ლ. კვაჭაძე.⁴

ამის შესაბამისად, სამპირიანი ზმნის ორპირიანად ქცევისას ირიბი ობიექტი გადაკეთდება ნათესაობით ბრუნვაში მდგარ -თვის თანდებულებიან სახელად (იხ. ქვემოთ მერვე წინადადებაში),⁵ რაც მორფოლოგიის დონისათვის აღარაა ობიექტი, ხოლო სინტაქსის დონეზე უბრალო დამატებაა.

(6)	მხატვარი ქვემდებარე	უხატავს შემასმენელი	სურათს პირდ. დამატება	გიორგის ირ. დამატება	I სერია
(7)	მხატვარმა ქვემდებარე	დაუხატა შემასმენელი	სურათი პირდ. დამატება	გიორგის ირ. დამატება	II სერია
(8)	მხატვარს ქვემდებარე	დაუხატავს შემასმენელი	სურათი პირდ. დამატება	გიორგისთვის უბრალო დამატება	III სერია

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულში განსხვავებულია მორფოლოგიური და სინტაქსური ტერმინები, ინგლისურში კი ამ მხრივ სხვა ვითარება გვაქვს, კერძოდ, ტერმინი **ობიექტი** ჩვეულებრივ სინტაქსში გამოიყენება.

საინტერესოა, თავისი შინაარსით ქართული უბრალო დამატება რასთან დგას ახლო ინგლისურში?

ინგლისურში ქართული უბრალო დამატების მიახლოებითი ეკვივალენტი ე. წ. წინდებულებიანი დამატება – Prepositional object-ია. თუ განვიხილავთ ინგლისური წინდებულებიანი დამატების მაგალითებს, რაც ქართველ მოსწავლეთათვის განკუთვნილ ერთ-ერთ ადრინდელ ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოშია, ვნახავთ, რომ ინგლისურ წინდებულებიან დამატებას ქართულ თარგმანში უბრალო დამატება შეესაბამება.

(9) All it depends **on him** შდრ.: ეს ყველაფერი დამოკიდებულია მასზე

(10) I am angry **with them** შდრ.: მე გაბრაზებული ვარ მათზე (გახოკიძე, 1969, გვ. 165).⁶

⁴ კერძოდ, ისინი წერდნენ: „მესამე სერიის მწკრივებში ზმნა ერთპირიანია ან ორპირიანი. იმ ზმნებს, რომლებიც სამპირიანია I-სა და II სერიაში, აქ ორპირიანი ფორმები ენაცვლება: მისწერს ის მას მას, მისწერა მან მას ის, მაგრამ მიუწერია მას ის (შანიძე, კვაჭაძე, 1990, გვ. 52).

⁵ ეს შეუნიშნავთ ქართული ენის სახელმძღვანელოების უცხოელ ავტორებსაც, იხ. Aronson, 1990, გვ. 267.

⁶ საგულისხმოა, რომ ავტორი სინტაქსზე მსჯელობისას ითვალისწინებს ქართულ საენათმეცნიერო ტერმინთა ტრადიციას და დამატებას, კონკრეტულად ამ შემთხვევაში წინდე-

კერძოდ, მოცემულ ინგლისურ წინდებულიან დამატებებს: *on him* და *with them* ქართულ წინადადებებში სწორედ უბრალო დამატება შეესაბამება: **მასზე** და **მათზე**.

ბუნებრივია, დგება საკითხი, თუ რა ტერმინით უნდა აღინიშნოს უბრალო დამატება ინგლისურად?

ამ საკითხს შეიძლება ორგვარად მივუდგეთ:

I. ინგლისური საენათმეცნიერო ტრადიციის მიხედვით, **ობიექტი**, რომელიც ჩვეულებრივ სინტაქსური ტერმინია, ქართულის სწავლებისას გამოვიყენოთ როგორც სინტაქსურ, ისე მორფოლოგიურ დონეებზე.

II. ქართული საენათმეცნიერო ტრადიციის მიხედვით, რომელშიც მდიდარი მორფოლოგიის გამო ზმნური და სინტაქსური სტრუქტურების აღწერისას განსხვავებული ტერმინები იხმარება, ქართულის სწავლებისას მორფოლოგიის დონეზე გამოვიყენოთ **ობიექტი**, ხოლო სინტაქსის დონეზე – **დამატება**.

თუ პირველი მიდგომით ვიხელმძღვანელებდით, რადგან შინაარსობლივად ქართული უბრალო დამატება ინგლისურ წინდებულიან დამატებას მიესადაგება, შეიძლებოდა მისი ინგლისური ტერმინიც ამის მიხედვით შეგვეჩინა, ოღონდ იმის გათვალისწინებით, რომ ინგლისურში წინდებულები გვაქვს, ქართულში კი – თანდებულები, რის შედეგადაც, ინგლისურად შეიძლებოდა გამოგვეყენებინა *Postpositional object* - „თანდებულიანი ობიექტი“.⁷

მაგრამ უბრალო დამატება თანდებულის გარეშეც გვხვდება, ამის გამო ეს ტერმინი უბრალო დამატების ყველა შემთხვევაზე ვერ გავრცელდებოდა.

ფაქტობრივად, პირველი მიდგომაა გატარებული პირმომართი დამატების ინგლისურ თარგმანში, რასაც დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონში ვხვდებით: *Object marked in verb by affix* (CGED, II, 2006, გვ. 1096). ამავე ლექსიკონში არაფერია ნათქვამი პირმიუმართავ დამატებაზე, რაც უბრალო დამატებას გულისხმობს. მაგრამ პირმიუმართავი დამატება ამის მიხედვით ჩვენვე შეგვიძლია ვანარმოოთ: *Object unmarked in verb by affix*. თუმცა ეს ორივე თარგმანი, თავისივე სიდიდის გამო, როგორც ტერმინები, მოუქნელია.

საინტერესოა, რომ ახლახან გამოცემულ წიგნში: „ქართულის სრულყოფილი გრამატიკა“, უბრალო დამატებას *Adjunct object*-ს უწოდებენ (Bolkvadze, Kiziria, 2023, გვ. 456-459).

ერთი თვალსაზრისით შეიძლებოდა ეს მართებულ ტერმინად ჩაგვეთვალა უბრალო დამატების აღსანიშნავად, მით უმეტეს, რომ *Adjunct* სიტყვას გრამატიკაშიც იყენებენ ტერმინად, კერძოდ, მერიამ უებსტერის საინტერნეტო ლექსიკონის მიხედვით მას შემდეგი მნიშვნელობები აქვს:

ა. სიტყვა ან სიტყვათა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს ან ავსებს სხვა სიტყვის ან სიტყვების მნიშვნელობებს, ისე რომ არ არის წინადადების ძირითადი სტრუქტურული ელემენტი;

ბულიან დამატებას, წერს, ხოლო ინგლისურ თარგმანში ინგლისური გრამატიკული საენათმეცნიერო ტერმინოლოგიის შესაბამისად ობიექტს იყენებს: *Prepositional object*.

⁷ ტერმინს *Postpositional object*-ს კიდევ იყენებენ ცალკეულ შემთხვევაში (Aronson, Kiziria, 1999, გვ. 424).

ბ. წინადადებაში ზმნასთან მდგომი ზმნიზედა, ზმნიზედური ფრაზა (მაგალითად, *მადიანად ფრაზაში: „მათ მადიანად ჭამეს“ ან შუადღეს ფრაზაში: „ჩვენ შუადღეს წამოვედით“*) დროული მიმართების, ადგილის, სინძირის, ხარისხისა და მანერის გამოსახატავად.

თუმცა ვფიქრობთ, Adjunct-ის გამოყენება უბრალო დამატებად ერთგვარად მაინც გაუმართლებელია, რადგან Adjunct-ი გრამატიკულ ტერმინად უკვე გამოიყენება ინგლისურში და ბუნებრივია, მისი ხმარებისას ინგლისურის გრამატიკის მცოდნეთათვის ყოველთვის გაჩნდება ასოციაცია სხვა გრამატიკულ მნიშვნელობებთან, რომელთაც Adjunct-ი აღნიშნავს.

და რაც მთავარია, ყველა ეს ტერმინი მიუღებელია, იმიტომ, რომ უბრალო დამატება არ არის ობიექტი ქართულში; ამიტომაც არ მიგვაჩნია ქართული გრამატიკის სწავლებისას მათი გამოყენება მართებულად.

ამის გამო ჩვენ უპირატესობას მეორე მიდგომას ვანიჭებთ, რომელიც განარჩევს მორფოლოგიურ და სინტაქსურ ტერმინებს და რომლითაც, გარკვეული მოსაზრებით, უფრო ოპტიმალურადაა შესაძლებელი ქართულ ენის თავისებურებათა წარმოჩენა და სწავლება. ამის მიხედვით, ზოგადად, ქართული დამატებებისათვის მოსწავლეებს ვთავაზობთ ტერმინს Supplement-ს,⁸ კონკრეტულად უბრალო დამატებისათვის კი – Simple supplement-ს, რის შედეგადაც ჩვენი საანალიზო გრამატიკული ტერმინები მორფოლოგიურ-სინტაქსური დონეების მიხედვით ინგლისურადაც ცალ-ცალკე წარმოდგება:

მორფოლოგიის დონე		სინტაქსის დონე	
პირდაპირი ობიექტი	Direct object	პირდაპირი დამატება	Direct supplement
ირიბი ობიექტი	Indirect object	ირიბი დამატება	Indirect supplement
—	—	უბრალო დამატება	Simple supplement

რა თქმა უნდა, ჰიპოტაქსური კონსტრუქციების დამოკიდებული წინადადებების აღსანიშნადაც ტერმინ Supplement-ს გამოვიყენებთ:

პირდაპირი დამატებითი დამოკიდებული წინადადება	Direct supplement subordinate clause
ირიბი დამატებითი დამოკიდებული წინადადება	Indirect supplement subordinate clause
უბრალო დამატებითი დამოკიდებული წინადადება	Simple supplement subordinate clause

ამ ტერმინების გამოყენებით ვაცნობთ მოსწავლეებს პირდაპირ, ირიბ და უბრალო დამატებათა და მათივე დამოკიდებულ წინადადებათა სინტაქსურ ფუნქციებს, რაც პრინციპულად განსხვავდება შესაბამისი ინგლისური ანალოგების

⁸ ინგლისურში დამატება ორი ლექსემით გადმოიცემა: Addition, Supplement. საინტერნეტო ლექსიკონების მიხედვით, როდესაც ისინი არსებით სახელად არიან გამოყენებულნი, პირველი მიმატებას, მიმატების პროცესს აღნიშნავს, მეორე კი – დამატებულს, დამატებულ რაიმეს. ჩვენს შემთხვევაში უპირატესობას მეორეს ვანიჭებთ და ქართული დამატების ინგლისურ ვარიანტად supplement-ს ვიყენებთ.

საგან. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ამგვარი მიდგომა საგრძნობლად ეფექტურია ზემოაღნიშნული საკითხების სწავლების დროს არა მარტო ქართულის ინგლისურენოვანი შემსწავლელებისათვის, არამედ, ზოგადად, მათთვის, ვისთვისაც ქართული მეორე ან უცხო ენაა.

ლიტერატურა:

- Aronson, H. I. (1990). GEORGIAN, A READING GRAMMAR. Bloomington: Slavica Publishers, Inc., ISBN: 0-89357-207-1.
- Aronson, H. I., Kiziria, D. (1999). GEORGIAN LANGUAGE AND CULTURE, A CONTINUING COURSE. Bloomington, Indiana: Slavica Publishers, ISBN: 00-89357-278-0.
- Bolkvadze, T., Kiziria, D. (2023). Georgian, A Comprehensive Grammar. LONDON AND NEW YORK: Routledge Taylor & Francis Group, ISBN: 978-1-138-24112-1 (hbk), 978-1-138-24118-3 (pbk), 978-1-315-28113-1 (ebk).
- გახოკიძე, ა. (1969). ENGLISH GRAMMAR – ინგლისური ენის გრამატიკა V-X კლასებისათვის. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.
- კვაჭაძე, ლ. (1988). თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, ISBN 5-505-00209-9.
- ფეიქრიშვილი, ჟ. (1996). ქართული ენის სინტაქსი, სალექციო კურსი. ქუთაისი: 1996.
- შანიძე, ა., კვაჭაძე, ლ. (1990). ქართული ენა (მორფოლოგია, ორთოგრაფია, მეტყველების განვითარება), VII კლასის სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

წყაროები:

- CGED, (2006). A COMPREHENSIVE GEORGIAN-ENGLISH DICTIONARY, v. II, Donald Rayfield (editor-in-chief). LONDON: GARNETT PRESS, ISBN - 10 0-9535878-3-5 (two-volume set), ISBN - 13 978-0-9535878-3-4 (two-volume set).
- კიზირია, ა. (1974). ქართული ენა, პრაქტიკუმი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“.

ელექტრონული რესურსები:

<https://www.ldoceonline.com/dictionary/pdf>

<https://www.merriam-webster.com/>

<https://diffsense.com/>

(ბლოს ნანახია 01.05.2024)

ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის: „ინფორმაციული სტრუქტურა და ქართველურ ენათა ჰიპოტაქსური მოდელები“, FR-21-352 ფარგლებში.

ლელა ციხელაშვილი
Lela Tsikhelashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

უფალ- ლექსების სტრუქტურისა და წარმომავლობისათვის¹
On the Structure and Origin of the Concept *upal-* ('lord')

საკვანძო სიტყვები: უფალი ღმერთი, ბიბლიურ წიგნთა თარგმანები, ეტიმოლოგია, მიმღეობა.

Keywords: The Lord God, Biblical translations, etymology, participle.

¹ ნაკითხულია მოხსენებად აკად. აკაკი შანიძის დაბადების 137-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საჯარო სხდომაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (26. 02. 2024).

In the Ancient Georgian language, the word *upal-i* was polysemantic and had the following meanings: *bat'oni*, *p'at'roni*, *mplobeli* ('*lord, master, owner*'); a designation and personal title for God and Jesus Christ ('*the Lord*'). In Contemporary Georgian, this word is no longer used in the meaning of '*lord, master, owner*'. The concept *bat'on-i* is not found in Ancient Georgian, whereas *p'at'ron-i* appeared in the 10th century. In Ancient Georgian, the word *upal-i* was used with the above-mentioned meaning.

In Georgian scholarly literature, the word *p'at'ron-i* is considered to have been borrowed from Latin (*patronus*) (Chubinashvili, 1961, p. 327; Deeters, 1926, p. 81; Gigineishvili, 2016, p. 44...). In Armenian, the word *պատրոն* (*patron*) appeared later, from the 12th century (Kazarian and et al., 1992, p. 270); hence, this word cannot be considered as an Armenian loan. The word-form *bat'on-i*, which is derived from the word *p'at'ron-i*, appeared in Middle Georgian (*p'at'ron* → *p'at'on* → *bat'on*). In the dialects of the Georgian language, the word *bat'on-i* also denotes gods, saints, icons and crosses.

The old Georgian translations of the Biblical books make frequent use of the syntagm *upali ghmerti* (the LORD God). This syntagm is a solid equivalent of the Greek collocation *κύριος ὁ θεός*, which, in its turn, is a loan-translation from Hebrew *אֲדֹנָי יְהוָה* (Adonai YHWH). However, the Greek *κύριος* may remain untranslated, or there may be a lexical expansion-substitution: Amos 4:13. *upali ghmerti q'ovlisa mp'q'robeli – sakheli misi*. OJGSB. **ghmertij]-O. κύριος ὁ θεός ὁ παντοκράτωρ ὄνομα αὐτοῦ. The LORD God of hosts is his name.**

In the Georgian scholarly literature, there are numerous opinions regarding the structure and etymology of the stem *upal*. This stem does not have regular correlates in other Kartvelian languages: Megrelian has borrowed the word *upal-i* from Georgian; the Laz language uses a single word (*ghormot-i*) to denote both God and Lord. The Svan form *pusd/pusn* must have been borrowed from Circassian (Rogava, 1956, p. 129) or Ossetic (Klimov, 1963, p. 184). As it seems, the word *upal-i* was formed in Georgian; hence, its etymology should be explained on the grounds of Georgian proper.

G. Klimov distinguished the verbal root *up-* not concretely for the stem *up-al*, but for the word *me-up-e* on the level of Georgian-Zan unity. According to him, the word *me-up-e* was transformed into *me-p-e* where the vowel /u/ was lost (Klimov, 1964, p. 133). The root *up-/p-* was distinguished for Georgian (*up-al-i*, *me-up-e/me-p-e*), whereas *p-* was distinguished for Laz in the "Etymological Dictionary of Kartvelian Languages" compiled by H. Fenrich and Z. Sarjveladze (Fenrich, Sarjveladze, 2000, pp. 453-454). If we share these opinions, the stem *up-al* (verbal root + substantivizing suffix *-al*) is a participle in its structure. Since, in Georgian, *-al* is not an independent morpheme, but only a suffixal part of the circumfix which forms a participle, we can assume that there existed a subjective participle **m-up-al* in which prefix *m-* was lost as a result of two subsequent labial sounds. This assumption is contradicted by the following: in Ancient Georgian, the verbs beginning with the vowel /u/ form the subjective participle by means of the prefix *ma-* (*ma-urveb-el-i*, *ma-uts-ar-i...*) and not *m-*. In this case, there are no phonetic grounds for the loss of the prefix *ma-*. If we view the issue from this viewpoint, it will turn out that the stem *upal* did not originate from the subjective participle.

Georgian scholarly literature notes that the prefix *u-* can be distinguished in the stem *upal-*. This prefix is considered as an element **joined to the root** (*up*) (Chiqobava, 1942, p.

225) as a **prefix of superlative degree**: **h-u-p-al* (Chincharauli, 2005, pp. 12-13). Other scholars note that the prefix **u-** was joined with the verbal root ***pal-/pl-** as a **derivational prefix of negation**: *u-pal* (Soselia, 2006, pp. 62-63).

It is widely known that the degrees of comparison are formed in Georgian by means of circumfix (*h-u-did-e*, *h-u-pr-o...*) and not just a prefix. Unfortunately, A. Chincharauli's article does not mention anything about the absence of the suffixal component of the circumfix in the form **h-u-p-a-l*. This makes it difficult to share this opinion.

K. H. Schmidt (1962, p. 124) and, later, T. Gamqrelidze and G. Machavariani (1965, p. 321) considered that the stem **upal-** was related to the root **pal-/pl-** ('to own'). This opinion was shared by E. Soselia, who identified the function of the prefix **u-** and considered it as a **derivational prefix of negation** (Soselia, 2006, pp. 62-63). According to this opinion, from the structural viewpoint, *u-pal* is a negative participle.

This opinion is, indeed, interesting, but we should take into consideration the following: 1. The prefix **u-** forming a negative participle should not be found in other participles and infinitives derived from this verbal root; 2. The root **pal-**, in its complete or reduced form, namely, the root **al** (\rightarrow **l**) should be present in these forms. However, there are forms where the situation is just the opposite: the element **u-** is found, but the root **al** (\rightarrow **l**) is absent: *s-up-ev-s*, *s-up-ev-a*, *me-up-e* \rightarrow *me-p-e...* In this case, it is hard to consider *pal-* as a verbal root.

In my opinion, *upal* can indeed be considered as a negative participle in its original form, but the initial root must have been not **pal-** (*u-pal-*), but the verbal root **p-** (*u-p-al-*, meaning: *not having a master; someone who cannot be owned*). As a result of further semantic change, in the form with a positive connotation, the derivational prefix of negation **u-** was mixed with the verbal root (**u+p-** \rightarrow **up-**, *up-al-*, meaning: *master; owner*). The Megrelian-Laz forms with the root **p-** may reflect the archaic, **C** structure of the root **up-**, because the lexeme *upal* was formed only in the Georgian language. Such interpretation of the origin of the root **up-** explains the existence of the verbal root of **VC** structure, which is not typical of Georgian.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული სიტყვების – *ღმერთი*, *უფალი* – წარმომავლობის შესახებ. ორივე მათგანი უზენაესი არსების, ღმერთის, სინონიმებს წარმოადგენს ქართული მნიშვნობრული ენის განვითარების ყველა საფეხურზე იმ განსხვავებით, რომ *უფალი* ძველ ქართულში სემანტიკურად უფრო დატვირთული იყო. ვნახოთ, როგორაა განმარტებული ეს სიტყვა ძველი ქართული ენისა და ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონებში: „პატრონი; მფლობელი, ნახარარი; ქრისტე“² (აბულაძე, 1973, გვ. 433); „ბატონი; ღმერთი“ (სარჯველაძე, 2001, გვ. 220); „1. რელიგ. იგივეა, რაც ღმერთი... 2. ძვ. ბატონი, პატრონი, მბრძანებელი“ (ქეგელი, 1960, გვ. 1628).

მნიშვნელობა, რომლითაც ლექსემა *უფალი*, ფაქტობრივად, აღარ გამოიყენება თანამედროვე ქართულში, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არის: *პატრონი*, *მფლობელი*, *ბატონი*, *მბრძანებელი* (მაგ.: „თქვენ, *უფალო*, მადა ჯამაგირზე

² ძველ ქართულში ეს სიტყვა, ცხადია, ღმერთსაც (მამაღმერთს) აღნიშნავდა. უფალი-ი ვერაფრით ვერ იქნება ქრისტეს აღმნიშვნელი ძველი ალექსის ნიშნები.

სამჯერ მეტი გქონიათ!“ (ამირეჯიბი, 1974, გვ. 7); „თქვენი ნამოქმედარი, უფალო, ქალთმოძულე სადისტის მოღვაწეობის ნიმუშად გამოდგებოდა!“ (ამირეჯიბი, 1974, გვ. 168)... სასაუბრო მეტყველებაში ზოგჯერ სუფრის თამადასაც მიმართავენ ხოლმე ამგვარად: **უფალო თამადა(ვ)!**).

სიტყვა **ბატონი**-ი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არ დასტურდება, შესაბამისად, იგი არაა შეტანილი ი. აბულაძისა და ზ. სარჯველაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონებში. მისგან განსხვავებით, **პატრონი**-ი, ჩვენი დაკვირვებით, წერილობით ძეგლებში ჩნდება ძველი ქართული ენის მეორე ქვეპერიოდთან, კერძოდ, მე-10 საუკუნიდან:

ვითარცა განემორა შენვენაჲ ღმრთისაჲ, ღონე ყოველი დაელია და ტფილის[ს] წარვიდა საჰაკ ამირისა, პატრონისა თვისსავე [ხანძთ. 306: 19].³

ესრეთ იქმნა: პატრონი ბაჰადურ, რომელი პირველ სწერია [ათონ. საალაპე 187: 1].⁴

ეკლესიასა განეკუთნედ პატრონისა მისისაცა უწყებითა ეპისკოპოსისაგან... [დიდი სჯულ. 150: 7].⁵

სიტყვა **პატრონი**-ი შეტანილია ძველი ქართული ენის ლექსიკონებშიც: „**პატრონი**-ი „უფალი“, მფლობელი: „მოვიდა პ ა ტ რ ო ნ ი იგი დრაჰკნისაჲ, გინა უფალი“ მ. ცხ. 166r; „მიჰყიდა ფადლონს, განძის პ ა ტ რ ო ნ ს ა“ ქ. ცხ. 232, 3; „მუნ არს... მონაჲ პ ა ტ რ ო ნ ს ა თანა“ A-92, 385“ (აბულაძე, 1973, გვ. 339); „**პატრონობა**-ჲ მფლობელობა: მრავალსა ქუეყანასა და მრავალსა საქონელსა ზედა პატრონობაჲ მიხუდეს [ეტლ. 10, 33-34]; პატრონობაჲ ვიდრე მათმან ეკლესიამან მიიღოს წინაღებათაჲ [დიდი სჯ. 179, 26]; განბჭობილისა პატიჟისა აღმატებად ანუ მოკლებად ვერ შემძლებელ არს თჳნიერ მეფობრივისა პატრონობისა მთავარი“ [იქვე, 185, 8]“ (სარჯველაძე, 1995, გვ. 167); „**პატრონი** = “; ⁶ „**პატრონობა**-ჲ მფლობელობა“ (სარჯველაძე, 2001, გვ. 172).

რადგან ძველ წერილობით ძეგლებში არ დასტურდება სიტყვა **ბატონი**-ი და **პატრონი**-ი ფორმაც შედარებით გვიან იჩენს თავს, ამ მნიშვნელობით ძველ ქართულში ლექსემა **უფალ**- გამოიყენებოდა. გავიხსენოთ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ არსენის დამონაფების ეპიზოდი: როდესაც მირეან აზნაურის ხელქვეითებმა შეიტყვეს, რომ სამცხეში მყოფ გრიგოლის მონაფეებს, ქრისტე-ფორესა და თევდორეს, ველზე მოუნევდათ ღამის გათენება, „აუწყეს **უფალსა** თჳსსა“ (აუწყეს თავიანთ ბატონს, პატრონს). მირეან აზნაურმა სასახლეში მიიწვია წმიდა მამები, მეორე დილას კი მათ წინაშე წარადგინა თავისი სამი ძე და

³ მართალია, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ დაწერილია X საუკუნის შუა წლებში, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულია ერთადერთი ხელნაწერით – იერუსალიმის საპატრიარქო წიგნთსაცავის ქართულ ხელნაწერთა ფონდის №2 ხელნაწერით (დაახლოებით XI ს. მიწურულისა).

⁴ „საალაპე წიგნი“ წარმოადგენს ათონის ქართველთა მონასტრის 1047 წლის ხელნაწერის ნაწილს (მეტრეველი, 1998).

⁵ „დიდი სჯულისკანონის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანის ადრეული ხელნაწერები XII-XIII საუკუნეებისაა (გაბიაძევილი, 1975, გვ. 23).

⁶ ავტორის განმარტებით, „= სიმბოლო მაშინ არის გამოყენებული, როცა ძველი ქართული სიტყვის მნიშვნელობა ახალი ქართულისას ემთხვევა“ (სარჯველაძე, 2001, გვ. 4).

მეუღლეს, კრავს, მიმართა, თუ რომელი განენესებინათ მონაზვნად. კრავმა მორჩილად მიუგო: „**უფალო ჩემო, შვილნი შენნი არიან წინაშე შენსა, რომლისაჲცა ჰბრძანო, უფალმან გამოიჩინე რჩეულად მონესედ**“ [ხანძთ. 270: 31-32] (პირველ შემთხვევაში უფალო ფორმით იგი მიმართავს მეუღლეს, როგორც თავის ბატონს, პატრონს; მეორე შემთხვევაში კი ეს სიტყვა *ლმერთს* აღნიშნავს).

პატრონ-ი სიტყვისგან მიღებული **ბატონ-ი** სიტყვაფორმა (*პატრონ-ი* → *პატონ-ი*⁷ (*ლ/-ს* დაკარგვით) → *ბატონ-ი* (დისიმილაციური გამჟღერებით)) მკვიდრდება საშუალი ქართულიდან, ოღონდ ენის განვითარების ამ ეტაპის ადრეული პერიოდის ზოგიერთი ძეგლისთვის მხოლოდ *პატრონ* ლექსემაა დამახასიათებელი, მაგ., „ვეფხისტყაოსანში“ არცერთხელ არ დასტურდება *ბატონ-ი*, სანაცვლოდ, ჩვეულებრივ გამოიყენება სიტყვა *პატრონ-ი*:

„პირველ, ყმა ვარ, ნასლვა მინდა **პატრონისა** სამსახურად“

[ვეფხ. 155 (154): 1].

„**მე პატრონისა** ჩემისა ასული შემყვარება“ [ვეფხ. 288 (286): 1].

„ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა **პატრონ-ყმათასა**“⁸

[ვეფხ. 156 (155): 3].

ანალოგიური ვითარებაა „ამირანდარეჯანიანსა“ და „ვისრამიანში“. საშუალი ქართულის გვიანდელ ტექსტებში („შაჰ-ნამე“, „რუსუდანიანი“...) დასტურდება როგორც *პატრონ*, ისე *ბატონ* ლექსემები.⁹

ბ. გიგინეიშვილს „ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მოჰყავს გ. დეეტერსის მოსაზრება (1926, გვ. 81) **ბატონ-ი** სიტყვის წარმომავლობის შესახებ. ამ მოსაზრების თანახმად, ლექსემა **ბატონ** უნდა მომდინარეობდეს **პატრონ** ფორმისგან, ეს უკანასკნელი კი ნასესხები უნდა იყოს ლათინურიდან (*patronus*) სომხურის გზით (გიგინეიშვილი, 2016, გვ. 44). საინტერესოა, რომ გაცილებით ადრე ნ. ჩუბინაშვილს „ქართულ ლექსიკონში“ (XIX ს. I ნახ.) **პატრონ-ი**

⁷ კორპუსულმა კვლევამ („ტიტუსი“) შუალედური საფეხურის ამსახველი 12 ფორმა გამოავლინა, მათ შორის 11 – „ქართული სამართლის ძეგლებში“, მათგან 7 – „ბექა მანდატურ-თუხუცესის სამართალში“ (XIII-XIV სს. მიჯნა) (დოლიძე, 1963, გვ. 619).

⁸ მართალია, ორივე ლექსიკური ერთეული მოიცავს ფლობის, მესაკუთრეობის სემანტიკას და აღნიშნავს პრივილეგირებული ნოდების წარმომადგენელს პატრონყმობის (ქეგლ, 1960, გვ. 155) // ბატონყმობის (ქეგლ, 1950, გვ. 991) დროს და „დაახლოებით ერთ ეპოქაში ერთი და იმავე მნიშვნელობითაც“ გამოიყენებოდა (გიგინეიშვილი, 2016, გვ. 44), მაგრამ *პატრონ* ლექსემას სხვა მნიშვნელობაც აქვს: „*მფარველი, მზრუნველი, მომვლელი, მეურვე*“ (ქეგლ, 1960, გვ. 156), რომელიც კარგად ჩანს საგმირო-სარაინდო ეპოსისთვის დამახასიათებელ ჰუმანურ, კეთილშობილურ დამოკიდებულებაში *პატრონსა* და *ყმას* შორის. სიტყვა *ბატონ-ი* კი, როგორც მჩაგვრელი კლასის წარმომადგენლის აღმნიშვნელი, უარყოფით კონოტაციას იძენს (რა თქმა უნდა, მას სხვა მნიშვნელობებიც აქვს, მაგ., გამოიყენება თავაზიანი მიმართვისას ან ვისიმე ხსენებისას: ბატონო გაიოზ... (ქეგლ, 1950, გვ. 991)). *პატრონყმობა*, როგორც ფეოდალური ურთიერთობის აღმნიშვნელი ტერმინი, ჩნდება X საუკუნიდან. მანამდე ამ ცნების აღმნიშვნელად *უფალმონობა* უნდა ყოფილიყო მიღებული, XV საუკუნიდან კი მას ენაცვლება ტერმინი *ბატონყმობა* (ქსე, 1984, გვ. 713).

⁹ შეიძლება ამ პერიოდის ტექსტშიც არ დასტურდებოდეს სიტყვა *ბატონ-ი*, მაგ., ასეთი ვითარებაა თეიმურაზ I-ის მიერ თარგმნილ „იოსებ-ზილიხანიანში“ (XVII ს.).

სიტყვის განმარტებისთვის ლათინურად აქვს მიწერილი *patronus* (ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 327), რაც, ლექსიკონის შედგენის პრინციპის მიხედვით, ამ უცხოური სიტყვის წარმომავლობას მიაჩნებდა. სულხან-საბას ლექსიკონში ასეთი მინიშნება არაა (ორბელიანი, 1965, გვ. 619). ლათინურიდან შემოსულადაა მიჩნეული როგორც *პატრონი*, ისე *ბატონი*-ი ლექსიკური ერთეულები ქეგელ-შიც (ქეგელ, 1960, გვ. 155-156; 1950, გვ. 991; იხ. აგრეთვე ქსე, 1984, გვ. 713).

მართალია, გ. დეეტერსს ლათინური წარმომავლობის *patronus* სიტყვა ქართულში სომხურის გზით შემოსულად მიაჩნია, მაგრამ ძველ სომხურში, გრაბარში (V-XI სს.), ეს სიტყვა არ დასტურდება და, შესაბამისად, არც ძველი სომხური ენის ლექსიკონებშია შეტანილი (ავეტიკიანი და სხვ., 1983; ჰოვანისიანი, 2010). *սպարոն* სიტყვაფორმა საშუალო სომხურში¹⁰ მკვიდრდება. იგი შეტანილია საშუალო სომხური ენის ლექსიკონშიც (კაზარიანი და სხვ., 1992, გვ. 270), რომელშიც მოყვანილი მაგალითების თანახმად, იგი ენაში ჩნდება XII საუკუნიდან, ძირითადად, ეპიგრაფიკულ ძეგლებში.¹¹ ამდენად, **პატრონი** ლექსემა ქართულში გაცილებით ადრე იჩენს თავს, ვიდრე სომხურში, ამიტომ ზემოთ მოყვანილი მოსაზრების გაზიარება ამ სიტყვის სომხურის გზით შესახებ გაჭირდება.

სალექსიკონო სიტყვა-სტატიების მიხედვით, *ὁ πάτριον* ფორმა დასტურდება ძველ ბერძნულშიც მოგვიანო პერიოდის ავტორებთან: „*πάτριον, ὄνομα, ὁ = patronus, νομοδ.*“ (ვეისმანი, 1991, გვ. 963); „*πάτριον, ὄνομα ὁ Diod., Plut.*“¹² = ლათ. *patronus*“ (გიორგობიანი, 2019, გვ. 342), ამიტომ ამ მხრივ ბერძნულის შესაძლო გავლენაც არ უნდა გამოირიცხოს.

ბატონი-ი ფორმის დამკვიდრების შემდეგ **უფალი**-ი სიტყვის სემანტიკა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ვინროვდება, სანაცვლოდ, **ბატონი**-ი იფართოებს არეალს და, გარდა სალიტერატურო ქართულში არსებული ძირითადი მნიშვნელობებისა (ქეგელ, 1950, გვ. 991-992), დიალექტებში (არსებითად, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში) ითავსებს **უფალი**- ლექსემის სემანტიკასაც და გამოიყენება ღვთაებათა, წმინდანთა, სალოცავთა, ხატ-ჯვრების სახელდებისათვის (მათი საკრალური ბუნებიდან გამომდინარე) ქართულ ფოლკლორსა თუ მითოსში. მაგ., ეს სიტყვა ასეა განმარტებული „ხევსურულ ლექსიკონში“: „**ბატონი**-ი ხატი, ჯვარი... უკენ ჩვენ წაოლთ საყმონი, წინ ბატონი გაგვიძღვებო (ეთნ. რელიგ. 15, 175); ქადაგობს გაიდაური: „ბძანებს გუდანის ჯვარიო: საათენგენოდ გამიძღვან სამის ბატონის ყმანიო“ (ხევს. პოეზ. 176, 2). ჯევსურთ დიდი ხყავ ბატონი, ღმერთსთან დგას, ვინაც იცისა“ (ხევს. პოეზ. 669, 2)“; „**ბატონ-ყმა-ნი**-ი ხატი და ხატის მსახურნი; ჯვარიონნი...“ (ჭინჭარაული, 2005).

¹⁰ სომხური ენის განვითარებაში ახალი საფეხური, საშუალო სომხური ენა, გამოიყოფა XI საუკუნიდან (შილაკაძე, 1975, გვ. 8).

¹¹ აღნიშნულ წარწერათა ადგილი (ანისი, ახპატი, სანაინი) და ამ სოციალური ტერმინით მოხსენიებული პირების ვინაობა (მაგ., ზაქარია და ივანე მხარგრძელები...) იძლევა საფუძველს, ვიფიქროთ, რომ არაა გამორიცხული, პირიქით, ქართულიდან შესულიყო ეს სიტყვა სომხურში (თუმცა მითითებულ ლექსიკონში ფრანგულიდან (*patron*) შემოსულადაა მიჩნეული, მნიშვნელობით: *უფალი, ბატონი, დიდებული, მთავარი*). ჰრ. აჭარიანის „ეტიმოლოგიურ ლექსიკონშიც“ ლათინური წარმომავლობის *patronus* სიტყვა სომხურში ფრანგულიდან შემოსულ სოციალურ ტერმინადაა მიჩნეული (მნიშვნელობა: *პატრიკი, უფროსი, მაღალი თანამდებობის პირი*) (აჭარიანი, 1926, გვ. 54).

¹² დასტურდება დიოდორე სიცილიელთან და პლუტარქესთან (გიორგობიანი, 2019, გვ. 7).

ეს ლექსემა აღნიშნული მნიშვნელობით დასტურდება ვაჟასთანაც:

„დიდია ჩვენი **ბატონი**,
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
ღვთითა და ღვთისა ძალითა,
კარგი ყმა უყვარს **ბატონსა**,
წყალობა ემეტებისა,
ვაჟკაცნი იმედიანნი
ჩვენს **ბატონს**¹³ ებედებისა“ [ქეთელ. 286:40-287:4].
„ეგებ ინებოს **ბატონმა**,¹⁴
გაგმარჯვებიყოსთ მტერზედა“... [ზახტრ. 13: 9].

ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში არსებობს სპეციალური გამოკვლევები **უფალ-ი** და **ღმერთ-ი** სიტყვების სემანტიკური ველის, მათი ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანისა და კომპოზიციასა და დერივაციაში მონაწილეობის შესახებ (ლლონტი, 2010; თაგაური, 2017). ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი უშუალოდ ჩვენი ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს, ამიტომ მხოლოდ დავსძენთ, რომ, ჩვენი აზრით, მოცემული ლექსემების სემანტიკურ დისტრიბუციაზე მსჯელობისას აქცენტი, პირველ ყოვლისა, ქრისტიანული სასულიერო მწერლობის ყველა დარგის საფუძველზე, ნათარგმნ ბიბლიოლოგიასა და, ზოგადად, ნათარგმნ ქრისტიანულ ლიტერატურაზე (უპირატესად, ბერძნულიდან) უნდა გაკეთდეს. ორიგინალურ სასულიერო მწერლობაში საკითხის კვლევა საინტერესო იქნება ისევე და ისევე ნათარგმნ ლიტერატურასთან მიმართების კუთხით: იდენტურია თუ მისგან განსხვავებული ამ მხრივ ორიგინალური მწერლობის ვითარება. აღნიშნულის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ **უფალ-ი** და **ღმერთ-ი** სიტყვების დისტრიბუციას ბერძნულ წყაროსთან მიმართებით.

ძველ მნიგნობრულ ქართულში სიტყვა **უფალ-ი** გამოიყენება როგორც დამოუკიდებლად, ისე მსაზღვრელ-საზღვრულის წევრად, საზღვრულად (*უფალ ყოვლისა-მპყრობელ* [ამოს. 9: 6 OJ], *უფალ ძალთა* [იერ. 10: 16 OJ], ერთ უფალ [შატბ. კრებ. 163: 16]...) ან მსაზღვრელად (*უფალი ჩუენი იესო ქრისტე* [კლემ. 336: 30], *უფალი ღმერთი* [ზაქ. 10: 6 OJSB]...). ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად გამოყენებული **უფალი ღმერთი**¹⁵ შესიტყვება ბერძნული *κύριος*

¹³ ბატონი აღნიშნავს გუდანის ჯვარს.

¹⁴ ბატონი აღნიშნავს ლაშარის ჯვარს.

¹⁵ ქართულისთვის არაა ბუნებრივი „უფალი უფალი“ ტიპის შესიტყვება, თუმცა შესაძლოა მაინც დასტურდებოდეს, მაგ., „ამოსის წინასწარმეტყველების“ წიგნში, კერძოდ, მე-7 და მე-8 თავებში, ამ ტიპის ცხრა შემთხვევა დავადასტურეთ [7: 1, 2, 4, 5, 6, 7, 17; 8: 9, 11], მაგ.: *აჰა-ესერა დღენი მოვლენან, – იტყვს უფალი უფალი – და გამოვაგლინო სიყმილი ქუეყანასა ზედა...* [ამოს 8: 11 OJGSB]. არც ბერძნულში და არც ებრაულში ამ შემთხვევაში არაა უფლის შესატყვისი ლექსემა ორჯერ, გარდა იმ ორი შემთხვევისა, როცა ეს სიტყვა ვოკატივშია და მიმართვის ფორმას წარმოადგენს, მაგ.: და ვთქუ:

ὁ θεός¹⁶ შესიტყვების მყარ ეკვივალენტს წარმოადგენს, ეს უკანასკნელი კი ებრაული יהוה יהוה-ის ზუსტი თარგმანია.

ὁ κύριος ბერძნულში წარმოადგენს გასუბსტანტივეზულ ზედსართავ სახელს (არარელიგიური მნიშვნელობით – „ყოვლისმპყრობელი, მფლობელი, კანონიერი ძალაუფლების მქონე, უფალი, ბატონი; პატივისცემის გამოხატვის ფორმა [ი. 4: 11]“) და რელიგიური მნიშვნელობით გამოიყენება ღმერთისა [მ. 1: 20] და იესუ ქრისტეს [ი. 20: 18] აღმნიშვნელად, ასევე, მიუთითებს მათს „პირად წოდებას“ (უფალმან ღმერთმან [შესაქ. 3: 23], ქრისტე უფალი [ლ. 2: 11]...). ὁ κύριος წარმოადგენს ებრაული יהוה-ის (ადონაი)¹⁷ თარგმანს, რომელიც წმინდა წერილის საჯარო კითხვისას ანაცვლებდა ტეტრაგრამას יהוה (YHWH, აჰტუჰ// აჰჰჰ (აჰჰჰჰ)), მისი საკრალური ბუნებიდან გამომდინარე (ფრიბერგი და სხვ., 2005).

სეპტუაგინტაში ღმერთის ებრაული სახელების – יהוה (YHWH, აჰტუჰ// აჰჰჰ), ლა/იჰა/იჰა/იჰა (ელოჰიმ¹⁸/ელოჰაჰ/ელ) – ეკვივალენტია ὁ θεός („უზენაესი ღვთაებრივი არსება, ჭეშმარიტი და ცოცხალი ღმერთი“¹⁹ (ფრიბერგი და სხვ., 2005)). יהוה יהוה [შეს. 24: 27] სეპტუაგინტაში, ჩვენი დაკვირვებით, κύριος ὁ θεός შესიტყვებით გადმოიცემა [შეს. 9: 26; 24: 3, 7, 12, 27...]. აჰტუჰ „ყოფნის, არსებობის ჰევაჰ ზმნას უკავშირდება და აღნიშნავს „ის არის“, „არსებულია“ (დანელია, 1998ა, გვ. 133). მისი მნიშვნელობა კარგად ჩანს მამაღმერთის პასუხში უფლის სახელით დაინტერესებული მოსესადმი: „მე ვარ, რომელი ვარ“ [გამ. 3:14 OBAK]; „მე ვარ მყოფი“ C; „მე ვარ ღმერთი მყოფი, რომელი ვარ“ S.²⁰

უფალო, უფალო, ლხინება-ყავ! [ამოს 7: 2 OJGSB]. უფალო- O. ლხინება-ყავ! მლხინებელ იქმენ GSB. შდრ.: ... και εἶπα κύριε κύριε Ἰσεως γεινῶν; אֲדֹנָי אֲדֹנָי אֲדֹנָי (ებრაულშია ადონაი აჰტუჰ).

¹⁶ κύριος ὁ θεός შესიტყვების ეკვივალენტი მთელი რიგი ქრისტიანი ერების ენებში არსებობს, რომლებზეც ბიბლიური წიგნებია თარგმნილი, მაგ.: Styr Gudinnuad (სომხ.), Dominus Deus (ლათ.), the Lord God (ინგ.), Gott der Herr (გერმ.), l'Eternel Dieu (ფრანგ.), Jehová Dios (ესპ.), l'Eterno Iddio (იტალ.), Господь Бог (რუს.)...

¹⁷ יהוה (ადონაი) ითარგმნება როგორც: „უფალი/უფალი ჩემი“ (პეტროზილო, 2011, გვ. 13). სიტყვის ბოლოს ם-ი ებრაული კუთვნილებითი ნაცვალსახელია და ინიშნავს „ჩემი“ (დანელია, 1998ა, გვ. 133).

¹⁸ יהוה (ელოჰიმ „ღმერთები“), მრავლობითი რიცხვის ფორმა ლა/ელ სიტყვისა, ძირითადად, ძველი აღთქმის პოეტურ ტექსტებშია გამოყენებული. ეს მრავლობითობა ღვთის სისავსეს, მრავალსახოვანებას გამოხატავს, ხოლო მასთან გამოყენებული ზმნის მხოლობითობა მის ერთარსებას მიუთითებს (დანელია, 1998ა, გვ. 133). იუდაიზმი, ქრისტიანობა და ისლამი, აბრაამის რელიგიები, მონოთეისტური რელიგიებია.

¹⁹ ისრაელის ღმერთის გარდა, ის აღნიშნავს სხვა ღმერთებსაც, კერპებს, ქალღმერთებს, თაყვანისცემისა და პატივისცემის ღირს პირებს... (იქვე).

²⁰ შდრ.: ბერძ. ἐγώ εἰμι ὁ θεός. ἄν წარმოადგენს εἰμί („ყოფნა“) ზმნის ანმყო დროის აქტივის პარტიციპიუმს, ამდენად, ფორმოზრივი თვალსაზრისით, მყოფი (C) სასუბიექტო მიმღეობა მისი უფრო ზუსტი ეკვივალენტია. OBAK ნუსხებში, მიმღეობის ნაცვლად, დაქვემდებარებული წინადადებაა, საბას ბიბლიაში (S) – ორივე. ებრაულშია: יהוה יהוה יהוה („ყოფნა“ ზმნა | პირსა და იმპერფექტში + მიმართებითი ნაწილაკი + „ყოფნა“ ზმნა | პირსა და იმპერფექტში).

θειολογος – ღმრთისმეტყუელ-ი [სინ. მრავ. 193: 16; უძვ. იადგ. 140: 24...].
θειολογος – ღმრთისმშობელ-ი [სინ. მრავ. 52: 4, 59: 30; უძვ. იადგ. 182: 4...].
θεοφιλε – ღმრთისმოყუარე-ე [ლ. 1: 3; საქმე 1: 1...].
θειοσεβης – ღმრთისმსახურ-ი [გამოს. 18: 21; ივდ. 11: 17; ი. 9: 31...].

* * *

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული **უფალ-** ფუძის სტრუქტურისა და ეტიმოლოგიის თაობაზე,³³ კერძოდ, ძირად გამოყოფილია:

***უფ-** **ფ-** (უფ-ალ, მე-უფ-ე, მე-ფ-ე) (ფენრიხი, სარჯველაძე, 2000, გვ. 453-454).

***უფ-** (უფ-ალ, მე-უფ-ე) (ჩიქობავა, 1942, გვ. 225).

***უფ-** (მე-უფ-ე) (კლიმოვი, 1964, გვ. 133).

***ფ-ალ** + **უ** → **უფ-ალ** (*ჰ-უ-ფ-ალ) (ჭინჭარაული, 2005, გვ. 12-13).

***ფალ-** **ფლ-** (უ-ფალ-ი, შდრ.: ფლ-ობ-ს, უ-ფლ-ი-ე-ს) (შმიდტი, 1962, გვ. 124; გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 321; სოსელია, 2006, გვ. 61-63).

გ. კლიმოვი არა უშუალოდ უფალ-, მაგრამ მე-უფ-ე ფუძეში გამოყოფდა **უფ-** ზმნურ ძირს ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის. მისი აზრით, მე-უფ-ე → მე-ფ-ე /უ/ ხმოვნის დაკარგვით (კლიმოვი, 1964, გვ. 133).

ავტორი არაფერს ამბობს კონკრეტულად **უფალ-** ლექსემის შესახებ. ეს გასაგებიცაა, რადგან იგი ქართულიდან ჩანს შესული მეგრულში (მეგრული ფორმა არ წარმოადგენს უფალ- ფუძის კანონზომიერ შესატყვისს), ლაზური ერთი სიტყვით (ღორმოთ-ი) აღნიშნავს ღმერთსაც და უფალსაც, ამდენად, კანონზომიერი შესატყვისობის თვალსაზრისით, ინტერესმოკლებულია. ასევე, აშკარაა, რომ ქართულიდანაა შესული მეგრულში პატონ-ი, რომელიც თავად ქართულისთვისაც ნასესხობას წარმოადგენს (იხ. ზემოთ). ნასესხობაა ლაზურშიც (ალა), ოღონდ – თურქულიდან.

ქართ.	მეგრ.	ლაზ.	სვან.
ღმერთი	ღორონთი	ღორმოთი	ღერბეთ ღერმეთ
უფალი	უფალი	ღორმოთი	ფუსდ
პატონი	პატონი	თურქ. ალა	ფუსნ
პატრონი	მინჯე	თურქ. საიბი, პატრონი	პატრუნ, ფუსდ
1. მეფე	1. მაფა, ხენწ(ი)ფე	1. მაფა	1. ხელწიფ
2. მეფე	2. ნეფე	2. ნეფე	2. ნეფე, ჩოჟე

(ქურდაძე და სხვ., 2015)

პონენტთა სემანტიკის კალკირება და არა გრამატიკული მოდელისა (დანელია, 1998, გვ. 77).

³³ განვიხილავთ რამდენიმე არსებითს მოსაზრებას.

სვანური, ლექსიკონის მიხედვით, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე სიტყვას იყენებს მსგავსი სემანტიკის უფალ-/ბატონ-/პატრონ- ლექსემების შესატყვისად – ფუსდ/ფუსნ (სუბსტიტუციით). არც ეს უკანასკნელი წარმოადგენს ქართული უფალ- ფუძის კანონზომიერ შესატყვისს. სალექსიკონო განმარტების მიხედვით, „*ფუსდ, ფუს, ფუსნ, ფუსტ*³⁴ – *მეუფე, უფალი, ღმერთი; ბატონი, მფლობელი, მბრძანებელი; პატრონი; მესაკუთრე; ბატონო (მიმართვის ფორმა)*“ (ჭუმბურიძე და სხვ., 2007, გვ. 345). სვანურში ეს სიტყვა ნასესხობას წარმოადგენს. გ. როგავა მიიჩნევს, რომ იგი სვანურში ჩერქეზულიდანაა შეთვისებული (როგავა, 1956, გვ. 129). ჩერქეზულ და სვანურ ფორმებთან კავშირი შეამჩნია ს. ჯანაშიამ (ჯანაშია, 1942, გვ. 272). გ. კლიმოვის აზრით, აღნიშნული ფორმა სვანურში ოსურიდანაა შემოსული და ამოსავალია ოსური ჭგსგმ/ჭუსუნ „მასპინძელი“ (კლიმოვი, 1963, გვ. 184) (ბუკია, 2016, გვ. 20-21).

ჰ. ფენრიხისა და ზ. სარჯველადის „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ქართულ-ზანური ერთიანობის დონისთვის აღდგენილია ***უფ**-არქეტიპი, რომელიც გვაქვს სიტყვებში: **უფ**-ალ-ი, **მე-უფ**-ე/მე-ფ-ე, **ს-უფ**-ევ-ა... ქართული **მეფე** (*მეუფე* → *მეფე*, უმახვილო პოზიციაში /**უ**/ → /**ტ**/, შემდეგ /**ტ**/ /**ფ**-ს წინ დაიკარგა) ფუძის მეგრულ-ლაზურ კანონზომიერ შესატყვისს წარმოადგენს **მა-ფ**-ა (ლაზურში შემონახულია *მაფანჯარ* კომპოზიტში), შესაბამისად, აღნიშნულ ქართველურ ენებში ქართ. **უფ**-/ **ფ**- ძირის კანონზომიერ შესატყვისად მოცემულია **ფ**:-

ქართ. **უფ**-/ **ფ**- **უფ**-ალ-ი; მე-**უფ**-ე/მე-**ფ**-ე; ს-**უფ**-ევ-ა...

მეგრ. **ფ**- მა-**ფ**-ა „მეფე“

ლაზ. **ფ**- მა-**ფ**-ა-ნკარ-ი „მეფისწყარო“ (ფენრიხი, სარჯველადი, 2000, გვ. 453-454).

იმის გათვალისწინებით, რომ ქართული **მეფე**- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი მხოლოდ მეგრულ-ლაზურში დასტურდება (**მაფა**), სვანურშიც **ხელმწიფ** ქართულის ნასესხობას წარმოადგენს და ამ მხრივ ინტერესმოკლებულია, რაც მთავარია, დანარჩენ ქართველურ ენებს არ მოეპოვება ქართული **უფალ**- ფუძის კანონზომიერი შესატყვისი, ვფიქრობთ, **უფალ**-ლექსემის ეტიმოლოგია საკუთრივ ქართული ენის ნიადაგზე უნდა აიხსნას, იმავე ძირის მქონე ლექსიკურ ერთეულებთან კავშირში.

წარმოდგენილი მოსაზრებების გაზიარებისა და ჩვენთვის საინტერესო ფუძეში VC სტრუქტურის **უფ**- ძირის გამოყოფის შემთხვევაში ახსნას ითხოვს საკითხი: **უფ**-ალ- (ზმნური ძირი + -ალ მასუბსტანტივებელი სუფიქსი) სტრუქტურულად მიმღეობას წარმოადგენს, მაგრამ რომელი ტიპისას? სასუბიექტოდ ვერ ჩაითვლება ფორმაში **მ**-/მა-/მე-/მო- პრეფიქსის არარსებობის გამო,

³⁴ ფუსდს სვანურ ღვთაებათა პანთეონში საპატიო ადგილი უჭირავს. კავკასიის ხალხებში ფუსტის სახელობის ეკლესიები მხოლოდ სვანეთში გვხვდება. ბატონის აღმნიშვნელად სვანებს სხვა სახელი არ მოეპოვებოდათ და ისევ ამ სიტყვას იყენებდნენ: ისინი მთავარ დადემქელიანს *ფუსტს* ეძახდნენ.

საობიექტოდ მიჩნევისთვის დაბრკოლებას უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ოდენ **-არ/-ალ** სუფიქსიანი წარმოების მოდელი არაა ცალკე გამოყოფილი ამ ტიპის მიმღეობათათვის არც თანამედროვე და არც ძველ ქართულში. ლოგიკურადაც ნაკლებმოსალოდნელია, რომ ლექსემა, რომელიც *მფლობელს*, *პატრონს*, *სამყაროს შემოქმედსა* და *მაცხოვარს* აღნიშნავს, სტრუქტურულად საობიექტო მიმღეობას წარმოადგენდეს (ამ შემთხვევაში ექნებოდა მნიშვნელობა არა „*მფლობელი*“, არამედ – „*ფლობილი*“, როგორც სხვა სუფიქსიანი მიმღეობებს. შდრ.: *მე-უფ-ე*, რომელიც იმავე *უფ-* ძირიდან ნაწარმოებ სასუბიექტო მიმღეობას წარმოადგენს).

ა. შანიძე წარსულდროიანი ვნებითი გვარის მიმღეობების მანარმოებლად როგორც ძველ, ისე ახალ ქართულ ენაში გამოყოფს ორ სუფიქსს: **-ილ** და **-ულ** (შანიძე, 1976, გვ. 138; 1980, გვ. 574; იხ. აგრეთვე ოსიძე, 1957, გვ. 191). **-ულ** მიჩნეულია **-ილ** სუფიქსის ლაბიალიზებულ ვარიანტად (შანიძე, 1980, გვ. 574). სინქრონიულ დონეზე ამ ორი ფორმანტის დისტრიბუცია (ზმნური ფუძეების განაწილება) წმინდა მორფოლოგიური ფაქტორითაა შეპირობებული (შანიძე, 1976, გვ. 138-139; 1980, გვ. 574-575).

ბ. სარჯველაძე სტატიაში „მიმღეობათა ოდენ **-ელ** სუფიქსიანი წარმოება და **პირ-ვ-ელ** ფუძის წარმომავლობის საკითხი“ ისტორიულად და არა ძველი ქართული ენის დონისთვის გამოყოფს აგრეთვე ოდენ **-ელ** სუფიქსიანი მიმღეობებსაც (*გრძ-ელ-ი*, *ვრც-ელ-ი*, *ზრქ-ელ-ი*, *ნათ-ელ-ი*, *ფიცხ-ელ-ი*, *ფს-ელ-ი*, *ქს-ელ-ი*, *ღრუბ-ელ-ი*, *ყვ-ელ-ი*, *პირ-ვ-ელ-ი* და სხვ.). ამ ტიპის მიმღეობები, ძირითადად, ზედსართავი სახელის ფუნქციით გამოიყენება. ავტორის აზრით, ეს წარმოება საკმაოდ არქაულია და ქართულ-ზანური ერთიანობის ხანას უნდა განეკუთვნებოდეს, რასაც ადასტურებს **-ელ** სუფიქსიანი ქართული ფორმების კანონზომიერი შესატყვისების არსებობა მეგრულ-ლაზურში (სარჯველაძე, 2000, გვ. 10-17). როგორც ჩანს, ისტორიულად **-ელ**, **-ალ** სუფიქსები უფრო აქტიურად მონაწილეობდა როგორც საობიექტო, ისე სასუბიექტო მიმღეობების წარმოებაში. ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული ზოგიერთი ფორმის მიჩნევა, წარმოშობით, სასუბიექტო მიმღეობად და პრეფიქსული ელემენტის აღდგენა (*პირვ-ელ-ი* ← **მ-პირვ-ელ-ი* „წინ გამძლოლი“).³⁵ ძველი ქართული ენის დონეზე **-ელ** მხოლოდ ცირკუმფიქსის შემადგენლობაში გვევლინება მიმღეობის მანარმოებლად: *და-მ-სჯ-ელ-ი*, *სა-კურთხევ-ელ-ი*, *უ-ბან-ელ-ი...* ცირკუმფიქსის პრეფიქსული ნაწილის გარეშე მხოლოდ **-ილ** და **-ულ** სუფიქსები აწარმოებენ მიმღეობას, კერძოდ, წარსულდროიან საობიექტო მიმღეობას (ოსიძე, 1957, გვ. 191).

არნ. ჩიქობავა მონოგრაფიაში „სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში“ შენიშნავს, რომ მიმღეობათა წარმოებაში იშვიათად მო-

³⁵ ამ ფორმის ეტიმოლოგიისთვის ვრცლად იხ. სარჯველაძე, 2000, გვ. 16.

ნანილეობს **-ალ** სუფიქსი³⁶ (ჩიქობავა, 1942, გვ. 61). „**-ალ** სუფიქსის გამოყენების არე ძალზე შეზღუდულია უკვე ძველ ქართულში: *მო-მკ-ალ*, *სა-მკ-ალ*“ (ოსიძე, 1957, გვ. 192). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძველსა და ახალ ქართულ ენაში არ დასტურდება ოდენ **-არ**, **-ალ** (შესაძლოა **-ალ** ← **-არ** დისიმილაციურად) სუფიქსური წარმოების საობიექტო მიმღებობები, ისინი მხოლოდ სასუბიექტო და საობიექტო (ასევე, უარყოფითი: *უ-ქმ-არ-ი*, *უ-წმ-არ-ი...*) მიმღებობების მანარმოებელი ცირკუმფიქსების შემადგენელ სუფიქსურ კომპონენტად გვევლინებიან:

მ(ა)- -არ/ მ(ა)- -ალ:³⁷ *მ-ხატვ-არ-ი*,³⁸ *მ-თესვ-არ-ი*, *მ-ჩხრეკ-ალ-ი*, *მაცხოვ-არ-ი*, *წინა-მ-ძღუ-არ-ი*, *მ-რავ-ალ-ი* (← *მ-რევ-ალ-ი*)³⁹ ...

როგორც ცნობილია, უგვარო დინამიკური ზმნებიდან (ე.წ. უნიშნო ვნებითი) ოდენ სასუბიექტო მიმღებობა ინარმოება: *მო-მ-კუდ-არ-ი*, *გან-მ-ვმ-არ-ი*, *მო-მ-ყმ-არ-ი*, *და-მ-პ-ალ-ი...* (შანიძე, 1976, გვ. 138-139).

მ- -არ-ე/ მ- -ალ-ე: *მ-ცენ-არ-ე-ე*, *მ-ღვძ-არ-ე-ე*, *მ-ძინ-არ-ე-ე*, *(მ)-ბრწყინვ-ალ-ე-ე*, *მ-წუხ-არ-ე-ე*, *ელვ-არ-ე-ე* (← *მ-ელვ-არ-ე-ე*)... (შანიძე, 1976, გვ. 140).

ნა- -არ/ ნა- -ალ: *ნა-ქმ-არ-ი*, *ნა-წევ-არ-ი*, *ნა-ბოდვ-არ-ი*, *ნა-ბერწყ-ალ-ი/ ნა-ბერწყ-ალ-ი...*

სა- -არ/ სა- -ალ: *სა-ქმ-არ-ი*, *სა-წუკვ-არ-ი*, *სა-კუთ-არ-ი*, *სა-ვარცხ-ალ-ი*, *სა-მკ-ალ-ი...*

მ- -ალ:⁴⁰ *მ-ძევ-ალ-ი*, *მ-ხევ-ალ-ი*, *მ-ზახ-ალ-ი/ მ-ძახ-ალ-ი*, *კოდ-ალ-ა* (← *მ-კოდ-ალ-ი*)...

ვფიქრობთ, წარმოდგენილი მსჯელობის თანახმად, უფრო ლოგიკური იქნება, თუ *უფ-ალ-* მიმღებობის მასუბსტანტივებელ **-ალ** სუფიქსს მივიჩნევთ არა დამოუკიდებელ აფიქსად, არამედ ცირკუმფიქსის შემადგენელ ნაწილად, კერძოდ, ამ სიტყვის სემანტიკის გათვალისწინებით, სასუბიექტო მიმღებობის მანარმოებელი ცირკუმფიქსის სუფიქსურ კომპონენტად.

ცნობილია, რომ *მ/* იკარგება ანლაუტში ჩქამიერ თანხმოვანთა წინ (*მსხალი* → *სხალი*, *მშობელი* → *შობელი...*)⁴¹ ან თავისივე კლასის ხშულში გადადის (*მხალი* → *ფხალი*, *მსხალი* → *ფსხალი...*) (უთურგაიძე, 2009, გვ. 21). მართალია, **მ-**, როგორც მასუბსტანტივებელი ელემენტი, „*მორფოლოგიური სტრატუმის მოთხოვნით*“ ინარჩუნებს პოზიციას და ძნელად ექვემდებარება

³⁶ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება დისიმილაციის საფუძველზე მიღებული **-ალ** ← **-არ**.

³⁷ **-ალ** მიღებულია დისიმილაციის საფუძველზე.

³⁸ ხელობის აღმნიშვნელი მიმღებობები ამ მოდელით ინარმოება (შანიძე, 1976, გვ. 137).

³⁹ ალ. ჭინჭარაულის აზრით, *მ-რავ-ალ-ი* უნდა წარმოადგენდეს **რევ** ზმნის სასუბიექტო მიმღებობას, მიღებულს რეგრესული ასიმილაციით: *მ-რავ-ალ-ი* (← *მ-რევ-ალ-ი*) (ჭინჭარაული, 1980, გვ. 148-150).

⁴⁰ **-ალ** არაა დისიმილაციის საფუძველზე მიღებული.

⁴¹ იხ. აგრეთვე ტ. გუდავას მიერ მეგრულისთვის დადგენილი კანონზომიერება: „*ფუძის თავკიდურა პოზიციაში, სადაც ბავისმიერი + არაბავისმიერი ჩქამიერია, უნდა შეფასდეს, როგორც არაკანონიკური კომპლექსი*“ (გუდავა, 1979, გვ. 81).

იმ ფონოლოგიურ პროცესებს, რომლებშიც მონაწილეობენ მისი კლასის სხვა სონორები: ლ, ნ (უთურგაიძე, 2009, გვ. 20), მაგრამ ის ჩვენთვის საინტერესო მიმღებურ ფორმებშიც იკარგება: მ-დგ-არ-ი/ დგ-არ-ი (ზედადგარ-ი), მ-დინ-არ-ი/ დინ-არ-ი, მ-კბენ-არ-ი/ კბენ-არ-ი, მ-კვ-არ-ი/ კვ-არ-ი, მ-ფრთხ-ალ-ი/ ფრთხ-ალ-ი, მო-მ-ჩივ-არ-ი/ მო-ჩივ-არ-ი, მ-ჩინ-არ-ი/ ჩინ-არ-ი, მ-ცნობ-არ-ი/ ცნობ-არ-ი, მ-ყინვ-არ-ი/ ყინვ-არ-ი... (ფოჩხუა, 1967, გვ. 281-398). ძველ მნივ-ნობრულ ქართულში მ- პრეფიქსდაკარგული სასუბიექტო მიმღებობის რიცხვი დიდი არაა, თუმცა მაინც დასტურდება. სასუბიექტო მიმღებობის მანარ-მოებელი მ- პრეფიქსი იკარგება არა მარტო ლაბიალური თანხმოვნების ((მ)-მარხველ-ი, (მ)-ფრინველ-ი, (მ)-ბრწყინვალ-ე-ე (იმნაიშვილი, 1982, გვ. 31, 33), (მ)-მოსავ-ი (ძიძიშვილი, 1960, გვ. 105)), არამედ ჩქამიერი თანხმოვნების წინაც: ყუდ-რ-ო-ე (← მ-ყუდ-რ-ო-ე, ძირია ყუედ) (ძიძიშვილი, 1960, გვ. 105), ცხოვ-არ-ი⁴² (← *მ-ცხოვ-არ-ი,⁴³ შდრ.: მა-ცხოვ-არ-ი⁴⁴) (თოფურია, 1940, გვ. 47), ცხოვ-ელ-ი (← მ-ცხოვ-ელ-ი)... ვ. თოფურიას აზრით, ცხოვ-არ-ი ფორმის მსგავსად არის ნანარმოები ქმ-არ-ი ← *მ-ქმ-არ-ი, რომელშიც ზმნურ ძირს ნარმოადგენს ქამ//ქმ (თოფურია, 1940, გვ. 45).⁴⁵ მცხეთურ (XVIII ს. დამდეგი) და ბაქარის (1743 წ.) ბიბლიებში დავადასტურეთ საინტერესო ფორმა მ-ცოცხ-ლ-ი (← მ-ცოცხ-ალ-ი): და მას დღესა შინა გამოვიდეს წყალი მცოცხლი იწრუსალიმით [ზაქარია 4: 8 SB].

ჩვენი აზრით, რადგან უფალ- ფუძეს არ დაეძებნება კანონზომიერი შესატყვისები ქართველურ ენებში და მისი ფორმირებაც საკუთრივ ქართულ ენაში უნდა ივარაუდებოდეს, ასევე, მასუბსტანტივებელი -ალ უნდა ნარმოად-გენდეს არა დამოუკიდებელ აფიქსს, არამედ, სიტყვის სემანტიკიდან გამომ-დინარე, უფრო სასუბიექტო მიმღებობის მანარმოებელი ცირკუმფიქსის შე-მადგენელ სუფიქსურ კომპონენტს, შესაძლებელია აღვადგინოთ პრეფიქსული კომპონენტიც. თუ დავუშვებთ მ- -ალ ცირკუმფიქსით ნანარმოები *მ-უფ-ალ სასუბიექტო მიმღებობის არსებობას, ბილაბიალური /მ/-ს დაკარგვა ლაბიალი-

⁴² ცხოვ-არ-ი ფორმას არნ. ჩიქობავა მიმღებობად არ მიიჩნევს და არც მ- პრეფიქსის დაკარგვას ვარაუდობს (ჩიქობავა, 1942, გვ. 160-161).

⁴³ მ-სხოვ-არ → მ-ცხოვ-არ → ცხოვ-არ (გიგინიევილი, 1979, გვ. 52-61; შანიძე, 1980ა, გვ. 89-94).

⁴⁴ ა. შანიძე „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ მა-ცხოვ-არ ფორმას მიიჩნევს მოქ-მედებითი გვარის მიმღებობად და გამოყოფს მა- -არ ცირკუმფიქსს (შანიძე, 1976, გვ. 137).

⁴⁵ მკვლევარი, მ. ჯანაშვილის, პ. ჭარაიასა და ნ. მარის მოსაზრებებზე დაყრდნობით, მ-თ-არ ფორმაშიც გამოყოფს -თ- ზმნურ ძირსა (იგივე ძირია თოვს, თოვლში) და მ- -არ მიმღებობის მანარმოებელს და თავად სიტყვას ზა+მ-თ-არ-ი განიხილავს კომპოზიტად (სვან. ზაჲ „წელიწადი“), რომელიც ნიშნავს „წელიწადს მთოველს“. მეგრულში მ- -არ ცირკუმფიქსის კანონზომიერ ფონემურ-მორფოლოგიურ შესატყვისად ავტორი მიიჩ-ნევს (მ)- -ონჯ ცირკუმფიქსს: ზო-თ-ონჯ-ი (ზა-მ-თ-არ-ი), ქომ-ონჯ-ი ((მ)-ქმ-არ-ი) (თო-ფურია, 1940, გვ. 47).

ზებული /უ/ ხმოვნის წინა პოზიციით უნდა აიხსნას.⁴⁶ ჩვენი აზრით, ამ დაშვებას ხელს უნდა უშლიდეს ის გარემოება, რომ ძველ ქართულ ენაში /უ/ ხმოვნით დაწყებულ ზმნებთან სასუბიექტო მიმღეობის მანარმოებლად გვევლინება არა მ-, არამედ მა- პრეფიქსი:⁴⁷ მა-ურვებ-ელ-ი, მა-უც-არ-ი, მა-უცნებ-ელ-ი, მა-უნყებ-ელ-ი (სარჯველაძე, 2001, გვ. 116-117).⁴⁸ ამ შემთხვევაში კი ცირკუმფიქსის მა- პრეფიქსული კომპონენტის დაკარგვის ფონეტიკური საფუძველი არ არსებობს. თუ წარმოების ამავე მოდელს ვივარაუდებთ მწერლობამდელი ქართულისთვისაც, გაჭირდება უფალ- ლექსემის, წარმოშობით, სასუბიექტო მიმღეობის ფორმად მიჩნევა. ამდენად, კვლავ დაზუსტებას ითხოვს მიმღეობის პრეფიქსული კომპონენტის საკითხი.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებები უფალ- ლექსემაში უ- პრეფიქსის გამოყოფის შესაძლებლობის შესახებაც, რომელიც მიჩნეულია როგორც ძირს (უ+ფ-) შეხორცებულ ელემენტად (ჩიქობავა, 1942, გვ. 225), კერძოდ, აღმატებითი ხარისხის მანარმოებელ პრეფიქსად: *ჰ-უ-ფ-ალ (ჭინჭარაული, 2005, გვ. 12-13), ისე *ფალ-/ფლ- ზმნური ძირიდან მანარმოებელ უარყოფის დერივაციულ პრეფიქსად: უ-ფალ- (სოსელია, 2006, გვ. 62-63). ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ხერხდება უარყოფითობის უ- პრეფიქსისა და უფროობითი ხარისხის მანარმოებელი ცირკუმფიქსის საობიექტო ვერსიის უ- პრეფიქსთან იდენტიფიცირებული უ- ელემენტის დაკავშირება: უფროობითი ხარისხის ფორმაც უარყოფის სემანტიკას უკავშირდება, ოღონდ დადებითი კონოტაციით.⁴⁹

არნ. ჩიქობავას აზრით, „ს-უფ-ევ-ს, მე-უფ-ე, უფ-ალ- ერთი ძირიდან მანარმოები ჩანს; ესაა უფ- (რომელშიც შესაძლებელია -უ- ძირს შეხორცებული პრეფიქსი იყოს).

ს-უფ-ევ-ს ზმნაში ს- პრეფიქსი ისევეა შემონახული, როგორც შე-ი-ს-ყიდ-ა, გამო-ი-ს-ყიდ-ა-ში“ (ჩიქობავა, 1942, გვ. 225).

⁴⁶ /მ/ არ ავლენს დაკარგვის ტენდენციას /უ/ ხმოვნის წინ ერთი მორფემის ფარგლებში (მუნ, მუსრ-ვა-ა-ე, მუშა-ე, მუწლი-ი...)

⁴⁷ მა- (ზოგადად, CV სტრუქტურის) პრეფიქსი გვევლინება მანარმოებლად ხმოვნით დაწყებულ სხვა ზმნებთანაც: მა-ეჭუებ-ელ-ი, მა-იძულეებ-ელ-ი, მა-ოტებ-ელ-ი, მა-ოჭრებ-ელ-ი, მო-არ-ულ-ი, მო-ახ-ლე-ე... (სარჯველაძე, 2001); ახალ ქართულში: მა-ოკებ-ელ-ი, მა-ორკეცებ-ელ-ი, მა-ერთიანებ-ელ-ი, მა-ადვილებ-ელ-ი, მა-ავადებ-ელ-ი, მა-ამებ-ელ-ი, მა-არსებ-ელ-ი, მა-ახლოებ-ელ-ი... (გოგოლაშვილი და სხვ., 1991).

⁴⁸ ის. აგრეთვე ახალ ქართულში: მა-უთოებ-ელ-ი, მა-უმჯობესებ-ელ-ი, მა-უპატიურებ-ელ-ი, მა-უშნოებ-ელ-ი, მა-უძღურებ-ელ-ი (გოგოლაშვილი და სხვ., 1991, გვ. 234-237).

⁴⁹ შდრ.: მეგრ. ჩ-ე („თეთრი“): უ-ჩ-აში („უთეთრესი“) → უჩაში („უფროსი“); უ-ჩ-ა („არა-თეთრი“) → უჩა („შავი“). ჩ-ე („თეთრი“) ნეიტრალური ხარისხის ზედსართავი სახელია. უ-ჩ-აში უფროობითი ხარისხის ფორმაში უარყოფილია „თეთრი“, ის „თეთრი“ კი არა, მეტად თეთრია, უთეთრესია, ანუ „სითეთრის“ ნიშანი მეტი ხარისხითაა წარმოდგენილი“ (ქურდაძე და სხვ., 2022, გვ. 292). უ-ჩ-ა უარყოფით სახელშიც უარყოფილია „თეთრი“, ის „თეთრი“ კი არა, არათეთრია, შავია, მასში „სითეთრის“ ნიშანი ნაკლები ხარისხითაა წარმოდგენილი“ („მეგრულში „შავის“ სემანტიკის ჩამოყალიბება თეთრის კლებას უკავშირდება“ (ქურდაძე და სხვ., 2022, გვ. 292-293).

ალ. ჭინჭარაულს **უფალ**-ი ისეთივე აღმატებითი ხარისხის ფორმად მიაჩნია, როგორებიცაა: *უმეტე, უმსხო, უადვილე, უმაღლე, უმცრო, უმძიმე, უძნელე...* (ავტორი იზიარებს გ. მაჭავარიანის მოსაზრებას შედარებითი ხარისხის ფორმათა ზმნური წარმომავლობის შესახებ, რის გამოც თავიდან ისინი არ საჭიროებდნენ ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს (მაჭავარიანი, 1958)). ავტორის აზრით, ამოსავალში უნდა გვექონოდა ***ჰ-უ-ფ-ალ** („უზენაესი მფლობელი, მფარველი, მეუფე“), რომელშიც აღმატებითი ხარისხის **უ-** ძირს შეხორცებია (ჭინჭარაული, 2005, გვ. 12-13).⁵⁰ ჩვენი აზრით, **უ-**ს ძირთან შეხორცებისა და ისტორიულად ცალთანხმოვნის C სტრუქტურის ძირის არსებობის დაშვება სავსებით მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ VC სტრუქტურის ზმნური ძირი იმდენად არაა დამახასიათებელი ქართულისთვის,⁵¹ ამასთანავე, „ჩვენ არ ვიცით ხმოვნით დაწყებული არცერთი ზმნური ძირი საერთო-ქართველური სიძველისა“ (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 316).⁵² წარმოდგენილი მოსაზრება თავისთავად საინტერესოა, თუმცა ცნობილია, რომ ხარისხის ფორმებს ახასიათებს ცირკუმფიქსიანი (**ჰ-უ-დიდ-ე, ჰ-უ-ფრ-ო...**) წარმოება და არა ოდენ პრეფიქსული. სამწუხაროდ, ავტორი არაფერს გვეუბნება ცირკუმფიქსის სუფიქსური კომპონენტის არქონის შესახებ (იხ. აგრეთვე სოსელია, 2006, გვ. 62), რაც ართულებს აღნიშნული მოსაზრების გაზიარებას.⁵³ არაფერია ნათქვამი **-ალ** სუფიქსის ფუნქციაზეც, რომელიც ზმნური ძირის მასუბსტანტივებელი, მიმღობის მანარმოებელი სუფიქსია და დაზუსტებას ითხოვს აღმატებითი ხარისხის, წარმოშობით, ზმნურ ფორმაში მისი ფუნქცია.⁵⁴

⁵⁰ ავტორის აზრით, ანლაუტის ჰ → ს, რომელიც ჩანს **ს-უ-ფ-ევ-ს** ზმნაში (ჭინჭარაული, 2005, გვ. 13).

⁵¹ თუმცა უიშვიათესად დასტურდება: **უბ** (**უბ-ნ-ობ-ს, ნა-უბ-არ-ი**), **ურ** (**ა-ურ-ვ-ებ, ურ-ვა-ა**), **ოტ** (**გან-ი-ოტ-ნ-ეს, გან-ოტ-ებ-ულ-ი**), **ოც** (**სა-ოც-არ-ი// სა-უც-არ-ი (ძვ. ქ.), გან-ოც-ებ-ულ-ი**).

⁵² საუბარია VC სტრუქტურის ძირზე. შდრ.: **არ-ს** ზმნა, რომელშიც ცალთანხმოვნიან ძირსა და ხმოვან პრეფიქსს გამოყოფენ და არა VC სტრუქტურისას: ქართ. **ვა-რ**, მეგრ. **ვ-ო-რ-ე-ქ**, ლაზ. **ვ-ო-რ-ე**, სვან. **ხუ-წ-რ-ი**.

⁵³ დაზუსტებას ითხოვს ავტორის მსჯელობა ძირის თაობაზეც, როცა აღნიშნავს: „... განხილულ სიტყვაში ძირია **-ფ-: ფ-ალ**“; „შდრ. აგრეთვე **ფ-ალ** ძირის ფონეტიკური ვარიანტიდან ნაწარმოები უფროსი (← ***უ-ფ-არ-ო-ის-ი**)“ (ჭინჭარაული, 2005, გვ. 12-13).

⁵⁴ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ რიგი უძველესი ზედსართავი სახელებისა ხარისხის ფორმათა წარმოებისას არ დაირთავდა მასუბსტანტივებელ// დეტერმინანტ -ელ და -ილ სუფიქსებს: **გრძ-ელ-ი – უ-გრძ-ე-ს-ი, მო-გრძ-ო; ტკბ-ილ-ი – უ-ტკბ-ე-ს-ი, მო-ტკბ-ო; კეთ-ილ-ი – უ-კეთ-ე-ს-ი...** ამ უკანასკნელის თაობაზე მსჯელობისას გ. როგავა შენიშნავს, რომ „დეტერმინანტი სუფიქსი ამ ფუძეს ზედსართავად გამოყოფის შემდეგ უნდა ჰქონდეს დართული: **კეთ-ილ-ი**. ზედსართავის ე.წ. დადებითი ფორმები (დეტერმინანტიანები) უფრო გვიანდელი წარმონაქმნი ჩანს, ისევე როგორც შედარებით უფრო გვიანდელი წარმოებაა **ზმნის მასდარისა და მიმღობის ფორმები**“ (ხაზი ჩვენია – ლ.ც.) (როგავა, 1958, გვ. 108). აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება დავუშვათ, რომ აღმატებითი ხარისხის ფორმაში უნდა მომხდარიყო ხარისხის მანარმოებელი **უ-** პრეფიქსის შერწყმა **ფ-** ძირთან, მასუბსტანტივებელი **-ალ**

უფალ- ფუძეს **ფალ-/ფლ-** ძირთან („ფლობა“) აკავშირებდნენ კ. ჰ. შმიდტი (1962, გვ. 124) და შემდეგ თ. გამყრელიძე და გ. მაჭავარიანი (1965, გვ. 321). აღნიშნული დაკავშირება გაიზიარა ე. სოსელიამ, რომელმაც **ფლ-** („ფლობა“) ძირის **ფალ-/ფლ-** („დაფლვა“) ძირთან დაკავშირებით უხმოვნო ძირისთვის (**ფლ-ობ-ს, უ-ფლ-ი-ე-ს...**) ივარაუდა **ფალ-** გახმოვანების ნორმალურსაფეხურიანი ალომორფი, რომელიც წარმოდგენილია **უფალ-** ფუძეში. თუ წინამორბედი მკვლევრები არ აზუსტებდნენ აღნიშნულ ფორმაში **უ-** ელემენტის ფუნქციას, ე. სოსელიამ იგი **უარყოფის დერივაციულ პრეფიქსად** მიიჩნია, რომელიც დასტურდება ოდენ პრეფიქსული წარმოების ფორმებშიც: **უ-მწყ-ი, უ-რჩ-ი, უ-შრეტ-ი, უ-შვერ-ი, უ-ლევ-ი...** (სოსელია, 2006, გვ. 62-63). როგორც ვხედავთ, **უ-ფალ-** ფორმა, მნიშვნელობით: „რისი (ვისი) ფლობაც შეუძლებელია, რაც (ვინც) მიუწვდომელი და დაუფლვებელია“ (სოსელია, 2006, გვ. 62), მიჩნეულია **უარყოფით მიმღებად**. თავად ავტორი ამ ტერმინს არ იყენებს, მაგრამ **უ+ფალ-** მოდელი სტრუქტურულად უარყოფით მიმღებობას იძლევა. უყოლობა-უქონლობის დერივაციებს ახასიათებს ცირკუმფიქსიანი წარმოება, თანაც სახელურ ფუძეთაგან, მაგ., **უ-უფლო** [იერ. 2: 31 OJSB].

ეს დაკავშირება ნამდვილად ანგარიშგასაწევია, თუმცა გასათვალისწინებელია შემდეგი: 1. უარყოფითი მიმღებობის მანარმოებელი **უ-** პრეფიქსი, წესით, არ უნდა ჩანდეს ამ ზმნური ძირიდან ნანარმოებ სახელზმნურ ფორმებში (სხვა ტიპის მიმღებობებსა და მასდარში, მაგ.: **ფლ-ობ-ა, ფლ-ობ-ილ-ი, სა-ფლ-ობ-ი**; 2. **ფალ-** ძირი სრული ან შეკუმშული სახით, კერძოდ, ძირისეული **ალ** (→ **ლ**), ასევე, უნდა ჩანდეს სახელზმნურ ფორმებში. აღნიშნულის მიუხედავად, გვაქვს ფორმები, რომლებშიც, პირუკუ, **უ-** ელემენტი დასტურდება, მაგრამ არ ჩანს ძირისეული **ალ** (→ **ლ**): **ს-უფ-ევ-ს, ს-უფ-ევ-ა-ე, სა-ს-უფ-ევ-ელ-ი**,⁵⁵ **მე-უფ-ე-ე → მე-ფ-ე-ე, მე-უფ-ებ-ა-ე**. შესაძლოა **უ-**ც არ იყოს წარმოდგენილი: **სე-ფ-ე-ე, სე-ფ-ე-კაც-ი, სე-ფ-ე-ქალ-ი, სე-ფ-ე-წულ-ი, სე-ფ-ობ-ა-ე, სე-ფ-ის-კუერ-ი, სე-ფ-ის-ლ-ებ-ა-ე, სე-ფ-ის-ც-ემ-ა-ე...** ამ შემთხვევაში გაჭირდება **ფალ-** მივიჩნიოთ ზმნურ ძირად.

ე. სოსელია შენიშნავს, რომ სემანტიკური ცვლილების საფუძველზე („ის, რისი (ვისი) ფლობაც შეუძლებელია, თავად არის ყველაფრის მფლობელი“, „უზენაესი მფლობელი“, შემდგომ – ზოგადად, „მფლობელი“), დადებითი კონოტაციის მქონე ფორმაში „**უ- პრეფიქსმა დაკარგა უარყოფითი სემანტიკა**

სუფიქსი კი უკვე ხარისხის მიხედვით ნეიტრალურ **უფ-** ძირს უნდა დართვოდა, სხვაგვარად, ისეთივე მიმართება უნდა გვქონოდა ხარისხის ზმნურ და მიმღებურ ფორმებს შორის, როგორიც ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში (**უ-ტკბ-ე-ს-ი – ტკბ-ილ-ი, უ-გრძ-ე-ს-ი – გრძ-ელ-ი...** (იმ განსხვავებით, რომ ამ მაგალითებში არ ხდება **უ-** პრეფიქსის ძირთან შერწყმა)). ამგვარი ინტერპრეტაციით, მართალია, ახსნა ეძებნება აღმატებით ხარისხის მანარმოებელი ცირკუმფიქსის სუფიქსური ნაწილის უქონლობას, მაგრამ, ჩვენი აზრით, **კვლავ დაზუსტებას ითხოვს უფ-ალ- მიმღებობის ტიპი**.

⁵⁵ **ს-ოფ-ელ-ი** ← ***სა-უფ-ელ-ი**. ძველ ქართულში „**აუ/ კომპლექსი იძლევა /ო/-ს: დედოფალი** ← **დედაუფალი**“ (სარჯველაძე, 1997, გვ. 24).

და იგი თითქოს ძირის კუთვნილება ვახდა. ამ სემანტიკით მოცემული ფუძიდან მოგვიანებით ნაწარმოები იქნა ზმნა ე-უფლ-ებ-ა (შდრ. უ-რჩ-ი, საპირისპირო მო-რჩ-ილ ფუძისა, – ე-ურჩ-ებ-ა) და სახელი უფლ-ება“ (სოსელია, 2006, გვ. 63).

უფალ-, წარმოშობით, ნამდვილად შესაძლებელია გავიაზროთ უარყოფით მიმღეობად, ოღონდ, ჩვენი აზრით, ამოსავლად უნდა მივიჩნიოთ არა ფალ- (უ-ფალ-), არამედ ფ- ცალთანხმოვნიანი ზმნური ძირი (უ-ფ-ალ-, მნიშვნელობით: უბატონო, ვისი ფლობაც შეუძლებელია). სემანტიკური ცვლილების შედეგად, უკვე დადებითი კონოტაციის მქონე ფორმაში უნდა მომხდარიყო უარყოფის დერივაციული უ- პრეფიქსის ძირთან შერწყმა (უფ-ალ-, მნიშვნელობით: ბატონი, მფლობელი).⁵⁶ უ+ფ- პროცესი ისევ ზმნურ ძირს იძლევა, რომლისგანაც ხერხდება სხვა სახელზმნური ფორმების წარმოება, უ+ფალ- კი – სუბსტანტივს (ამიტომ უ- პრეფიქსის ფალ- ზმნურ ძირთან შერწყმაზე საუბარი გაჭირდება. უ- სახელური ფუძის კუთვნილებაა, კერძოდ, უარყოფითი მიმღეობისა), რომლისგანაც ისევე, როგორც სხვა სუბსტანტივებისგან, რა თქმა უნდა, ხერხდება ნასახელარი ზმნების, სახელზმნური ფორმებისა და დერივაციებისა თუ კომპოზიტების წარმოება:⁵⁷ ე-უფლ-ებ-ა, უფლ-ებ-ა, უფალ-ა-ე, უფლება-მ/ უფლობა-ე, უფლებულ-ი, უფლებულება-მ/ უფლებულობა-ე, უფალ-ყოფა-ე, უფლისამიერ-ი, უფლისმოყუარე-ე, უფლისწულ-ი, დედუფალ-ი/დედოფალ-ი/დეუფალ-ი/დეოფალ-ი/დიოფალ-ი, დედოფალ-ყოფა-ე, დედოფლება-მ/ დედოფლობა-ე, მამფალ-ი (← *მამაუფალ-ი), თავისუფალ-ი, თავისუფალ-ყოფა-ე, თავისუფლობით, საუფლებელ-ი, საუფლისწულო-ე, საუფლოობა-ე (სარჯველაძე, 2001); უფალთუფალ-ი, უფალთმთავარ-ი, უფალთმსაჯულ-ი, ხელისუფალ-ი, ხელთუფალ-ი, ხევისუფალ-ი, ჭირისუფალ-ი... (საშ. ქართ.).

ამრიგად, თუ უფ- ზმნურ ძირს მივიჩნევთ C სტრუქტურის ფ- ზმნურ ძირზე უ- პრეფიქსის შერწყმის შედეგად მიღებულად (უ+ფ-), ისტორიულად რა ფუნქციაც უნდა ჰქონოდა მას – უფროობითი ხარისხის თუ უარყოფითი სახელის წარმოებისა⁵⁸ – ორივე შემთხვევაში ძველი ქართულის უფ-ალ- ფორ-

⁵⁶ როგორც ცნობილია, უარყოფა-უქონლობის სახელებში დადასტურებული უ- პრეფიქსი (უ- < ვე- < *უე- (გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 323)) საერთოქართველური აფიქსია. უფრო არქაულადაა მიჩნეული უარყოფით სახელთა წარმოების ოდენ პრეფიქსული მოდელი, რომელიც თანდათან ცირკუმფიქსიანმა ჩაანაცვლა. ეს ეხება როგორც სახელურ, ისე ზმნურ ფუძეთაგან ნაწარმოებ დერივაციებს: უ-შიშ-ი → უ-შიშ-არ-ი, უ-წერ-ი → და-უ-წერ-ელ-ი, უ-ტეხ-ი → გა-უ-ტეხ-ელ-ი, უ-ჩინ-ი → უ-ჩინ-არ-ი... (ჩიქო-ბავა, 1982, გვ. 8; ქურდაძე და სხვ., 2022, გვ. 63). აღნიშნულიდან გამომდინარე, თეორიულად არ არის გამორიცხული, ფ- ზმნურ ძირთან უ- პრეფიქსის არსებობა მასუბსტანტივებელი, მიმღეობის მანარმოებელი -ალ სუფიქსის დართვამდეც ვივარაუდოთ (*უ-ფ- → უფ-ალ-).

⁵⁷ ასეთი ფორმები უფალ- ლექსემის წარმომავლობის კვლევისთვის ნაკლებმნიშვნელოვანია.

⁵⁸ ორივე ფუნქციის ერთ ფუნქციამდე დაყვანა ხერხდება, როგორც სათანადო ადგილას მივუთითეთ.

მაში ივარაუდება -**ალ** მასუბსტანტივებელი სუფიქსის არსებობა ხარისხის მიხედვით ნეიტრალურ (პირველი შემთხვევისთვის) ან დადებითი კონოტაციის (მეორე შემთხვევისთვის) **უფ-** ზმნურ ძირთან, რომელშიც **ნეიტრალიზებულია უ- პრეფიქსის ამოსავალი ფუნქცია**. გაცილებით ნაკლები დაბრკოლება იჩენს თავს და, როგორც აღვნიშნეთ, ამ ეტაპზე უფრო მისაღებად გვეჩვენება **უფალ-** ლექსემის მიჩნევა, ნარმოშობით, C სტრუქტურის **ფ-** ზმნური ძირის მქონე უარყოფით მიმღებად (**უ-ფ-ალ-**), რომელშიც, სემანტიკური ცვლილების შედეგად, უკვე დადებითი კონოტაციის მქონე ფორმაში, უნდა მომხდარიყო უარყოფით სახელთა სადერივაციო **უ-** პრეფიქსის ძირთან შერწყმა (**უფ-ალ-**). **უფალ-**ი სიტყვის ეტიმოლოგიის ამგვარი გააზრებით მიმღებობის მანარმოებელი ცირკუმფიქსის პრეფიქსული კომპონენტის საკითხიც ზუსტდება და სხვა პრეფიქსის აღდგენის საჭიროებაც იხსნება. **მა-ფ-ა** (მეგრ.), **მა-ფ-ა-ჩკარ-ი** (ლაზ.) ტიპის ფორმები ჩვენთვის საინტერესო ძირის არქაული, C სტრუქტურის ამსახველად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან **უფალ-** ლექსემის ფორმირება საკუთრივ ქართულ ენაში უნდა ივარაუდებოდეს. **უფ-** ძირის ნარმომავლობის ამგვარი ინტერპრეტაციით იხსნება აგრეთვე ქართულისთვის არატიპური VC სტრუქტურის ზმნური ძირის არსებობაც.

ლიტერატურა:

- აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი: „მეცნიერება“.
- ავეტიკიანი, გ., სურმელიანი, ხ., აუგერიანი, მ. (1836). Հայր Գաբրիէ Աւետիքեան, Հայր Խաչատուր Միսրմէլեան, Հայր Մկրտիչ Ազգեղեան. *Նոր բառգիրք հայկազնան լեզուի*. Վենետիկ: Տպարան ի Սրբոյն Ղազարու.
- აჭარიანი, ჰ. (1926). Անտեսն Հրաչեսայ. Հայերէն արմատական բառարան. Թիւ 4. Երեսն: Երեսնի Համալսարանի Հրատարակչութիւն.
- ბიბლია (2017). ძველი აღთქმა, I-II, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.
- ბუკია, მ. (2016). ჩერქეზულ-ქართული ენობრივი შეხვედრები, თბილისი.
- გამყრელიძე, თ., მაჭავარიანი, გ. (1965). სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბილისი: „მეცნიერება“.
- გიგინეიშვილი, ბ. (1979). ცხვრის აღმნიშვნელი უძველესი ქართული სიტყვა, საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გივი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლის-თავზე, 52-61, თბილისი: „მეცნიერება“.
- გიგინეიშვილი, ბ. (2016). ქართული ენის ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონი (ა - მ), გამოსაცემად მოამზადეს თ. გიგინეიშვილმა და ი. ალასანიამ, თბილისი.
- გიორგობიანი, თ. (2019). ძველბერძნულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი: „ლოგოსი“.
- გოგოლაშვილი გ., კვანტალიანი ც., შენგელია დ. (1991). ქართული ენის სახელზმნური ფუძეების ლექსიკონი, თბილისი: „მეცნიერება“.

- გუდავა, ტ. (1979). ბაგისმიერი თანხმონები ჩქამიერთა წინ მეგრულში, საენათმეცნიერო კრებული, ეძღვნება გივი მაჭავარიანის ხსოვნას დაბადების 50 წლისთავზე, 81-87, თბილისი: „მეცნიერება“.
- დანელია, კ. (1998). კალკური კომპოზიტები ძველ ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, I, 76-93, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- დანელია, კ. (1998 ა). ებრაული ლექსიკა ბიბლიურ წიგნთა ქართულ ვერსიებში, I, 126-161, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- დეეტერსი, გ. (1926). Deeters, G. Armenisch und Südkaukasisch. Ein Beitrag zur frage der Sprachmischung. “Caucasica“, III. Leipzig.
- დოლიძე, ი. (1963). ქართული სამართლის ძეგლები, I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ვეისმანი, ა. დ. (1991). Вейсман, А. Д. Греческо-Русский Словарь. Репринт V-го издания 1899 г. Москва.
- თავაური, გ. (2017). „ღმერთი“ სიტყვის ფორმოზრივ-სემანტიკური ველი დროსა და სივრცეში, თბილისი: „მუსფონდი“.
- თოფურია, ვ. (1940). ქართველურ ენათა სიტყვანარმოებიდან, III, -ენ, მ- -არ, სე-, -აქა აფიქსებისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XV, 41-51, თბილისი: სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბა.
- იმნაიშვილი, ი. (1982). ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნაწ. II, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კაზარიანი რ. ს., ავესტიანი ჰ. მ. (1992). Ղազարյան Ռ. Ս., Ավեստիայան Հ. Մ. Միջին հայե-րանի բառարան, Հ. 2, Երևան: Երևանի համալսարանի Հրատ.
- კლიმოვი, გ. (1963). Климов, Г. А. О лексике осетинского происхождения в сванском языке, 180-186. Этимология. Москва: Издательство Академии наук СССР.
- კლიმოვი, გ. (1964). Климов, Г. А. Этимологический Словарь Картвелских Языков. Москва: Издательство Академии наук СССР.
- მაჭავარიანი, გ. (1958). შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 71, 119-129, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ორბელიანი ს.ს. (1965). ლექსიკონი ქართული, თხზულებანი, IV₁, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა ილია აბულაძემ, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ოსიძე, ე. (1957). მიმღობის წარმოება ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 67, 187-215, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- პეტროზილო, პ. (2011). ქრისტიანობის ლექსიკონი, იტალიურიდან თარგმნა მ. სააკა-შვილმა, რედ. მ. ლაღანიძე, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სასწ. უნივერსიტეტის გამოცემა.
- როგავა, გ. (1956) – Рогова, Г. В., К вопросу о структуре именных основ и категориях грамматических классов в Адыгский (Черкесских) языках. Тбилиси.
- როგავა, გ. (1958). ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, IX-X, 99-109, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

- სარჯველაძე, ზ. (1995). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სარჯველაძე, ზ. (1997). ძველი ქართული ენა, თბილისი: თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სარჯველაძე, ზ. (2000). მიმღობათა ოდენ -ელ სუფიქსიანი წარმოება და პირ-ვ-ელ ფუძის წარმომავლობის საკითხი, ენათმეცნიერების საკითხები, 3, 10-17, თბილისი: თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სარჯველაძე, ზ. (2001). ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- სოსელია, ე. (2006). *ფალ-/ფლ- ძირის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, 59-64, თბილისი: „უნივერსალი“.
- უთურგაძე, თ. (2009). ქართული ენის დონეთა ძირითადი მახასიათებლების ურთიერთზემოქმედებისათვის გლობალურ ენობრივ სისტემაში, თბილისი: „მერიდიანი“.
- ფენრიხი, ჰ., სარჯველაძე, ზ. (2000). ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ფოჩხუა, ბ. (1967). ინვერსიული ლექსიკონი, საფუძვლად უდევს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით), შედგენილია ბიძ. ფოჩხუას ხელმძღვანელობით, რედაქტორები: ბიძ. ფოჩხუა, მიხ. ჭაბაშვილი, თბილისი: „მეცნიერება“.
- ფრიბერგი, ტ., ფრიბერგი, ბ., მილერი, ნ. ფ. (2005). Friberg, T., Friberg, B., Miller N. F. Analytical Lexicon of the Greek New Testament. Canada: Trafford Publishing.
- ქეგლ (1950). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I, პირველი ტომის რედაქტორი პროფ. არნ. ჩიქობავა, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ქეგლ (1960). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, VI, ტომის რედაქტორები: თ. შარაძენიძე, მ. მესხიშვილი, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ქსე (1984). ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, მთ. რედ. ი. აბაშიძე, 7, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ქურდაძე, რ., შონია, დ., თანდილავა, ლ., ნიჟარაძე, ლ. (2015). ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი რ. ქურდაძე, თბილისი: „პეტიტი“.
- ქურდაძე, რ., ლომია, მ., მარგიანი, ქ., ჭუმბურიძე, ნ. (2022). უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში, თბილისი: „უნივერსალი“.
- ლლონტი, მ. (2010). უფალ-ის და ღმერთ-ის ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი ქართულში, ეტიმოლოგიური ძიებანი, VII, 40-65, თბილისი: „დედაენა“.
- შანიძე, ა. (1976). ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შანიძე, ა. (1980). ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- შანიძე, ა. (1980ა). ლექსიკოლოგიური შენიშვნები (მსხოვარი, მემცხვარე), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 89-94, თბილისი: „მეცნიერება“.
- შილაკაძე, ი. (1975). ძველი სომხური ენის გრამატიკა ქრესტომათითა და ლექსიკონით, მეორე შევსებული გამოცემა, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- შიმდტი, კ. ჰ. (1962). Schmidt, K.H. Studien zur Rekonstruktion des Lautstandes der südkaukasischen Grundsprache, Weisbaden.
- ჩიქობავა, არნ. (1942). სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩიქობავა, არნ. (1982). საყრდენი ფუძის ცვლისათვის ქართული ენის უპრეფიქსო მიმდებარის უარყოფით ფორმებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXXVIII სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბილისი.
- ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- ძიძიშვილი, მ. (1960). ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჭინჭარაული, ა. (1980). ეტიმოლოგიური შენიშვნები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXII, 148-150, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჭინჭარაული, ა. (2005). სიტყვა *ღმერთი*-ს წარმომავლობისათვის, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 8, 8-19, ქუთაისი: „ინტელექტი“.
- ჭინჭარაული, ა. (2005). ხვესურული ლექსიკონი, თბილისი: „ქართული ენა“.
- ჭუმბურიძე, ზ., ნიჟარაძე, ლ., ქურდაძე, რ. (2007). სვანური ენა, თბილისი: „პეტიტი“.
- ჯანაშია, ს. (1942). სვანურ-ადილური (ჩერქეზული) ენობრივი შეხვედრები (ქართველურ-ადილური პარალელები, I), ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის (ენიმკის) მოამბე, 12, 249-278, თბილისი: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- პოვანისიანი, ლ. (2010). Հովհաննիսյան Լավրենտի. Գրաբարի բառարան. Երևան: ԷդիթՊրինտ.

ინტერნეტრესურსები:

- ამირეჯიბი, ჭ. (1974). დათა თუთაშხია. ქართული ენის ეროვნული კორპუსი. <http://gnc.gov.ge> (ბოლო წვდომა: 21. 04. 2024).
- კორპუსი „ტიტუსი“. <https://titus.uni-frankfurt.de/> (ბოლო წვდომა: 21. 04. 2024).
- სომხური ბიბლიის 1895 წლის გამოცემის ელექტრონული ანოტირებული ვერსია. https://arak29.org/bible/book/tGen_1.htm (ბოლო წვდომა: 21. 04. 2024).
- ძველი აღთქმის ქართული ვერსიების კრიტიკული გამოცემის ელექტრონული ვერსია. <http://www.bible.ge/Manuscript/2win.htm> (ბოლო წვდომა: 21. 04. 2024).

პირობითი აღნიშვნები და შემოკლებათა განმარტება:

- ათონ. საალაპე – მეტრეველი, ე. (1998). ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბილისი: „სკოლა“.

- ბახტრ. – „ბახტრიონი“. ვაჟა-ფშაველა, (1993). თხზულებანი ხუთ ტომად, III, თბილისი: „საქართველო“.
- დიდი სჯულ. – გაბიძაშვილი, ე. (1975). დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს: ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, რედაქტორი: ე. გაბიძაშვილი, თბილისი: „მეცნიერება“.
- ვეფხ. – შანიძე, ა., ბარამიძე, ა. (1966). ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებით და ლექსიკონებითურთ ორ ტომად, I, ტექსტი და ვარიანტები, თბილისი: „მეცნიერება“.
- კლემ. – სინელი, ი. (1902). ღირსისა მამისა ჩუენისა იოანე სინა-მთის მამასახლისისა კლემექსი, რომელ არს კიბე, გამოცემული ათონის წმიდის მთის ახალ-ქართველთ წმიდის იოანეს ღვთის-მეტყველის საგანისა. ფოთი.
- სინ. მრავ. – შანიძე, ა. (1959). სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 5, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- უძვ. იადგ. – მეტრეველი, ე., ჭანკიევი, ც., ხევსურიანი, ლ. (1980). უძველესი იადგარი, თბილისი: „მეცნიერება“.
- ქეთელ. – „ალუდა ქეთელაური“. ვაჟა-ფშაველა, (1992). თხზულებანი ხუთ ტომად, II, თბილისი: „საქართველო“.
- შატბ. კრებ. – გიგინეიშვილი, ბ., გიუნაშვილი, ე. (1979). შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი: „მეცნიერება“.
- ხანძთ. – „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. აბულაძე, ი. (1964). ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბილისი: „მეცნიერება“.

A H 1207 (XVIII ს.)

B A 455 (ბაქარის ნაბეჭდი ბიბლია, 1743 წ.)

C A 179 (1669 წ.)

G გელათის კატენებიანი ბიბლია. ჩვენამდე მოღწეულია ორი ხელნაწერით: A 1108 ავტოგრაფული ნუსხითა და Q 1152 მისი ასლით.

Gb A 1108 (XII ს.)

Ga Q 1152 (XII-XIII სს.)

J Jer. Geo. 7/11 (იერუსალიმის ბიბლია, XI ს.)

K ქუთ. #28 (1681 წ.)

O Ivir. Geo. #1 (ოშკის ბიბლია, 978 წ.)

S A 51 (მცხეთური ანუ საბას ბიბლია, XVII-XVIII სს.)

W S 1349 (XVIII ს.)

ანა ხარანაული
Anna Kharanauli

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

**სიდიდისა და სიმრავლის მნიშვნელობის სეგმენტებით შედგენილი
კომპოზიტების გადმოტანა ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში**

**Rendering the Compound Words Formed by Segments Denoting Size and
Quantity in the Georgian Translations of the Old Testament**

საკვანძო სიტყვები: სეპტუაგინტას თარგმანები, თარგმანის ტექნიკა, ბიბლიის
ლექსიკა, ძველი ქართული ენა, კომპოზიტები.

Keywords: Daughterversions of the Bible, Translation technique, Vocabulary of the Bible, Old
Georgian Language, Compound Words.

Identifying compound words within old Georgian texts, and distinguishing them from attributive constructions, proves to be a challenging task. This challenge stems from the distinctive feature of the Georgian language, where the initial element retains markers of its syntactic function. Consequently, for readers of Asomatavruli manuscripts, their scribes, and modern publishers, the differentiation between a composite structure and two discrete elements within a sentence may not always be evident.

Another issue in the discourse on the grammar of the old Georgian language lies in the delineation and distinction between indigenous Georgian composites and those borrowed or adapted from other languages, particularly Greek. While it is commonly presumed that identifying compound words in translation might be more straightforward – using the presence of a composite structure in the Greek source text as a criterion – it is also acknowledged that notwithstanding formal-semantic parallels between Georgian and Greek composites, the former may arise independently from the latter.

The main goal of this paper is to explore Georgian composites related to size and quantity to determine how much they are influenced by Greek composites, either in meaning or structure. Furthermore, it seeks to investigate the influence of the translator's approach to translation on the creation/usage of Georgian compound words.

ცნობილია, რომ ბერძნული ენა უაღრესად მდიდარია კომპოზიტებით (Kühner, 311). ბერძნული კომპოზიტის შედგენილობა მრავალფეროვანია: სიტყვა შეიძლება შეითხზას მეტყველების სხვადასხვა ნაწილისგან: ფორმაცვალებადისგან (არსებითი, ზედსართავი და რიცხვითი სახელები, ზმნა და მიმღობა) და ფორმაუცვლელისგანაც (ზმნიზედა, უარყოფითი ნაწილაკი, პრეფიქსი). კომპოზიტის წევრები შეიძლება სხვადასხვა მიმართებას ამყარებენ ერთმანეთთან და სხვადასხვა რიგით - პრეპოზიციურად ან პოსტპოზიციურად - შეიძლება იყვნენ განწყობილები. თუმცა, სეგმენტთა რიგი კომპოზიტში გარკვეულ შეზღუდვებს მაინც ექვემდებარება: ზოგადად, მსაზღვრელის პრეპოზიცია აშკარად გამოკვეთილი ტენდენციაა ბერძნულში, ხოლო რიცხვითი სახელები, ასევე ზმნიზედები, პრეფიქსები, ნაწილაკები ყოველთვის პირველ სეგმენტს წარმოადგენენ კომპოზიტისა.

ამავე დროს, შედარებით მარტივია ბერძნული კომპოზიტების შეკავშირების ფორმები: კომპოზიტის პირველი წევრი გაუფორმებელი ფუძით არის წარმოდგენილი. ფუძეების შეერთებისას გარკვეულ შემთხვევებში ფონეტიკურად მოტივირებული ცვლილებები ხდება: სეგმენტებს შორის ჩნდება თანხმოვანთგამყარი ხმოვანი ანდა ადგილი აქვს ჰიატუსს - კომპოზიტის პირველი წევრის ფუძის ბოლო და მეორე წევრის ფუძის პირველი ხმოვნის შერწყმას.

კომპოზიციის ყველა მოდელი, რომელიც ვახსენე ბერძნულ ენასთან დაკავშირებით, გვაქვს ძველ ქართულშიც: ქართულშიც, ისევე როგორც ბერძნულში, კომპოზიტის შემადგენლობაში შეიძლება შევიდეს სახელებიც (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი), ზმნები (მისი პირიანი და უპირო ფორმები) და ფორმაუცვლელი სიტყვები (პრეფიქსები, ზმნიზედები). თუმცა, ბერძნულისაგან განსხვავე-

ბით, ქართულში კომპოზიციის პირველი ნაწილის დაბოლოება მოკვეცილია მხოლოდ ორარსებითიან (თესლ-ტომი) ან ფუძეგაორმაგებულ (დიდ-დიდი) კომპოზიტებში. სხვა შემთხვევაში კი სინტაქსური მიმართებების აღმნიშვნელი ბრუნვის ნიშნები შენარჩუნებულია. შესაბამისად, კომპოზიციის პირველი წევრი პრაქტიკულად ყველა ბრუნვის (წოდებითის გარდა) და ორივე რიცხვის ფორმით შეიძლება იყოს წარმოდგენილი. ქართული კომპოზიტები უმთავრესად შერწყმულ მსაზღვრელ-საზღვრულს წარმოადგენს (როგორც მართულს, ისე შეთანხმებულს). ამდენად, კომპოზიციის წევრთა მიმდევრობა, ისევე, როგორც ჩვეულებრივი მსაზღვრელ-საზღვრულისა, პოსტპოზიციურიც შეიძლება იყოს და პრეპოზიციურიც (რამდენადაც რიცხვითი სახელი ყოველთვის პრეპოზიციაცაშია, კომპოზიციის შემადგენლობაში იგი ყოველთვის პირველ წევრად არის შესული). თუმცა, განსხვავებით ბერძნულისაგან, ძველ ქართულში მსაზღვრელის პოსტპოზიციის ტენდენციას გამოკვეთილი [ყაუხჩიშვილი, მრევლიშვილი, დანელია].

ძველ ქართულ ტექსტებში კომპოზიტების იდენტიფიცირება – მათი გარჩევა მსაზღვრელ-საზღვრულისგან, მარტივი არ არის. გამომდინარე იქიდან, რომ, ბერძნულისაგან განსხვავებით, ქართული კომპოზიციის პირველი წევრი ინარჩუნებს თავისი სინტაქსური როლის გამომხატველ ნიშნებს, მიჯრით დაწერილი ასომთავრული ხელნაწერების მკითხველისათვის და მათი ნუსხურად გადამწერებისთვის, ისევე როგორც ტექსტების თანამედროვე გამომცემლებისთვის, ყოველთვის ცხადი არაა, საქმე კომპოზიტთან გვაქვს თუ წინადადების ორ დამოუკიდებელ წევრთან. სწორედ ამ გაურკვეველობის თავიდან ასაცილებლად, ეფრემ მცირემ ბერძნულიდან გადმოიტანა სიტყვათა შედგმის აღნიშვნები: სჭნება (◌) - სიტყვათა გადაბმის ნიშანი, იოტა (◌) - კომპოზიციის პირველი ნაწილის ბრუნვის ნიშანზე დართული სავრცობი ხმოვნის მოკვეცის ნიშანი (ოთხმეზური, 150-165).

მეორე პრობლემა, რომელიც ძველი ქართული ენის კომპოზიტების განხილვისას წამოიჭრება გრამატიკულ ლიტერატურაში (იხ. ყაუხჩიშვილი, მრევლიშვილი, დანელია), არის საკუთრივ ქართული კომპოზიტებისა და ნასესხები, კალკური კომპოზიტების გაღვრა-გარჩევა. ერთი მხრივ, თუ ორიგინალურ თხზულებებში კომპოზიციის იდენტიფიკაცია განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს (მაგ.: 'მათ ზედა დაეცნეს' თუ 'მათ ზედადაეცნეს', 'მზის თვალი' თუ 'მზისთვალი'), თარგმანის შემთხვევაში ეს უფრო მარტივი უნდა იყოს: ბერძნულ ორიგინალში კომპოზიციის არსებობა შეიძლება კრიტერიუმად გამოვიყენოთ ბერძნული კომპოზიციის იმიტაციით მიღებული ქართული კომპოზიციის განსაზღვრისათვის. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც შენიშნულია, რომ, მიუხედავად ქართულ-ბერძნული კომპოზიტების ფორმალურ-სემანტიკური დამთხვევისა, ქართული კომპოზიტი ბერძნულისაგან დამოუკიდებლად შეიძლება იყოს შექმნილი.

ქართულ კომპოზიტებთან დაკავშირებული პრობლემების განხილვისას, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით იმ გავლენას, რომელიც ბერძნულმა ენამ მოახდინა ქართული სიტყვების კომპოზიციისაზე. თუმცა ეს გავლენა არ გულისხმობს ზეგავლენას კომპოზიციის მოდელების შექმნაზეც: როგორც ვთქვით, სიტყვათა თხზვის მოდელებით ქართული ენა ბერძნულზე უფრო მდიდარია და არაა და-

მოკიდებული მასზე. სწორედ ქართულის მდიდარმა შესაძლებლობამ სიტყვათა თხზვისა მისცა მთარგმნელებს საშუალება უფრო იოლად მოეხდინათ დედნის იმიტაცია – შეექმნათ კონკრეტული ბერძნული კომპოზიციის შესატყვისი ახალი კომპოზიციები და მრავალფეროვანი გაეხადათ ქართული ლექსიკური ფონდი.

რაც უფრო იზრდებოდა ქართული ენის გამოცდილება ბერძნულ ენასთან წერილობითი ურთიერთობისა, ასევე, რაც უფრო მდიდრდებოდა მთარგმნელთა გამოცდილება, მით უფრო ხშირი იყო ბერძნული კომპოზიციების იმიტაცია და ლექსიკური კალკების შექმნა. გვიანდელ, ე.წ. ელინოფილურ თარგმანებში, სადაც კომპოზიცია უკვე სისტემური, გააზრებული და დახვეწილი სიტყვაშემოქმედების ნაწილია [მელიქიშვილი 207-224], უფრო მარტივია ნეოლოგიზმების შემჩნევა. ამას ისიც ემატება, რომ მანამდელი, მე-5 – მე-10 საუკუნეების მდიდარი ლიტერატურის არსებობა საშუალებას გვაძლევს შევამოწმოთ კომპოზიციის სიახლე. სხვაგვარადაა საქმე, როცა ქართული მწერლობის პირველი ეტაპის ტექსტებში დადასტურებული კომპოზიციების ორიგინალობა უნდა იქნეს განსაზღვრული.

ამ სტატიის მიზანია ერთი კონკრეტული სემანტიკის (სიდიდე/სიმრავლე) მქონე სეგმენტის შემცველი ქართული კომპოზიციების შესწავლის მაგალითზე გავარკვიოთ, თუ რამდენადაა ისინი ბერძნული კომპოზიციების მიზაძვით (ზუსტი თუ ნაწილობრივი, სემანტიკური თუ ფორმალურ-სემანტიკური) შექმნილი და რა როლს თამაშობს ქართული კომპოზიციების შექმნა/გამოყენებისას მთარგმნელის მთარგმნელობითი კონცეფცია.

კომპოზიციები ბიბლიაში

თარგმანის უძველეს ეტაპზე, ბიბლიის პირველმთარგმნელთა შემოქმედებაში, იმიტაციას, როგორც ფორმალური თარგმანის მეთოდს, კარგად აქვს ფეხი მოკიდებული. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ბიბლიის ებრაულში კომპოზიციები არ არის. შესაბამისად, სეპტუაგინტას ბერძნულიც, შედარებით კლასიკური ბერძნულისაგან, ღარიბია კომპოზიციებით.¹ აქედან გამომდინარე, ბიბლიის ქართველი მთარგმნელებისთვის კომპოზიტი არ წარმოადგენდა ორიგინალის ენისა თუ სტილის მახასიათებელს. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, არ აიძულებდა მათ განსაკუთრებული ყურადღება გამოეჩინათ სიტყვათა თხზვის ფენომენისადმი და წინასწარი დამოკიდებულება შეემუშავებინათ კომპოზიციების გადმოტანის მიმართ. მთარგმნელები ალბათ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, ad hoc, ეძებდნენ ან ქმნიდნენ ბერძნული კომპოზიციების ეკვივალენტებს. და, ასევე, ad hoc, უძებნიდნენ ბერძნულ ლექსიკურ ერთეულს – კომპოზიტსაც და მარტივ სიტყვასაც – ქართულში არსებულ კომპოზიტს.

კომპოზიციის გადმოტანა ძველი აღთქმის ქართულ თარგმანებში შემდეგნაირად ხდება:

1. მთარგმნელი სათარგმნ კომპოზიტს სეგმენტებად შლის და თითოეული სეგმენტი გადმოაქვს.

¹ საინტერესოა, რომ რაოდენობრივად ყველაზე ბევრი კომპოზიტი მაკაბელთა წიგნებში გვხვდება, რომლებიც ელინიზმის პერიოდშია დაწერილი, როგორცა ჩანს, ბერძნულად.

1.1. თუკი ბერძნული კომპოზიციის ცალკეულ სეგმენტს ადეკვატური შინა-არსის ქართული შესატყვისი აქვს და ისინი ერთ სიტყვად, კომპოზიტად, არიან შეკრული, და, ამასთან, თუკი სეგმენტების მიმდევრობაც დაცულია, საქმე გვაქვს სრულ ფორმალურ-შინაარსობლივ შესატყვისებთან, რომლებიც, დიდი ალბათობით, ბერძნულის მიბაძვით არიან შექმნილი. თარგმანის ეს მეთოდი უმეტესად მაშინაა გამოყენებული, როდესაც სათარგმნ ტექსტში კომპოზიტით გამოხატული ცნებები უცხო იყო ქართული სინამდვილისთვის და, შესაბამისად, არც მისი ქართული შესატყვისი არსებობდა.

1.2. ზოგჯერ ქართული კომპოზიციის ცალკეული სეგმენტი (ორივე ან ერთ-ერთი) სემანტიკურად მსგავსია ბერძნული კომპოზიციის სეგმენტებისა, თუმცა ზუსტად არ ასახავს მათ მნიშვნელობას (სეგმენტის მნიშვნელობა გაფართოებულია, შევიწროებულია, გადანეულია). ასეთ შემთხვევაში შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთარგმნელი ქართულ ენაში პოულობს უკვე არსებულ, სათარგმნი კომპოზიციის სემანტიკურ შესატყვის კომპოზიტს.

1.3. არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი შლის ბერძნულ კომპოზიტს და თითოეული შემადგენელი ნაწილი ცალ-ცალკე, სინტაქსურად ერთმანეთთან დაკავშირებული სიტყვებით გადმოაქვს. ასე უმეტესად ზმნური ფორმების გადმოტანისას იქცევიან – როგორც ჩანს, უცხო კომპოზიციის ზმნად ქცევა პრობლემურიცაა და ზედმეტად ითვლება, რაკი, როგორც ვთქვი, კომპოზიტი დედნის მახასიათებელს არ წარმოადგენს.

2. მთარგმნელს არ აინტერესებს კომპოზიციის შედგენილობა, ერთ ცნებად აღიქვამს და ამ ცნებას უძებნის ქართულ, ორგანული წარმოების შესატყვისს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმალური თარგმანის მეთოდს სემანტიკური თარგმანით ანაცვლებს.

3. მაგრამ არის პირუკუ შემთხვევაც, როდესაც თარგმანში კომპოზიტია და მას ორიგინალში მარტივი სიტყვა შეესაბამება. ასეთ შემთხვევებში გამოყენებული კომპოზიტები, ჩვეულებრივ, ქართულად უნდა მივიჩნიოთ.

ზოგიერთი ლექსიკური ერთეული განსაკუთრებული პროდუქტიულობით გამოირჩევა ბერძნული კომპოზიტების შექმნისას. ესენია, უმეტესად, ხშირი გამოყენების ზედსართავი სახელები, რომლებიც შეზრდილია საზღვრულებს. ქართველი მთარგმნელისათვის ამგვარი კომპოზიტების გადმოტანა, წესით, სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს არც სემანტიკური (მნიშვნელობის ამოცნობის კუთხით) და არც ფორმალური თვალსაზრისით (კომპოზიციის მსაზღვრელ-საზღვრულიანი მოდელები ქართულში გავრცელებულია). სამაგალითოდ განვიხილოთ ზედსართავის სახელებით: *დიდი-მცირე*, *ბევრი-ცოტა*, *მოკლე-გრძელი*, შედგენილი ბერძნული კომპოზიტების გადმოტანა ბიბლიის ქართულ თარგმანებში. ეს კომპოზიტები, როგორც წესი, ახასიათებენ **დროს, სულიერ და ხასიათის თვისებებს, გარეგნულ ნიშნებსა და სხვა, კონკრეტული ობიექტებისა თუ ცნებების სიმრავლესა და სიმცირეს**. ბერძნულ კომპოზიტებში ეს ზედსართავი სახელები ყოველთვის პრეპოზიციამია.

დრო

ბერძნულში დროის გამომხატველი კომპოზიტების პირველი, მსაზღვრელი ნაწილია ზედსართავი სახელები: *μακρο-* (დიდი, გრძელი), *ολιγο-* (მცირე), *βραχυ-*

(მოკლე); ხოლო მეორე, საზღვრული წევრი სხვადასხვა სიტყვა შეიძლება იყოს: *-βιος* (ცხოვრება), *-χρισος/-χρόσιος* (დრო), *-ημερα* (დღე), *-τελος* (დასასრული, ბოლო). კომპოზიტს შეიძლება ჰქონდეს როგორც არსებითი სახელის, ისე ზმნის ფორმა.

ამგვარად აგებული ბერძნული კომპოზიტების შესატყვისად გამოყენებული ქართული კომპოზიტების ერთი ნაწილი აშკარად ბერძნულის კალკირების შედეგია, რადგანაც ბერძნულის ქართულ ეკვივალენტში დაცულია როგორც ორიგინალის სემანტიკა და სემანტიკა, ისე მიმდევრობაც:

სიბრძ. 4:16 *πολαυτεῖς* მრავალწლისანი² OS

სიბრძ. 15:9 *βραχυτελή βίον* მოკლესადასრული ცხოვრება O

იოზ. 11:2; 14:1 *ὀλιγόβιος* მცირედცხოვრებული ODS

ასევეა აგებული *ὀλιγόβιος*-ის ბერძნული ანტონიმური კომპოზიტი *μακρόβιος* და მისი ქართული შესატყვისიც:

ის. 53:10 *μακρόβιον* მყოვარცხოვრებული O; შდრ. გრძელსანუთო G

μακρόβιος-ის სინონიმურ კომპოზიტს, *μακροχρονίω*-ს ქართულში კომპოზიტი - *მყოვარჟამ* შეესაბამება:

2. სჯ. 32:27=Odes 2:27 *μακροχρονίωσων* მყოვარჟამ იყვნენ BDES

იგივე ქართული კომპოზიტი ბერძნულ ორიგინალში მარტივი სიტყვის ფარდია:

ივდ. 13:1 *ἐπὶ πλεῖον* მყოვარჟამ D.

საინტერესოა, რომ ბერძნულიდან ნათარგმნ სხვა ძეგლებში *მყოვარჟამ*-ს ორიგინალში არა კომპოზიტი, არამედ შემდეგი ბერძნული სიტყვები: *χρόνιας*, *ἐπιπλεῖστον*, *ἐπὶ πῶλον* (უკანასკნელი მაგ. საქმე 28:6) შეესაბამება. ისიც უნდა ითქვას, რომ *მყოვარ*-³ სხვა კომპოზიტსაც ქმნის: *მყოვარმოლოდება*, რომელიც რომ. 8:19-ში *ἀποκαταδικία*-ს (*ἀπο-καταδικία*, ἦ - ძლიერი მოლოდინი) შეესაბამება. ჩანს, რომ, მიუხედავად 2. სჯ. 32:27-ის ბერძნულ ორიგინალთან ეკვივალენტურობისა, *მყოვარჟამ* საკუთრივ ქართულ კომპოზიტად უნდა იქნეს მიჩნეული. ამ აზრს მხარს უნდა უჭერდეს ის გარემოებაც, რომ *მყოვარჟამ* მე-11 ს-მდე ორიგინალურ აგიოგრაფიულ ლიტერატურაში რამდენჯერმე გვხვდება (მოქცევაჲ, აბიბოს ნეკრ., ზარზმ., ხანძთ.).

მყოვარჟამ-ის სინონიმია კიდევ ერთი ქართული კომპოზიტი *მარადღე*, რომელიც ფსალმუნებში გვხვდება ისე, რომ მას ბერძნულში კომპოზიტი არ შეესაბამება:

ფს. 7:12 *καθ' ἐκάστην ἡμέραν* - *მარადღე*.

ეს კომპოზიტი გვხვდება იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში, პავლეს ეპისტოლეში რომაელთა მიმართ (8:36) და მისი ციტირებისას გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში. მაგრამ საინტერესოა, რომ პავლეს ეპისტოლეს ბერძნულ ტექსტში

² ის. იგივე კომპოზიტი მოქცევაჲ-ში.

³ წინადადების დამოუკიდებელ წევრად ნახმარი *მყოვარ* *ποτε*-ს შეესაბამება: ზირ. 19:7 *მყოვარ ნუ* - *μὴ ποτε*.

მსაზღვრელ-საზღვრულს კომპოზიტი კი არ შეესატყვისება, არამედ შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრული ὄλιον τῆν ἡμέραν (ყოველ დღეს). ასე რომ, *მარადღე*, ისევე, როგორც *მყოვარჟამ*, არ უნდა იყოს ბერძნული კომპოზიტის კალკირებით მიღებული.

ხელნაწერებსა და, მით უმეტეს, ბექდურ თუ ელექტრონულ გამოცემებში *πισα-*, *ὀλιον-*თი ნაწარმოები დროის სემანტიკის გამომხატველი ბერძნული კომპოზიტების ქართული შესატყვისები ხშირად დაშლილად, დამოუკიდებელი ნევრების – შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა წარმოდგენილი და დღეს ძნელია დადასტურებით ითქვას, კომპოზიტის დაშლა მთარგმნელს უნდა მიენეროს თუ ხელნაწერის გადანერის პროცესს:

სიბრძ. 9:5 ὀλιονχρόνιος – მცირედისა ჟამისაჲ OS⁴

სიბრძ. 2:10 *πισαχρονίους* – მრავლისა ჟამისათა⁵ OS

სიბრძ. 4:8 *πισαχρόνιον* – მრავალი ჟამი OS

იობ. 32:9 *οἱ πισαχρόνιοι* – მრავლისა ჟამისანი S

ამ შემთხვევების პარალელურად, გვაქვს ისეთებიც, სადაც პირიქით, ქართულშია კომპოზიტი *მრავალჟამ*, ხოლო მისი ბერძნული შესატყვისი ან მსაზღვრელ-საზღვრულითაა წარმოდგენილი, ან ქართული კომპოზიტის ერთი რომელიმე სეგმენტით:

იობ. 29:18 *πισὺν χρόνιον* – მრავალჟამ OS მრავალწელ B

ისა. 51:8 *ὄπιθ χρόνιου* – მრავალჟამისანი J

ივდ. 5:18 *ἐπὶ πισὺν σφῶδρα* – მრავალჟამ ფრიად ODFI

იგავ. 9:11 *πισὺν* – მრავალჟამ OSB

ფს. 119:6 *πισλὰ παρ᾿αὐτοῦ* – მრავალჟამ დაიმკვდრა Ge

მრავალჟამ-ის სინონიმია ქართული კომპოზიტი *დღე-გრძელ*, რომელიც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც გვხვდება. მისი ცალკეული სეგმენტი სემანტიკურად ბერძნული *μακρο-ἡμέρα-*ს სეგმენტებს შეესაბამება, მაგრამ განსხვავდება მისგან სეგმენტების მიმდევრობით:

μακροῖημερῆσ - დღეგრძელ იყო//იყვნეთ//იყვნეს//იყოს: 2. სჯ. 5:33; 6:2; 11:9; 32:47, 32:47 (შდრ. 2.სჯ-ს გელათური ვერსიის ზმნური ფორმები: იდღეგრძელოთ, სდღეგრძელობდეთ, იდღეგრძელეს), მსჯ. 2:7bis, ზირ. 3:6.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით გელათური ვერსიისა, ძველი თარგმანები კომპოზიტის ზმნურ ფორმას ორგანულად ვერ აწარმოებენ და აღწერით ფორმას მიმართავენ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აღწერითი წარმოების პრეცედენტს თავად ბერძნულიც იძლევა:

2. სჯ. 4:40 *μακροῖημεροι γένησθε* დღეგრძელ იყვნეთ ABEKS, შდრ. გრძელდღე იქმნეთ G

ქართული კომპოზიტი *დღეგრძელ* ბერძნული ორიგინალის მსაზღვრელ-საზღვრულსაც შეესაბამება:

ფს. 90:16 *μακρότητα ἡμερῶν* დღეგრძელებით AG

⁴ შდრ. შუშანიკის წამებაში ნახმარი ამავე კომპოზიტის სინონიმი *დღემოკლე*.

⁵ იხ. *მრავალჟამეული* სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში.

იგივე *დღევრძელ* შეესაბამება სინონიმური მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა, *πισ-* და *μακρο-*ზე *χρόνος*-ისა და *-βίος*-ის დართვით მიღებულ ბერძნულ კომპოზიტებსაც:

ბარ. 3:14 *μακροβίωσις* დღევრძელება *OJ*, გრძელსანუთობა *G*

სიბრძ. 3:17 *μακρόβιοι* დღევრძელ

გამოს. 20:12 *μακροχρόνιος* დღევრძელ *OB*

2. სჯ. 17:20 *μακροχρόνιος* დღევრძელ იყოს *BDES*; შდრ. გრძელჟამ *G*

2. სჯ. 4:26 *ὁὐχὶ πισυχρονιῆτε ἡμέρας* არა დღევრძელად დაიმკვდროთ *ABES*, იმრავალჟამეულნეთ *G*

ვხედავთ, რომ *დღევრძელ*-ი სხვადასხვა ბერძნულ კომპოზიტს შეესაბამება ერთი წიგნისა და ერთისა და იმავე ხელნაწერების (მაგ. 2. სჯ. *BES*) ფარგლებშიც. ამ მიზეზით შეიძლება გვეფიქრა, რომ *დღევრძელ*, მიუხედავად მისი შესატყვისობისა ბერძნულ *μακρο*ჟამ-სთან, საკუთრივ ქართული კომპოზიტი უნდა იყოს.

ბიბლიის ძველი ქართველი მთარგმნელისათვის, მაგ., მეორე სჯულთას მთარგმნელისთვის, კომპოზიტის ფორმალური გადმოტანა რომ არ იყო პრინციპული მნიშვნელობისა, იქიდანაც ჩანს, რომ თავისუფლად, კონტექსტის გათვალისწინებით თარგმნის სხვაგან *დღევრძელ*-ით გადმოტანილ კომპოზიტს:

2. სჯ. 5:16 *ἵνα μακροχρόνιος γένη* - კეთილი გეყოს *ABEKS*, შდრ. გრძელჟამ იყო *G*.

სულიერი // ხასიათის თვისება

სულიერი თვისებების ან ხასიათის თვისებების გამომხატველი კომპოზიტების საზღვრულ ნევრებად ბერძნულში ჩვეულებრივ გვხვდება: *-θυμιος* (სულ-), *-ψυχιος* (სულ-), *-ελεος* (-მონყალე, წყალობა), *-φρων* (გონება). მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა აქაც პრეპოზიციულია.

ქართულ თარგმანში ბერძნული კომპოზიტის ცალკეული სეგმენტი გადმოტანილი, თუმცა მსაზღვრელ-საზღვრულის პრეპოზიციური წყობა პოსტპოზიციურით არის შეცვლილი:

იგავ. 21:4 *μεγαλόφρων* გონებადიდ, შდრ. იგავ. 14:29 *πισὺς ἐν φρονήσει* დიდ არს გონებითა.

ძველი აღთქმის წიგნებში ხშირად გვხვდება დაპირისპირება - *μακρόθυμιος* (დიდსულოვანი, *სულგრძელი*) - *ὀλιγόψυχος* (*სულმოკლე*). ეს დაპირისპირება ქართულ შესატყვისებში კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატული იმით, რომ საზღვრულად გამოყენებული ორი ბერძნული სიტყვა - *θυμιος*- და *ψυχιος*- ერთი და იმავე ლექსიკური ერთეულით - *სული* - არის გადმოტანილი:

იგავ. 14:29 *μακρόθυμιος ἄνθρωπος* *πισὺς ἐν φρονήσει ὁ δὲ ὀλιγόψυχος* *ἰσχυρῶς ἄφρων* **სულგრძელი** კაცი დიდ არს გონებითა, ხოლო **სულმოკლე** - ძლიერად უგუნურ.

μακρόθυμιος - *სულგრძელ*⁶ მყარი ეკვივალენტებია ძველი აღთქმის წიგნებში: ფს. 7:12; 85:15; 102:8; 144:8; გალ. 12:7; იოელ. 2:13; იონა. 4:2; იგავ. 15:18bis; 16:32; 17:27; ეკლ. 7:8; სიბრძ. 15:1; გამოს. 34:6; რიცხ. 14:18; ნაუმ. 1:3; იგავ. 14:29.

⁶ ეს კომპოზიტი იხ. შუმანიკისა და გობრონის მარტვილობებში, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.

μακροθυμῶς კომპოზიტისგან ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი ქართულშიც აბსტრაქტული სახელითაა გადმოტანილი:

იგავ. 25:15; იერ. 15:15 μακροθυμία სულგრძელება.

ამავე კომპოზიტის ზმნური ფორმა კი ქართულში აღწერილია ინარმოება:

იგავ. 19:11 μακροθυμῆι სულგრძელ არნ.

იგივე *სულგრძელ*-ი სხვა ბერძნულ კომპოზიტსაც მიემართება:

ფს. 11:9 ἐπιλατῆσαι (πιლ-არწა (ყურადღების მიქცევა, გაფრთხილება, პატივისცემა) სულგრძელ ექმენ Geo-G, cf. დაიცვენ G⁶

სულგრძელ-ის ქართული ანტონიმი *სულმოკლე*⁷ ძველი აღთქმის წიგნებში რამდენიმე ბერძნულ სინონიმურ კომპოზიტს შეესაბამება, მაგ., ὀλιγο⁸ და ამავე -არწა-სგან შემდგარ ზმნას:

იგავ. 3:11 μὴ ὀλιγῶραι – ნუ სულმოკლე იქმნები.

სულმოკლე მყარი შესატყვისია ხშირი ხმარების სახელური და ზმნური კომპოზიტის – ὀλιγοψύχος და ὀλιγοψυχῶ-სი:

იგავ. 14:29; ისა. 57:15 ὀλιγοψύχος – სულმოკლე

მსაჯ. 8:4 ὀλιγοψυχοῦντες – სულშემოკლებულნი BDS

კომპოზიტის ზმნური ფორმები ქართულში ისევე აღწერილია ინარმოება:

რიცხ. 21:4 ὀλιγοψύχησεν – სულმოკლე იქმნა OSAK, იხ. ასევე მსჯ. 10:16; 16:16; ივდ. 8:9; ამბ. 2:13; ზირ. 7:10.

ანდა – დამოუკიდებელ სეგმენტებად წარმოდგება:

ივდ. 7:19 ὀλιγοψύχησεν – შემოკლდა სული

ფს. 76:4 ὀλιγοψύχησεν τὸ πνεῦμά – მოაკლდა სულსა.

კომპოზიტის გადმოტანის მიმართ მთარგმნელის სხვადასხვა მიდგომის და ქართული ენის ლექსიკური და დერივაციული შესაძლებლობის მაგალითია იონას სხვადასხვა ვერსია, რომელიც კარგად ავლენს მათი მთარგმნელების ტიპურ მახასიათებელს:

იონა 4:8 ὀλιγοψύχησεν καὶ ἀπελέγετο τὴν ψυχὴν აბთῶ **სულმოკლე იქმნა** და **აღმოვიდოდა სული** მისი OJ; შდრ. **გულგდებულად** შეაურევებდა მას, და **შეუმოკლდეს სულნი** მისნი L; **სულმოკლებდა** და **დაეთხოვებოდა სულსა** მისსა GSB.

სხვაგან, იგივე ბერძნული კომპოზიტები თავისუფლად, კონტექსტის შესაბამისად არის თარგმნილი:

იობ. 7:16 μακροθυμῆσθε დავითმინე

ბარ. 4:25 μακροθυμῆσατε დაითმინეთ OJ; სულგრძელ ექმნენით G

ზირ. 4:9 μὴ ὀλιγοψυχήσητε ნუ გენყინებინ სულსა შენსა O.

ამავე დროს, გვაქვს საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როცა *სულმოკლე* ბერძნული ორიგინალის უარყოფითი ნაწილაკით ნაწარმოებ სიტყვასაც ἄθυμῶ (ისა. 25:4, ივდ. 7:22) შეესაბამება.

⁷ ეს კომპოზიტი გვხვდება დავით გარეჯელის და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებებში.

⁸ ლევიტელთაში *მოკლე* კაიბინდ-ს (მოჭრილი, მოკლე) შეესატყვისება ორ სხვადასხვა კომპოზიტში: 22:23 καλοβίκερον (κέρκος – კუდი) კუდმოკლე AKSB; შდრ. მოკლე კუდი G, καλοβίκερον, ιος (neol. ὀ, ῆ) (რც ნესტო); 21:18 καλοβίκερον ცხვრმოკლე AKSB; კართმოკლე G.

μακρόθυμος-ის წყვილად ძველი აღთქმის კონტექსტებში ხშირად იხმარება ხოლმე *πολύθεος*, რომელიც სისტემატურად ერთი ეკვივალენტით – *დიდადმონყა-ლე* არის გადმოტანილი: გამოს. 34:6; რიცხ. 14:18; ნეემია. 9:17; ფს. 85:5,15; 102:8; 144:8 იოელ. 2:13, იონა. 4:2 (შდრ. მრავალწყალობა SB).

სინონიმური ლექსიკური ერთეულებია ბერძნულში *კვეხნის* აღმნიშვნელი *μεγαλορρημονών* (ρῆμα (სიტყვა)) და *μεγαλαυχών* (αἵψη ἢ (კვეხნა, ამპარტავნება)). ქართულში საზღვრულის როლში მდგომ ორივე ბერძნულ სეგმენტს (ρῆμα და αἵψη) ერთი შესატყვისი აქვს – *სიტყუა*.

იგავ. 10:19 ἐκ πολυλογίας მრავლისსიტყვსაგან O, შდრ. მრავლისმეტყულებისაგან⁹ S

ფს. 9:39 *μεγαλαυχῶν* მდიდრადსიტყუაჲ.

ძნელი სათქმელია, არის თუ არა კომპოზიტი ფსალმუნის მთარგმნელის მიერ შექმნილი ზმნური ფორმა:

ფს. 34:26 οἱ *μεγαλορρημονῶντες* მდიდრად იტყოდეს ABCDEF GHL=37:17 54:13 *ἐμεγαλορρημόνησαν*

სხვა შემთხვევებში კი ცხადია, რომ მთარგმნელებს დამოუკიდებელ ნაწილებად გადმოაქვთ კომპოზიტის შემადგენელი სეგმენტები:

აბდ. 1:12 *μεγαλορρημόνητες* – დიდ-დიდსა იტყვი OJ, შდრ. დიდსიტყუაობ GSB

ივდ. 6:17 *ἐμεγαλορρημόνησεν* – დიდსა სიტყვასა იტყოდა

ამავე დროს, არის სანინალმდეგო მაგალითიც, როცა ქართული კომპოზიტი ბერძნულ მსაზღვრელ-საზღვრულს შეესატყვისება:

იგავ. 7:21 *πολύη ὀμίλι* მრავალმეტყველებითა S

ამ ზმნური კომპოზიტის გადმოტანის პრობლემურობაზე მეტყველებს ებეკიელის მთარგმნელის მიერ გამოყენებული განსხვავებული ეკვივალენტები:

ეზეკ. 16:50 *ἐμεγαλαύχουσιν* დიდად მალლოდეს OJ; დიდმოქადულობდეს G; შდრ.

ეზეკ. 35:13 *ἐμεγαλορρημόνησας* დიდ-დიდსა იტყოდე OJ; cf. იდიდსიტყუე GSW სოფონიას მთარგმნელი ამარტივებს კომპოზიტს და მის მხოლოდ ერთ ნაწილს თარგმნის:

სოფ. 3:11 τὸν *μεγαλαυχῆσαι* მალლოვად O, ქედ-მალლოვად J.

ერთი მეთოდით, მაგრამ სხვადასხვა (ფრიად//დიდად//მრავალ) შესატყვისით გადმოაქვს ზირაქის ძის სიბრძნის მთარგმნელს *πολύ-*თი შედგენილი შემდეგი კომპოზიტები:

ზირ. 23:11 ἀνήρ *πολύορκος* კაცი ფრიადმფუცველი

ზირ. 27:14 *λαλῶν* *πολύορκου* სიტყუათა დიდადმფუცველისათა

სიბრძ. 9:15 οὐκ *πολύφοβόντι* გონება მრავალმზრუნველი OS

სხვაგან სოლომონის სიბრძნის მთარგმნელი თავისუფლად, მარტივი სიტყვით, სემანტიკური ეკვივალენტით გადმოსცემს *πολύ-*თი შედგენილ კომპოზიტს:

სიბრძ. 8:8 *πολυπειρίαν* გამოცდილება O.

⁹ შდრ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში *მრავლისმეტყუწლი*, რაც ბევრის მოლაპარაკეს ან მკვეხარას უნდა ნიშნავდეს.

გარეგნული თვისებები

შემდგომი მაგალითები ისევ იმას აჩვენებს, რომ ბერძნული კომპოზიციის ეკვივალენტის შერჩევა მთარგმნელობით პოზიციას – კომპოზიციის გადმოტანის ერთი წესის არარსებობას ავლენს და არა ენის ბუნებასა და მის შესაძლებლობებს. მაგ., ეზეკიელის მთარგმნელი ერთ შემთხვევაში კომპოზიციით გადმოსცემს ბერძნულ კომპოზიტს, სხვა შემთხვევაში – შლის მას დამოუკიდებელ ნევრებად; მსაზღვრელ-საზღვრულს პოსტპოზიციური წყობითაც ხმარობს და პრეპოზიციურიც:

ეზეკ. 16:26 *μεγαλοσάρκους* – სხეულდიდთა OJ შდრ. ჯორცდიდთა G

ეზეკ. 17:3, 7 *μεγαλοπέρσιος* – 3. ფრთითა დიდმან; 7. დიდი ფრთითა OJ, შდრ. ფრთადიდი G

არის შემთხვევაც, როდესაც ქართულ კომპოზიტს ბერძნულ ორიგინალში მსაზღვრელ-საზღვრული შეესაბამება:

ივდ. 16:6 *ὑψηλοὶ γίγαντες* – ჰასაკგრძელთა გმირთა ODFI, ასაკგრძელთა S.

სხვადასხვა

Μεγαλο-თი ნაწარმოები სხვა შინაარსის კომპოზიტებს ქართულში, როგორც ჩანს, ბერძნულის მიბაძვით შექმნილი კომპოზიტები შეესაბამება:

იერ. 39:19 *μεγαλόνυμος* სახელდიდო OJ, შდრ. სახელდიდი G

ფს. 8:2; 20:6; 28:4 *μεγαλοπρέπειά* – დიდადშუენიერება (იხ. ფს. 32:1 *πρέπει* შუენის). ის, რომ ეს კომპოზიტი არ იყო ქართულისათვის დამახასიათებელი, ერთმანეთისაგან დაშორებული წინარეათონური ხელნაწერი ტრადიციის შეცდომაც მიუთითებს: 67:35 დიდ არს შუენიერება.

Πολυ- მრავალ¹⁰

ისა. 57:10 *πολυοἰαίς* – მრავალგზათა OS მრავალგზობათა GS.

იმავე სეგმენტებისგან შემდგარი კომპოზიტი, ოღონდ ზმნიზედის ფორმით – *მრავალგზის* – და განსხვავებული მნიშვნელობით, არის გამოყენებული ბერძნული *καθόδους*-ისთვის (ქვევით მიმავალი გზა, თავქვე, დაბრუნება), რომელიც სეპტუაგინტაში მხოლოდ სამგან იხმარება და კონტექსტში მრავალგზისობას აღნიშნავს:¹¹

ეკლ. 6:6-ში: უკუეთუ ცხომდა ათასთა წელთა **მრავალგზის O**.¹²

ქართული კომპოზიტი, ერთი მხრივ, გადმოსცემს ბერძნულის ერთ-ერთ სეგმენტს – ობნდ-ს, მეორე მხრივ კი კონტექსტის ინტერპრეტაციას ემყარება.

¹⁰ მე-10 ს-მდეულ აგიოგრაფიულ ძეგლებში გვხვდება ამ სიტყვით შედგენილი კომპოზიტები, რომლებიც ბიბლიის ქართულ თარგმანებში არ დასტურდება: *მრავალმოსწავლწ* (გრიგოლ ხანთელი), *მრავალმოლუაწწ* (სერაპიონ ზარზმელი *πολύμολος*), *მრავალსანადელი* (სერაპიონ ზარზმელი), *მრავალლონე* (შიო და ევაგრეს ცხ.), *მრავალძალი* (გობრ. მარტვ.).

¹¹ იხ. Muraoka: recurrence.

¹² ეს კომპოზიტი გვხვდება მოქცევაჲ-ში, კონსტანტი კახის მარტვილობასა და კოლაელთა წამებაში.

ზმნიზედას – მრავალგზის – ამავე კაθბდის-ისთვის იყენებს მთარგმნელი ეკლესიასტეს სხვა კონტექსტშიც (7:22), თუმცა, აქვე, ეს ქართული კომპოზიტი სხვა, ბერძნულ ზმნიზედასაც – *πλειστάκις* (ხშირად, უმეტესად, ბევრჯერ) შეესაბამება:

ეკლ. 7:22 *πλειστάκις* ποιηρῆσεται σε και *καθόδους* πολλὰς κακῶσαι καρδῖαν σου **მრავალგზის** უკეთურებდეს შენდამი და **მრავალგზის** განაბოროტოს სული შენი O.

უფრო ხშირად კი *მრავალგზის* ბერძნული ზმნიზედის, *πλεισινάκις*-ს (ბევრჯერ, მრავალ-გზის) შესატყვისია: ტობ. 1:6; ფს. 105:43; ფს. 128:2; ზირ. 34:12; ისა. 42:20; იობ. 31:31.

ქართული კომპოზიტი უნდა იყოს *მრავალკერძო*, რომელიც დაახლოებით ამავე მნიშვნელობის მქონე სეგმენტებისგან შემდგარ ბერძნულ კომპოზიტს *πολυμερῆς* (მრავალი+ნაწილი, მრავალი ნაწილისგან შემდგარი) შეესაბამება სიბრძ. 7:22-ში.

სხვადასხვაგვარადაა გადმოტანილი სინონიმური მნიშვნელობის (ხშირადმშობელი, მრავლისმშობელი, მრავალნაყოფიერი) ბერძნული კომპოზიტები:

სიბრძ. 4:3 *πολύγονον* – მრავალნაშობი O

ფს. 143:13 *πολυτόκα* – მრავლისმშობელი Ge

ქართულში კომპოზიტია, ბერძნულში – არა:

1.მეფ. 2:5.=გალ. 3:5 ἢ *πολλῆ ἐν τέκνοις* შვილმრავალი.

მრავალ-ით შედგენილ ქართულ კომპოზიტს – *მრავალფერი*¹³ – ბერძნულში მარტივი შედგენილობის ზედსართავი სახელი შეესაბამება:

დაბად. 37:3 *ποικίλον* – მრავალფერი O.

იგივე *მრავალფერი* სხვა შემთხვევაში კომპოზიტის – *πολυ-τελής* (ძვირფასი) ეკვივალენტია:

სიბრძ. 2:7 οἶνον *πολυτελῆς* ღვინთა **მრავალფერითა**.

ამ ბერძნული კომპოზიტის გადმოტანა ქართულში საინტერესო მაგალითია მთარგმნელობითი კუთხით. იგი სხვადასხვაგვარად – თარგმანის სხვადასხვა მეთოდითა და წარმოების წესით გადმოიტანება ძველი აღთქმის სხვადასხვა წიგნში:

მთარგმნელი *πολυτελής*-ს წინადადების სხვა წევრს უკავშირებს და კომპოზიტს ქმნის:

იგავ. 1:13 τὴν κτήσιν αὐτοῦ τὴν *πολυτελῆ* – მრავალნაყოფიერი O; მრავალსასყიდლისა¹⁴ S; მრავალფასისა B

როცა *πολυτελής*-ი *λίθος*-ის (ანთრაკი, ქვა) ატრიბუტია, მთარგმნელები ან ამ კომპოზიტის მხოლოდ ერთ სეგმენტს თარგმნიან:

¹³ ეს კომპოზიტი საკმაოდ გავრცელებულია მე-10 საუკუნემდელ ორიგინალურ აგიოგრაფიაში (მოქცევაჲ, დავით და ტარიჭანის ცხ., სერაპიონ ზარზმელის ცხ., დავით გარეჯელის ცხ., აბიზოს ნეკრესელის ცხ., გრიგოლ ხანძთელის ცხ.).

¹⁴ *მრავალსასყიდელი*, რომელიც ბერძნული *πολυτελής* და *πολυτιμους*-ის ეკვივალენტია ნათარგმნ ძეგლებში, აბო თბილელის წამებაშიც გვხვდება.

1 ნეშტ. 29:2 λίθους πολυτελείς ქვები **მრავალი**

ან კონტექსტუალური მნიშვნელობით, ოღონდ განსხვავებული კომპოზიციით გადმოაქვთ:

იგავ. 31:10 λίθων πολυτελών დიდადპატიოსანთა O; მრავალსასყიდლისათა S ანდა კიდევ – მხოლოდ ზედსართავი სახელით *პატიოსანი*: ივდ. 10:21; იგავ. 3:15, 8:11; 25:12; ისა. 28:16; დან. 11:38; იობ. 31:24; ზირ. 50:9; ესთ. 5:1 (D6).

ქართველი მთარგმნელები ასევე სხვადასხვაგვარად უდგებიან *πολυχλίας*-ს თარგმანს: ბარუქის მთარგმნელი კომპოზიტს კომპოზიციით თარგმნის, თუმცა ადგილს უცვლის სეგმენტებს, იობის მთარგმნელს კი თავისუფლად გადმოაქვს ერთგვარად გაურკვეველი კონტექსტები:

ბარ. 4:34 *πολυχλίας* ერმრავლობისა O

იობ. 31:34 *πολυχλίας* πλήθους სიმრავლესა წინაშე ერისასა DS

იობ. 39:7 *πολυχλίας* πλέεως სიმრავლესა ქალაქისასა S.

ითვლება, რომ ბერძნული კომპოზიტის კალკირებას მთარგმნელი უმეტესად მაშინ მიმართავს, როდესაც სათარგმნი კომპოზიციით აღნიშნული ცნება ქართულში არაა. მაგრამ ბერძნულის ფორმალური შესატყვისი კომპოზიტის შექმნის მიზეზი მხოლოდ ახალი შინაარსის გამოხატვა არ უნდა ყოფილიყო. ამის კარგი მაგალითია როგორც სხვა, ისე ქართული კულტურისათვის კარგად ნაცნობი *სასაფლაოს* ცნების აღმნიშვნელი კომპოზიტის, *πολύανδριον*-ის კალკური კომპოზიციით გადმოტანა ეზეკიელის მთარგმნელის მიერ:

ეზეკ. 39:11bis,15,16 **მრავალკაცობისა** OJ, სამრავალკაცო//მრავალსაკაცო G (39:11 მივსცე გოგს ადგილი სახელოვანი, საფლავი ისრაჴლსა შორის **მრავალკაცობისა** მომავალთა ზღუად კერძო, და გარემო აღაშწნონ პირი ჴევისა მის; და დაჰფლან მუნ გოგ და ყოველი სიმრავლჴ მისი და ეწოდოს ადგილსა მას **მრავალკაცობისა** გოგისი და ყოვლისა სიმრავლისა მისისა OJ).

საინტერესოა, რომ იერემიას მთარგმნელი ამავე ბერძნულ კომპოზიტს სემანტიკური ეკვივალენტით – *სამარობანი/საბაროვანი* გადმოსცემს: იერ. 2:23; 19:2; 19:6bis (შდრ. სამრავალკაცო G).

მარტივი, სემანტიკური შესატყვისით გადმოაქვთ მთარგმნელებს *გამრავლების* მნიშვნელობის მქონე ბერძნული სინონიმური კომპოზიტები *πολυπλασιάζομαι* და *πολυπληθεύω*:

2. სჯ. 4:1 *πολυπλασιασθήτε* განსძლიერდე ABES, შდრ. განჴმრავალნილნეთ G

2. სჯ. 8:1; 11:8 *πολυπλασιασθήτε* განჴმრავლდეთ ABES, შდრ. განჴმრავალნილნეთ G

გამოს. 5:5 *πολυπληθεῖ* განმრავლებულ არს OBAK

2. სჯ. 7:7 *πολυπληθεῖτε* παρὰ πάντα სიმრავლისა ABEKS, შდრ. ფრიადმრავალ ხართ უფროს ყოველთა G

ლევიტელთას მთარგმნელი კი ამავე ბერძნული კომპოზიტისა და მასთან დაკავშირებული არსებითი სახელისაგან თავად ქმნის კომპოზიტს:

ლევ. 11:42 *πολυπληθεῖ* ποσὶν მრავალფერჴ AKSBG.

სამი სხვადასხვა წესით – კომპოზიტით, ერთი სეგმენტის გადმოტანითა და სემანტიკურად – გადმოდის *πολύπλοκος* (*πλέκω* - თხზვა, ქსოვა) სამ სხვადასხვა თარგმანში:

ესთ. 8:12 *ἔθνει πολυπλόκοις* მრავალსახითა¹⁵ GII; მრავლითა GI

იობ. 5:13 *πολύπλόκων* მთხზველთაჲ OS.

მცირე და *დიდი* საკუთრივ ქართულ კომპოზიტს ქმნიან, რომლებიც ბერძნულ ორიგინალში კომპოზიტს არც შეეფარდებიან:

მცირე ქმნის კომპოზიტს *სულმცირე*, რომელიც ბერძნულში *მსუბუქი*-ს მნიშვნელობის მქონე ორ მარტივ სიტყვას – *κοῦφον*-სა და *ἐλαφρῶς*-ს შეესაბამება:

I მეფ. 19:1 *ἐπὶ νεφέλης κοῦφης* – ღრუბელთა სულმცირეთა OJ

სიბრძ. 5:11 *πνεῦμα κοῦφον* – ქარსა სულმცირესა OS

იობ. 7:6 *ἐλαφρότερος* – უსულმცირეს ODS

იობ. 24:18 *ἐλαφρῶς* – სულმცირეს ODS.

მცირე გაორმაგებითაც ქმნის კომპოზიტს და ამავე მნიშვნელობის სხვადასხვა ბერძნულ ზედსართავსა და ზმნიზედს შეესაბამება:

ფს. 104:12 *ἀριθμῶ βίραχῆς ὀλιγοστούς* – რიცხვთ მცირედ-მცირედ (მცირედ-მცირედ BD, მცირე-მცირედ C, მცირე-მცირე E)

სიბრძ. 12:2,8 *ὀλίγον* მცირედ-მცირედ O.

დიდი-თ შექმნილი, ხშირი ხმარების საკუთრივ ქართული კომპოზიტია *დიდძალი*,¹⁶ *დიდძალად*, რომელიც ერთი მნიშვნელობის სხვადასხვა ბერძნული სიტყვის ფარდად გამოიყენება:

πολλά / *πολλή* / *πολύ*: გამოს. 10:14, ივდ. 1:16, ფს. 39:11, 118:162, ისა. 30:33, ეზეკ. 37:10, იობ. 31:25.

πλήθις: ფს. 5:11

μεγαλεῖα / *μεγάλη* / *μεγάλα*: ფს. 70:19 დიდძალი AG, ზირ. 41:12

μεγάλως: სიბრძ. 3:5, იობ. 15:11, 17:7, 30:30.

საინტერესოა, რომ სინონიმად ქართულ თარგმანში ფუძის გაორმაგებით მიღებული კომპოზიტიც გვხვდება:

ზაქ. 11:2 *μεγάλως μεγιστῶνες* – დიდძალად დიდ-დიდნი OJ

დაბად. 12:17 *μεγάλως* – დიდ-დიდებითა CBAS.

ლიტერატურა:

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (1964). ტ. 1, ილ. აბულაძე (გამომც.), თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

ქართული აგიოგრაფიული ძეგლების სიმფონია-ლექსიკონი ტ. 1 (2020), ტ. 2 (2005), ტ.3 (2007), ტ.4 (2014), თბილისი.

დანელია, კ. (1998). კალკური კომპოზიტები ძველ ქართულში, კრებულში: ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, ტ. 1. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 1998, გვ. 76-93.

¹⁵ *მრავალსახვს*, რომელიც ქართულ თარგმანებში *πολυειδής*-ის კალკია, გვხვდება მოქცევაში და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში.

¹⁶ ხშირად დასტურდება მე-10 ს-მდე ორიგინალურ ქართულ აგიოგრაფიაში.

- მელიქიშვილი, დ. (2022). იოანე პეტრინის ენა და სტილი. თბილისი, 2022.
- მრევლიშვილი, მ. (1957). კომპოზიციები ქართულ ენაში, თსუ შრომები, ტ. 67, გვ. 165-186.
- ოთხმეზური, თ. (2011). კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კომენტარები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- ყაუხჩიშვილი, თ. (1952). კომპოზიციები ძველ ქართულში, თსუ შრომები, ტ. 47, თბილისი, გვ. 59-90.
- Kühner, R. (1892). Ausführliche Grammatik der griechischen Sprache, 1.2.
- Muraoka, T. (2009). A Greek-English Lexicon of the Septuagint, Peeters.

ონომასტიკა

Onomastics

ქეთევან მარგიანი-დადვანი
Ketevan Margiani-Dadvani

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Sokhumi State University
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

დალის (კოდორის) ხეობის ონომასტიკის შესწავლისთვის¹
For the Research of the Onomastics of Dali (Kodori) George

საკვანძო სიტყვები: ონომასტიკა, დალის ხეობა, კოდორის ხეობა, ტოპონიმია,
სვანური.

Keywords: Onomastics, Dali Gorge, Kodori Gorge, Toponymy, Svan.

¹ ნაკითხულია მოხსენებად ფ. ერთელიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (27.02.2024)

Onomastics is the part of linguistics where the interests of linguists, historians, and ethnographers are united, considering the possibilities of researching different aspects of personal names.

Onomastics of the Svan language of the Dali (Kodori) Gorge include geographical names, anthroponyms (surname system, family branches), hydronyms, micro toponyms, botany, mythonyms, zoonyms, the names of archaeological monuments, shrines, fortresses in the Kodori valley, etc.

The onomastics of the Dali Gorge have not yet been the object of thorough research in Kartvelology. What needs to be done to collect and document the Dali Gorge's onomastics correctly? The algorithm should be presented as follows: It is necessary to systematize the materials. The materials for the onomastics of the Dal Gorge should be collected from various sources. These sources are:

1. Notes of Vakhushti Batonishvili and medieval travelers', cartography.
2. V. Bardavelidze's archive materials, related to the onomastics of the Kodori Gorge.
3. Kartveliological publications: "Kodori Chronicles" and "Kodorian Svan."

Thus, based on the above-mentioned analytical material, a database of the onomastics of Dali (Kodori) George, including toponymy, anthroponymy, hydronyms, botany, mythonyms, and zoonyms, should be created.

The Dali George is rich in onomastic material. In ancient times, this side was called Misimianeti, in the Middle Ages - Dali Gorge, in the 19th century - Tsebelda - Dali Sabokaulo, in the Soviet era - Svaneti of Abkhazia, and in the 21st century - Upper Abkhazia. It is quite obvious that the complete identification, documentation, and research of the onomastics of the Dali George, which has not been studied until now, is relevant from a national point of view, valuable from a linguistic point of view, and interesting from a Kartvelological-Caucasological aspect. Compiling the history of this valley and passing it on to future generations is a national obligation and an urgent need.

ონომასტიკა მეცნიერების ის უბანია, სადაც ერთიანდება ინტერესები ლინგვისტთა, ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა... გამომდინარე ზოგადად საკუთარ სახელთა სრულიად სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ისტორიული, ქრონოლოგიური...) კვლევა-ძიების შესაძლებლობებიდან.

დალის ხეობის სვანური ონომასტიკა მოიცავს: გეოგრაფიულ სახელებს, ანთროპონიმებს (გვარ-სახელთა სისტემას, შტოგვარებს), ჰიდრონიმიას, მიკროტოპონიმებს, ბოტანიკონიმებს, მითონიმებს, ზოონიმებს, კოდორის ხეობის (ისტორიული მისიმიანეთის) ბრინჯაოს ხანისა თუ ელინისტური ეპოქის არქეოლოგიური ძეგლების, შუა საუკუნეების ციხესიმაგრეების, ნაეკლესიარების, სალოცავების, ქრისტიანული ძეგლების სახელებს...

დალის /კოდორის ხეობა დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის ისტორიული მხარეა. ანტიკურ ეპოქაში მას მიესიანეთი / მისიმიანეთი ეწოდებოდა, შუა საუკუნეებში – დალის ხეობა, XIX საუკუნეში – ნებელდა-დალის საბოქაულო, საბჭოთა ეპოქაში – აფხაზეთის სვანეთი, ხოლო XXI საუკუნეში – ზემო აფხაზეთი. სახელე-

ბის ასეთი მრავალფეროვნება თავისთავად მეტყველებს საქართველოს ისტორიაში ამ ხეობის განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე. სვანეთის, სვანებისა და უშუალო გარემოცვის მეზობელთათვის კი კოდორის ხეობა ოდითგანვე იყო და არის დალის, ნადირობის ქალღმერთის, საბრძანებელი და დაღელთა ისტორიული სამკვიდრებელი. დალის ხეობის ისტორია შორეულ წარსულში იკარგება. ის ათასწლეულებსაც კი ითვლის. ვარაუდობენ, რომ კლუხორის უღელტეხილით ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ-ის III ათასწლეულში მყარდებოდა რეგულარული კავშირები სრულიად სხვადასხვა ეთნოსს შორის, ხოლო ხალხთა მასიური გადაადგილების ეპოქაში IV-VII სს. კოდორის ხეობა იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიასა და შუა აზიას შორის. მისიმიანთა მხარის საზღვრები ცნობილია VI-VIII საუკუნეების ავტორების: აგათია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტექტორისა და ანასტასი აპოკრიფისის შრომების მიხედვით. მკვლევართა აზრით, მისიმიანები ის სვანებია, რომელთა შესახებაც სტრაბონი ამბობს: „არიან პირველნი ძალითა და ძლიერებით (პონტოს მთიელ ტომთა შორის), მბრძანებლობენ ყველა გარშემო ტომებზე და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის (სოხუმის) ზემოთ“. ქართველი ერის ისტორიაში მისიმიანელებმა სახელოვანი ფურცელი ჩაწერეს. მართალია, მათ მხოლოდ ერთხელ გაიღვეს ისტორიის არენაზე ჩახარის (ჩხალთის) მიდამოებში 555 წელს მომხდარი აჯანყებით, მაგრამ „ისეთი ძლიერი იყო ის გაელვება, რომ იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული ქვეყნის – ბიზანტიის ხელისუფალთა განგაში გამოიწვია“ (მიბჩუანი, 1989, გვ. 127). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თითქმის 15 საუკუნის შემდგომ მისიმიანელთა ნაფუძარზე მოსახლე, მათმა მემკვიდრე დაღელებმა ღირსეულად გაიმეორეს წინაპართა გმირობანი და 1993-2008 წლებში ბოლომდე შეინარჩუნეს საქართველოს იურისდიქცია და ქართული სულისკვეთება დედა სამშობლოსაგან დროებით მოკვეთილ აფხაზეთში.

უაღრესად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით – კლუხორის, მარუხის, ნაჭარვის უღელტეხილებით ისტორიული დალის ხეობა არის დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა რეგიონის ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა, რაც ამ ხეობას ყოველ ისტორიულ ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სტრატეგიულ ფუნქციას აკისრებდა, სძენდა. რ. ხაჯიმბას განცხადებით, კოდორის ხეობას ტურისტული განვითარების უდიდესი პოტენციალი აქვს და „ის პერსპექტივაში „აფხაზეთის მარგალიტი“ უნდა გახდეს“. ვ. არძინბასთვის კი კოდორის ხეობა ყოველთვის იწოდებოდა აფხაზეთის „ოქროს გასაღებად“. 1874 წელს კავკასიაში ჩამოსული ინგლისელი მოგზაური **გროვე**, რომელიც ყარაჩაიდან გადმოვიდა კოდორის ხეობაში, წერდა: „ძნელია ნახო უფრო დიდებული და მშვენიერი ადგილი, ვიდრე მდელითი დაფარული სივრცე და ტყეები, რომელზეც კოდორი მიედინება“.

XIX საუკუნის დასაწყისში დალის თემში, რომელიც ნებელდის ოლქში (საბოქაულოში) შედიოდა, შემდეგი ტოპონიმებია დადასტურებული: საკუთრივ დალი, აჟარა, ყამგარა, ზიმა, შვაქვა, ვარდა, თაფმ-იფა-იჰაბლა, ამჭარა, ლათა, გენწვიში (ხორავა, 2008, გვ. 105). დღეს კოდორის (დალის) ხეობა მოიცავს სოფლებს: აჟარა, გენწვიში, ომარიშალი/იალცუნესგა (სვან. „ორ-წყალ-შუა“), ტუბრაშერი, ხუტია, ნაჭარვი, ლათა, ტიში, ქვაბჩარა, ზუმა, ჩხალთა, ბუჩყყური, ბუძუგური,

აძგარა, გვანდრა, ბარუმბა, ყულუჩი, საკენი. XIX-XX სს. ისტორიულ მისიმიანეთს დღევანდელი დაღლები დაუბრუნდნენ. ხეობის სოფლების რიცხვმა თვრამეტს, მოსახლეობისამ კი 7-8 ათასს მიაღწია. რთული იყო XX-XXI საუკუნეთა მიჯნა დაღლის ხეობისათვის. დაღლეთა თავგანწირვის ფასად 1993-2008 წლებში კოდორის ხეობაში საქართველო და ქართული სულისკვეთება გადარჩა. ეს ბუნებრივიც იყო, დაღლის ხეობა ხომ ქართველთა ისტორიული ცხოვრების არცერთ ეპოქაში, არცერთ საუკუნეში არაქართული და საქართველოსგან მოკვეთილი არ ყოფილა.

ქართველოლოგიაში დაღლის ხეობის ონომასტიკა საფუძვლიანი, ფუნდამენტური კვლევის ობიექტი ჯერ არ ყოფილა, რაც, ვფიქრობთ, სერიოზული ხარვეზია. განა კიდევ რომელიმე მხარეს, რომელიმე ხეობას „ერგო პატივი“ რქმეოდა სახელი ქალღმერთისა, ნადირობისა და მონადირეთა ღვთაებისა?! დაღლი – ოქროსთმიანი, მაცდური, მომაჯადოებელი... თურმე განაგებს ზღაპრულ სანახებს და ჭიუხებს ამ მხარისას... ეს ქართველთა ისტორიასთან გადაჯაჭვული მითები და ლეგენდებია. მეცნიერული აუცილებლობა კი დღეს გახლავთ გადაუდებელი საჭიროება ამ ხეობის ონომასტიკონის შედგენისა და მომავალი თაობებისთვის სრულყოფილად გადაცემისა.

პრობლემის არსი მდგომარეობს იმაში, რომ, პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, თითქმის ათეული წლების განმავლობაში ვერ ხერხდებოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტოპონიმისკის ლაბორატორიის სამეცნიერო მივლინება მასალის ჩასანერად და შესაკრებად ისტორიული დაღლის ხეობაში. ისე დასრულდა XX საუკუნე, რომ სამეცნიერო კუთხით დაღლის ხეობაზე ქართველოლოგიაში არსებობდა მხოლოდ და მხოლოდ მ. ქალდანის ერთადერთი სტატია „ღიაღექტა შერევა კოდორის ხეობაში“. თსუ ტოპონიმისკის ლაბორატორიის 300 000 ბარათიდან ერთიც კი არ ეკუთვნოდა დაღლის ხეობას. შესაბამისად, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 2020 წელს გამოცემული ფუნდამენტური „სვანური ტოპონიმისკა“ (757 გვერდი!) მოიცავს მხოლოდ მესტიის და ლენტეხის რაიონებს და, სამწუხაროდ, არცერთ სვანურ გეოგრაფიულ სახელს კოდორის ხეობისა; ვფიქრობთ, რომ ეს ვითარება შესაცვლელია.

რა უნდა გაკეთდეს დაღლის ხეობის ონომასტიკის სრულყოფილი სახით შეკრებისა და დოკუმენტირებისთვის? როგორი სახით წარმოგვიდგენია **ალგორითმი**: პირველ რიგში, აუცილებელია მასალების სისტემატიზაცია, უნდა შეიკრიბოს დაღლის ხეობის გეოგრაფიული სახელები შემდეგი წყაროებიდან:

ა) დაღლის ხეობის ონომასტიკური მასალები ვახუშტი ბატონიშვილთან, შუა საუკუნეების მოგზაურთა ჩანაწერებში, XIX-XX სს. კარტოგრაფიულ რუკებზე.

ბ) უნდა დამუშავდეს ვ.ბარდაველიძის არქივის კოდორული მასალები.

გ) მნიშვნელოვანია ჩვენ მიერ 1986-2008 წლებში პირადი კონტაქტებით დაღლის ხეობაშივე ჩანერილი ონომასტიკური მასალები: მიკროტოპონიმები, მითონიმები, შტოგვარები, ბოტანონიმები, ზოონიმები...

დ) ონომასტიკური კუთხით უნდა დამუშავდეს ქართველოლოგიური გამოცემები: კოდორული ქრონიკები, თბ. 2007 წ.; კოდორული სვანური, 2020 წ.

დღეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დევნილის სტატუსით მცხოვრებ კოდორელებთან შესაძლებელია როგორც გადამონმება, ისე მიკროტოპონიმის თუ სხვა ონომასტიკური ერთეულების სახით ფასეული მასალების ჩანერა.

შესაბამისად, ამ საანალიზო მასალის საფუძველზე უნდა შეიქმნას მონაცემთა ბაზა: **დალის (კოდორის) ხეობის ონომასტიკა: ტოპონიმია, ანთროპონიმია, ჰიდრონიმია, ბოტანიკონიმია, მითონიმია, ზოონიმია...**

უდიდესი ეთნოგრაფ ვ. ბარდაველიძის არქივში დაცულია მასალები დალის ხეობაში მივლინებისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს მასალები არის სრულიად უნიკალური! ჩვენ მიერ მიკვლეული ეს მასალები, 300 გვერდამდე მოცულობით (ავტორის ხელნაწერი და მანქანაზე ნაბეჭდი ფურცლების სახით!), დღემდე გამოუქვეყნებელია. როგორც ამ საარქივო მასალებიდან ირკვევა, 1933 წელს დალის ხეობაში იმოგზაურა დიდმა ვ. ბარდაველიძემ. ისტორიულ, ფოლკლორულ, ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ აღწერილობებთან ერთად, ამ არქივში დიდი წილი ეთმობა ონომასტიკურ მასალებს, დალის ხეობაში მცხოვრებ გვარებს, ტოპონიმებს, დალის სვანეთის ჩასახლების ცნობებს...

რატომ არის საჩქარო და საშური კოდორული ონომასტიკონი: ცნობილი თვალსაზრისია, რომ მიკროტოპონიმია, თანახმად ონომასტიკური კანონზომიერებებისა, იკარგება და ქრება ძალზედ სწრაფად, სულ რაღაც სამი-ოთხი თაობის მანძილზედ, ეს კი დროში მხოლოდ რამდენიმე ათეულ წელს გულისხმობს. ასეთი გაქრობის საშიშროებანი დალის ხეობის ონომასტიკონსაც (განსაკუთრებით კი მიკროტოპონიმიას) უდგას. დალის ხეობის ონომასტიკური მასალები ჯერ კიდევ ცოცხლობს კოდორელთა ცნობიერებაში, მშობლიური სოფლის, ეზოს, მთის, საძოვრის, მდინარის სახელი, მიკროტოპონიმია თუ მითონიმი, მონადირეთა მომავადობელი ოქროსთმიანი დალი, შტოგვარი თუ კოდორის გრძელ ღამეებში დალის ხეობაშივე მოსმენილი ზღაპრის, ლეგენდის პერსონაჟის სახელი... ჯერაც კოდორელთა აქტიურ სამეცყველო ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება. შესაბამისად, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დევნილის სტატუსით მცხოვრებ დალელებთან ჯერ კიდევ ბევრი ონომასტიკური მასალის ჩანერა და გადამონმება არის შესაძლებელი.

ცნობილი ფაქტია, რომ თანამედროვე მეცნიერებაში ცალსახად აღიარებულია **ინტერდისციპლინური** კვლევების პრიორიტეტულობა და უპირატესობა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ კოდორული ონომასტიკონი უაღრესად საინტერესოა ისტორიული, ეთნოლინგვისტური, **კავკასიოლოგიური კონტექსტის** კუთხით. მოვიყვანთ ორიოდ მაგალითს: მხოლოდ აქ, ამ ხეობაში დასტურდება სვანური ზოონიმი ყარჩაი, ამ სახელს კოდორელები არქმევდნენ ყარაჩაი-ჩერქეზეთიდან გადმოყვანილ განსაკუთრებულად კარგი ჯიშის ხარებს. სოფელი იალცუნესგა (< სვან. „შუამდინარეთი“) და, ზოგადად, დალის ხეობა უშუალოდ ესაზღვრება ჩრდილო კავკასიას, კლუხორის უღელტეხილით – მხოლოდ ერთი დღის სავალით დაშორებულ მეზობლებს. შესაბამისად, კოდორელებს და ყარაჩაელებს მუდმივად ჰქონდათ ერთმანეთში მიმოსვლა, სამეურნეო, ეკონომიკური თუ სხვადასხვა სახის ურთიერთობები. ონომასტიკაში მიღებული ტერმინოლოგიის შესაბამისად, ყარჩაი შეიძლება მივიჩნიოთ ტოპონიმურ ზოონიმად. მულახში კი დავადასტურეთ ყეგმაი, ბახსნაი ზოონიმები მეზობელი ყაბარდოდან (ყეგემი, ბახსანი) გადმოყვანილი ხარების სახელები. ამ სვანურ ზოონიმებში სახელდების მოტივაციას მათი გეოგრაფიული (ჩრდილოკავკასიური) წარმომავლობა განაპირობებს. შევ-

ნიშნავთ იმასაც, დალისხეობელმა ინფორმატორებმა თუ როგორი გულისტკივილი გამოთქევს ბოლო პერიოდში ჩრდილოკავკასიელ უახლოეს მეზობლებთან სოციალური ურთიერთობების რღვევის, ამ ერთგვარ ტრადიციად ქცეული ჩვეულების მოშლის, განსაკუთრებულად ჯიშინი ხარებისა და, შესაბამისად, ყარჩაი, ჟეგმაი... ტიპის ზოონიმთა თანდათანობით გაქრობის გამო.

ცნობილია, რომ კავკასიონის ქედს გადაღმა და გადმოღმა ნათესაობის განცდა დღემდე არსებობს სვანეთის და, შესაბამისად, კოდორის ხეობის შემდეგი გვარის წარმომადგენელთა შორის: ავალიანი – დინაევი; მიბჩუანი – მამჩუევი; გუჯეჯიანი – შახმურზაევი/ატმურზაევი, შდრ. სვანური შტოგვარები: შეხმურზაშა, ათმურზაშა; ფანგანი-პანგანოვი: ჯაჭვლიანი-ჭოტჭაევი/ჯუჭჭაევი. ყაბარდობალყარეთში თავს სვანური წარმოშობისად თვლიან: შუანოევი, სონ/სონოევი, მეჩიევი შდრ. სვან მეჩი „მხცოვანი, მოხუცი“... ამ გვართა შორის ნათესაობის განცდა, მიმოსვლა, ჭირსა და ლხინში გვერდში დადგომა ერთგვარ ტრადიციადაც კი იყო ქცეული. ცოცხალ მაგალითად სახელდება მულახელი გუჯეჯიანების მიერ ჩეგემელი შახმურზაევიების ქორწილში დაპატიჟების ფაქტი 1969 წლის შემოდგომაზე; ასევე კოდორისხეობელი ჯაჭვლიანებისა და ყარაჩაელი ჯუჭჭაევიების განსაკუთრებული ნათესაური ურთიერთკავშირი და გვარის ყრილობაზე მოწვევა დალის ხეობაში 1987 წელს. მასში პირადად მონაწილეობის გამო ეს „კოდორულ-ყარაჩაული თავყრილობა“ დალის ხეობის მოგონებებიდან ერთ-ერთი ყველაზე მეტად შთამბეჭდავი და სამახსოვროა ჩვენთვის.

საუკუნეების განმავლობაში სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის ხშირი იყო ორმხრივი მიგრაციული პროცესები; ინტენსიური ურთიერთობების შედეგად სვანები და ჩრდილოკავკასიელები კარგად იცნობდნენ ერთმანეთის წეს-ჩვეულებებს და, მიუხედავად იმისა, რომ „ბევრ ასპექტში რადიკალური სხვაობა იყო (ძირითადად რელიგიური ფაქტორიდან გამომდინარე), ისინი პატივს სცემდნენ ერთმანეთის ცხოვრების წესს, რაც ყველაზე კარგად სტუმარმასპინძლობის ტრადიციაში ჩანდა“. ჩვენ მიერ შესასწავლ კოდორულ ონომასტიკონში, უნდა ითქვას, რომ ეს ფაქტებიც მკაფიოდ არის არეკლილი.

ერთი „გეოგრაფიულ-პოეტური“ მაგალითიც: დალის ხეობის ონომასტიკონს განეკუთვნება კონფიქსური წარმოების ნამშიხვ – სახელი სოფლის მიმდებარედ კლუხორის უღელტეხილისაკენ მიმავალ გზაზე აღმართული მთისა ულამაზესი ლანდშაფტებით, იალალებით, ჩანჩქერებით, კლდე-ჭიუხებით. ნამშიხვ „ნახანძრალი, დამწვარი“ (< სვან. ლი-შხ-ი „წვა, დაწვა“ შდრ. ქართ. ნა-ხმ-ირი < სვან. ნა-ში-ხ-ირ-ი).

აღსანიშნავია, რომ ამ მთისათვის გასული საუკუნის 50-იან წლებში, დალის ხეობაში ჩასული გიორგი ლეონიძის პატივსაცემად, გოგლაურა უწოდებიათ. ასეთი მარგალიტები მრავლად გვხვდება ზღაპრული სილამაზის დალის ხეობაში. ჩვენი ვალია მომავალ თაობებს შევაყვაროთ, შევუნახოთ, გადავცეთ ეს მემკვიდრეობა!

ონომასტიკური თვალსაზრისით, ვფიქრობთ, აღსანიშნავია ასევე გარემოება **ხეობის სახელად მითონიმის უპირატესობისა**. დალის ხეობის მკვიდრნი თავიანთ თავს, დანარჩენ ქართველებთან მიმართებით, ყოველთვის ხაზგასმით

უნოდებდნენ და დღესაც უნოდებენ დალელს და დალელებს. 2006-2008 წლებში კოდორულ ქრონიკებზე ხეობის სოფლებში (ომარიშალა, აჯარა, გენწვიში, ჩხალთა, საკენი...) ჩანერილი ყველა ინფორმატორი დანანებით, გულისტკივილით, წყრომითაც კი გამოხატავდა უკმაყოფილებას მათი არა დალის ხეობის (ანუ დალელებად!) არამედ ზემო აფხაზეთის მკვიდრებად მოხსენიების გამო.

სწორედ ამ კონტექსტში ურიგო არ უნდა იყოს გახსენება ქართველოლოგიაში გამოთქმული შეფასებისა პირველ კოდორულ სვანურ ტექსტებზე: „კოდორული ქრონიკები“ – დალისხეობელთა ოდისეა, მატთანე, იმედის წიგნი, ისტორია და ყოველდღიურობა, წარსული და მერმისი! „კოდორული ქრონიკები“ იგივე კოდორის ცხოვრებაა! ეს არა მხოლოდ მეხსიერების წიგნია, არამედ იმედისაც. იმედის, რომ კოდორელები არასოდეს დაივინებენ თავიანთ საცხოვრისს (ჯ. კაშია; ღვანლი LXXX, 2019, გვ. 247). მრავალწახნაგოვანი წიგნი! და ყოველ წახნაგს ძალიან დიდი საზოგადოებრივი, მეცნიერული... დატვირთვა აქვს. აი, აქ, როგორც წვეთში ჩანს მთელი ოკეანე, ისე ჩანს ჩვენი ხალხის მწარე ბედი, ისტორიული ხვედრი, თუ გნებავთ, აი, ამ პატარა დალის ხეობის მაგალითზე, მის საამაყო წარსულზე... ჩვენი **ეროვნული იდენტოფიკაციისათვის** ამგვარ წიგნებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ, თუ გადამჭრელი არა“ (ნ. ანდღულაძე; ღვანლი LXXX, 2019, გვ. 176). ამ წიგნის მნიშვნელობას, ალბათ, გვიან გავაცნობიერებთ. გავაცნობიერებთ მაშინ, როდესაც კოდორს მონყვეტილი კოდორელები თანდათან გადაასხვანაირებენ თავიანთ საუბარს და მხოლოდ ეს წიგნი შეინარჩუნებს იმ ხიბლს, რასაც პირველად თქმული სიტყვის უბრალოება ჰქვია! როგორც ჩანს, **ჩვენ ქართველთა იმ უიღბლო თაობებს ვეკუთვნით, რომლებსაც საკუთარი მიწა-წყლის მიტაცების მოწმობა არგუნა ბედმა**. სულაც არ იყვნენ ცუდები ისინი, ვის თვალწინაც იკარგებოდა კლარჯეთი და ტაო, საათაბაგო და სამცხე, ჰერეთი და კავკასიის გადასასვლელები... სულაც არ იყვნენ ცუდი ქართველები, უბრალოდ იღბალი შეხვდათ ამნაირი. ჩვენც იმათგანი ვართ სავარაუდოდ. მრავალი წელი გაივლის ჩვენს ფუჭ ოცნებასთან ერთად და ერთადერთი რამ, რაც **დავინყებას გამოჰგლეჯს ხეობას დალისას**, „კოდორული ქრონიკები“ იქნება მხოლოდ (დ. თევზაძე; ღვანლი LXXX, 2019, გვ. 377).

დღეს ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოს ძირძველი და განუყოფელი კუთხეა, აფხაზეთის ქართველობა, მათ შორის, დალელები / კოდორელები! კი – ამ ძირძველ საქარველოში ქართული იდენტობის შენარჩუნების, ქართველური სულიერი მემკვიდრეობის გადარჩენის სამომავლო გარანტი. შესაბამისად, სრულიად აშკარაა, რომ დალის ხეობის ონომასტიკის სრულად აღნუსხვა, დოკუმენტირება, აქტუალურია სახელმწიფოებრივად და ფასეულია ლინგვისტურად.

ამრიგად, დალის ხეობა (სვან. „დალია ტვიიბ, დალია ტყვეფ“) მდიდარი ონომასტიკური მასალის მომცველია. ძირძველი საქართველოს, აფხაზეთის ამ ერთი ულამაზესი ხეობისთვის მეტაფორულად სხვადასხვა დროს უნოდებიათ – ნადირობის ქალღმერთის, დალის სამფლობელო, ოქროს გასაღები, აფხაზეთის მარგალიტი... საკითხებისა და თემების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ინტერესი კოდორის ხეობის ანუ დალის ქვეყნის მიმართ (როგორც მას ადრეული პერიოდის მოგზაურები: გიულდენშტედტი, ლ. ლიულიე, ნორდმანი, დიუბუა... უნო-

დებენ), არის მრავალმხრივი. შესაბამისად, სრულიად აშკარაა, რომ დღემდე შესწავლელი დალის ხეობის ონომასტიკის სრულად აღნუსხვა, დოკუმენტირება, სისტემური მეცნიერული კვლევა აქტუალურია სახელმწიფოებრივად, ფასეულია ლინგვისტურად, საინტერესოა, ღირებულია მეცნიერული – როგორც ქართველოლოგიური, ისე კავკასიოლოგიური ასპექტით. ჩვენი ეროვნული ვალდებულებაა, გადაუდებელი საჭიროება ამ ხეობის ონომასტიკონის შედგენისა და მომავალი თაობებისთვის სრულყოფილად გადაცემისა.

ლიტერატურა:

- ბატონიშვილი (1973). აღწერა სამეფოისა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.
- ბარდაველიძე, ვ. (1939). სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი. თბილისი: „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“.
- მიბჩუანი, თ. (1989). დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მარგიანი, ქ. (1998). დალის სვანეთის ტოპონიმია, ქართველური ონომასტიკა, I. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- მარგიანი, ქ. (2018). Dali Gorge – Linguoculturology, Interference, Ethnolinguistics, Materials of the III International Research and Practice Conference „Интеграция научного сообщества перед глобальными проблемами современности“. ISBN 978-601-267-055-4 Япония. Киото.
- ქაღანი, მ. (1970). დიალექტთა შერევა კოდორის ხეობის სვანურში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVII. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
- ჩანტლაძე, ი., მარგიანი, ქ., მარგიანი-სუბარი. ქ., იოსელიანი რ. (2007–2010). კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ), მასალები ქართველურ ენათა შესწავლისათვის, X. თბილისი: გამომცემლობა „გლობალ-პრინტი“.
- ჭუმბურიძე, ზ., ნიჟარაძე, ლ., ქურდაძე, რ. (2007). სვანური ენა, (გრამატიკული მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი), თბილისი: გამომცემლობა „პეტიტი“.
- ღვანლი LXXX (2019). თბილისი: გამომცემლობა „საჩინო“.
- ხორავა, ბ. (2008). ნებელდა-დალის 1840 წლის აჯანყება, კრებული: „სვანეთი – ქართული კულტურის სავანე“. თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.
- ხვისტანი, რ. (2018). კულტურული მემკვიდრეობა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე (მდინარე კოდორის ზემო წელი – ისტორიული მისიმიანეთი). თბილისი: გამომცემლობა „მერიდიანი“.

ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი
Nana Khotcholava-Matchavariani

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakishvili Tbilisi State University
არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
Arn. Chikobava Institute of Linguistics

საქართველოს ტოპონიმის სწავლების პერსპექტივები²
Perspectives of teaching toponymy of Georgia

საკვანძო სიტყვები: ფიტოტოპონიმები, პროექტული სწავლება, ბზიანი/ა.
Keywords: Phytotoponyms, Project teaching, Bziani/a.

² ნაკითხულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტთან არსებული ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამეცნიერო სესიაზე, რომელიც ეძღვნებოდა პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის ხსოვნას. 27.02.2024

Toponymy is distinctive field of language vocabulary. Taking into account the conclusions obtained on the basis of its scientific study is the best way to fully understand the nature, landscape, historical past of particular country, since the adventures of the country and the peculiarities of its nature are most succinctly conveyed by toponyms. In Kartvelology there are a number of valuable scientific works in the field of toponymy.

We believe that it is necessary to include the achievements of toponymy in the curricula of general education schools, which will be interesting and useful in many ways.

We have already taken the first practical steps and started working on the project “Georgia through the eyes of toponyms” for students of general education school.

In order to effectively include toponymy in the educational process, the following is necessary: selection of appropriate toponyms taking into account school programs; Reconciling these toponyms and various related materials and using project-based learning models to introduce them; After we have prepared and presented certain presentation samples, we will discuss them with the students (later, based on these samples, the students will prepare presentations on different toponyms). This time we will discuss one of the presentation topics – “Phytotoponym as a chronicler of local flora (**Bziani/a**).

We start each presentation by saying that getting to know the world of toponyms is like looking into a magic mirror, and if we look into this mirror with an observant eye, we will definitely see familiar and unfamiliar images of the country’s history, nature, travel through time, and, most importantly, the native language will always be by our side during this Journey with his almighty instruments.

We will discuss in the following order: 1. Naming the phytotoponym under consideration (**Bziani/a**) with reference to the map; 2. Conducting an analysis to determine etymology (a. linguistic, b. extra-linguistic); 4. Highlighting the motivation of names (ბზის[bza] **Boxwood** *Buxus colchica*); 5. Getting to know the plant; 6. Lexicographic description of the name of the plant; 7. Beliefs related to this plant; 8. Ecology issues; 9. Summary of the material and conclusions.

After getting acquainted with the presentation, the students concluded: 1. The phytotoponym **Bziani/a** refers to the place where there is a grove of evergreen boxwood (*Buxus colchica* **Pojark**), which is artificially planted here. We have 8 places of this name in Eastern Georgia; 2. Boxwood is a tree with distinctive characteristics and was not rejected even by Christianity; 3. The tradition of donating (planting) boxwood to holy places in Eastern Georgia should be connected with the establishment of Christianity, which is a continuation of the ancient ritual of worshipping the trees; 4. A reasonable explanation will be sought for the replacement of date palm branches with boxwood in the Palm Sunday church service in Georgia; 5. Boxwood, which did not grow naturally in eastern Georgia, was brought here centuries ago from western Georgia for a special purpose and was planted near Christian shrines, therefore every phytotoponym **Bziani/a** in eastern Georgia indicates the sacredness of these place. This phytotoponym is indeed a chronicler and keeps an interesting story for us; 6. Today, the boxwood tree is on the verge of extinction and needs special protection.

With the help of a presentation prepared to introduce and analyze a specific toponym **Bziani/a**, it was possible not only to compare new and diverse material and provide it to stu-

dents in a fun way, but also to give the children an opportunity to recall a number of issues they had already learned at school, to connect it with the new material and to based on which appropriate conclusions were drawn.

The work on the presented issues convinced us that it is necessary to include the achievements of toponymy in the educational process, because the use of conveniently selected toponyms ensures the effective delivery and teaching of topics.

ტოპონიმები ენის ლექსიკის გამორჩეული სფეროა. მისი მეცნიერულად შესწავლის საფუძველზე მიღებული დასკვნების გათვალისწინება საუკეთესო გზაა ამა თუ იმ ქვეყნის ბუნების, ისტორიული წარსულის, კულტურის, ეთნოსთა განსახლების არეალის, ყოფის თავისებურებების სათანადოდ აღსაქმელად.

ქართველოლოგიაში ტოპონიმთა შესწავლის მიმართულებით არაერთი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი მოიპოვება, მაგრამ კვლევის შედეგები ჯეროვნად არ არის ასახული სასწავლო პროცესებში. საჭირო და სასარგებლო საქმედ მივიჩნევთ ტოპონიმის მიღწევების ეფექტურად ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სასწავლო პროცესში, რაც თავდაპირველად შეიძლება განხორციელდეს არაფორმალური განათლების მიმართულებით. მიგვაჩნია, რომ მოხერხებულად შერჩეული ტოპონიმი შეიძლება ერთგვარი გზამკვლევი აღმოჩნდეს მოსწავლისათვის მთელი რიგი საკითხების გასაცნობად და შესასწავლად, ნასწავლი მასალის შესაჯამებლად. ამასთან, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ არა მხოლოდ ის, თუ რას და როგორ ვასწავლით, არამედ მკაფიოდ გვქონდეს განსაზღვრული, რატომ ვასწავლით.

ამისთვის აუცილებელია შემდეგი: 1. სასკოლო პროგრამების გათვალისწინებით, ნიმუშების (ტოპონიმების) სწორად შერჩევა, მოძიება და თავმოყრა იმ მრავალფეროვანი მასალისა, რომელიც მითითებულ ტოპონიმებს არაერთი კუთხით უკავშირდება (ზოგადი ინფორმაცია, სპეციალური ლიტერატურა, ფოტო-, ვიდეო-, აუდიომასალა და ა.შ.); 2. მოძიებული მასალის კომპლექსური მიწოდება, რაც ინტერდისციპლინურ განათლებას ეხმიანება და, ახალი ცოდნის შეძენასთან ერთად, უკვე ნასწავლი მასალის ერთგვარ გამეორებასაც გულისხმობს; 3. სწავლებისათვის სახალისო ფორმების შერჩევა; 4. მოსწავლეთა არა მხოლოდ ცოდნის გაღრმავებაზე ზრუნვა, არამედ მათში ინტერესის აღძვრა ტოპონიმებზე დაკვირვების, მოძიების, შესწავლის თვალსაზრისით და, რაც მთავარია, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა, ყურადღების გამახვილება ისტორიულ ტოპონიმთა შესაძლო დაკარგვის, ხელოვნურად სახეცვლის ან ჩანაცვლების გამო.

ამ მიზნით დავინყეთ მუშაობა პროექტზე: **„ტოპონიმებით დანახული საქართველო“**.

თანამოაზრეებთან ერთად უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯები: შეირჩა ტოპონიმები და სასწავლო პროცესში მათი ჩართვისთვის საჭირო ფორმები, რომელთა ერთი ნაწილი პრაქტიკულად განვახორციელეთ კიდეც (ქ. თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლასა და ალ. ჯავახიშვილის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საკვირაო სკოლაში).

ერთ-ერთ ფორმად შევარჩიეთ საქართველოს ტოპონიმის გაცნობა **პროექტული სწავლების მოდელებით**, რაც შემდეგ ეტაპებს გულისხმობს: 1. ჩვენ მიერ რამდენიმე სანიმუშო პრეზენტაციის მომზადება და მათი პერიოდულად წარდგენა მოსწავლეებისათვის (შესრულებულია PowerPoint-ის პროგრამაში, ხანგრძლივობა – 40 წუთი. გათვალისწინებულია თვალსაჩინოებათა ჩართვა, აუდიტორიის თანამონაწილეობა). 2. ამ სანიმუშო პრეზენტაციების მაგალითზე თავად მოსწავლეების მიერ ეტაპობრივად ახალი საკითხების დამუშავება და სათანადო პრეზენტაციების მომზადება (15-20 წთ.); 3. სასწავლო პროცესის გასახალისებლად შეიძლება დაემატოს შემეცნებითი თამაში და გასვლითი მეცადინეობა (ექსკურსია). ვგეგმავთ დამხმარე სახელმძღვანელოს შექმნას.

უკვე მოვამზადეთ და ბავშვებს წარვუდგინეთ რამდენიმე პრეზენტაცია. თემები, რომლებიც ტოპონიმებზე დაყრდნობით განვიხილეთ, მეტად საინტერესო სიახლე აღმოჩნდა მათთვის. იყო ნასწავლი და მივიწყებული მასალის გახსენებაც, რამაც ბავშვები განსაკუთრებით გაახალისა.

ჩატარებული პრეზენტაციები: 1. „მოგზაური ტოპონიმები“ – შიდა მიგრაციები და ტოპონიმია; 2. „ტოპონიმებში დარჩენილი ანაბეჭდები“ – მეგრულ-ლაზური და სვანური სუბსტრატი დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიაში; 3. „ტოპონიმების ომი“ – ტოპონიმთა ცვლილება, როგორც დამპყრობლური პოლიტიკის შედეგი; 4. „ძველისძველი გზები“ – ერთი ქალაქის სახელწოდება ისტორიულ-კულტურული ურთიერთობის კონტექსტში (ქუთაისი); 5. „ისტორიის ზიგზაგები“ (გერბიზმი>ერმელოვსკი>ლესელიძე>გერბიზმი; კატერინენფელდი>ლუქსემბურგი>ბოლნისი); 6. „ისტორიის ანარეკლები“ („ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი ტოპონიმის წარმომავლობა); 7. „ტოპონიმის ხელოვნური ცვლილება, როგორც საბჭოთა პროპაგანდის იარაღი“ (ცხაკაია, მახარაძე, ორჯონიკიძე...); 8. „ფიტოტოპონიმი – ადგილობრივი ფლორის მემატიანე“ (ძელქვიანი/ა, ბზიანი/ა).

მაგალითისთვის განვიხილავთ ერთ-ერთს – „ფიტოტოპონიმი, როგორც ადგილობრივი ფლორის მემატიანე“.

საკითხი შევარჩიეთ იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც ჩვენს მრავალწლიან პედაგოგიურ საქმიანობას ეფუძნება არაფორმალური განათლების მიმართულებით. გამოცდილებამ გვიჩვენა შემდეგი: 1. მოსწავლეები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ მცენარეთა სახელებიდან მომდინარე ტოპონიმებისადმი. ისინი ხალისით ასახელებენ მათ, სვამენ შეკითხვებს, გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, ხშირად მოუხმობენ ხალხურ ეტიმოლოგიებს; 2. ფიტოტოპონიმის ანალიზისათვის სათანადოდ შერჩეული მრავალფეროვანი მასალა მოსწავლეებს არაერთი მიმართულებით უღრმავებს ცოდნას, აწვდის ინფორმაციას (ენათმეცნიერება, ბოტანიკა, ეკოლოგია, გეოგრაფია, ეთნოლოგია...); 3. ფიტოტოპონიმის სემანტიკასა და აღნიშნული გეოგრაფიული ობიექტის მახასიათებლებს შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენა სხვა თვალთ დაანახებს ბავშვს ენის შესაძლებლობებს, მშობლიურ გარემოს, ფლორას, დააფიქრებს ეკოლოგიის საკითხებზე, უბიძგებს საჭირო დასკვნების გამოტანისკენ; 4. ანალიზისას ბავშვი არაერთი კუთხით ეცნობა სათანადო მცენარესა და გეოგრაფიულ ობიექტს.

ყოველ პრეზენტაციას ვინცებთ ერთგვარი შესავლით, კერძოდ კი იმით, რომ ტოპონიმების სამყაროს გაცნობა ჯადოსნურ სარკეში ჩახედვას ჰგავს და, თუ ამ სარკეში დაკვირვებული თვალთ ჩავიხედავთ, აუცილებლად დავინახავთ ქვეყნის წარსულის, მშობლიური მხარის, ბუნების ნაცნობ და უცნობ სურათებს; მოვისმენთ ამბებს უძველეს რწმენა-წარმოდგენებზე, უბრალო ადამიანებსა და ღვთისშვილებზე, გმირობასა და სიყვარულზე; თვალს შევავლებთ მივიწყებულ ტრადიციულ საქმიანობებს, საბედისწერო ცვლილებებს; ჩავფიქრდებით და ხშირად დავდარდიანდებით კიდეც. ერთი სიტყვით, დროში ვიმოგზაურებთ და, რაც მთავარია, ამ მოგზაურობისას ჩვენ გვერდით მუდამ იქნება მშობლიური ენა თავისი უსაზღვრო შესაძლებლობებით, ყოველისშემძლე ინსტრუმენტებით.

ამჯერად ვრცლად ვსაუბრობთ **ფიტოტოპონიმებზე**, რომელთა საყრდენია **მცენარეთა სახელები** - ენის ლექსიკის მრავალფეროვანი და მრავალშრიანი სფერო. აღვნიშნავთ, რომ **ფიტოტოპონიმები** კონკრეტული ეთნოსის ღრმა ნააზრევის, დაკვირვებისა და ხანგრძლივი გამოცდილების ნაყოფია და რომ მცენარეთა სახელებით ტერიტორიების სახელდება უძველესი დროიდან მოდის, ასევე, ფიტოტოპონიმების შესწავლით ბევრი რამ დგინდება, მაგალითად, როგორცაა: ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის **ფლორა** (გრაკლიანი, ურთხმელიანი, თელეთი, კოპიტნარი, სალანძილე, ლელვები...); მოსახლეობის **სამეურნეო-კულტურული ყოფა** (ნაფეტვრები, ღომოულა, ჭადაგორია, ნაქერალა, ნამჭვავარი, დოლისყანა, ნადიკვარი, ვაზიანი, ვაზისუბანი...); **საკულტო დანიშნულების ადგილები** (ჯვარიანი წიფელა, ცხრამუხა, მუხის ჯვარი...) და სხვა.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვამახვილებთ ფიტოტოპონიმთა ენობრივად გაფორმების მრავალგვარობაზე: **მარტივი ფორმები** (წყავი, ძელქვა, წიწვი...), **თხზული ფორმები** (მუხანიფელა, მუხრანთელეთი), **წარმოქმნილი ფორმები** და საწარმოქმნო ინვენტარის სიუხვე (ნა-პურ-ალ-ი, ბჟოლი-ეთ-ი, სა-რცხილ-ე...), **მსაზღვრელ-საზღვრული** (მაღალწიფელა, მაყვალდიდი, სხალწიფელა, სოკოგვერდი, დათვისხალი...) და ა.შ. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ ხშირად არაერთი გეოგრაფიული ობიექტის სახელდების მოტივაცია ერთსა და იმავე მცენარეს უკავშირდება, თუმცა ფიტოტოპონიმები ენობრივად სულ სხვადასხვაგვარად ფორმდება, მაგ.: თელა, თელიანი, თელავი, თელეთი, თელოვანი, თელნარი>თერნალი, თელათუბანი, თელანმინდა, მუხრან-თელეთი, თელორაული, თელათგორი, თელიანთწყალი, თელიანთრუვი, თელისკარავი. ამგვარი ნიმუშები ბავშვების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს.

მოსწავლეების ყურადღებას აუცილებლად ვამახვილებთ იმაზეც, რომ დროთა განმავლობაში ფიტოტოპონიმმა (საზოგადოდ, ტოპონიმმა), მიზეზთა გამო, შეიძლება, სახე იცვალოს და გაძნელდეს მისი სახელდების მოტივაციის ამოცნობა. ამ დროს აუცილებელი ხდება სპეციალური კვლევა-ძიების ჩატარება, რაშიც სწორედ მეცნიერული მიდგომა გვეხმარება თავისი მკაფიოდ განსაზღვრული პრინციპებით, რომელიც 2 მთავარ მომენტს ითვალისწინებს: **ენობრივი** ანალიზი და **გარეენობრივი** მონაცემები, შდრ.: „ნებისმიერი ტოპონიმის ეტიმოლოგიის დადგენისას ორი მომენტია აუცილებლად გასათვალისწინებელი: **ენობრივი** (ფორმის რეალურობა) და **გარეენობრივი** (მოტივაციის შესაძლებლო-

ბა). თუ ერთ-ერთი არ საბუთდება, მაშინ ტოპონიმის მართებული ეტიმოლოგიის გარკვევა შეუძლებელი ხდება“ (ჯორბენაძე, 1993, გვ. 160).

აღვნიშნავთ, რომ ხშირად ბუნდოვანებას აძლიერებს ე.წ. **ხალხური ეტიმოლოგია**, რომელიც აუცილებლად უნდა გაიმიჯნოს მეცნიერულისაგან. სათანადო ნიმუშების მოხმობით ვაჩვენებთ სხვაობას მათ შორის, მაგ., ტოპონიმ **ბზარნალის** (ტყის სახელი ს. ცუცხვათში, ტყიბულის მუნ-ი) წარმომავლობაზე ხალხური გადმოცემა ასეთია: „აქანა უნინ თამარ ნეფეს გოუვლია თავისი ჯარით და ამალით. კობდეზე რო გადადენილა, უცებ თამარის ცხენს ნალი გაბზარვია და გზა ველარ გაუგრძელებია. აქანა ამ ადგილას ჩამოსულა და დოუსვენიათ“. ამ ტოპონიმის წარმომავლობას მეცნიერება სხვაგვარად ხსნის და ის აღნიშნულ ადგილას ბზის ხეების სიმრავლეს უკავშირდება, შესაბამისად: **ბზა-ნარ-ი > ბზა-რ-ნარ-ი > ბზა-რ-ნალ-ი** (ბედოშვილი, 2001, გვ. 81).

პრეზენტაციისას მსჯელობას წარვმართავთ შემდეგი თანმიმდევრობით: 1. განსახილველი ფიტოტოპონიმის (ფიტოტოპონიმების) დასახელება (რუკაზე აღნიშვნით); 2. ხალხური ეტიმოლოგიის გაცნობა (თუკი ასეთი მოიპოვება); 3. ანალიზი ფიტოტოპონიმის ეტიმოლოგიის დასადგენად (ა. ენობრივი, ბ. გარეენობრივი); 4. სახელდების მოტივაციის გამოკვეთა (მცენარე, გარემო); 5. სათანადო მცენარის გაცნობა (ნიშან-თვისებები, გავრცელება, გამორჩეულობა, გამოყენება...); 6. აღნიშნული მცენარის სახელის ენობრივი ანალიზი (სტრუქტურულ-სემანტიკური, ლექსიკოგრაფიული); 7. ამ მცენარესთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები; 8. ეკოლოგიის საკითხები; 9. შეჯამება, დასკვნები.

სანიმუშოდ განვიხილავთ ფიტოტოპონიმ **ბზიანი/ა-ს**, რომელიც დასტურდება აღმოსავლეთ საქართველოს 8 გეოგრაფიული ობიექტის სახელად.

ამ ფიტოტოპონიმის ხალხური ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება.

I. ენობრივი ანალიზი. ბზ-იანი-ი/ბზ-იანი-ა: ი- სახ. ბრუნვის ნიშანი, **ა-** მატოპონიმებელი სუფიქსი; **იანი-** ქონების სუფიქსი (შდრ.: დეკიანი, დუციანი, არყიანი...), გამოცალკევდება **ბზ** (<ბზა) საწარმოქმნო ფუძე. **ბზა** ცნობილი ხემცენარის ქართული სახელია.

II. გარეენობრივი ფაქტორები. სათანადო წყაროების მოშველიებით აღვწერთ იმ გეოგრაფიულ ობიექტებს, რომელთა სახელია **ბზიანი/ა**. რუკაზე მივუთითებთ მათ ადგილმდებარეობებს იმის ხაზგასმით, თუ რა არის იქ ამჟამად, შდრ.: **ფშავი: ს. მალაროსკარი** (ხატი, სალოცავი, სასაფლაო, წმინდა წყარო), **ს. სწროფავი** (ბზები დგას ტყეში, იქვე ნანგრევებია), **ს. ხილიანა** (ხატი); **ს. ნეძიხი** (სამონასტრო კომპლექსი), **ქართლი: მცხეთის მუნიციპალიტეტი**, სოფ. ახალსოფლის სამხრ.-აღმოსავლეთით (შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრული კომპლექსი); **კახეთი: ახმეტის მუნიციპალიტეტი: ს. ფიჩხოვანი** (ეკლესია ტყიან ბორცვზე), **ს. მალრაანი** (ეკლესია), პანკისის ხეობა, ფშავლებით დასახლებული, **ს. ზემო ხალაწანი** (სალოცავი).

ფორმის ენობრივი ანალიზი და გეოგრაფიული ობიექტების აღწერილობა გვეხმარება ფიტოტოპონიმის სახელდების მოტივაციის (ადგილი, სადაც ბზის ხეებია) დადგენაში, რაშიც მოსწავლეები ხალისით ერთვებიან. აქვე მივუთითებთ,

რომ სახელი „**ბზიანი**“ არა მხოლოდ ფიტოტოპონიმად დასტურდება, არამედ ის **გეობოტანიკური ტერმინიცაა** და აღნიშნავს **ბზის ფორმაციას**, რომელიც საქართველოში შექმნილია **კოლხური ბზით**. ის ბოლო დრომდე შემორჩენილი იყო მდინარე ბზის ხეობასა და ტყვარჩელის მახლობლად, აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს სხვა ნაკრძალებში. ბზის კორომები ხელოვნურად გაშენებულია აღმოსავლეთ საქართველოშიც.

ტოპონიმთა სახელების მოტივაციის დასაზუსტებლად ვიშველიებთ შემდეგ კითხვებსაც: რატომ უნდა დარქმეოდა აღმოსავლეთ საქართველოს ამ ადგილებს **ბზიანი/ა?** არის თუ არა **ბზის ხეები** აღნიშნულ გეოგრაფიულ ობიექტებზე? გარდა ბზის ხეებისა, რის არსებობას მიუთითებენ ამ ადგილებში? რა მიმართება შეიძლება არსებობდეს ხემცენარე ბზასა და ამ დანიშნულების (საკრალური) ნაგებობებს შორის?

აქვე შეიძლება ჩამოვთვალოთ დენდრონიმ **ბზა-დან** მომდინარე სხვა ფიტოტოპონიმებიც. აღმოსავლეთ საქართველო: **ბზითა, ბზისხევი, ბზიანეთი...**; დასავლეთ საქართველო: **ბზვანი, ბზიური, ბზანალა, ბზანალის ღელე, ბზანვარი, ბზანარი, ბზანა...** შევნიშნავთ, რომ დასავლეთ საქართველოში დადასტურებული **ბზა-ფუძიანი** ფიტოტოპონიმები შესაბამის გეოგრაფიულ ადგილებში **კოლხური ბზის** ბუნებრივ არსებობას უნდა მიანიშნებდეს.

დასმულ შეკითხვებზე პასუხები, რომელებსაც ბავშვები ადვილად პოულობენ, ასეთია:

ამ ადგილებში დგას **ბზის ხეები**, ასევე, აქვეა: ქრისტიანული საყდარი, სამონასტრო კომპლექსი, ნიში, წმინდა წყარო, ხატი.

ბზა „ქრისტიანული ხეა“, რადგან მისი ტოტების კურთხევა ბზობის საეკლესიო მსახურებისას აუცილებელია. თუმცა, როცა მათ ჩავეკითხებით, თუ რატომ აკურთხებენ სწორედ ხემცენარე **ბზის** ტოტებს, ან რა დინიშნულებით შეიძლება და დაერგოთ ბზები ქრისტიანული სალოცავების სიახლოვეს, მოსწავლეებს პასუხები არ აქვთ.

პასუხების საპოვნელად ბავშვებს ვაცნობთ ხემცენარეს. ვინცებთ **ბზის** ბოტანიკური აღწერით (მოსწავლეები აქტიურობენ, ცდილობენ საკუთარი აღწერილობა შემოგვთავაზონ), ვასახელებთ ხემცენარის ბუნებრივი გავრცელების ადგილებს (რუკაზე მითითებებით).

მოსწავლეებს ვაცნობთ მცენარის საერთაშორისო ნომენკლატურით დამკვიდრებულ ლათინურ სახელწოდებას ***Buxus colchica* Pojark. (=Buxus sempervirens L. p.p)** და მისი შექმნის მოკლე ისტორიას (სახეობა აღწერილია აფხაზეთიდან მე-19 ს. დასაწყისში. ის თავდაპირველად ცნობილი იყო, როგორც ***Buxus sempervirens*** „მარადმწვანე ბზა“, ა.ი. პოიარკოვამ კი მას მიანიჭა სახეობის აღმნიშვნელი ეპითეტი ***colchica*** „კოლხეთის“).

აუცილებლად ვამახვილებთ ყურადღებას **ბზის** შემდეგ გამორჩეულ ნიშან-თვისებებზე: მესამეული პერიოდის **რელიქტია** (გოდერძის უღელტეხილის „გაქვავებულ ტყეში“ შემონახულია **ბზის**, პალმის, გიგანტური ვაზისა და დაფნის ფოთოლთა ანაბეჭდები); შეტანილია საქართველოს „ნითელ წიგნში“; ძვირფას-მერქნიანია, აქვს მძიმე, მეტად გამძლე მერქანი, რომელიც გამოიყენება სახარა-

ტო და საავეჯო წარმოებაში; მისგან ამზადდებდნენ ძვირფას საყოფაცხოვრებო ნივთებს; მარადმწვანე და დეკორატიული ხემცენარეა; გამოირჩევა სამკურნალო თვისებებით; უძველესი დროიდან მიჩნეულია **წმინდა ხედ**.

ჩამოვთვლით ბზის სინონიმურ სახელებს ქართულის დიალექტებსა და ქართველურ ენებში: *ქართლ. უფლის ხე; აჭარ. შიმშირი; მეგრ. ბზაკალი, ზაკალი; ლაზ. ჩიმჩირ; სვან. ბზაკალ, ზაკალ, ბაია* (მაყაშვილი, 1961).

ვსაუბრობთ ხემცენარის ადგილზე ქართულ რწმენა-წარმოდგენებში: მსოფლიოს ხალხებში, მათ შორის საქართველოშიც, ხეთა თაყვანისცემა, გამორჩევით, მარადმწვანე ხეთა, უძველესი დროიდან იყო გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობაში მნიშვნელოვან ქმედებად ითვლებოდა ხატისათვის იშვიათ და სასურველ ხეთა შეწირვა, რის გამოც ისინი შორიდანაც კი მოჰქონდათ და ხატის სიახლოვეს რგავდნენ. ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ ამ გამორჩეულმა ხეებმა სხვაგვარი (ბიბლიური) სიმბოლური დატვირთვა შეიძინა.

ხემცენარე **ბზასთან** დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი: ქართლურ დიალექტში მას ჰქვია „**უფლის ხე**“; საქართველოში ხანდაზმული ბზის ხეები ხშირად გვხვდება ძველი ქრისტიანული ტაძრების მიმდებარედ, შდრ.: „[სხალთის ტაძარს] გარშემო... ძველად დარგული **ბზა** დღესაც დარჩენილა და მიდამოს თავის სუნსა ჰფენს“ (სახოკია, 1950, გვ. 235). „...საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ „გუდამაყრის სოფ. სიჯანანში არსებული ადგილის დედის სალოცავს ჰქონია ბზის ხეების ტყე... გადმოცემის მიხედვით, ეს ბზის ხეები დიდი ხნის წინ იერუსალიმიდან მოუტანიათ, საგანგებოდ შეუწირავთ და გაუშენებიათ ხატისათვის“ (ქისტაური, 2012, გვ. 40).

ხალხური წარმოდგენით, ბზის ხე ადამიანს იცავს ავი ძალებისა და ცუდი სიზმრებისაგან. ის გამოიყენება „ბოროტი თვალის“ ამრიდებელი თილისმების დასამზადებლად.

ვსაუბრობთ **ბზობის** დღესასწაულზე: ქრისტიანობის დამკვიდრების შემდეგ თითქმის ყველა წარმართული დღესასწაული ქრისტიანულმა ჩაანაცვლა. ასეთად ივარაუდება **ბზობაც**, რომლის სახარებისეული შინაარსი გვამცნობს პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში იესო ქრისტეს დიდებით შესვლას, როდესაც მას ხალხი თაყვანისცემის ნიშნად ფეხქვეშ თავის სამოსსა და **ფინიკის პალმის ტოტებს (ბაიას)** უფენდა.

ქრისტიანულ ქვეყნებში, სადაც ფინიკის პალმა არ ხარობდა, აღნიშნულ დღესასწაულზე იგი ჩანაცვლდა სხვა **მარადმწვანე ან ახლადამწვანეული** მცენარეების ტოტებით, რადგან **მწვანე ფერი სიცოცხლის, უკვდავების, განახლების** სიმბოლოა. ეს მცენარეებია: დაფნა, ზეთისხილის ხე, ურთხელი, ნაძვი, ღვია, ბაძვი, მარადმწვანე ძახველი, როზმარინი, ტირიფი, თხილი, წიფელი, არყი, ცაცხვი...

საქართველოში ამ დღესასწაულისთვის გამწვანდა **ბზა**, იმ მაღალმთიან რეგიონებში კი, სადაც ბზა ბუნებრივად არ ხარობდა – **ტირიფი, ნაძვი** (სამეგრელო-სა და აფხაზეთში ბალახოვანი მცენარის, ბაიას, გამოყენებას სულ სხვა მიზეზი უნდა ჰქონოდა - ავტ.).

საქართველოში **პალმის** ტოტების **ბზის** ტოტებით ჩანაცვლების ძირითადი მიზეზებია: ფინიკის პალმა საქართველოში არ ხარობდა; **კოლხური ბზა** იმ იშვიათ მცენარეთა შორისაა, რომელიც ერთდროულად **ფოთლოვანიცაა** და **მარადმწვანეც**, ამავე დროს, ყვავის სწორედ მარტ-აპრილში; მრავალი ღირსების გამო, ბზა უძველესი დროიდან მიიჩნეოდა **წმინდა ხედ**.

ბოლოს, აუცილებლად გამოვკვეთთ იმ საკითხს, რომ **კოლხური ბზა გადაშენების საფრთხის წინაშეა**, რადგან ეს უნიკალური სახეობა მასობრივად ხმება, ნადგურდება. დღეს დასავლეთ საქართველოში ბუნებრივი გავრცელების მთელ არეალზე კოლხური ბზის კორომები თითქმის აღარ არსებობს.

ვასახელებთ ბზის კორომების განადგურების გამომწვევ მიზეზებს: 1. **კომერციული** – ბზის კორომების გაჩეხვა დასავლეთ საქართველოში შუა საუკუნეებიდანვე დაიწყო (მოსწავლეებს ვუკითხავთ ცნობებს თ. სახოკიას წიგნიდან „მოგზაურობანი“); 2. **სოკოვანი დაავადება** – „ბზის სიდამწვრე“ (დაავადების სიმპტომები, ფოტომასალა); 3. **მავნებელი მწერი** – „ბზის ალურა“ (მოკლე აღწერა, ფოტო); 4. ხის ტოტების **დიდი რაოდენობით ქრა** ბზობის დღესასწაული-სათვის (მოსწავლეები ეთანხმებიან ამ არგუმენტს); 5. ხემცენარის ზრდის ძალზე დაბალი ტემპი.

პრეზენტაციის დასასრულს ერთმანეთთან ვაკავშირებთ მოსმენილ, წაკითხულ, ნანახ მასალებს, ვმსჯელობთ და მოსწავლეებთან ერთად გამოგვაქვს დასკვნები, რომელებიც, ძირითადად, ასეთია:

ფიტოტოპონიმი **ბზიანი/ა-ს** ანალიზი, მართლაც, ჯადოსნურ სარკეში ჩახედვას ჰგავდა, რადგან ბევრი საინტერესო რამ შევიტყვეთ, კერძოდ, ამ ფიტოტოპონიმით აღნიშნული გეოგრაფიული ადგილები უკავშირდება მარადმწვანე **კოლხურ ბზას**.

ბზა გამორჩეული ნიშან-თვისებების მქონე ხემცენარეა და უძველესი დროიდან მიიჩნეოდა წმინდა ხედ. ქრისტიანობამ აღიარა ბზის გამორჩეულობა.

აღმოსავლეთ საქართველოში წმინდა ადგილებისთვის ბზის შეწირვის (დარგვის) ტრადიცია ქრისტიანობის დამკვიდრებას უნდა უკავშირდებოდეს, რაც ხე-თა თაყვანიცემის უძველესი რიტუალის ორგანული გაგრძელებაა.

სალოცავების სიახლოვეს საუკუნოვანი ბზის კორომების არსებობა მათი მიზანმიმართულად დარგვის ტრადიციის სიძველეზე მიუთითებს, რასაც ხალხური გადმოცემებიც ადასტურებს.

საქართველოში ბზობის დღესასწაულის საეკლესიო მსახურებაში ფინიკის პალმის ტოტების კოლხური ბზით ჩანაცვლებას გონივრული ახსნა მოეძებნება.

კოლხური ბზა, რომელიც ბუნებრივად არ მოიპოვებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, აქ საუკუნეების წინ დასავლეთ საქართველოდან საგანგებო მიზნით მოუტანიათ და ქრისტიანული სალოცავების მახლობლად გაუხარებიათ, ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოში ყოველი ფიტოტოპონიმი ბზიანი/ა ამ ადგილების საკრალურობაზე მიგვითითებს.

ეს ფიტოტოპონიმი, მართლაც, მემატრიანია და საინტერესო ამბავს ინახავს ჩვენთვის.

გადაშენების პირას მყოფ კოლხურ ბზას განსაკუთრებული დაცვა სჭირდება.

ამგვარად, კონკრეტულ ტოპონიმზე (ბზიანი/ა) მსჯელობისას მოხერხდა არა მხოლოდ მრავალფეროვანი მასალის კომპლექსური და თვალსაჩინოებებით გამდიდრებული, სახალისო ფორმით მიწოდება, არამედ მოსწავლეებს საშუალება მიეცათ, გაეხსენებინათ სკოლაში უკვე ნასწავლი არაერთი საკითხი, შეეფერებინათ ის ახალ მასალასთან და ამის საფუძველზე გამოეტანათ სათანადო დასკვნები.

წარმოდგენილ საკითხებზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია ტოპონიმის მიღწევების ჩართვა სასწავლო პროცესში. მოხერხებულად შერჩეული ტოპონიმების მოშველიება უზრუნველყოფს რიგი საკითხების ეფექტურად მიწოდებასა და სწავლებას. მიგვაჩნია, რომ ეს თავდაპირველად უნდა განხორციელდეს არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, პროექტული სწავლების მოდელების გამოყენებასთან ერთად, მეტ თავისუფლებას მიანიჭებს მასწავლებელს ახალი საკითხებისა თუ სწავლების სახალისო ფორმების მოძიებასა და დანერგვაში, ამასთან, თანდათანობით გამოკვეთს აღნიშნული სიახლის ძირითად მახასიათებლებს, განსაზღვრავს მის ადგილს ფორმალური განათლების სასწავლო პროგრამებში.

პროექტი – „ტოპონიმებით დანახული საქართველო“ – გრძელდება.

ლიტერატურა:

ბედოშვილი, გ. (2001). ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I. თბილისი: „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

მაყაშვილი, ალ. (1961), ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

სახოკია, თ. (1950), მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. თბილისი: „სახელგამი“.

ქისტაური, გ. (2012). წარმართული რელიქტი V-X საუკუნეების ქართულ ჰაგიოგრაფიულ მწერლობასა და ხალხურ ქრისტიანობაში, სადოქტორო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

ჯორბენაძე, ბ. (1993). ონომასტიკური გულანი, თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.

გამოცემაზე მუშაობდნენ ნათია დვალი და ლელა ნიკლაური

მხატვარი - თინათინ ჩირინაშვილი

გარეკანის დიზაინერი - მარიამ ებრაელიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი, 2024

0128 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0128
Tel 995(32) 225 04 84, 6284/6279
<https://www.tsu.ge/ka/publishing-house>

